

ლინგვოკრიმინალისტიკა

ნაშრომი მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ლინგვოკრიმინალიტიკა“ ფარგლებში და გამოცემულია ფაკულტეტის მხარდაჭერით.

ავტორები:

ივანე ჯაგოდნიშვილი, თემურ ჯაგოდნიშვილი,
ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია

რედაქტორი: ჯემალ გახოკიძე

რეცენზენტი: გურამ გვენეტაძე

მალხაზ ჩიტაია

ანასტასია ფუტკარაძე

ტექნიკური უზრუნველყოფა:

©სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტი

ISBN 978-9941-25-896-1

შინაარსი

შესავალი	7
თავი 1. ლინგვოკრიმინალისტიკის საგანი. ლინგვისტიკური მანიპულაციები.....	9
1.1. ლინგვოკრიმინალისტიკის საგანი	9
1.1.1. ლინგვისტიკური ექსპერტიზის სახეობები	12
1. 2. ლინგვისტიკური ექსპერტიზის საფუძვლები	33
1.3. მანიპულაციური ლინგვისტიკური ხერხები (მეთოდები) ლინგვისტიკური მანიპულაციები.....	44
1.4. შეურაცხყოფელი და საწყენი სიტყვები ლინგვისტიკური ექსპერტიზის პოზიციიდან	54
1.4.1. შეურაცხყოფელი სიტყვები.....	56
1.5. შეურაცხყოფელი და საწყენი სიტყვების ლექსიკონი (ლექსიკა-ფრაზეოლოგია).....	116
 თავი 2. სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის ლინგვისტიკური რეალიები.....	120
2.1. სამართლის დარგობრივი (ფუნქციური) სტილის შესწავლის ისტორია.....	120
2.2. ექსტრალინგვისტური ფაქტორები და სამართლის ნორმის სტრუქტურა.....	121
2.3. ლექსიკა და სიტყვაწარმოება. ტერმინოლოგია	124
2.3.1. სიტყვა და მისი მნიშვნელობა საკანონმდებლო სტილში	124
2.2.2. ტერმინოლოგია.....	128

2.3. სინონიმია საკანონმდებლო ტექსტებში.....	130
2.3.1. კალკი.....	136
2.3.2. ტერმინოლოგიური შესიტყვებები	138
2.3.3. ანტონიმია.....	142
2.3.4. სიტყვაწარმოება.....	144
2.4. სემანტიკური სიტყვათვლები სამართლის ფუნქციურ ენასა და სტილში	146
2.5. სამართლის ფუნქციური ენის მორფოლოგია	153
2.5.1. სახელები	153
2.5.2. ბრუნვის ფორმების სიხშირული განაწილება	156
2.5.3. ზოგადი ცნებების გამომხატველი ლექსიკა სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სივრცეში	164
2.6. საკანონმდებლო სტილის სინტაქსი	166
2.6.1. სინტაქსემები	166
2.7. წინადადება	170
2.7.1. შერწყმული წინადადება.....	173
2.7.2. რთული წინადადება	175
2.8. პარალელური და უარყოფითი სინტაქსური კონსტრუქციები..	177
2.8.1. პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები.....	177
2.8.2. უარყოფითი სინტაქსური კონსტრუქციები	181
2.9. კანონის ენის დახვეწისათვის	183

**თავი 3. მეტყველება და აგრესია. სამეტყველო აგრესიის
ექსპერიმენტული კვლევები 195**

3.1. მეტყველება და აგრესია: ლინგვისტიკური ანალიზის
გზები და მეთოდები..... 195

3.1.1. აგრესიის ვერბალური რეალიზების საშუალებები
მხატვრულ ლიტერატურაში..... 197

3.2. სამეტყველო აგრესიის ექსპერიმენტული კვლევები..... 204

3.3. ენობრივი აგრესიის რეგისტრები თანამედროვე ქართულ
საჯარო დისკურსში 219

3.4. ავტორმცოდნეობითი ექსპერტიზა და პიროვნების
იდენტიფიცირება..... 226

3.4.1. ავტორმცოდნეობითი ექსპერტიზის
თავისებურებანი 226

3.4.2. პიროვნების ფსიქოფიზიოლოგიური თვისებების
განსაზღვრა..... 229

3.5. აგრესიის ვერბალური ექსპლიკაცია მასობრივი ინფორმაციის
საშუალებებში 237

3.6. სასაქონლო ნიშნის შინაარსის დამაზუსტებელი
ექსპერტიზები..... 246

3.7. სამეტყველო აგრესია ინტერნეტ-კომუნიკაციებში 255

3.8. ენობრივი ექსტრემიზმის მოვლენა..... 267

**თავი 4. კრიმინალური სუბკულტურის სოციოლინგვისტური
ასპექტები 281**

4.1. კრიმინალური სუბკულტურის ლექსიკა-ფრაზეოლოგიის
ლინგვოკრიმინალისტიკური ექსპერტიზა..... 281

4.1.1. არგო.....	282
4.1.2. არგოს წარმომავლობა	285
4.2. ვერბალური კომუნიკაციების რეგისტრები კრიმინალურ სამყაროში	300
4.3. ტატუირებები.....	304
4.3.1. ტატუირებების ზოგიერთი ნიმუში	311
დასკვნა	331
გამოყენებული ლიტერატურა	339
დანართი1. კრიმინალური სუბკულტურის განმარტებითი სიტყვარი.....	346

შესავალი

ლინგვოკრიმინალისტიკა ახალი ეპოქის გამოძახილია. ცოდნის ეს დარგი სიტყვში შთაბეჭდილი და სიტყვით სამართლისა და სამართლიანობის შინაარსს აზუსტებს და კანონის ენით გადმოგვცემს.

ლინგვოკრიმინალისტიკის, როგორც სასწავლო დისციპლინის, სამართალწარმოების პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობა კარგა ხანია ეჭვს არ იწვევს. ამიტომაც არის, რომ ლინგვისტიკისა და იურისტიკის მხრიდან ამჟამად უკვე დაჟინებით გაისმის ხმები ლინგვოკრიმინალისტიკის, როგორც სასწავლო კურსის, შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ. თანამედროვეობისათვის ლინგვოკრიმინალისტიკის მნიშვნელობა სამართალწარმოებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ენობრივი ექსტრემიზმისა და ენობრივი აგრესიის გამაოგნებელი მოძალების გამო.

ამიტომ ლინგვოკრიმინალისტიკის, როგორც სასწავლო კურსის, მიზანია იურისპრუდენციის პროფესიონალებისათვის სამართალმცოდნეობის ფუნქციური ენისა და სტილის, ტექსტის განმარტების, ინტერპრეტირების მეთოდებისა და ხერხების გაცნობა. საამისოდ კი იურისტმა უნდა იცოდეს იმ ლინგვისტიკური პროცესების ანზანი, არსი, რომლებიც შეიძლება შეხვდეთ სასამართლო ექსპერტიზების დასკვნებში; უნდა იცოდეს რა არის, მაგალითად, **პლეონაზმი, ტავტოლოგია, მეტაფორა, მეტონიმია, ევფემიზმი; უნდა ერკვეოდეს საერთო სახალხო ენის პრაქტიკული სტილისტიკის პოზლემატიკასა და სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის თავისებურებებში**. მან ასევე კარგად უნდა იცოდეს ლინგვოკრიმინალისტიკის სფეროს ლინგვისტიკური ტერმინები და ა. შ.

თავისებურად გაგებული პიროვნების თავისუფლების ფილოსოფია (რომელიც არ ცნობს თავისუფლების პასუხისმგებლობასთან პირდაპირპროპორციულობას) ისეთ საზოგადოებრივ რეალობას ქმნის, სადაც განსაკუთრებული ხდება სამართლებრივი ინსტიტუტების მისია (ფუნქცია, როლი) არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ კაცობრიობის ცივილიზაციის წინაშე. სწორედ ნეოეკზისტენციალიზმზე დამყარებული ეს ახალი რეალობა განსაზღვრავს სასა-

მართლო ლინგვისტური ექსპერტიზის, როგორც ცოდნის ახალი დარგის, სტატუსს, როგორც ცივილიზაციის არსებული ფორმის შენარჩუნების საშუალებას, რადგან სხვასთან ერთად, მისი უმთავრესი ამოცანაა ადამიანის ღირსების დაცვის უზრუნველყოფა რთულსა და წინააღმდეგობებით გაჯერებულ თანამედროვეობაში.

ადამიანის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის სასამართლოების მიერ განხილვის შემთხვევები უცხო არ არის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, თუმცა ლინგვისტიკური ექსპერტიზის გამოყენების პრაქტიკა ჯერჯერობით არ არის დამკვიდრებული. ამიტომ სასამართლოებს განაჩენი ასეთ შემთხვევაში ეროვნული ენობრივი ცნობიერების დონეზე გამოაქვთ, აშკარა აგრესიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ფიქსირების საფუძველზე, რომლის არსებობაც ყოველთვის არ არის მიზანმიმართული, გააზრებულ-გაცნობიერებული აგრესია.

სასამართლოს მიერ დაფიქსირებულ ამონარიდებში „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტიკის მედიატექსტებში აშკარა აგრესიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გვერდით, გვხვდება ისეთი ლექსემებიც, რომელთა აგრესიულობის მტკიცება უკონტექსტოდ აშკარად გაჭირდება. ასეთი ლექსემებია, მაგალითად, „ახლანდელი უსტაბაში“, „ღუბენატორსა და ელჩს“ (განსაკუთრებით სიტყვა „ღუბენატორს“, სადაც ლინგვისტიკური ექსპერტიზის გარეშე გაჭირდება ამ სიტყვის ქვეტექსტური აგრესიულობის შემცველობის მტკიცება მისი ძველი ფორმით „გუბენატორის“ ნაცვლად „ღუბენაროტის“ გამოყენებით).

თანამედროვე ქართულ სამართალწარმოების სფეროში ლინგვისტიკური ექსპერტიზების ჩატარების პრაქტიკა ჯერ არ არის დამკვიდრებული. თუმცა კი მისი საჭიროება სპეციალისტებისათვის სრულიად ცხადია. სწორედ ამ ცოდნის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრების მცდელობას წარმოადგენს შემოთავაზებული სახელმძღვანელო გამიზნულობის წიგნი „ლინგვოკრიმინალისტიკა“. იგი შედგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობისა და ლინგვისტიკის სპეციალისტების მიერ. როგორც პირველი ცდა, ნაშრომი, ბუნებრივია, არ იქნება დაზღვეული უზუსტობებისაგან. ამიტომ შემდგენლები მაღლიერებით მიიღებენ საქმიან შენიშვნებსა და სურვილებს.

თავი 1. ლინგვოკრიმინალისტიკის საგანი. ლინგვისტიკური მანიპულაციები

1.1. ლინგვოკრიმინალისტიკის საგანი

ტერმინი **ლინგვოკრიმინალისტიკა** რთული და მრავალასპექტაა: შეიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- აღნიშნავს ლინგვისტიკის დარგს, რომელიც შეისწავლის ტექსტს სამართალმცოდნეობის ინტერესების შესაბამისად;
- აღნიშნავს ლინგვისტიკის დარგს, რომელიც შეისწავლის სასამართლო ლინგვისტიკური ექსპერტიზის ჩატარების წესებს;
- აღნიშნავს ლინგვისტიკის დარგს, რომელიც შეისწავლის კრიმინალური სუბკულტურის სოციოლინგვისტურ ასპექტებს.

ლინგვისტოკრიმინალისტიკასთან, როგორც ტერმინთან, ახლოს დგას ტერმინი იურისლინგვისტიკა. ამ ტერმინით აღნიშნავენ ლინგვოკრიმინალისტიკის პირველ ორ ასპექტს, ე. ი. იურიდიულ მიზნების შემცველ ტექსტის ლინგვისტიკას და სასამართლო ლინგვისტიკური ექსპერტიზის ჩატარების სწავლების ენათმეცნიერების დარგს.

ფართო გაგებით, **იურისლინგვისტიკა** შეისწავლის ენისა და სამართლის ურთიერთმიმართებებს.

იურისლინგვისტიკა იკვლევს ენის კონფლიქტებში გამოყენების (ინვექტიურ, მანიპულაციურ, აგრესიულ, პოლიინტერპრეტაციულ) ასპექტებს. მის ინტერესებში მოქცეულია ასევე ენობრივი პოლიტიკის, სახელმწიფო ენის იურიდიული-ლინგვისტიკური ასპექტების შესწავლა. სხვადასხვაგვარი სასამართლო ექსპერტიზის ერთიანი წესების დამუშავება; სამართლისმცოდნეთა ლინგვისტიკური განათლება და სხვა.

იურისლინგვისტიკის მოსაზღვრე დისციპლინებია: ლინგვოკონფლიქტოლოგია, სოციოლინგვისტიკა, ლინგვოეკონომიკა, სამეტყველო აქტების თეორია, ლინგვისტიკური ინტერპრეტაციის თეორია, იურისპრუდენცია, კომუნიკოლოგია, ჰერმენევტიკა, სასამართლო ფსიქოლოგია და სხვ.

იურისლინგვისტიკასთან ერთად, ჩვეულებრივ, გამოიყენება აგრეთვე ტერმინები **სასამართლო მეტყველება, ლინგვისტიკური ექსპერტიზა**. თუმცა ზოგიერთი მკვლევრის აზრით (მაგ., მ. ა. გრაჩოვი, 2016, 6), ეს ტერმინები მთლიანად ვერ მოიცავენ იურიდიული ლინგვისტიკის შინაარსს და ამის გამო უპირატესობას ანიჭებენ ტერმინს **ლინგვოკრიმინალისტიკას**.

ლინგვოკრიმინალისტიკა, სამართლისმცოდნეობის სფეროს ფუნქციური ენისა და სტილის გარდა, მოიცავს კრიმინალური სამყაროს სუბკულტურის ელემენტებსაც: არგოს, პირობით საიდუმლო ენას, ზედსახელებს (კლიჩებს), ტატუირებებს, საიდუმლო ჟესტებს და მიმიკებს, დამნაშავე ელემენტების ანდაზებსა და გამოთქმებს. ასე რომ, ლინგვოკრიმინალისტიკა ინტერდისციპლინარულია თავისი ბუნებით.

ლინგვოკრიმინალისტიკის მთავარი ობიექტია ტექსტი, როგორც აზრობრივი ლოგიკური მთლიანობა. აქედან გამომდინარე, მისი ინტერესების სფეროში მოქცეულია არა მხოლოდ სამართალმცოდნეობის სფეროს ფუნქციური ენა და სტილი, არამედ სამართალისა და სამართალწარმოების სფეროს სხვა ასპექტები და ელემენტები.

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში) ლინგვოკრიმინალისტიკა როგორც ენათმეცნიერების დარგი, ტექსტის შესწავლასთან (ფართო გაგებით) ერთად, მიზნად ისახავს ლინგვისტიკური ექსპერტიზების ჩატარებას (ვიწრო გაგებით).

ლინგვისტიკური ექსპერტიზა პროცესუალური ქმედებაა. იგი შედგება ექსპერტლინგვისტის მიერ კვლევების ჩატარებისა და დასკვნის გამოტანისაგან იმ საკითხებზე, რომლებიც

საჭიროებენ სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ხელოსნობის სფეროებში და რომლებიც დაისმება ექსპერტის წინაშე სასამართლოს, მოსამართლის, საგამოძიებო ორგანოების, გამომძიებლის მიერ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ მტკიცებას დაქვემდებარებულ გარემოებების დადგენის მიზნით. ლინგვისტური ექსპერტიზის სამართლებრივი საფუძველი, როგორც წესი, განსაზღვრულია კანონმდებლობით. იქ, სადაც ლინგვოკრიმინალისტიკა და ლინგვისტიკური ექსპერტიზა ოფიციალურად არის ჩართული სასამართლო ექსპერტიზათა ნუსხაში, კანონი განასხვავებს ექსპერტიზის სამ ძირითად სახეობას:

- ინდივიდუალურს;
- კომისიურს;
- კომპლექსურს.

ინდივიდუალური ექსპერტიზას ახორციელებს ერთი სპეციალისტი, კომისიურს – ორი ან მეტი ექსპერტი, ხოლო კომპლექსურს – ცოდნის სხვადასხვა სფეროში სპეციალური განათლების მქონე ორი ან ორზე მეტი ექსპერტი.

ბოლო დრომდე გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ლინგვოკრიმინალისტიკის უმთავრესი ამოცანაა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო ლინგვისტიკური ექსპერტიზების წარმოება ან პიროვნების იდენტიფიცირება მისი ლინგვისტიკური თავისებურების მიხედვით; მაგრამ რეალურად განსაკუთრებით ბოლო ხანებში, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება-დამკვიდრების კვალობაზე, ლინგვისტიკური ექსპერტიზის გამოყენების სფეროები სულ უფრო ფართოვდება და მოიცავს ენასთან დაკავშირებულ ყველა საკამათო საკითხს, რომლებიც ლინგვისტ-ექსპერტის განხილვის საგანს შეადგენს.

ლინგვისტიკური ექსპერტიზების ჩატარების სწავლებას, მართალია, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ლინგვოკრიმინალისტიკის მომზადებაში, მაგრამ ლინგვოკრიმინალისტიკის უმთავრესი ელემენტების ცოდნა სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკოსი მუშაკებისთვისაც აუცილებელია.

1.1.1.ლინგვისტიკური ექსპერტიზის სახეობები

აქტუალობისა და თავჩენის სიხშირის მიხედვით, ლინგვისტიკურ ექსპერტიზათა შორის ყველაზე გავრცელებულია შეურაცხყოფელი ანუ ნეგატიური ინფორმაციის არსებობისა და მისი გვარობის დადგენა. ექსპერტიზის მიზანი ასეთ შემთხვევებში ადამიანის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვაა.

საკმაოდ გავრცელებულია ასევე ავტორობის დადგენის (ავტორმცოდნეობითი) ლინგვისტიკური ექსპერტიზის სახეობა. უკანასკნელ ხანებში მსოფლიო მასშტაბები შეიძინა და ადამიანის გონებრივ-ინტელექტუალური საქმიანობის ყველა სფეროში ღრმად შეიჭრა ტრადიციულ-ლინგვისტიკურ ექსპერტიზათა სახეობებს (ინდივიდუალურს, კომისიურს თუ კომპლექსურს) მასშტაბებით გადააჭარბა კომპიუტერულ-ელექტრონული ლინგვისტიკური ექსპერტიზის სახეობამ, რომელიც სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას ემყარება. ლინგვისტიკურ ექსპერტიზის ამ სახეობამ ანტიპლაგიატის პროგრამების სახელწოდებით დაიმკვიდრა ადგილი. ფორმალურმა შედეგიანობამ ამ სახეობის არსებობის უფლება თუმცა დაამტკიცა, მაგრამ სრულყოფისაგან, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით შორს დგას, რადგან ავტორობის საკითხები ტექსტუალურ-ფრაზეოლოგიურ ფორმალურ მსგავსება-განსხვავების დადგენის საფუძველზე წყდება. ეს კი ყოველთვის შედეგის მომტანი ვერ არის, განსაკუთრებით მეცნიერული კვლევების სფეროში, სადაც ბუნებრივი (და აუცილებელიც!) მოვლენაა „მკვლევართა გადამახილი“, ანუ კვლევებში სხვადასხვა ავტორთა მიერ ერთმანეთისაგან მოსაზრებათა, კონცეფციათა, შეხედულებათა დასესხება ახალ მოსაზრებათა არგუმენტის (არგუმენტაციის) ფუნქციით. ამას ემატება მეტყველებაში (მათ შორის წერით მეტყველებაში) ფუნქციური ენის და სტილის, ასევე იდეოსტილის მოვლენა,

რომელიც შეუძლებელს ხდის აზრობრივი პლაგიატის ფაქტის დადგენას.

ლინგვისტიკური ექსპერტიზის სულ უფრო მოთხოვნადი სახეობა ხდება სამეტყველო ექსტრემიზმის ფაქტის დადგენის გამიზნულობის ლინგვისტიკური ექსპერტიზა.

ლინგვისტები გამოყოფენ ენობრივი ექსპერტიზის კიდევ ერთ სახეობას – სასაქონლო ნიშნის ცნების შინაარსის განსაზღვრასთან დაკავშირებულ ლინგვისტიკურ ექსპერტიზას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლინგვისტებისა და იურისტების მხრიდან აქა-იქ ამჟამადაც გაისმის ხმები ლინგვოკრიმინალისტიკის, როგორც სასწავლო კურსის, მიზანშეუწონლობის შესახებ. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, თანამედროვეობისათვის ლინგვოკრიმინალისტიკის მნიშვნელობა სამართალწარმოების სფეროში ეჭვს არ იწვევს ენობრივი ექსტრემიზმისა და ენობრივი აგრესიის გამოაგნებელი მოძალების ვითარებაში, როდესაც ვერბალურ კომუნიკაციებში განუზომლად გაიზარდა ისეთი (ერთი შეხედვით), უწყინარი სამეტყველო-პუნქტუაციური ნიშნის როლი, როგორიცაა ყბადაღებული და ანეგდოტის პერსონაჟად ქცეული სასვენი ნიშანი („ ,“): „ისწავლე(,) მამაშენივით (,) ვირი არ გამოხვიდე“. ან: „დასჯა(,) არ შიძლება(,) შეწყალება!“

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ სამართალმცოდნეებმა უნდა იცოდნენ ბუნებრივი ენის, როგორც სამართალმცოდნეობის ფუნქციური ენისა და სტილის სუბსტრატის სისტემური და ფუნქციური თავისებურებები. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ლინგვისტიკური ცოდნა დიდად განსაზღვრავს ვერბალური კომუნიკაციებიდან მონაწილეთა ნაირგვარი ფაქტობრივი და პიროვნული მონაცემებისა და კრიმინალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება (26).

სასამართლო პრაქტიკიდან კარგად არის ცნობილი, რომ შეურაცხოვას განსაზღვრავს შესაბამისი ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალი. ლინგვოკრიმინალისტმა კარგად უნდა

იცოდეს, რომელი სიტყვები განეკუთვნება ამ ჩამონათვალს, რა შემთხვევაში შეიძლება იყვნენ ეს სიტყვები შეურაცხმყოფელნი და რა შემთხვევაში – არა; როგორ უნდა იქნენ გაგებული გარკვეული სოციალური ჯგუფების გადასახედიდან ჟარგონული, არგოტული სიტყვები – ინვექტივები.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისათვის კარგად არის ცნობილი ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია ვერბალური შეურაცხყოფის განსაზღვრასთან პატივისა და ღირსების დაცვის საქმეების განხილვის პროცესში. აუცილებელი ხდება კონკრეტული მაგალითების მოხმობა. ზოგი მკვლევარი მიზანშეწონილად მიიჩნევს ისეთი ლექსიკონის შედგენას, სადაც წარმოდგენილი იქნება ლექსიკოგრაფიული მინიშნება (მაგალითად, **შეურაცხყოფელი, ურიგო, უხერხული, ნეგატიურ-შემფასებლური**), რომელიც ასახავს ინვექტიურობის გრადაციას (27). ასეთი ლექსიკონის შექმნა, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა პრობლემაც იჩენს თავს. ესაა ამგვარი სიტყვების გამოყენების სიტუაციონალობისა და კონტექსტურობის პრობლემა. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში კარგად არის ცნობილი, რომ შეურაცხმყოფელი სიტყვები არაიშვიათად სრულიად საპირისპირო მნიშვნელობით (აღტაცების, სიხარულის, აღტკინების, სიყვარულის...) გამოიყენება. მაგალითად, მოწონების გამომხატველი შეიძლება გახდეს ფრაზა: „რა კარგად თამაშობს, ეს მამაძაღლი!“

ეს გარემოება მაინც არ გამორიცხავს ინვექტივების ლექსიკონის შექმნის მიზანშეწონილობას. იგი დიდად გაუადვილებს მუშაობას როგორც ლინგვისტებს, ისე სამართალმცოდნეებს. სირთულე კი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ინვექტივი დიდ (უხვ) საილუსტრაციო მასალას საჭიროებს, ანუ ისეთი მაგალითების მოყვანას, რომლებიც ცხადყოფენ როდის შეიძლება ესა თუ ის სიტყვა ჩაითვალოს შეურაცხყოფად და როდის – არა. თუმცა ამგვარი სირთულეების გა-

დაჭრა მაინც შესაძლებელია შედარებით გავრცელებული და ფეხმოკიდებული სამეტყველო სიტუაციების გამოყენებით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრების მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმება. ამ შემთხვევაში თავის სიტყვას ამბობს სოციალური სუბკულტურა, მენტალობა, ენობრივი და კულტურული ცნობიერება. ამავე დროს გასათვალისწინებელია სალიტერატურო (სტანდარტიზებული) ენის ნორმებიც, ცხადია, შედარების (კომპარატივისტული) მიზნებით.

მაგალითად, თუ კრიმინალური სამყაროს ერთმა წარმომადგენელმა მეორეს ქათამი (კურიცა) უწოდა, კანონმორჩილი საზოგადოების ენობრივ ცნობიერებაშიც შეურაცხყოფელი იქნება, მაგრამ დამნაშავეთა სამყაროში აშკარად დამამცირებელი, პირდაპირ გამანადგურებელი (პეიორატიული) მნიშვნელობა ექნება, რადგან მისი მთქმელი ოპონენტს კრიმინალური იერარქიის ქვედა საფეხურზე დააყენებს და საშინლად დაამცირებს.

ლინგვოკრიმინალისტს ეს გარემოება მუდამ უნდა ჰქონდეს მხედველობაში და საჭიროების შემთხვევაში გააცნობიეროს დანაშაულის მოტივაცია, მაგრამ თუ საქმე შეურაცხყოფას შეხება, ცხადია, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ საზოგადოება კანონმორჩილ მოქალაქეთა ეთიკურ ღირებულებებს და ნორმებს ემყარება და არა კრიმინალური ელემენტების კანონებს. ლინგვოკრიმინალისტებისაგან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არაერთი არგოტიზმი საერთო სახალხო ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაშიც შეიჭრა, თუმცა აშკარად ნეგატიური კონოტაციაც შეინარჩუნა.

თანამედროვე საერთო სახალხო ენაში ასეთი სიტყვები ინარჩუნებენ **პეიორატიულ** (დაწუნებით, გამანადგურებლად დამამცირებელ) შეფერილობას.

სირთულეები თავს იჩენს ვერბალური შეურაცხყოფის ხასიათის გარკვევის დროსაც, რადგან იგი დაკავშირებულია

არგოტიზმების აღქმასა და გაუცნობიერებელ გამოყენებასთან. მაგალითად, თუ კანონმორჩილი მოქალაქე პროფესიონალ კრიმინალს უწოდებს **აკრობატს** (პასიურ ჰომოსექსუალისტს), დამნაშავეთა სამყაროსათვის ეს სიტყვა შეურაცხყოფად ჩაითვლება, ხოლო კანონმორჩილ საზოგადოებაში ან გაუგებარი იქნება, ან საერთო-სახალხო ენობრივი მნიშვნელობით, იქნება აღქმული.

შეურაცხყოფელი სიტყვები არცთუ იშვიათად ნეგატიურ ინფორმაციასთან არის დაკავშირებული, მაშინ, როდესაც ნეგატიური ინფორმაციი ყოველთვის არ გამოიყენებს უხეშ, დამამცირებელ სიტყვებს (ინვექტივებს). ცნობილია, რომ ნეგატიურ ინფორმაციას ხშირად ბოროტად იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ამასთან ჟურნალისტები ხშირად საგაზეთო ტექსტს მახვილგონივრულად წარადგენენ: მიუთითებენ გადაუმოწმებელ წყაროებზე, ხალხის აზრზე, მოარულ ხმებზე და ა. შ.

ლინგვოკრიმინალისტები ლინგვისტიკური ექსპერტიზის აქტის დაწერის დროს **ისტორიული ასპექტის** გამოყენების რეკომენდაციას გვთავაზობენ. აქ მხედველობაში აქვთ ის გარემოება, რომ ექსპერტები შეურაცხყოფელი სიტყვების ანალიზის პროცესში ხშირად უგულებელყოფენ დიაქრონიულ ასპექტს, მიუხედავად იმისა, რომ იურისტებისათვის ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში იყო ცნობილი პროფესიული ინვექტივები, ინტელექტ-ინვექტივები, სოციომორალური ინვექტივები, კალამბურ-ინვექტივები და ა. შ.

ინვექტიური სიტყვების გამოყენებასთან კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ტექსტებში.

უცენზურო, სალანძღავი სიტყვები შეურაცხყოფელნი თავისი არსით არიან და, როგორც წესი, კონკრეტულ ადრესატს შეურაცხყოფენ. თუმცა ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ გარკვეულ სამეტყველო სიტუაციებში სალანძღავმა ლექსიკა-

ფრაზეოლოგიამ შესაძლოა შეიცვალოს მიმართულება.

ლინგვისტ-ექსპერტს ზოგჯერ კანონის არაზუსტ ფორმულირებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაც უწევს. მაგალითად, შეიძლება ისეთი სერიოზული სამართლებრივი (ფართო გაგებით) დოკუმენტის ტექსტი მოვიყვანოთ, როგორც არის „საქართველოს კონსტიტუცია“. რაც არ უნდა უცნაური იყოს, ამ საყოველთაოდ და საგანგებოდ ნახვეწი დოკუმენტის ტექსტიც კი ვერ აღმოჩნდა ენობრივ-სტილისტიკური შეცდომებისაგან დაზღვეული. მისთვის არც აზრის ბუნდოვანებაა უცხო. ასე, მაგალითად, 2018 წელს გამოცემული „საქართველოს კონსტიტუციის“ ტექსტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი, ბუნდოვანების გამო, აზრი სხვადასხვაგვარი წაკითხვა-გააზრების საფუძველს შეიცავს. ცნობილია, რომ ეს პუნქტი იუწყება:

„ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება“.

აქ, ერთი წაკითხვით, სუბიექტური პირი (ქვემდებარე) არის „ყველა“. აქედან გამომდინარე „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაკისრებული საქმე“, ამ „საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება სუბიექტის („ყველას“) უფლებაა.

მეორენაირი წაკითხვით სუბიექტია „ორგანო“. ლაპარაკია იმაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გონივრულ ვადაში იმ საქმის სამართლიანად განხილვის უფლება აქვს, რომელიც მასთან არის დაკავშირებული. თუ ასე წავიკითხავთ, „ყველა“ გახდება ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრება.

სხვადასხვა წაკითხვის მიზეზია „მასთან“ ნაცვალსახელის არასწორად გამოყენება. „მასთან“ ნაცვალსახელი სიტყვა „საქმეს“ აკავშირებს „ადმინისტრაციულ ორგანოსთან“ და არა სიტყვასთან „ყველას“. „საქმე“ „ყველას“ რომ დაუკავშირდეს, ნაცვალსახელი „მასთან“ უნდა შეიცვალოს ნაცვალსახელით

„მათთვის“, რადგან ეს ფორმა გამოხატავს კუთვნილებით კავშირს – „საქმის“ მიმართებას „ყველასთან“ („ყველას აქვს“).

აქ ასევე ბუნდოვანია: ვინ ადგენს (ანუ ვის აქვს უფლება) „გონივრულობის ვადას“ ან „სამართლიანად განხილვის“ კრიტერიუმებს; ვინ ანიჭებს ამ უფლებას – გასაგებია – ესაა კონსტიტუცია, ოღონდ გაუგებარია კრიტერიუმების განმსაზღვრელი სუბიექტის ვინაობა.

კონსტიტუციის XVIII მუხლის მე-4 პუნქტი შეიცავს აშკარა ენობრივ შეცდომას. ეს პუნქტი, როგორც ცნობილია, იუწყება:

„ყველასათვის გარანტირებულია **სახელმწიფო**, ავტონომიური **რესპუბლიკის** ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად **სახელმწიფო**, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“.

აქ „სახელმწიფო“ ნათესაობითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითშია და ვერ გამოხატავს, ერთ შემთხვევაში, „ორგანოს“ თუ „მოსამსახურის“ კუთვნილებას, მეორე შემთხვევაში „სახსრებისას“.

• სიტყვის არასწორად გამოყენებით აზრის გაბუნდოვნების ფაქტს შეიცავს კონსტიტუციის XVIII მუხლის მეორე პუნქტი:

„**ყველას აქვს უფლება** კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში **მასზე** არსებულ **ან** სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად“.

აქ აზრს აბუნდოვნებს სიტყვა „**მასზე**“, რადგან შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია შეეხება თავად საჯარო დაწესებულებას, ანუ

თითქოს ლაპარაკია ყველა საჯარო დაწესებულებაზე. ამ ბუნდოვნების თავიდან აცილება შეიძლებოდა თუნდაც ფრაზის ასეთნაირი გამართვით:

„ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით **გაეცნოს** საჯარო დაწესებულებაში საკუთარი თავის (ან თავისი თავის) შესახებ არსებულ... და შემდეგ როგორც ტექსტშია, გარდა ერთისა: ამ ტექსტში გაუმართლებელია „ან-ან“ მაპირისპირებელი კავშირების ამგვარი სიხშირით გამოყენება. მაგალითად, გამონათქვამში: „ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს მასზე არსებულ **ან** სხვა ინფორმაციას **ან** ოფიციალურ დოკუმენტს“ – აქ ზედმეტია – უფუნქციოა (ანუ პლეონაზმია) **ან** მაპირისპირებელი კავშირი. ჯობდა ამ ფრაზის ამდაგვარი განწყობა: „ყველას აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საკუთარი თავის შესახებ არსებულ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას, ოფიციალურ დოკუმენტს“.

● უცხოენოვანი კალკებისა და ტერმინოლოგიის ფუნქციით გამოყენების მაგალითია XXIV მუხლის მეორე პუნქტი:

„არჩევნებისა და რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში ან **სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად** და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში“.

ქართული ენობრივი ცნობიერებისათვის სრულიად უცხო და შეუთავსებელია უცხოენოვანი ტერმინოლოგიური შესიტყვება „მხარდაჭერის მიმღები“ სულით ავადმყოფის აღსანიშნავად. საკითხი რომ სწორედ სულით ავადმყოფის საარჩევნო უფლების შეზღუდვას შეეხება, ამ გამონათქვამის ბოლო დამოკიდებული წინადადებით ირკვევა „მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში“, ამასთან უფრო მიხვედრაა შესაძლებელი, ვიდრე გაგება.

- უცხოენოვანი კალკია XXVI მუხლის პირველ პუნქტში:

„შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. **უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე** შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით“.

კალკირებული თქმაა „**უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე**“. ამას ცხადყოფს თუნდაც ფრაზის მეორე ნაწილის ბუნებრივი ქართულით გაწყობა: „**სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით**“.

მთელი გამონათქვამი ქართულად ალბათ ასე გაიმართებოდა: „**შრომითი უსაფრთხოება და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით**“

„საქართველოს კონსტიტუციის“ ამჟამინდელ ტექსტში, სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულის ანალოგიური სხვა შეცდომებიც, უზუსტობებიც და ბუნდოვანი თქმებიც გვხვდება, რაც თავისთავად ცხადყოფს ლინგვისტიკური ექსპერტიზის აქტუალობას.

იურისპუდენციის სისტემის თანამშრომლებს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მტკიცებას დაქვემდებარებული (ქვემდებარე) გარემოებების დადგენა სპეციალური ფილოლოგიური ცოდნის საფუძველზე შეუძლიათ. სასამართლოს, პროკურატურის, ადვოკატურის მუშაკებს არც თუ იშვიათად უხდებათ ლინგვისტიკური ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვა, რადგან არ იციან როგორ ჩამოუყალიბონ დავალება ექსპერტებს, როგორ შეამოწმონ მათი კომპეტენტურობა.

ამიტომ ლინგვოკრიმინალისტიკის, როგორც სასწავლო კურსის მიზანია იურისპუდენციის მუშაკებისათვის ტექსტის განმარტების, ინტერპრეტირების მეთოდებისა და ხერხების გაცნობა. საამისოდ კი იურისტმა უნდა იცოდეს იმ ლინგვისტიკური პროცესების ანბანი, არსი, რომლებიც შეიძლება შეხვდეთ სასამართლო ექსპერტიზების დასკვნებ-

ში. უნდა იცოდეს რა არის, მაგალითად, **პლეონაზმი, ტავტოლოგია, მეტაფორა, მეტონიმია, ეფემერიზმი**; უნდა ერკვეოდეს საერთო სახალხო ენის პრაქტიკული სტილისტიკის პოზლემატიკასა და სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის თავისებურებებში. მან ასევე კარგად უნდა იცოდეს ლინგვოკრიმინალისტიკის სფეროს ლინგვისტიკური ტერმინები და ა. შ.

ლინგვისტურ ექსპერტიზაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს სიტუაციონალურობას, გარემოს, რასაც ლინგვოკრიმინალისტიკაში **ანტურაჟსაც** უწოდებენ და **გარემოს, ასახვის ობიექტს, დეკორაციას** გულისხმობს. ანტურაჟი ჩვეულებრივ დამხმარე როლს ასრულებს, მაგრამ ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობაც ენიჭება. ამას ცხადყოფს თუნდაც ასეთი მაგალითი:

ერთ გაზეთში დაიბეჭდა სტატია „სელპაკი მუდამ შენს გვერდითაა“. იგი ნეგატიურ ინფორმაციას შეიცავდა. ტექსტის გვერდით დაბეჭდილი იყო ობობას გამოსახულება, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ჟურნალისტური ტექსტის უარყოფით ზემოქმედებას. ობობას გამოსახულება ჩვენს ენობრივ ცნობიერებაში უარყოფითი განცდების აღმძვრელია, ჭორის, მახის დაგების, ორმოს თხრის სიმბოლო, ინტრიგების ქსოვის მეტაფორა. რედაქტორმა ობობას (ქსელში) გამოსახულების გვერდით შეგნებულად დაბეჭდა სხვა ფირმის საქებარი სტატია და შედარების „ეფექტური“ ანტურაჟი შექმნა: ერთი მხრივ, უარყოფითი (ცუდი) ინფორმაცია, მეორე მხრივ – საქებარი. ამ საქებარობას კი აძლიერებს შედარების მიზნით შექმნილი ანტურაჟი. არცთუ იშვიათად ანტურაჟი ნეგატიური ინფორმაციის მიწოდების მიზნით სხვა ვერბალური საშუალებებითაც (სათაურები, ეპიგრაფები, ლიდები) გადაიცემა.

ზემოთ მოყვანილი გაზეთის „საქართველოსა და მსოფლიოს“ 2017 წლის N47(423) გამოშვებაში ნეგატიური ინფორმაციის მოწოდების მიზნით, აქტიურად არის გამოყენებული ანტურაჟი ნიკა გვარამიასადმი მიძღვნილ მედიატექსტში. ძირითადი ტექსტი მოთავსებულია გაზეთის მე-4 გვერდზე,

პირველ გვერდზე დაბეჭდილია ეპიგრაფი-სათაური „მიიღებთ სრულმასშტაბიან დედის ..ვნას“ და ნ. გვარამიას სურათი, სადაც ადრესატი (პერსონაჟი) ჩაცმულობა – ვარცხნილობით, ჟურნალისტის შეფასებით, მოგვაგონებს „ყელტიტველა ქათამს“, რადგან ასეთია მისი „პრიჩო“.

ეპიგრაფი – სათაური განთავსებულია გაზეთის სახელწოდების გვერდით, მარჯვენა ზედა კუთხეში, შესრულებულია მსხვილი თეთრი შრიფტით შავ ფონზე. ფერები, შუქ-ჩრდილებით მიანიშნებს ადრესატის (რომელშიც განსახიერებულია (ნაგულისხმევია) „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური პარტიის, როგორც ბნელი ძალის) ბნელ (ნეგატიურ) პოლიტიკური წარსულსა და აწმყოზე და უკვე ამით იწვევს მკითხველში ნეგატიურ განწყობას. უკვე ამ ანონსით არის ნაცადი (თანაც არც თუ წარუმატებლად) მიზნობრივი ნეგატიური რეაქციის გამოწვევა.

ძირითადი ტექსტი ანონსის გაფართოებული, დეტალური პრეზენტაციაა. აქ გამოყენებულია რუბრიკის სპეციფიკა „**აზი კლუკოზა**“, თავისი მრავლისმთქმელი ქვეტექსტურობით, რომელსაც „აშინაარსიანებს“ ანონსის ფუნქციის მქონე ვრცელი ამონარიდი ძირითადი ტექსტიდან:

„ამ „ფეისბუქსტატუსების“ ავტორი, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილს (რადგან „ქართული ოცნება“ გამარჯვებული პარტიაა და მას მხარი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაუჭირა), შედარებით კორექტულად რომ ვთქვათ, ფალოსს უწოდებს, არც მეტი, არც ნაკლები, განათლების ყოფილი მინისტრი გახლავთ, ყოფილი სახელმწიფო მოხელე, რომელსაც განათლებული, ჯანსაღი და პროგრესული მომავალი თაობის აღზრდაზე უნდა ეზრუნა“.

ანონსის ფუნქციაა მკითხველის დაინტერესება-დაინტრიგება, მიანიშნება იმაზე, ვინ არის ნ. გვარამია – სახელმწიფო მოხელე, რა ევალებოდა მას და რას წარმოადგენს როგორც ადამიანი.

ძირითად ტექსტს ახლავს კოლაჟი, პუბლიკაციის ავტორის მთავარი სათქმელის გამომხატველი გამონათქვამები, რომლებიც აწყობილია დიდი შრიფტით და გამოყოფილია ამ ძირითადი ტექსტიდან. ერთი მიმართულია „ქართული ოცნებისადმი“, მეორე – უფრო საზოგადოებისადმი. ნ. გვარამიას სურათი წარმოადგენს მედიატექსტის კომპოზიციურ გაგრძელება-დაზუსტებას.

ლინგვისტ-ექსპერტს უნდა შეეძლოს ტექსტის ანალიზი, რადგან პროფესიულ საქმიანობაში მას მოუწევს შეცდომებთან (როგორც პუნქტუაციურ, ისე ორთოგრაფიული, გრამატიკულ-სტილისტიკურ) „შეჭიდება“.

შედეგისმომტანი და ეფექტური ხდება კომპლექსური ექსპერტიზები, რომლებშიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მონაწილეობდნენ. ამგვარი ტიპის ექსპერტიზებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლინგვისტ-ექსპერტებს. მაგალითად, რთული სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება ყოვლად შეუძლებელია სპეციალური ენობრივი ცოდნის გარეშე, რადგან ფაქტობრივ ვერ დადგინდება, ვთქვათ, დოკუმენტის შემქმნელის ვინაობა, ვერ მოხერხდება ტექსტის იდენტიფიცირება და ა. შ. ამის მიუხედავად ლინგვისტიკური საკითხები სასამართლო ექსპერტიზებში თითქმის არ განიხილება. იმგვარ ექსპერტიზებში კი, რომლებშიც ლინგვოკრიმინალისტის მონაწილეობა არის აუცილებელი, „არატრადიციულ სასამართლო-ფსიქოლოგიურ“ ექსპერტიზას უწოდებენ (28).

ჩვენს თანამედროვეობაში ლინგვოკრიმინალისტიკის, როგორც სპეციალური ცოდნის სფეროს, საჭიროებას და აქტუალობას ერთი, უაღრესად დამაფიქრებელი და შემაშფოთებელი მოვლენაც განაპირობებს. ესაა ადამიანების მიერ საარსებო სივრცეში დამკვიდრების ფორმა და მისი რეალიზების კომუნიკაციური მოდელი – **აგრესია და აგრესიულობა**.

კომუნიკოლოგიაში დღეს ბევრს წერენ ამ მოვლენის

შესახებ, გამოკვლეულია მისი გამოვლენის ფორმები, დადგენილია სახეობები (შემტევი, თავდაცვითი,...). აგრესია და აგრესიულობა თავს იჩენს ჩვენი თანამედროვის გარეგნობაში (ჩაცმულობა, ვარცხნილობა, სიარული, კინესიკა, ქესტიკულაცია,...), მეტყველებაში (ლექსიკა-ფრაზეოლოგია, ინტონაცია), ენობრივ ექსტრემიზმში, ნორმატიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის უგულებელყოფასა და სკაბრეზული, უხამსი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის მეტყველების ნორმად გადაქცევაში. ვერბალურ კომუნიკაციებში აგრესიის ფაქტის დადგენასა და შეფასებაში, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ლინგვოკრიმინალისტიკას.

ქართულ სინამდვილეში, უკვე საჯაროდ, პუბლიცისტიკის სივრცეში უხამსი, სკაბრეზული, ექსტრემისტული, აგრესიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიისა და სამეტყველო მოდელების შეჭრის დრო 2016-2017 წლების მახლობელ ხანებზე მოდის. ამას, მაგალითად, ცხადყოფს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ 2017 წელს (N47(423), 20-26 დეკემბერი) გამოქვეყნებული ჟურნალისტ გიორგი გელაშვილის მედიატექსტი „ნიკა გვარამია: მიღებთ სრულმასშტაბიან დედის ..ვნას!“

გაზეთის რედაქცია დემონსტრაციულად ემიჯნება ნ. გვარამიას მეტყველების იდეოსტილს, შემტევ აგრესიულობას, ენობრივ ექსტრემიზმს, უხამსობას, სკაბრეზულობას, ხოლო ამგვარი „სამკაულებით“ დამშვენებული მეტყველების ციტირებას „მეტი თვალსაჩინოების“ მიღწევის მიზნით ამართლებს.

გაზეთის რედაქცია ნ. გვარამიას მეტყველების აგრესიულობის, ექსტრემიზმის მასობრივი აუდიტორიის საზოგადოებრივი და კულტურული ცნობიერების ღირებულებით ელემენტებზე შეტევის რაგვარობას შემდეგნაირად ხსნის: ესაა „ლიბერალი ცნობადი სახის უხამსი გამონათქვამები, რომლებიც ადამიანების, რელიგიური ჯგუფების, ეროვნული ფასეულობებისა და, საზოგადოდ, საზოგადოების აბუჩად აგდების“ გამიზნულობის დისკურსი (გვ. 4). ამ აზრის არგუ-

მენტად რესპონდენტის სკაბრეზული გამონათქვამებისა და ლექსიკის მაგალითები უხვად მოჰყავს, მაგრამ აქვე არაქვეტექსტურად, არამედ ექსპლიციტურად (ლიად) ამგვარი პუბლიკაციის სარედაქციო გამიზნულობაც ჩანს. ესაა მმართველი პარტიის დანამუსება, მისი პოლიტიკის სისუსტის (უწინათობის) დემონსტრირება და ოპოზიციური შეფასება „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიასთან შედარების ფორმით.

ერთი მხრივ, კრიტიკის ობიექტია ნაცმოძრაობის ფუნქციონერი, განათლების ყოფილი მინისტრი, სახელმწიფო მოხელე ნ. გვარამია, მის პოლიტიკურ პარტიასთან ერთად, მეორე მხრივ, ქართული ოცნება – მმართველი პარტია, მისი კოჰაბიტაციის პრინციპზე დაფუძნებული თანაარსებობის პოლიტიკა და ამ პოლიტიკის შესაბამისობა სახელმწიფოს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

პუბლიკაცია ჟურნალისტური გამოძახილია ნ. გვარამიას რამდენიმე (ექვს) ფეისბუქსტატუსზე, რომელთა მიზანია მ. სააკაშვილის უკრაინული პოლიტიკური ინსინუაციების გამო საქართველოში მისი ექსტრადირების და დაპატიმრების სავარაუდო სამთავრობო გადაწყვეტილებებისაგან დაცვის მცდელობა. დაცვის ეს მცდელობა ენობრივი ექსტრემიზმისა და შემტევი აგრესიის ლექსიკა-ფრაზეოლოგიით (ლანძღვა-გინებაში გადაზრდილი) არის გაჯერებული. ეს ლექსიკა-ფრაზეოლოგია, მართალია, ნ. გვარამიას პირით არის ვერბალიზებული, მაგრამ ჟურნალისტი ისე აწვდის მკითხველს, რომ ერთი კონკრეტული პერსონის იდეოსტილის დემონსტრირებად კი არ აღიქმება, არამედ მთელი პოლიტიკური პარტიის – „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ენის გამოხატულებად, პოლიტიკური ფილოსოფიის ენობრივ გამოხატულებად (გაცხადებად). ჟურნალისტის მიზანი მოსახლეობის, მასობრივი აუდიტორიის ნაციონალური მოძრაობისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მუხტის გაძლიერება – სიძულვილის გაღრმავებაა. ამას ემსახურება ჟურნალისტ გიორგი

გელაშვილის თუნდაც ასეთი გამონათქვამი:

„ამ „ფეისბუქსტუსების“ ავტორი, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს (რადგან „ქართული ოცნება“ გამარჯვებული პარტიაა და მას მხარი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაუჭირა), შედარებით კორექტულად რომ ვთქვათ, ფალოსს უწოდებს, არც მეტი, არც ნაკლები, განათლების ყოფილი მინისტრი გახლავთ, ყოფილი სახელმწიფო მოხელე, რომელსაც განათლებული, ჯანსაღი და პროგრესული მომავალი თაობის აღზრდაზე უნდა ეზრუნა“ (გვ. 4). ეს გამონათქვამი ცხადყოფს, რბილად რომ ვთქვათ, ჟურნალისტის ოპოზიციურობას ნ. გვარამიასადმი, თუმცა მიუკერძოებლობას იმით იცავს, რომ არც მეორე მხარის – მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ პოზიციას ინდობს, – ამხელს ნაცმოძრაობისადმი შემწყნარებლობაში. არგუმენტი ნ. გვარამიას ლანძღვა-გინებისადმი „ქართული ოცნების“ პოზიციური, ამკარად პოლიტიკური დუმილია, თანაც იმ ფონზე, როდესაც „კორკოტას“ ზედსახელით ცნობილი ფუნქციონერი კორკოტაშვილი სკაბრეზული საჯარო ლექსიკა-ფრაზეოლოგიისათვის დაუნდობლად გაამათრახეს. „კორკოტას ბილწისტიყვაობა თუ დასაგმობია (და ნამდვილად დასაგმობია), გვარამის გინებაზე რატომ ხართ გატრუნულები?!“

აქ ჟურნალისტი პუბლიკაციის სულისკვეთების უნისონში სარკაზმში შეფუთული შემტევი აგრესიით აფიქსირებს საკუთარ (და რედაქციის) პოზიციას:

„ნიკას გინება ლოცვის ელემენტებს შეიცავს თუ მას მხოლოდ იმიტომ არ აკრიტიკებთ, რომ ერთი და იგივე გარე ძალის დაკვეთას ასრულებთ, დაკვეთას, რომელიც ძირს უთხრის ქართულ სახელმწიფოს?“

გიორგი გელაშვილის რესპონდენტის უხამსობათა, სკაბრეზიზმების ციტირება აქ, რასაკვირველია, დიდი პატივი იქნებოდა, თუმცა მისი ლექსიკა-ფრაზეოლოგიაზე წარმოდგენის შესაქმნელად ამ ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ერთგვარად

„თავშეკავებული“, ევფემიზებული ელემენტებიც შეგვიქმნის წარმოდგენას. ამ ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში ხშირია, მაგალითად, ტერმინოლოგიური დანიშნულებით გამოყენებული სიტყვები: „ბნელი“, „უვიცი“, „ყანა“, „ფალოსი“, „ლუზერები“, „ქათამი“, „ჰიპსტერი“... ანდა ასეთი ტიპის გამოთქმები:

- „სიძულვილის ენის ტირაჟირება“, „ბანძი ლუზერები“;
- „ფუჰ, საბჭოთა სკოლის მეცხრე კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოა ეს ქვეყანა თავისი ცოდნით, მორალით და გამოცდილებით“;

- „ვაფრენ იმ ხალხზე, გუშინ რომ „ოცნებას“ მისცა ხმა და დღეს ლარის 2,63-ზე ისტერიკაში არიან. სრული ...ები“.

ნორმატიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის უგულებელყოფის ტენდენციის დამკვიდრება ქართულ სინამდვილეში XXI საუკუნის დამდეგიდან იწყება და საყოველთაოობას 20-იანი წლების დასაწყისში აღწევს. ამ მხრივ, ქართული სინამდვილე ფეხდაფეხ მიჰყვება საერთაშორისო ტენდენციებს.

იმავდროულად ფეხი მოიკიდა ნეოკეზისტენციალიზმის კიდევ ერთმა ტენდენციამ – მოჭორილი, არარეალური ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ცნობების გავრცელებამ, რაც საყოველთაო, სამყაროულ სენად იქცა, ინფორმაციული აგრესიის სახეობად დამკვიდრდა და საინფორმაციო არხის კონკრეტული სახეობის – ინტერნეტის ტერმინოლოგიის ერთეულის – „Fake news“ სახელწოდებით დამკვიდრდა. თვალშისაცემი აქტიურობითა და მასშტაბურობით ეს მოვლენა 2016 წლიდან გამოირჩა. შეთხზული ახალი ამბების მიზნობრივი გავრცელება და თავსმოხვევა კაცობრიობისათვის უკვე გადაიქცა წარმუდგენელ საშიშროებად და ტრაგედიების მიზეზად. ამის ერთ მასშტაბურ მაგალითად ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი **გლენ გრინვალდი** ასახელებს ერაყის ბირთვული პროგრამის შესახებ შეთხზულ ისტორიას, რასაც უთავბოლო და გაუმართლებელი ომი მოჰყვა და ამ პროგრამის არსებობის დამადასტურებელი ფაქტების მოძებნა მაინც ვერ მოხერხდა (29).

ფიკ ნიუსების გავრცელების მასშტაბურობა და სისწრაფე, ანალიტიკოსების დაკვირვებით, შესამჩნევი გახდა აშშ პრეზიდენტის 2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, როცა მათმა რაოდენობამ ნამდვილი (რეალური) ახალი ამბების რაოდენობას გადააჭარბა.

დღეისათვის ტექნოლოგიური პლატფორმების გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე განუზომლად დიდია. ამის გათვალისწინებით 2016 წელს „facebook“-მა აამოქმედა ფალსიფიცირებული ახალი ამბების ფიქსირების ფიქსირების მექანიზმი. მომხმარებლებს მიეცათ საექვო ინფორმაციის სპეციალური ნიშნით გამოყოფის საშუალება. ამ კომპანიამ პარტნიორებს მიმართა საექვო პუბლიკაციების გადამოწმებისა და მარკირების თხოვნით, თუმცა გადაუჭრელი დარჩა ერთი არსებითი საკითხი: ვინ ადგენდა ინფორმაციის ფალსიფიცირების ფაქტს. 2017 წელს, როგორც ცნობილია, „facebook“-მა დეზინფორმაციის გავრცელების ხელშეშლის ალგორითმი შეიმუშავა.

ყველაზე შედეგიანი საახალამბებო ფალსიფიკაციების საწინააღმდეგო საშუალებას მიაგნო აშშ პრეზიდენტ დ. ტრამპის გუნდმა. ესაა სოციალური ქსელის Twitter-ის მეშვეობით ამომრჩევლებთან უშუალო (პირდაპირი) საინფორმაციო კავშირუროთიერობა. დ. ტრამპის გუნდმა გაითვალისწინა პრეზიდენტობის კანდიდატის ჰ. კლინტონის ხვედრი, რაც მას დამართა ფალსიფიცირებული ისტორიების ტირაჟირებამ, რომელსაც „ეხო მოსკვის“ მთავარი რედაქტორის ალექსეი ვენედიქტოვის მტკიცებით, ბალკანეთში დარეგისტრირებული საიტი აქვეყნებდა, თავად გამოიყენა მასობრივ აუდიტორიასთან უშუალო ურთიერობის ელექტრონული ფორმა და ამით დაუხშო გზა ფალსიფიცირებული ინფორმაციების გავრცელებას პრეზიდენტის მისამართით. ა. ვენედიქტოვმა ამ საშუალებას გენიალური გამოგონება უწოდა.

კარგად არის ცნობილი პრეზიდენტ დ. ტრამპის დაპირის-

პირება CNN-ის ჟურნალისტებთან გამოგონილი ინფორმაციების და პრეზიდენტის ნათქვამების გამიზნულად არასწორი კომენტარების გავრცელების გამო. SNN-ის ჟურნალისტებს პრეზიდენტ დ. ტრამპის გამოწვევის მიღებისა და ენერგიული საპასუხო ინფორმაციული ომის გაჩაღების მცდელობა მცდელობად დარჩათ.

ცნობილია, რომ ამჟამად „სიმართლისათვის ბრძოლა“ პლანეტარული მასშტაბის ინფორმაციული სივრცის უაქტუალურესი პრობლემაა. მანქანური სწავლების ტექნოლოგიების მეშვეობით მსოფლიოს წამყვანი **სტარტაპები** Crisp-ი, New Knowledge, Digital Shadows-ი ადვილად პოულობენ და ბლოკავენ ფალსიფიცირებულ ინფორმაციებს.

სოციალურ ქსელებში დეზინფორმაციის შეზღუდვის პროცესში აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებიც. მაგალითად, ევროკავშირში არსებობს „ფეიკების“ წინააღმდეგ მოქმედი საექსპერტო ჯგუფი. ანალოგიური სამთავრობო ორგანო შეიქმნა დიდ ბრიტანეთში. ინფორმაციული სივრცის წინააღმდეგ ადამიანური ძალისხმევის აუცილებლობაზე 2018 წელს საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება რომის პაპმა ფრანცისკმა. მისი თქმით, ჟურნალისტის (მასობრივი ინფორმაციის მუშაკის) პროფესიული საქმიანობა **მისია** ხდება თავისი უდიდესი მნიშვნელობის გამო სივრცის რიტორიკისა და სენსაციური სათაურების წინააღმდეგ ბრძოლაში.

2018 წლის აპრილში მალაიზიაში დაფიქსირდა სოციალურ ქსელებში ცრუ ინფორმაციის გამო ადამიანის გასამართლების პირველი შემთხვევა, – ციხეში ჩასვეს (მართალია, მცირე ხნით) დანიელი ტურისტი. 2018 წლის რუსეთის ფედერაციის დუმამ მიიღო „ფეიკების“ საწინააღმდეგო კანონი. თუმცა ბრძოლის ეფექტურობა ჯერ-ჯერობით სასურველისაგან შორსაა. მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი მოსახლეობას ურჩევს ფაქტების გადამოწმებას, გადაწყვეტი-

ლების მიღებას ობიექტური მონაცემების საფუძველზე, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის, რადგან ჭორს ბუნებრივად ახლავს ეჭვი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ჭორის ჭორობა (არანამდვილობა) ცხადი ხდება.

ფაიკებთან აქტიურად იბრძვიან ტრადიციული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მაგრამ მათი თავკაცებიც (მაგ., ა. ვენედიქტოვი) იძულებული არიან აღიარონ, რომ სიფრთხილის მიუხედავად, მაინც ეპარებათ შეცდომები. ინტერნეტიდან აღებული ფალსიფიცირებული ფოტო და ვიდეომასა-ლებზე დამყარებული სასამართლო მტკიცებულებების წარდგენის პრაქტიკა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

Fake News-ის fake evidence-ს (მოწმობა) ქცევის პრობლემა მსჯელობის საგანი გახდა პეტერბურგის VIII საერთაშორისო იურიდიულ კონფერენციაზე ადვოკატ **მაიკლ სვეინსტონის** მოხსენებაში. ასე რომ, ინტერნეტი ყოველდღიურად ხელს უწყობს უამრავი ფალსიფიცირებული ახალი ამბების გავრცელებას. ამასთან ბრძოლა სულ უფრო ძნელი ხდება. ამ ფონზე გამოსავალს ხედავენ ტრადიციული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ საკუთარი ღირსების დაცვასა და ამ მიზნით ფალსიფიცირების წინააღმდეგ ბრძოლის გაშლის აუცილებლობაში.

თანამედროვეობისათვის სასამართლო ლინგვისტური ექსპერტიზის აქტუალობის კიდევ ერთი მაჩვენებელია ე. წ. „ამბოხებული მასების“ (ხოხე ორტეგა ი გასეტი) თანამედროვე მოქალაქეობრივი პოზიცია. დიდი ესპანელი პუბლიცისტისა და მოაზროვნის ხოხე ორტეგა ი გასეტის მიხედვით, XVIII-XIX საუკუნეები (ცხადია XX საუკუნეც) კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში იმით გამოირჩა, რომ ქვეყნებისა და სახელმწიფოების, ტრადიციული მმართველმა სოციალურმა კლასმა – არისტოკრატამ დაკარგა პრივილეგიურობა და მას უწარსულო, აჯანყებების გზით მოსული „ამბოხებული მასის“ წარმომადგენლობა შეენაცვლა. ამით შეიცვალა ქვეყნის

მართვის პოლიტიკური ფილოსოფია: არისტოკრატიის შეგნებაში არსებულმა ქვეყნის ინტერესების მსახურების იდეამ ადგილი დაუთმო სახელმწიფოს მართვის იმგვარი პრაგმატიკას, სადაც ინდივიდუალურ-პერსონალური სარგებლიანობაც იყო გათვალისწინებული, აქედან გამომდინარე, თავისი შედეგებით. მთავარი ამ ისტორიულ გადატრიალებაში კი ის იყო, რომ ადამიანი დე იურე გათავისუფლდა და ისტორიის უდიდეს მონაპოვრად მისი თავისუფლების (ხელშეუხებლობის) დაცვა გახდა. ამ თავისუფლებამ კი ის მოიტანა, რომ ადამიანის შეგნებაში თანდათან მიიწვავლა, ხოლო მოგვიანებით – XX საუკუნეში – გაქრა პასუხისმგებლობის გრძნობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანმა დაივიწყა, რომ ადამიანური თავისუფლება მისი შესატყვისი პასუხისმგებლობით განიზომება და წონასწორდება. ამ გარემოებამ კი სათავე დაუდო ადამიანის სამოქალაქო თავისუფლების არასწორ გაგებას – ყველაფრის უფლების ეგოცენტრულ დემონსტრირებაში გადაზრდას.

XIX საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის 70-იან წლებამდე ამბოხებული მასის მემკვიდრეები ზედმიწევნით იცავდნენ არისტოკრატიის ენობრივი და კულტურული ცნობიერების ათასწლეულების განმავლობაში აპრობირებულ, ღირებულებით სისტემას, რომელიც ემყარებოდა ზნეობრივ, ეთიკურ კოდექსებს, ნიჭიერებას, წიგნიერებას, განათლებულობას, კულტუროსნობას. **ღირებულებითი სისტემის ამ ელემენტებს დააკისრეს გვარიშვილობის უქონლობის კომპენსირების ფუნქცია.** ამ მიმართულებით იმგვარი მონდომება გამოიჩინეს, რომ არც თუ იშვიათად აზროვნების მწვერვალების დაპყრობაც შეძლეს.

ცოდნისადმი ფანატიკური ლტოლვის გამოხატულებად წარმოდგა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს მართვის სათავეებში მოქცეული პიროვნება ძალიან სწრაფად ხდებოდა საკუთარი ლეგენდის გმირი, რომელშიც აქცენტირებული

იყო მისი პიროვნულობის გამორჩეულობა – გენიოსობამდე აზიდული ნიჭიერება (ამ მხრივ ვითარებას ვერ ცვლიდა ის გარემოება, რომ იშვიათ შემთხვევაში გენიალურობით გამორჩეული ადამიანები რეალურად ხვდებოდნენ ქვეყნის მმართველობის სათავეებში).

აღნიშნულმა ტენდენციამ, როგორც ითქვა, XX საუკუნის 70-იან წლებამდე გასტანა. „ამბოხებული მასის“ ახალმა თაობებმა უკუაგდეს განათლებით გამორჩეულობაზე დამყარებული ელიტარულობის პრინციპი და სტანდარტები. ახალი პრინციპი გახდა სწორედ მასის ღვიძლიშვილობის დემონსტრირება, წიგნიერების, კულტუროსნობის უგულვებელყოფა, ოდენ კაპიტალის გაფეტიშება; ყალბი კულტუროსნობის უარგუმენტო დემონსტრირება; საკუთარი სურვილების, ლტოლვა-მისწრაფებების რეალიზების მცდელობა აშკარა, შემეტევი აგრესიულობით.

აშკარა ხდება, რომ ადამიანები პიროვნების თავისუფლებისა და დემოკრატიზმის ლოზუნგებით საზოგადოებრივი და პოლიტიკური ეკზისტენციალურობის გზას დაადგნენ. ეს გარეგნულად სულიერი და ხორციელი (სხეულებრივი) ურცხვობის ნიადაგზე საკუთარი ეკზისტენციალური სიშიშვლის აგრესიულ (თანაც შეტევით აგრესიის) დემონსტრირებაში გამოიხატება. სიშიშვლე და დასაფარის დაუფარაობის დემონსტრირება დროსა და სივრცეში საკუთარი ადგილის ძიება-მტკიცების ბუნებრივ თვისებად საღდება. ეს გარემოება ადამიანთა ცნობიერებაში ნეოეკზისტენციალიზმის შეჭრისა და მათი ცხოვრების ფილოსოფიურ საფუძვლად გადაქცევას ცხადყოფს. თანამედროვე ადამიანის სულიერ-სხეულებრივი პორტრეტი გახდა სულის, სხეულის სიშიშვლის თავგენა, საკუთარი „მე“-ს შემეტევი აგრესიულობით დემონსტრირება (რაც არა მხოლოდ მეტყველებით ვლინდება, არამედ ჩაცმულობით, ვარცხნილობით, სიარულით, ტატუირებებით, ეროვნულ მენტალობასთან ხაზგასმული დაშორება-გაუცხოებით).

თავისებურად გაგებული პიროვნების თავისუფლების ფილოსოფია (რომელიც არ სცნობს თავისუფლების პასუხისმგებლობასთან პირდაპირპროპორციულობას) ისეთ საზოგადოებრივ რეალობას ქმნის, სადაც განსაკუთრებული ზდება სამართლებრივი ინსტიტუტების მისია (ფუნქცია, როლი) არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ კაცობრიობის ცივილიზაციის წინაშე. სწორედ ნეოეკზისტენციალიზმზე დამყარებული ეს ახალი რეალობა განსაზღვრავს სასამართლო ლინგვისტური ექსპერტიზის, როგორც ცოდნის ახალი დარგის, სტატუსს, როგორც ცივილიზაციის არსებული ფორმის შენარჩუნების საშუალებას, რადგან სხვასთან ერთად, მისი უმთავრესი ამოცანაა ადამიანის ღირსების დაცვის უზრუნველყოფა რთულსა და წინააღმდეგობებით გაჯერებულ თანამედროვეობაში.

1. 2. ლინგვისტიკური ექსპერტიზის საფუძვლები

სასამართლო ექსპერტიზის ფენომენი, მისი მიზნობრიობის შესაბამისად, როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახეობად იყოფა. ტრადიციულად, მაგალითად, რუსეთში, რომლის ნაწილიც იყო საქართველო, განასხვავებენ შემდეგ სახეობებს:

- კრიმინალისტურს;
- ნიადაგმცოდნეობითს;
- ეკოლოგიურს;
- სასოფლო-სამეურნეოს;
- საკვები პროდუქტების;
- საინჟინრო-ტექნიკურს;
- საინჟინრო-ტექნოლოგიურს;
- ეკონომიკურს;
- ხელოვნებათმცოდნეობითს... (21).

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულებით, რომელიც საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენი-

ლებით არის დამტკიცებული, დაკანონებულია ექსპერტიზის შემდეგი სახეობები:

- ა) ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;
- ბ) ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;
- გ) სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
- დ) რადიაციული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- ე) დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა;
- ვ) სასაქონლო ექსპერტიზა;
- ზ) ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;
- თ) საინჟინრო ექსპერტიზა;
- ი) ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა;
- კ) კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;
- ლ) ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;
- მ) ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
- ნ) ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;
- ო) ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა, მცენარეთა ექსპერტიზა;
- პ) სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირებისა და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური);
- ჟ) ჰისტოლოგიური ექსპერტიზა;
- რ) ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სერიოლოგიური);
- ს) ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);
- ტ) კომპიუტერული ექსპერტიზა.

ქართული სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზათა სახეობების ნუსხაში ლინგვოკრიმინალისტიკის ამოცანები უფრო „დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზის“ სახეობას უახლოვდება.

ამ ნუსხის მიხედვით, ლინგვისტური ექსპერტიზა ჯერ-

ჯერობით არ მოიაზრება სასამართლო ექსპერტიზის ცალკე სახეობად, ხოლო რუსეთში კრიმინალისტური ექსპერტიზის სახეობას ცალკე გამოყოფენ. ზოგიერთი მკვლევრის მიხედვით, იგი სამ ქვესახეობას მოიცავს. ერთია ტრადიციული კრიმინალისტური ექსპერტიზა, რომელიც სასამართლო ექსპერტიზათა აღმოცენება-ფორმირების პერიოდს განეკუთვნება, მეორეა XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულების ექსპერტიზები და მესამეა მასალათა, ნაკეთობათა, საგნობრიობათა კვლევების სხვადასხვა სახეობები, რომლებიც ცალკე სახეობაში ერთიანდება და მასალათმცოდნეობითი ექსპერტიზების სახელწოდებითაც არის ცნობილი.

ტრადიციულ სასამართლო ექსპერტიზებს მიაკუთვნებენ ასევე ავტომცოდნეობით, ბალისტიკურ, დოკუმენტების ხელმწერამცოდნეობით, პორტრეტულ, ტექნიკურ-კრიმინალისტურ, ტრასოლოგიურ, ცივი იარაღის ექსპერტიზებს (30, 54-59). სასამართლო კრიმინალისტურ ექსპერტიზის წიაღში, შესაძლოა, ცალკე სახეობად გამოიყოს ლინგვისტური ექსპერტიზა, რადგან ბოლო დროს ლინგვისტიკური საკითხები, რომლებიც იურისპრუდენციაში გადაწყვეტას საჭიროებენ, სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენენ. ამასთან ლინგვისტიკური ექსპერტიზის ცნებაში ერთიანდება ტექსტთან დაკავშირებული ყველანაირი ექსპერტიზა.

ლინგვისტიკური ექსპერტიზა ისეთივე წესებით, იმავე კანონებით ტარდება, როგორც ნებისმიერი სხვა ექსპერტიზა.

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის რუსეთის 2001წლის 31 მაისის ფედერალური კანონის („სახელმწიფო სასამართლო-ექსპერტული საქმიანობის შესახებ რუსეთის ფედერაციაში) 25-ე მუხლის თანახმად, ექსპერტთა კომისიის დასკვნაში აუცილებლად უნდა აისახოს:

- სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების დრო და ადგილი;
- სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი;
- ცნობები იმ ორგანოს ან პირის შესახებ, ვინც დანიშნა ექსპერტიზა;

- ცნობები იმ სახელმწიფო-საექსპერტო დაწესებულების, ექსპერტის შესახებ, რომელსაც დაევალა სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება (გვარი, სახელი, მამის სახელი, განათლება, სპეციალობა, მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და წოდება, დაკავებული თანამდებობა).
- ექსპერტის გაფრთხილება რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის შესახებ განზრახ ცრუ დასკვნის გამო;
- ექსპერტის ან ექსპერტთა კომისიის წინაშე დასმული სკითხვები;
- სასამართლო ექსპერტიზის ჩასატარებლად ექსპერტისათვის წარდგენილი კვლევის ობიექტები ან საქმის მასალები;
- გამოკვლევის შინაარსი და შედეგები, გამოყენებული მეთოდების მითითებით;
- ცნობები სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების პროცესის დამსწრეთა შესახებ;
- კვლევების შედეგების შეფასება, დასკვნების დასაბუთება და ფორმულირება დასმული საკითხების მიხედვით (31).

როგორც ითქვა, ლინგვოკრიმინალისტიკის კვლევის მთავარი ობიექტია ტექსტი. ტექსტის ლინგვისტიკა ამჟამად ლინგვისტიკის დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენს. ამ დისციპლინის მიხედვით, ტექსტი არის აზრობრივი კავშირით გაერთიანებული ნიშნების ერთეულების თანმიმდევრობა, რომლის ძირითად თვისებებს წარმოადგენს ბმულობა და მთლიანურობა.

ტექსტის ამგვარი გააზრება ტექსტის კატეგორიალურ საზღვრებსა და მასშტაბებს, შეიძლება ითქვას, წარმოუდგენლად აფართოებს. ტექსტად მოიაზრება ილუსტრაციები, საგზაო ნიშნები, აპლიკაციები, ტაბლოიდები, სისტემურობის შემცველი და სისტემურობაზე დაფუძნებული ნებისმიერი ინფორმაცია.

ნებისმიერი ტექსტი (ინფორმაცია) გარკვეულ სოციალურ-კულტურულ სივრცეში წარმოიქმნება, ვრცელდება და ფუნქციონირებს. მისი აქტუალურობის უმთავრეს მახასიათებელს დრო (დროითი პერიოდი, მონაკვეთი) წარმოადგენს. ამ მახასიათებლის მნიშვნელობა კი განსაკუთრებულობას ლინგვისტურ ექსპერტიზაში იძენს.

ლინგვოკრიმინალისტური ექსპერტიზის გავრცელებული სახეობაა პიროვნული პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვასთან დაკავშირებული კვლევები. ამგვარი კვლევების ძირითადი ცნებითი კატეგორიები სამ ჯგუფად განიყოფება:

- ზემოქმედების ობიექტი – ღირსება, პატივი, პრესტიჟი, რეპუტაცია;
- პროცესის დახასიათება და ზემოქმედების საშუალებები – ცნობები, დამცირება (პატივისა და ღირსების), ცილისწამება, შეურაცხყოფა, უღირსი ფორმა, ცინიკური ფორმა, უცენზურო (სკაბრეზული) თქმები;
- ზემოქმედების შედეგი – მორალური ზიანი, ზნეობრივი განცდები (საწუხარი).

ღირსება – საკუთარ შემეცნებაში ადამიანის თვისებების სოციალური შეფასების დადებითი ასახვა.

პატივი – ადამიანის მიერ საკუთარი საქციელის შეფასების უნარი, ზნეობრივ ყოფაში საზოგადოებაში მიღებული მორალური ნორმების, წესების, მოთხოვნების შესაბამისად მოქმედების უნარი. საზოგადოების თვალში დისკრედიტებით მისი პატივის დამცირება – დამდარება, შელახვა.

საქმიანი რეპუტაცია – ფიზიკური ან იურიდიულ პირის საქმიანობის თვისებების საზოგადოებრივი შეფასება კონტრაგენტების, კლიენტების, მომხმარებლებისა და სხვათა თვალში.

ცნობათა გავრცელება – ცნობების გამოქვეყნება პრესაში, ტრანსლირება, რადიო-ტელევიზიით, დემონსტრირება კინო-ქრონიკებსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით,

ინტერნეტით; ცნობების შეტანა სამსახურეობრივ დახასიათებებში, საჯარო გამოსვლების ტექსტებში, განცხადებებში, რომლებიც მიმართულია (განკუთვნილია) თანამდებობის პირებისადმი; ცნობების გადაცემა (ზეპირი და წერიტი ფორმით) თუნდაც ერთი პირისათვის.

ცილისწამება – ცრუ. ფალსიფიცირებული ცნობების გავრცელება, რომლებიც ჩირქს სცხებს სხვა პირის პატივსა და ღირსებას ან ძირს უთხრის მის რეპუტაციას.

შეურაცხყოფა – სხვა პირის პატივისა და ღირსების უღირსი ფორმით დამცირება.

სახელის გამტეხი ისეთი ცნობებია, რომლებიც შეიცავენ მტკიცებულებებს მოქალაქის ან იურიდიული პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, უღირსი, არასწორი, არაეთიკური საქციელის ჩადენის შესახებ პირად, საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ ცხოვრებაში, უკეთური ქცევის შესახებ სამეურნეო, საწარმოო, სამეწარმეო საქმიანობაში, საქმიან სფეროში სამეწარმეო ეთიკის ან ჩვევების დარღვევის შესახებ, რომლებიც ამცირებენ. მოქალაქის ან იურიდიული პირის და პატივსა და ღირსებას (24 გვ.).

ნეგატიურია ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს უარყოფითი შეფასების კომპონენტს, ანუ იურიდიული ან ფიზიკური პირის უარყოფით დახასიათებას ჯანსაღი აზრის, მორალის ან სამართლებრივი თვალსაზრისით. თუ ასეთი ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, იგი ამცირებს იმ პირის ღირსებას ან ჩირქს სცხებს საქმიან რეპუტაციას, ვისაც შეეხება.

„პატივის“, „ღირსების“, „რეპუტაციის“ ცნებები მსგავსი ზნეობრივი კატეგორიებით არის განსაზღვრული. განსხვავებას ქმნის ამ თვისებების შეფასების მიდგომები. თუ ლა-პარაკია (მხედველობაშია) ადამიანის ობიექტურ შეფასებაზე – მხედველობაშია **პატივი** თუ სუბიექტური შეფასებაა – **ღირსება**. ასე რომ, პატივის დამცირება არის ადამიანის საზოგადოების თვალში სახელის გატეხვის შედეგები.

აღნიშნული ტერმინები უკავშირდება **დიფამაციას** – პატივის, ღირსების, რეპუტაციის დამცირებას, უხამსი (ურიგო) ფორმით დამცრობას ან მოჭორილის გავრცელებას, სასამართლო ლინგვისტიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს საჭიროა შემდეგი ნიშანთვისებების დადგენა:

შეიცავს თუ არა ტექსტი ნეგატიურ გამონათქვამებს მოსარჩლის შესახებ; ეს გამონათქვამები პირადად მოსარჩელეს მიემართება თუ არა; რას ემსახურება ნეგატიური გამონათქვამები: ასახავენ დაზარალებულის კონკრეტულ ქმედებებს ან სიტყვებს (მაგ., X ქურდობს; X თავხედობს); ახასიათებენ მის პიროვნებას ზოგადად (X ქურდია; X – დამნაშავეა); ამ გამონათქვამებში გამოყენებულია თუ არა შეურაცხმყოფელი ლექსიკა-ფრაზეოლოგია; შეიცავს თუ არა საანალიზო გამონათქვამებში უხამს (ურიგო) ფორმებს (გვ. 25.).

ტექსტში ინფორმაცია წარმოდგენილია **მტკიცების, თვალსაზრისის (შეხედულების), შეფასების ან ვარაუდის ფორმით**.

მტკიცებულება არის რაიმეს დამამტკიცებელი მოსაზრება, გამონათქვამი, ტერმინთა „გამონათქვამი“ გამოიხატება ლინგვისტიკურად გაფორმებული, ლოგიკურად გასრულებული მსჯელობა, ნააზრები, რომელიც გამოხატავს დასრულებულ აზრს და აქვს წინადადების ფორმა.

ლოგიკის მეცნიერებაში არსებობს **დამამტკიცებელი მსჯელობის** (დამადასტურებელი მსჯელობის) ცნება და შესაბამისი განმარტება. ესაა მსჯელობა, რომელშიც ასახულია საგნისა და მისი ნიშან-თვისებების კავშირი. გრამატიკულად ამგვარი ტიპის მსჯელობა თხრობითი წინადადებით გამოიხატება, შესაძლოა ძახილის წინადადებით გამოხატვაც.

ფაქტების ან მოვლენების მტკიცებულებები ტექსტში მოიცნობა წინადადებაში სპეციალური შესავლის კონსტრუქციებისა და ზმნისართების უქონლობით (არარსებობით), რომლებიც გამოხატავენ დაეჭვებას, დაუჯერებლობას (დაურწმუნებლობას) ანდა მარკირებული კონსტრუქციების არსებო-

ბით, რომლებითაც ხაზი ესმევა შეტყობინების ნამდვილობას (მაგ., „ცნობილია“, „ზუსტად“, „უეჭველია“, „ექვსგარეშეა“, „ფაქტობრივად“ და ა. შ.).

მტკიცებულება, შესაძლოა, ჭეშმარიტიც იყოს და არა ჭეშმარიტიც (ყალბიც).

კითხვითი წინადადება არ შეიცავს მამტკიცებელ მსჯელობებს. კითხვის ნიშანი, როგორც წესი, მიგვანიშნებს წინადადებაში შეკითხვის არსებობაზე, განსჯის განსაკუთრებულ ფორმაზე, რომელიც არც რაიმეს მტკიცებას შეიცავს და არც უარყოფს. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი კითხვითი წინადადებები, რომლებიც თავისებურად გამოხატავენ რისამე მტკიცებას ან უარყოფას. ერთ სახეობას ქმნიან წინადადებები, რომლებშიც შეკითხვით მოიხატება უარყოფა (**კითხვით-უარყოფითი წინადადებები**), მეორეს – **კითხვით-რიტორიკული**, რომლებშიც შეკითხვის ფორმით მოცემულია ისეთი მტკიცება ან უარყოფა, რაც არ საჭიროებს პასუხს.

ფაქტების შესახებ მტკიცებას ფორმის გამონათქვამისგან განსხვავებით, აზრი (შეხედულება) ფაქტების, მოვლენების შესახებ აშკარა მითითებას შეიცავს მოსაზრების (აზრის, შეხედულების) მატარებელზე.

შეხედულების თვალსაზრისი გამოხატვა გამოიცნობა გარკვეული სიტყვებით, ფრაზეოლოგიური კონსტრუქციით (მაგალითად, „ჩემი აზრით“, „ვფიქრობ, რომ“, „მე ასე მგონია, რომ“, „მე ვთვლი“...).

თუ ტექსტში მსგავსი მარკერები არ არსებობს, ადრესატს მიეწოდება არა მოსაზრება, არამედ მტკიცებულება. მოსაზრება არც ჭეშმარიტია, არც მცდარი, თუმცა იგი შეიძლება ფაქტებით დადასტურდეს ან არ დადასტურდეს. შეხედულება (თვალსაზრისი) ყალიბდება ფაქტების საფუძველზე, თუმცა შესაძლოა ფაქტების გარეშეც გაჩნდეს, წინასწარი აჩემების საფუძველზე. ადამიანმა თვალსაზრისი შეიძლება შეგნებულადაც შეიმუშაოს, ფაქტების შეფასების ნიადაგზე

და, გაუცნობიერებლადაც, იმის გაწევის გარეშე, თუ რატომ მიიჩნევს ამგვარად და არა სხვაგვარად.

ვარაუდი სპეციფიკურ მარკერებს შეიცავს, ესაა ფაქტებისა და მოვლენების, ეჭვის, დაურწმუნებლობის, ალბათობის გამოხატველი სიტყვები (მაგალითად: „შესაძლოა“, „შეიძლება“, „ალბათ“, „სავარაუდოა“, „სავარაუდოდ“, „გვეჩვენება“, „ჩვენი ვარაუდით“...).

ვარაუდი არის შეხედულების, მოსაზრების გამოხატვის ერთი ფორმა, ტექსტის ავტორის მიერ საკუთარ მტკიცებულებათა ხასიათის წინასწარი ხაზგასმა ან მათი ნამდვილობაში დაეჭვება. ვარაუდი აზრის (თვალსაზრისის, შეხედულების) გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა.

ამა თუ იმ ლექსებში ჩადებული სემანტიკური კომპონენტები, იმ კონტექსტის შესაბამისად იჩენს თავს და აქტუალიზდება, რომელშიც გამოიყენება კონკრეტული ლექსიკური ერთეულებისა თუ მთლიანად გამონათქვამის მნიშვნელობა მიკროკონტექსტით (სიტყვიერი გარემოცვით) და მაკროკონტექსტით (მთლიანი ტექსტის შინაარსითა და კომპოზიციით) განისაზღვრება.

ფაქტების, მოვლენების **შეფასება** გამოიხატება გარკვეული შემფასებლური ლექსიკა-ფრაზეოლოგიით, ემოციური შეფერილობის სიტყვებით (რომლებშიც იოლად ხერხდება „კარგისა და ცუდის“ ან მათი სახესხვაობების („ბოროტი“ – „კეთილი“ და ა. შ.) გამოვლენა. დადებითი შეფასების შემთხვევაში გვექნება პოზიტიური ინფორმაცია, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში – ნეგატიური ინფორმაცია.

ლინგვისტების რჩევით, საჭიროა ერთმანეთისაგან იმ გამონათქვამის ნეგატიური სემანტიკური კომპონენტის განცალკევება, რომელიც სინამდვილესთან შესაბამისობის შემოწმებას (ვერიფიკაციას) ექვემდებარება და შემფასებლური ხასიათის გამონათქვამისა. ნეგატიური ინფორმაცია შესაძლოა ფაქტოლოგიურიც იყოს და შემფასებლურიც (შეიცავდეს სუბიექტურ მოსაზრებას).

ცნობები ფაქტის მტკიცებითი ფორმის ისეთი გამონათქვამებია, რომელთა შემოწმება შესაძლებელია უტყუარობასა და სიცრუეზე. მოსაზრება (თვალსაზრისი) შესაფასებელი ფაქტის სინამდვილესთან შესაბამისობას კი არ გამოხატავს, არამედ ცალკე ადამიანის (აზრის, თვალსაზრისის გამოხატვის) სუბიექტურ შეხედულებებთან. ცნობებისა და თვალსაზრისის განსხვავების (განცალკევების) კრიტერიუმია ვერბალური ინფორმაციის ვერიფიკაციის პრინციპული შესაძლებლობა ან შეუძლებლობა. ვერიფიკაციას ცნობები ექვემდებარება.

დიდი მოცულობის ტექსტებში ინფორმაციის მიწოდების ძირითადი ფორმის გამოსავლენად, საჭიროა წინადადების საერო რაოდენობის გამოთვლა (კომპიუტერით), შემდეგ მტკიცების, თვალსაზრისის, ვარაუდის, შეფასების შემცველი წინადადების გამოვლენა.

ლინგვოკრიმინალისტები ასეთ მაგალითს გვთავაზობენ: მაგალითად, ექსტრემალისტური ხასიათის წიგნი შეიცავს 14000 წინადადებას. ისინი არ გამოხატავენ თვალსაზრისს, შეფასებას, მტკიცებულებებს, ვარაუდებს, კითხვით წინადადებებს.

კითხვითი წინადადებების საერთო რაოდენობა არის 151. თვალსაზრისების, შეფასებების, ვარაუდების გამომხატველი წინადადებები 349 ერთეულს შეადგენენ. ისინი ტექსტში თანაბარზომიერად არიან განაწილებული. მამტკიცებელი (ნაწილობრივ კი უარისმყოფელი) წინადადებები, შესაბამისად, 13500 ერთეულს შეადგენს. ამის მიხედვით შეიძლება გაკეთეს დასკვნა, რომ მოცემულ წიგნში წარმოდგენილი ინფორმაცია, მთლიანობაში, დადებითია (მამტკიცებელია).

ფაქტი რაიმეს შესახებ ეჭვშეუტანლად დადგენილი ცოდნაა. ლინგვოკრიმინალისტს არ ძალუძს ცილისწამების შემცველობის დადგენა. ეს იურისტებისა და გამოძიების საქმეა. თუმცა სისხლის სამართლის მიხედვით ჩვენი კანონმდებლობა აღნიშნული ქმედებისათვის პასუხისმგებლობას არ

ითვალისწინებს, თუმცა ევროპულ ქვეყნებში პუნქტით ცილისწამებისათვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრას საფუძვლად გარკვეული ენობრივი ფორმა გამოდის. ესაა მტკი-ცების ფორმის გამონათქვამი ფაქტისა თუ მოვლენის შესახებ.

არც თუ იშვიათად ავტორი (უფრო ხშირად ჟურნალისტი სარგებლობს შესავალი (დამკვალიანებელი) სიტყვებით, წინადადებებით, კონსტრუქციებით; მკითხველში მიზნობრივი ასოციაციების გამოწვევის მიზნით გამოიყენებს კითხვით წინადადებებს, წყაროებზე (დაუზუსტებელ და კონკრეტულ) მითითებებს.

ინფორმაცია შეიძლება იყოს **პირდაპირი, ტექსტიმღმური და ქვეტექსტური**.

- **პირდაპირი** ინფორმაცია შეიცავს უშუალო მითითებას რაიმე ფაქტზე;
- **ტექსტიმღმური** ინფორმაცია ნართაულად, შუალობითად, მინიშნებით მიუთითებს ფაქტზე;

ტექსტიმღმური ფორმა ინფორმაციის მიწოდებისა იმით არის საყურადღებო, რომ მოვლენის რომელიმე ასპექტების შესახებ ინფორმაცია პირდაპირ არ არის გამოხატული, თუმცა იგულისხმება, რომ ინფორმაცია მოლაპარაკისათვისა და მისი მსმენელებისათვის ცნობილია.

• **ქვეტექსტური ფორმა** მაშინ გვექნება, როდესაც ინფორმაცია ტექსტში უშუალოდ (აშკარად, ღიადა) არა ჩანს, მაგრამ იოლად ეძლევა მკითხველს ან მსმენელს. აქ პირდაპირი შეფასების შესაძლებლობა გამორიცხულია, მაგრამ ფაქტი ისეთ კონტექსტში გვეძლევა, რომ შეფასება ლოგიკურად გამომდინარეობს (32). ლინგვისტიკურ ექსპერტიზებში ძირითადად ოთხი სახეობის ექსპერტიზა გამოიყენება:

1. **კონტენტ-ანალიზი** – მოცემული კვლევისათვის წამოჭრილი საკითხების თემატიკის შესაბამისი აქტუალური ტექსტური ფრაგმენტების განსაზღვრა;
2. **გამონათქვამების სემანტიკურ-სინტაქსური ანალიზი**

- მიკროკონტექსტების ჩამოყალიბებული კარტოტეკის ფარგლებში;
3. ენობრივი ერთგულების **ლოგიკურ-გრამატიკული ანალიზი**, რომლებიც მოცემულებია არჩეულ ტექსტობრივ ფრაგმენტებში;
 4. 4საკვანძო დასახელებათა **ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი** (მიკრო- და მაკრო კონტექსტების, ასევე როგორც საანალიზო ტექსტის, ასევე მისათითებელი ტექსტის წყაროს ჟანრისა და კომპოზიციის გათვალისწინებით).

1.3. მანიპულაციური ლინგვისტიკური ხერხები (მეთოდები) ლინგვისტიკური მანიპულაციები

ენობრივი მანიპულაციის მოვლენა უკვე ანტიკურ ეპოქაში იყო ცნობილი. ლინგვისტიკური მანიპულაციის ხერხებს წარმატებით იყენებდნენ ცნობილი ბერძენი და რომაელი რიტორები და ორატორები: პროტაგორე, სოკრატე, დემოსთენე, ციცერონი, კვინტილიანე...). ცნობილია, რომ ლინგვისტიკური სიცრუის მთელი სისტემა შექმნეს სოფისტებმა.

ლინგვისტიკური მანიპულაციები აქტიურად გამოიყენება ჩვენს თანამედროვეობაშიც. ოპონენტის დასარწმუნებლად ხშირად მიმართავენ აკრძალული ხერხებს, არსებობს ენობრივი ფანდების მთელი სისტემა. ენობრივი ფანდების ნაირფეროვნებით განსაკუთრებით პროპაგანდის სფერო გამოირჩევა. ახალ ეპოქებში ვერბალური სიცრუისა და სუგესტიის დიდოსტატი იყო ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრი **იოზეფ გებელსი**. ცნობილია მისი მთავარი ლოზუნგი: “დასწამეთ ცილი - რაღაცა მაინც დარჩება!”

მანიპულაცია - ფარული ზემოქმედებაა ადამიანის შეგნებაზე, ნებალობასა და ქცევაზე. ზემოქმედება სხვადასხვა ხერხებით ხორციელდება, მათ შორის ენობრივადაც.

მოლაპარაკე სუბიექტმა შეიძლება გამოიყენოს ადრესატის ცნობიერებაზე (ქვეცნობიერებაზე) ზემოქმედების საშუალებები, ანუ მოახდინოს ზემოქმედება პიროვნების ქვეცნობიერის კომპონენტზე თავისთვის სასარგებლო რწმენა-წარმოდგენის ფორმირების მიზნით.

ამდენად მანიპულაციური გულისხმობს ადრესატის ცნობიერ/ქვეცნობიერზე პოტენციურად ზემოქმედებას მისი ნების საწინააღმდეგოდ. მანიპულაციურია ფრაზა, რომელიც ემყარება ფარულად ზემოქმედ სამეტყველო საშუალებებს. ამგვარ ფრაზებს მიეკუთვნება:

- მრავალეფექტორული ზემოქმედება;
- ფსიქოლოგიური ზეწოლა;
- ფსიქიკური ავტომატიზმი;
- ადრესატის პიროვნულ თვისებათა ექსპლუატაცია

ჩაგონება ზემოქმედებს ინსტიქტებსა და ქვეცნობიერზე, ამასთან ადრესატი, როგორც წესი, ვერც კი გრძნობს მანიპულაციურ ზემოქმედებას.

ეროვნული, რასობრივი, რელიგიური, სოციალური მტრობის გასაღვივებლად ექსტრემისტები გამოიყენებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც განაპირობებს ადრესატის შემეცნებაში ადამიანის ნეგატიური სახეხატის (სურათხატის) შექმნას გარკვეული ჯგუფისადმი კუთვნილების საფუძველზე, ხოლო ასეთ ჯგუფებში იგულისხმება რასა, ეროვნება, ასევე ენობრივი, სოციალური, რელიგიური დაჯგუფებები.

მანიპულაციური მეთოდების გამოყენების საშიშროება იმაშია, რომ ადამიანებს მორჩილ სოციუმებად აქცევს, უთრგუნავს ნებელობას, ართმევს შემეცნების უნარს. ამგვარი მანიპულაციების მიზანი სულიერი ფასეულებების შენაცვლებაა.

მაგალითად, ტოტალიტარული სექტები ჩააგონებენ, რომ ყველანი უნდა დაემორჩილნენ გარკვეულ ღმერთს ან მის მიწიერ მოადგილეს - გურუს. ამისათვის აუცილებელია ცრუ

(ცოდვიანი) ზნეობრივი საფუძვლების უკუგდება, მაგალითად: ოჯახისადმი სიყვარულის, სამშობლოსადმი ერთგულების და ა. შ. ადამიანს ჩააგონებენ, რომ უნდა დაივიწყოს ქვეყნის ისტორია, პატრიოტიზმი, მამულიშვილობა... განსხვავებული მსოფლმხედველობის ადამიანებს მანიპულაციურ ტექსტებში ეწოდებათ მტრები, ბოროტი ადამიანები, რომლებსაც ადგილი აღარ უნდა ჰქონდეთ ამქვეყნად და რომლებსაც უცილობლად გაანადგურებენ ღვთაებრივი ძალები.

დარწმუნების დროს გამოიყენება ადამიანის ცნობიერებაზე ლინგვისტიკური ზემოქმედების მეთოდები და ხერხები. მათ განეკუთვნება:

- ჭეშმარიტი და მცდარი მტკიცებულების შენაცვლება. ამ შემთხვევაში არაიშვიათად შეინიშნება უტყუარ ტექსტში სიცრუის შერევა, ამასთან იქმნება მთელი ნათქვამის ან ნაწერის ნამდვილობის ილუზია;
- პიროვნების ემოციურ ელემენტზე ზემოქმედება;
- ალოგიზმები;
- დიდი რიცხვების გამოყენება;
- სხვადასხვა გრაფიკული საშუალებების გამოყენება (შრიფტი, ილუსტრაციები, ფოტოგრაფიები);
- სიტყვიერი და ილუსტრაციული გამეორებები;
- ეთნოკულტურულად, კონცეპტუალურად ღირებული დასახელებების გამოყენება;
- მოწოდებები.

ამასთან დადებითი გამოძახილები, შესაძლოა, პროვოცირებულიც იყოს. მაგალითად, ადრესატს შეეთავაზება ისეთი შეკითხვა, რომელსაც მხოლოდ დადებითი პასუხი მოეპოვება:

«გინდათ, რომ თქვენმა შვილებმა ბედნიერ, თავისუფალ ქვეყანაში იცხოვრონ?» ამგვარად დასმულ პირწმინდად რიტორიკულ შეკითხვას მიზნობრივი მოწოდება მოჰყვება:

“მაშ, მოიშორეთ თავიდან გადამთიელი ყვითლები, ურჯულოები, შავები და მათი ხროვები!”

ძალიან ხშირად გამოყენება სიტყვებისა და გამონათქვამების გამეორების ხერხი. იგი ახალი არ არის, უწინაც ფართოდ გამოიყენებოდა და ახლაც. ამასთან ხშირად გამოიყენება მკაფიოდ გამოხატული ვალდებულებითი მოდალობით, თუ რა უნა გაკეთდეს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ამგვარი მოდალობა ხშირად გამოიხატება სიტყვით “უნდა” (მაგალითად, ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ცოცხით უნდა გახვეტოს ყველა გადამთიელი).

- ენობრივ გამეორებებს თან სდევს ილუსტრაციების გამეორებები. მათი მიზანია ადრესატში რაიმესადმი ან ვინმესადმი დადებითი დამოკიდებულების შექმნა. მარტივი ჭეშმარიტების თავში ჩადება შედეგისმომტანია არა მხოლოდ გაუნათლებელი ადამიანის, არამედ განათლებული, წიგნიერი ადრესატების შემთხვევაშიც.
- მანიპულირების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტებში გრაფიკული საშუალებების - შრიფტების, ილუსტრაციების, ფოტოგრაფიების გამოყენებას. მაგალითად, ექსტრემისტულ პროკლამაციებსა და ბროშურებში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის შრიფტები, რათა მკითხველმა ადვილად დაიმახსოვრის ტექსტი, მისი ძირითადი ფრაგმენტები, რომლებიც მთავრ მოსაზრებებს შეიცავენ. ისინი გამოყოფილი არიან მსხვილი, დახრილი, კურსივი შრიფტით ან სიტყვათა განსაკუთრებული განთავსებით. ხშირად საკვანძო სიტყვები გამონათქვამის თავში ან ბოლოში არიან დასმულ-მიზნობრივად ძლიერ პოზიციაში.
- მანიპულაციური გამიზნულობის ტექსტი უკეთ დამახსოვრების მიზნით ზოგჯერ ნახევარწრიულად აიწყობა, ამასთან მთავარი (საკვანძო) წინადადებები ცალკე სტრიქონზე გადაიტანება.
- განსაკუთრებულ როლს ცნობიერების მანიპულირე-

ბის პროცესში თამაშობს ფოტოგრაფიები. ხშირად გამოიყენება ფოტომონტაჟის ხერხი. მაგალითად, პროკლამაციის ავტორი შეიძლება გამოსახული იყოს ცნობილი, დიდი ავტორიტეტის მქონე ადამიანის გვერდით (ეს ხერხი ხშირად გამოიყენება ყალბი, ფალსიფიცირებული მედიკამენტების რეკლამირებებში).

ტოტალიტარული გამიჯნულობის სექტების ბროშურებში წარსულის მოვლენების ასახვის დროს ძველი დროის ადამიანებს თანამედროვეებს ამსგავსებენ, ანუ გამოიყენებენ **ადაპტაციების ხერხს**. ილუსტრაციები არავერბალურად გადასცემენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სექტებთან ურთიერთობა სიხარულს მოუტანთ. ადამიანის ცნობიერებაში უამრავი მომდიმრი სახის გამოხატვა დადებით სურათხატს ქმნის. შინაარსის მიხედვით ერთი ტიპის ფოტოების რაოდენობა თავისებურ ფუნქციას ასრულებს: იქმნება სექტანტების მასობრივი ბედნიერების შთაბეჭდილება. ფოტოებსა და ნახატებზე შესაძლოა გამოსახულნი იყვნენ ადამიანები, რომლებიც გულმოდგინედ კითხულობენ რელიგიურ წიგნებს, გულისყურით უსმენენ მოძღვრებს. ფოტოილუსტრირების ამგვარი ხერხი სექტების მეთაურთადმი დაქვემდებარების მანიპულაციური საშუალებაც არის.

ფოტომონტაჟს აქტიურად გამოიყენებენ გაზეთები და ჟურნალები. მაგალითად, გაზეთში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის არაადეკვატური ქცევის, დაუნდობლობის, სისხლისმსმელობის ხაზგასასმელად გამოხატულია მტაცებლური ღიმილით, ორი დანით, რომლებითაც ტორტს ჭრის. ეს ფოტომონტაჟი ამკვეთრებს ტექსტის ტონალობას, ასახული პოლიტიკოსისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას. თავად ტექსტი კი ადასტურებს ნეგატიურ შთაბეჭდილებას და გამოსახული პოლიტიკოსის ხასიათსა და საქმიანობის უარყოფით მხარეებს.

მანიპულატორები მიზნობრივად გამოიყენებენ ფერთა

გამასაც, მაგალითად, სექტანტები და მათი მომხრეები წარმოდგენილნი არიან ოქროს ფერით, იშვიათად ცისფერ ტანსაცმელში, ინტერიერი - მწვანე (დამამშვიდებელ) ფერში, ხოლო მოწინააღმდეგე - მუქლურჯ, სისხლისფერ - შავ (მუქარის) ფერებში. სურათხატისა და სიტყვის შეთანადება ძლიერად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, რადგანაც ილუს-ტრაციები ხელს უწყობს ტექსტის საკვანძო აზრების უკეთ დამახსოვრებას.

◆ ხშირად გამოიყენება ადამიანის ცნობიერებასა და ქვეცნობიერზე მრავალვექტორული ლინგვისტიკური ზემოქმედების ხერხები და მეთოდები. მაგალითად, მანიპულატორს ერთსა და იმავე ტექსტში შეუძლია ადრესატი კიდევაც დააინტერესოს, კიდევაც დააინტრიგოს და დააშინოს.

ტერორისტებისათვის განკუთვნილ ერთ წიგნში, რომელსაც დამაინტრიგებელი სათაური აქვს, ავტორებს გამოყენებული აქვთ ირონია, სარკაზმი, სატირა, რათა ტექსტი საინტერესო აღსაქმელი ყოფილიყო. ამ გზას ავტორები იმიტომაც დაადგენენ, რადგან კარგად ესმოდათ, რომ სპეციალური ტერმინებით გაჯერებული ტექსტი, სადაც აღწერილი იყო ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი, მომწამლავი ნივთიერებების დამზადების რეცეპტები, ძნელი წასაკითხი და აღსაქმელი იქნებოდა. ავტორებმა ტექსტში შეიტანეს ასევე ეპიგრაფები და ტერორისტების აფორიზმები. გადათამაშებულია (გადასხვაფერებულია) ცნობილი ლიტერატურული ციტატები. მაგალითად, შექსპირის ცნობილი თქმა “ყოფნა-არყოფნა...” ასეა შეტრიალებული “ცემა თუ კვლა” (რუს. „быть или не быть – бить или убить”). წიგნში ნორმირებულ ლექსიკასთან ერთად გამოიყენება არანორმატიული - ჟარგონული ლექსიკა-ფრაზეოლოგია, უცენზურო სიტყვები და გამოთქმები.

ეს ორაზროვანი თხრობა აღნიშნულ წიგნში იქამდე გრძელდება, ვიდრე იარაღის, ასაფეთქებლების, საწამლავების დამზადების მეთოდების აღწერა-დახასიათებები დაიწყებოდეს.

შემდეგ მოჰყვება მკაცრი ლოგიკა და არანორმატიული ლექსის უკუგდება.

ხშირად ექსტრემისტული ტექსტები ისეა შედგენილი, რომ უნდა დააშინოს მკითხველი, გამოიწვიოს მასში შიში საკუთარი ან ახლობლების სიცოცხლის ხელყოფის საშიშორების გამო.

პროკლამაციების, ბროშურების, წიგნების ავტორები ზემოქმედებენ პიროვნების ემოციურ ბუნებაზე. მათი მიზანია მკითხველის გადაყვანა ილუზიათა სამყაროში, მიძინება ან, პირიქით, სიძულვილის გამძაფრება უცხო სარწმუნოებისა თუ უცხოეროვნების ადამიანებისადმი. ამ მიზნით გამოიყენება **ფსიქიკური ავტომატიზმის ხერხი**.

ტექსტის ავტორები ემყარებიან ადრესატების ინსტინქტებს - ავტომატურ რეაქციებს. ასეთ შემთხვევაში მკითხველის ფსიქიკაზე მოქმედებენ არა მარტო ტექსტის შინაარსით, არამედ მისი კომპოზიციითაც.

◆მანიპულაციურ ტექსტებში მიმართავენ ციტატების ფალსიფიცირებას, ავტორიტეტების სახელებით სპეკულირებას, ციტატების გაყალბებას, დიდი რიცხვებით ზემოქმედებას, ამა თუ იმ მოვლენის მასობრიობის შთაბეჭდილების შექმნას, სპეციალისტის შეხედულების იმიტაციას, ალგორიზმებს, ცნებების შენაცვლებას, ეროვნულ-კულტურული სტერეოტიპების ექსპლუატაციას, გრაფიკას და სხვა. მაგალითად, სექტანტების ბროშურების ტექსტებში ფალსიფიცირებულია ციტატები, სხვადასხვა ავტორიტეტული ტექსტების თავისუფალი კომენტარები (მაგალითად, ბიბლიის).

◆მანიპულატორების საყვარელი ხერხია ჭეშმარიტ და მცდარ მტკიცებულებათა შენაცვლება. ასეთ შემთხვევაში სიმართლის დადგენა ყველა ციტატის შეჯერებით არის შესაძლებელი, რისი გაკეთებაც საქმეში ჩაუხედავ მკითხველს აზრადაც არ მოუვა და არც შეეცდება. ამაზე აქვთ გათვლა მანიპულატორებსაც. ეს ხერხი არც ისე ახალია. “ცივი ომის” დროს ამ ხერხს აქტიურად იყენებდნენ სსრ კავშირის მტრული რადიოსადგურები.

◆ხშირად გამოიყენება ცნებათა შენაცვლების ხერხიც. ეს ხერხი აქტიურად გამოიყენება ტელევიზიაში. მაგალითად, კონკურენტუნარიანი მედიკამენტის შესახებ ინფორმაციას ტელევიზიის არაკეთილსინდისიერი მუშაკები ათავსებენ ფალსიფიცირებული (კონტრაფაქტული) მედიკამენტების შესახებ ინფორმაციის ჩარჩოში. ამასთან ინფორმაციას წინ უძღვის ქალური კადრს მიღმა ხმა: არსებობს ფარმაცევტული ფალსიფიცირების კიდევ ერთი სახეობა, მას გადაეყარნენ მედიკამენტების მწარმოებლები. დუბლებს ოდნავ შესარჩევი სხვაობა აქვთ დასახელებაში, მაგრამ უაღრესად აშკარა - საქონლის ხარისხში”. კადრს მიღმა ქალის ხმა ამტკიცებს, რომ შემდეგ საუბარი შეეხება ფალსიფიცირებული მედიკამენტის ახალ სახეობას - ასეთი შთაბეჭდილება შეექმნება გამოუცდელ მაყურებელს.

ლინგვოკრიმინალისტმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმ კომპონენტებს, რომელთაგანაც ფორმატირებულია ეს მასალა: მაგალითად, იგი შეიძლება შედიოდეს სხვა ნეგატიურ ტელეგადაცემათა სისტემაში ან განთავსდეს საახალამბებო ბლოკის ბოლოში, ანუ ძლიერ სემანტიკურ პოზიციაში, ვიდეოსიუჟეტი შეიძლება გათვლილი იყოს “გამიზნულ” ზემოქმედებაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენის ფონზე (მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნების).

ლინგვოკრიმინალისტიკისათვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ ვიდეოსიუჟეტის კომპონენტები (ვერბალურიც და არავერბალურიც) შემთხვევითი არ არის, მათი აზრობრივი ფუნქციები, კომპოზიციური მახასიათებლები, სინტაგმატური კავშირები, კონოტაციები განსაზღვრულია ავტორთა კომუნიკაციური მიზანდასახულობით და აქტუალიზებულია სიტუაციის სოციალური და დროითი პარამეტრებით.

ტელევიზია, აღნიშნულის გარდა, გამოიყენებს ასეთ ხერხსაც: სახელმწიფო მოღვაწის გამოსვლას ახლავს შეუფერებე-

ლი ვიდეოილუსტრაციები. ვიდეოილუსტრაციები მთლიანი ვიდეოსიუჟეტის კონტექსტის სრულფასოვან ელემენტებად იქცევიან; მეტიც, მთელი ვიდეოსიუჟეტი შეიძლება განიხილებოდეს ერთიანი აზრობრივი სივრცის - ტექსტის ვერბალური და არავერბალური ფრაგმენტების ლინეარული თანამიმდევრობად. ასეთ შემთხვევაში ვიდეოსიუჟეტს აქვს პროვოკაციური გამიზნულობა და მას ტელემაყურებელი აღიქვამს როგორც ნეგატიურ ინფორმაციას.

◆ მანიპულირების ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია ცნო-ბილი ტექსტის ფალსიფიცირება, ასევე ცნობილი ფაქტების დამახინჯება (გადასხვაფერება). ადრესატს ექმნება შთაბეჭდილება, რომ დამოუკიდებლად აკეთებს არჩევანს.

◆ მანიპულირებას ძნელად ეძლევა ეროვნულ-კულტურული სიმბოლოების და ღირებულებების სისტემა, რომელიც მყარი პიროვნული რწმენა-წარმოდგენების საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ ამჟამად განსაკუთრებით დეტალურად ამუშავებენ ისეთ მანიპულაციურ ტექნოლოგიებს, რომლებიც შეძლებენ ზემოქმედებას შემეცნების (ცნობიერების) ინტელექტუალურ-კულტურულ ბლოკზე. ტექსტში შეუღლიათ სპეკულირება მდგრადი, ტრადიციული სიმბოლოებით; შეუძლიათ მათთან დაკავშირებული ცნებების შენაცვლება. მაგალითად, ზოგიერთი ანგაჟირებული ჟურნალისტი წერს და ლაპარაკობს არა სსრკ ხალხთა გმირულ სულისკვეთებაზე 1941-1945 წწ. ომში, არამედ საბჭოთა არმიის მეომრების ნეგატიურ მოქმედებებზე. მსმენელის ცნობიერებაში ყალიბდება საბჭოთა მეომრის ნეგატიური პორტრეტი. კიდევ ერთი მაგალითი: ქრისტიანებისათვის წმიდათაწმიდა სიმბოლოა ჯვარი, ცალკეული სექტები კი უარყოფენ მას. ამის მასობრივ ცნობიერებაში ჩანერგვისათვის მანიპულატორები უარყოფენ ჯვარცმის ფაქტს. თუ არ არსებობს ჯვარცმის ფაქტი, არც სიმბოლო არსებობს. ქრისტიანობის მთავარი სიმბოლოს უარყოფა აშკარა პროვოკაციაა, რელიგიური შეუწყნარებლობა

და განხეთქილება ტრადიციულ ქრისტიანებს შორის.

♦ ხშირად მანიპულატორები ტექსტებში გამოიყენებენ ეთნოკულტურულ სიტყვიერ ასოციაციებსა და კონოტაციებს. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი იყო გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც არჩევნების დროს კანდიდატები ხალხს თავს საბჭოთა მთავრობისაგან შევიწროებულად და დევნილებად წარმოუდგენდნენ. მათ მსგავსად, სექტების ბევრი წევრი აცხადებს თავს რწმენისათვის დევნილად და წამებულად და შეგნებულად თამაშობს დაჩაგრულისა და წამებულისადმი ხალხის ბუნებრივ თანაგრძნობაზე. ამასთან ხშირად გამოიყენება ისეთი საკვანძო სიტყვები, როგორებიც არის: **მოწამე (წამებული), ხელისუფლების მხეცობანი, თანალ-მობა** და ა. შ.

♦ მანიპულატორები გამოიყენებენ **ალოგიზმების** სისტემასაც, რომლებიც აქტიურად ზემოქმედებენ ადრესატის ცნობიერებაზე. მტკიცებულებები, რომლებიც არ იწვევენ დავას, გამორთავენ კრიტიკული წაკითხვის რეჟიმს, ხოლო შემდეგ მოჰყვება საკვანძო თეზისი, ანუ მანიპულაციური ალოგიზმი თრგუნავს კრიტიკული აზროვნების უნარს და ცნობიერებაზე მოქმედებს როგორც თავისებური “გამომრთველი”.

♦ დიდი რიცხვების ან არასწორი სტატისტიკის გამოყენება ერთ-ერთი მანიპულაციური ხერხია. გადაუმოწმებელი, წინდაწინ მცდარი მონაცემები ადრესატში ტექსტის მეცნიერულობის ილუზიას ქმნის. ციფრობრივი მონაცემებით მანიპულირება განსაკუთრებით დამახასიათებელია დასავლეთის სამხედრო ისტორიკოსებისათვის. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოდენობას 27 მილიონი საბჭოთა მოქალაქეებით განსაზღვრავენ და 9 200 000 გერმანელზე მითითებენ. ხშირად უგულებელყოფენ დეტალებს - ვთქვათ, საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულების რაოდენობას და ა. შ. მაგრამ მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ გამარჯვება უდიდესი მსხვერპლის ფასი დაჯდა.

სექტანტები თავიანთი სარწმუნოების მიმდევართა აღსანიშნავად გამოიყენებენ განუსაზღვრელობით რიცხვით სახელს - ბევრი და ამით თითქოს შეკითხვის დასმა-მტკიცების ფორმით გახაზავენ თავიანთ სიმრავლეს.

ხშირად მანიპულაციურ ტექსტებში შეაქვთ ნაკლებგასაგები ტერმინები, რომლებიც ადრესატში მანიპულირებისათვის საჭირო ასოციაციებს იწვევენ. თუმცა მანიპულაციური ტექსტებისათვის მთლიანობაში დამახასიათებელია მონოსემიზმები (ერთმნიშვნელობიანი სიტყვები), რომლებიც მკითხველს ერთმნიშვნელოვნად და მიზანმიმართულად აზროვნებას აიძულებენ, მაგრამ თუ პოლისემიზმები (მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები) გამოიყენება, ავტორისათვის საჭირო კონტექსტში; ანუ მანიპულაციურ ტექსტში ლექსიკა წინასწარ აფრთხილებს მკითხველს ინფორმაციის უაპელაციოდ მიღების შესახებ. ამიტომ თავად ტექსტიც არ იწვევს დისკუსიისაკენ, გარკვეული პრობლემის გადაწყვეტისაკენ; ტექსტი უნდა აღქმულ იქნეს წინდაწინ სანდო, უტყუარი, უაპელაციო ჭეშმარიტება.

1.4. შეურაცხყოფელი და საწყენი სიტყვები ლინგვისტიკური ექსპერტიზის პოზიციიდან

ცილისწამება და შეურაცხყოფა ყოველთვის, ყველა ეპოქაში ისჯებოდა კანონით. კაცობრიობის ისტორია იცნობს ფაქტებს, როდესაც შეურაცხყოფისათვის დამნაშავეებს ფიზიკურად სჯიდნენ – გაწკეპვლით, სხეულის მძიმე დაზიანებით – ენის ამოგლეჯით (ამოკვეთით). ამგვარი სასჯელის კვალს ატარებს ქართულ მენტალობაში შემორჩენილი გამოთქმა „ენის ამოგლეჯა“ (მუქარის კონოტაციის შემცველი თქმა „ენას ამოგაგლეჯ“, „ენა გააჩერე“, „ხმა გაიკმინდე“, „ხმა ჩაიწყვიტე“, „ენას დაუწიე“ და ა. შ.).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთში (აქედან საქარ-

თველოშიც) მკვეთრად განისაზღვრა შეურაცხყოფელი და საწყენი სიტყვების ნუსხა, სისხლის სამართლით დადგინდა სალანძღავი სიტყვების კლასიფიკაცია. ეს კლასიფიკაცია შვიდ ჯგუფს მოიცავდა:

1. სალანძღავ და საგინებელ სიტყვებს (დედის გინების ტიპის სიტყვები და გამოთქმები), გამოკვეთილად ლანძღვა-გინების გამოწვევების (მამამაღლი, არამზადა, კაპასი). „სისხლის სამართლის“ (1892) ავტორთა მიხედვით, ამგვარი გამოთქმები „კონკრეტულ შინაარსს მოკლებულნი იყვნენ და შინაგანი დანიშნულება არ გააჩნდათ“;

2. გამკილავი, აუგიანი სიტყვები (რომლებიც გამოხატავენ პიროვნების ზნეობრივი ქცევის შეფასებას – სულელი, გარეწარი, ნამირალა, გაიძვერა, ქვემძრომი, ქვეწარმავალი, ჩერჩეტი, ტუტუცი, სალახანა, გათახსირებული, არამზადა, კახპა, ქურდი, ქურდბაცაცა, თაღლითი, თითლიბაზი);

3. სხვა ეროვნებების უღირსი სახელწოდებანი (ურია-ებრაელებზე, ფრიცი – გერმანელზე, კომეხი-სომეხზე, თათარი-ზოგად მაჰმადიანზე);

4. არასრული (დამაკნინებელი) სახელები (გრიშკა – გრიგოლის, დათუა – დავითის, ეკუნია – ეკატერინეს ნაცვლად, თაკუნია, მიხაილ სააკაშვილოვნა, ქათამამე – ჭუჭულაშვილები);

5. საყვედურები, დაყვედრება-დამუნათებები (თუ ვინმე უსაყვედურებს ქალს უწესო ცხოვრებისათვის);

6. ამორალური და კანონსაწინააღმდეგო წინადადებები (მაგალითად, თუ ვინმეს შესთავაზებდნენ ქრთამს ან – ქალს მამაკაცთან ღამის გათევას);

7. ქილიკი, დაცინვა, მასხრად ადგება, შეზიზღება, საზიზღარი გამოთქმები, დამამცირებელი ფორმის გამოთქმები, წყევლები (მაგალითად, პირი დააღე, გასკდი დედამიწავ, მიწა ჩაგისკდეს, მიწამ გიყოს პირი).

სისხლის სამართალი შეურაცხყოფელად არ მიიჩნევდა

უზრდელობას, უპატივცემულო შეფასებებს (მაგალითად, ამ-
პარტავანი ხარ, დიდი წარმოდგენა გაქვს, მედიდურობ, ქედ-
მალლობა,...). ნაგავი, ნეხვის ჭია, კუმ ფეხი გამოყო..., სისინებს,
ძალღივით იყეფება; ძალღი ყეფს – ქარავანი მიდის...

1.4.1. შეურაცხყოფელი სიტყვები

ლინგვოკრიმინალისტიკაში გამოყოფენ გარკვეული პირი-
სათვის შეურაცხყოფელ სიტყვათა რიგებს, რომლებსაც **ინ-
ვექტივებს** უწოდებენ. დღეისათვის დაფიქსირებულია ინვექ-
ტივების შემდეგი რიგები:

1. სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გამოხატავენ
სოციალურ გაკიცხვას (ბანდიტი, გაქნილი, გაიძვერა);
2. გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ზოგი-
ერთი პროფესიის სახელწოდებები (**ყასაბი** ქირურგის
მისამართით, **ჯალათი** – მკაცრი ზემდგომის მისამარ-
თით, **მეხანძრე** – გაუთლელი ადამიანის მისამართით);
3. ფიტო-ზოოსემანტიკური მეტაფორები – მეტაფორები,
რომლებიც მიმართავენ ცხოველთა სახელწოდებებს და
გახაზავენ ადამიანების უარყოფით თვისებებს: **ძროხა**
(ტლანქი, მოუხეშავი), **ვირი** (სულელი, ხეპრე, ჯიუტი),
მაიმუნნი (ემმაკი, თვალთმაქცი);
4. ადამიანის საქციელის ექსპრესიული ნეგატიური შეფა-
სების შემცველი სიტყვების, კონკრეტულ საქმიანობაზე
ან პოზიციაზე მითითების აღმნიშვნელი (არამზადა,
ხეპრე, გამოუსვლელი და ა. შ.);
5. პირდაპირი ნეგატიური შეფასების ან გამკიცხავი და-
ნიშნულების ზმნები (აწაპვნა, მითლა, მისაკუთრება,
დათრევა, მოხელთება);
6. პირდაპირი და უარყოფითი შეფასების შემცველი ან
გამკიცხავი მნიშვნელობის ზედსართავი სახელები (გამ-
ყიდველი, უნამუსო, ორგული, გაღლეტილი);
7. ევფემიზმები, რომლებიც მაინც ინარჩუნებენ ნეგატი-

- ურ შემფასებლურ ხასიათს (მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონი, ინტერგოგონა, კალთამადლიანი);
8. უცენზურო სიტყვები, რომლებიც გამოყენებულია გარკვეული პირის დასახასიათებლად (დედა მოტ..., დედააფეთქებული, ...);
 9. სპეციალური ნეგატიურ-შემფასებლური კალამბურული წარმონაქმნები (ვიროვნული, ლიბერასტები, ნაცები, ქოცები);
 10. ჟარგონიზმების, ტერიტორიული დიალექტების, სასაუბრო ენის წარმომავლობის არანორმატიული ლექსიკა-ფრაზეოლოგია (თხა, ყანა, ბანძი, ქათამი და ა. შ.);
 11. პეიორატიული საკუთარი სახელები (მაგალითად, ქეთინო, კუკურა, სეროჟა);
 12. სუფიქსი **დიმინატივები**, რომლებიც სიტყვებს უპრაგონო-დამამცირებელ შეფერილობას აძლევენ (მაგალითად, **დეპუტატუნა** ცუდი დეპუტატის მნიშვნელობით, დასტაქარუკა ცუდი ექიმის (დასტაქარის) მნიშვნელობით, დედაკაცუნა ცუდი დიასახლისის მნიშვნელობით, ზოგი მკვლევარი შეურაცხმყოფელი სიტყვების მახასიათებლებად სხვა ტერმინოლოგიური დანიშნულების სიტყვებად იყენებს. მაგალითად, ო. ნ. მატვეევას მიხედვით, არსებობს:
 - **ინტელექტ-ინვექტივები** (სულელი, ყყეჩი, გამოთაყვანებული);
 - **პოლიტ-ინვექტივები** (რასისტი, ობსტრუქციონალისტი, ნაცისტი);
 - **პროფესიონალ-ინვექტივები** (ყასაბი, მეთხე, მელორე);
 - **ზოოინვექტივები** (ვირი, ღორი, ძაღლი); **სექს-ინვექტივი** (ცისფერი, რქიანი), **ჟარგონ-ინვექტივი** (ქათამი), **ევფემიზმ-ინვექტივი** (მსუბუქი ყოფაქცევის ქალი), **კალამბურ-ინვექტივი** (ლიბერასტები), **ინვექტივ-შედარებები** ოდიოზურ პიროვნებებთან და ლიტერატურულ პერსონაჟებთან (33, 55).

თუმცა ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები ყოველთვის არ გამოხატავენ შეურაცხყოფას. ისინი შეურაცხყოფის გამომხატველნი ვერ იქნებიან, თუ ვინმესადმი არ არიან მიმართული, ანუ თუ არ არსებობს ვერბალური ან არავერბალური მითითება (მიმიკა-ჟესტიკულაციური) დაზარალებულზე.

ზემოაღნიშნულს ცხადყოფს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 2019 წლის 22 იანვარს გამოქვეყნებული ჟურნალისტ გურამ წიკლაურის წერილი „გვარამია იმდენს იზამს, კალამეს ახლა „რუსთავს ააფეთქებინებს“.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ ხშირად ქვეყნდება ტელეკომპანია „რუსთავი -2“-ის ფალსიფიცირებული ინფორმაციების გავრცელების მამხილებელი წერილები. ეს მედიატექსტები სხვადასხვა ავტორებს ეკუთვნით.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოირჩევა კლასიკური ჟურნალისტიკის ღირებულებებით (ეთიკური თვალსაზრისით ფასეული) ელემენტებისადმი ერთგულებით, თუმცა ამ ბოლო დროს მისი ლექსიკა-ფრაზეოლოგიაც თანდათან გაჯერდა და გადაივსო აგრესიულობით, არანორმატიულობით. ეს იმაშიც გამოვლინდა, რომ გაზეთმა გზა გაუხსნა სხვადასხვა ავტორთა ლანძღვა-გინებით აღსავსე პუბლიკაციებს. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ვერბალური აგრესიის, ექსტრემიზმის, შეურაცხყოფის, ბილწსიტყვაობის გამოვლენა-გამოხატვის ტენდენცია სხვა მედიასაშუალებების ანალოგიური გამოიწვევების ენობრივი ტენდენციებისაგან გამოხატვის ინტელექტუალური დონით და ხარისხით განსხვავდება. ენობრივ-ფრაზეოლოგიური აგრესია გამოიხატება კალამბურებით, სიტყვათა თამაშით, ანუ **პარონომაზიის** გასაოცარი რეგისტრებით. ასე, მაგალითად, ტელეკომპანია „რუსთავი - 2“ ყველგან, თითქმის ყოველთვის მოიხსენიება როგორც „ცრუსთავი“, რომლის პარონომაზიული შინაარსი ქვეტექსტურად ასე იკითხება: „ცრუს+თავი“ ანუ „რუსთავი - 2“ არის სიცრუის თავი. ამავე რიგისაა აღნიშნულ ტექსტში

გამოყენებული გამოთქმა „პოლიტიკური ლამაზისეული ირინოლა“, რომლის ადრესატიც პოლიტიკაში ცნობილი პირი – ირინა სარიშვილი არის და ა. შ.

თვალის ერთი გადავლებითაც, ცხადია, დონეებრივი ქვეტექსტურობა: ერთი მხრივ, მინიშნება პოლიტიკის სფეროში იმდაგვარ პერსონალურობაზე, როგორც არის ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!“ მოახლე ლამაზისეული, მეორე მხრივ, ქართული ფოლკლორული ეპოსის პერსონაჟზე – ირინოლაზე, როგორც ვირტუალური (წარმოსახვითი) სამყაროს ბინადარზე. ამით დახატულია პოლიტიკოსის დამამცირებელი სიტყვიერი პორტრეტი.

საანალიზო მედიატექსტი გაჯერებულია დამამცირებელი და შეურაცხყოფელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიით. შეტევით აგრესიის ობიექტებია:

- ალეკო ელისაშვილი (გადიდვაცებისათვის გაგიჟებული“);
- გოკა გაბაშვილი („ხიხოია ვანუა“);
- ნიკა გვარამია („სინდისგაუქმებული“, „პირმოუხეული ყბედობით“, „ცისმწამებლური ტრაკატრუკით“);
- კვესიტაძე, ნიკა მელაძე, თენგულა გოგატიშვილი („თანამებინძურეები“).

აშკარაა, რომ შეტევითი აგრესია აქ გამოხატულია შემფასებლური ლექსიკით (ეპითეტებით) და პარონომაზიის („თანამებინძურეები“, „პოლიტიკური ლამაზისეული ირინოლა“) მეშვეობით. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებულია ვერბალური აგრესიის ნაირნაირი რეგისტრები, მათ შორის რიტორიკული შეკითხვის ხერხიც („რა ჰქვია ამას, თავისუფლების მტრობა თუ მტრობის თავისუფლება?“).

ვერბალიზებული შეტევითი აგრესია ნაირგვარი ლექსიკა-ფრაზეოლოგიით არის „დამშვენებული“. მაგალითად, გია გაბრიჩიძის წერილი „სასამართლოს შესეული გიენები“, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2019 წლის 26

იანვრის გამოცემაში დაიბეჭდა. ამ პუბლიკაციაში აგრესიულობის ხარისხს და მასშტაბურობას უკვე სათაური ცხადყოფს. მიუხედავად იმისა, რომ აგრესიის ადრესატები აშკარად არ ჩანან, აგრესია მეტაფორულად მაინც გამოხატულია, ისეთ დაუნდობელ და აგრესიულ მტაცებელზე მინიშნებით, როგორიც არის გიენა. მართალია, აგრესიის გამოხატულებად ლინგვოკრიმინალისტიკაში ვერ ჩაითვლება ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციური საშუალებები, თუ კონკრეტული პიროვნებისადმი არ არიან მიმართული, მაგრამ სათაურში გიენების მეტაფორული ხსენება, ქვეტექსტურად ამჟღავნებს ჟურნალისტის პოზიციას, ძირითადი ტექსტი არგუმენტების ფუნქციით ცხადყოფს ჩანაფიქრს.

ჟურნალისტის ადრესატები არასამთავრობო წარმომადგენლები არიან, რომლებიც „იუსტიციის საბჭოს შესევთან“ და ცდილობენ არ დაკარგონ გავლენა სასამართლოზე იქ მიმდინარე რეფორმების შედეგად, კერძოდ, ჟურნალისტის სამიზნეები არიან ლევან მურუსიძე, „ვინმე მშვენიერად“, რომლებიც მოაგონებენ „ლეშთან შეგროვილ გიენებს“, „თან რომ გლეჯენ ხორცს და თან ერთმანეთს უღრენენ“.

უკიდურესი აგრესიულობით და აშკარა შეურაცხმყოფელი ლექსიკა-ფრაზეოლოგიით არის გამოხატული მედიატექსტის ავტორის დამოკიდებულება პარლამენტის უმრავლესობისადმი. განმარტებითი თუ მენტალობითი ლექსიკონების და-უხმარებლადაც არის ნათელი მეტაფორულად „ევფემიზებული“ შეურაცხმყოფელი გამონათქვამით გამოხატული საპარლამენტო უმრავლესობის უსუსურობა: საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები „ხოკერას მიმტერებული ბაყაყებივით არიან და შეშინებული თვითონ უძვრებიან ხახაში“.

მსგავსი მაგალითების წარმოდგენა თანამედროვე ქართული საჯარო საურთიერთო დარგობრივი ენისა და ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სფეროდან მრავლად არის შესაძლებელი.

ერთი უაღრესად დამახასიათებელი შემთხვევაა გახმაურებული დავა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქციას, მის ჟურნალისტებსა და „თიბის ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს შორის, რომელიც სამ წელზე მეტხანს გრძელდებოდა, პიროვნების პატივის, ღირსებისა და კომპანიის საქმიანი და რეპუტაციის ხელყოფის მცდელობას შეეხებოდა, რომელმაც საქართველოს სასამართლოების სამი ინსტანცია გაიარა და მომჩივანი მხარის სამართლებრივ უფლებებს ადვოკატები – ქეთი ქვარცხავა და ზვიად კორმაძე იცავდნენ. ქეთი ქვარცხავამ ოფიციალურად გამართულ კონფერენციაზე სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგნაირად შეაფასა:

„ეს პრეცედენტი ცხადყოფს, რომ ადამიანის ღირსება, პატივი, ასევე კომპანიის საქმიანი რეპუტაცია დაცულია კანონის ძალით და სასამართლომ დაადასტურა, რომ ეს უფლებები ხელშეუვალია ჩვენს ქვეყანაში“.

ნეტგაზეთის (34) ცნობით, 2017 წლის 26 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ „ასავალ-დასავალის“ რედაქციას 5000 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა მომჩივანი მხარის „თი ბი სი ბანკის“ და „ჯი პი აი პოლდინგის“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. ამას გარდა, ამ გაზეთს დაევალა საკუთარი გავრცელებული ცრუ ინფორმაციის საჯაროდ უარყოფა.

2017 წელს 5 სექტემბერს იურიდიული კომპანია BLC-ის ოფისში პრესკონფერენციაზე მამუკა ხაზარაძისა და მისი კომპანიების სამართლებრივი ინტერესების დამცველმა ადვოკატების ქ. ქვარცხავასა და ზ. კორმაძის განმარტებით, გაზეთი „ასავალ-დასავალი მიზანმიმართულ ცილისმწამებლურ კამპანიას აწარმოებდა – „თი ბი სი ბანკის“, „ჯი პი აი პოლდინგის“ და მამუკა ხაზარაძის ღირსების შემლახავ სტატიებს აქვეყნებდა ერთი წლის მანძილზე.

საქმე მოიცავდა 3 ეპიზოდს. პირველი შეეფერებოდა კომპანიებს „გუდვილს“, „ელიტ ელექტრონიქსსა“ და „ბორჯომს“.

„ასავალ-დასავალი“ მ. ხაზარაძეს ამ კომპანიებისადმი უსამართლო მოპყრობასა და მითვისებაში ადანაშაულებდა. მეორე ეპიზოდი უკავშირდებოდა „ჯი პი აი ჰოლდინგთან“ დაკავშირებულ ინციდენტს. თითქოს მ. ხაზარაძეს ბრალი მიუძღოდა ამ კომპანიის მიერ იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რამაც თვითმკვლელობამდე მიიყვანა ადამიანი იმით, რომ არ მისცა სესხი შვილის ოპერაციის დასაფინანსებლად. მესამე ეპიზოდი უკავშირდებოდა მამუკა ხაზარაძის მიერ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის მერაბ კოსტავას ცემის ფაქტს.

ნეტგაზეტმა საჭიროდ ჩათვალა ადვოკატ ზ. კორძაძის განცხადების გადაბეჭდვა, თუმცა უკომენტაროდ: „ძალიან მნიშვნელოვანია ზღვარი, რომელიც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა. არავინ გაურბის კრიტიკას, მით უმეტეს, ისეთი საჯარო პირი, როგორც მამუკა ხაზარაძეა და ისეთი წარმატებული ბანკი“, როგორც „თი ბი სი ბანკია“.

არ შეიძლება ადამიანს დააბრало ეროვნული მოძრაობის გმირის, მერაბ კოსტავას ცემა, თუ ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გაქვს.

ეს არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ შენ რაღაც თქვი. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს უპირისპირებ მთელ საზოგადოებას.

სამართლიანობის პოზიციიდან ზ. კორძაძის განცხადების შინაარსი საჭიროებს დაზუსტებას – კომენტარებს, რადგან სწორედ ლინგვისტიკური ექსპერტიზის თვალსაზრისით შეიცავს მნიშვნელოვან ლაფსუსებს. მაგალითად, ფრაზა „ისეთი საჯარო პირი, როგორც მამუკა ხაზარაძეა და ისეთი წარმატებული ბანკი, როგორც „თი ბი სი ბანკია“. აქ აუცილებელია დაზუსტება განსაზღვრებისა „ისეთი წარმატებული“, რადგან აქ არ არის დაკონკრეტებული, რას გულისხმობს ეს შესიტყვება – წარმატებული რაში? (კარგსა თუ ცუდში) და როგორ წარმატებულში? (ისეთში – კარგსა თუ ცუდში). ამგვარ ხერხს, რომელიც ადვოკატმა ზ. კორძაძემ გამოიყენა, კამათის ხელოვნებაში „ავტორიტეტის მოხმობის“ ხერხი ეწოდება და

სწორედ არგუმენტების სიმცირის დაფარვის ფუნქცია აქვს. ასე რომ, ფორმალურად ადვოკატს ამგვარი კამათი ეპატიება, შინაარსობრივად. პროცესუალურად და პოზიტიურად კი საკუთარი სისუსტის დემონსტრირებას წარმოადგენს.

მოპასუხე მხარის გაზეთ „ასავალ-დასავალის“ და მისი ჟურნალისტებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დამოკიდებულების შესახებ უნდა ითქვას, რომ ტრადიციული პუბლიცისტური პოზიცია დაიკავა, აიფარა კლასიკური ჟურნალისტური ლოზუნგი „პრესასთან დავა ყოველთვის წამგებიანი ნაბიჯია და ამ გზით რეპუტაციის გადარჩენის პრეცედენტი მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს“ (35).

ისტორიაზე აპელირება დღევანდელი უგულებელყოფასა და დამორება-ჩამორჩენას რომ გამოხატავს, თავისთავად ცხადია და ამას საქართველოს ყველა დონის სასამართლოების გადაწყვეტილებებიც ცხადყოფს. თუმცა თანამედროვეობის რეალიების მხედველობაში მიუღებლობა „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტების, როგორც მოპასუხე მხარის პოზიციაშიც დაფიქსირდა. ასე, მაგალითად, ჟურნალისტმა ჯაბა ხუბუამ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ნეტგაზეთის ცნობით ასე შეაფასა:

„პირადად ჩვენი პოზიცია არის, რომ ამ გადაწყვეტილებას სამართლიანად და მართლმსაჯულებასთან არავითარი კავშირი არ აქვს. სამივე ინსტანციის აბსურდული გადაწყვეტილება იყო. ჩვენ ამას ვაფასებთ როგორც პოლიტიკურ გადაწყვეტილებად. ყველაფრის თავი და თავი არის მამუკა ხაზარაძის მჭიდრო ურთიერთობა დღევანდელ მმართველ ელიტასთან“.

სრულიად ცხადია, რომ ჟურნალისტის ეს განცხადება რამდენიმე ისეთ აზრს შეიცავს, რომელიც სამართლებრივი შეფასებით ახალი სასამართლო დავის (განხილვის) საგანს წარმოადგენს, რადგან ლინგვისტიკური ექსპერტიზის პოზიციიდან ისევ იმეორებს პიროვნების ღირსების, პატივის და

საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტებს და არაპირდაპირ მინიშნებებს ხელისუფლების გავლენიანი წარმომადგენლების საზოგადოებრივ აზრზე ზეწოლის შესახებ. მოპაექრე მხარეთა სამწლიანი დავის ამგვარი დასარულ თავისთავად საჭიროებს დეტალურ ანალიზს, ობიექტურ შეფასებას ლინგვისტიკური ექსპერტიზის პოზიციებიდან, მით უფრო, რომ ამგვარი ექსპერტიზის პრაქტიკაში არარსებობის გამო, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მისი დახმარებით არ გამოუტანია.

საანალიზოდ „ასავალ-დასავალის“ მიერ 2014 წელს დასტამბულ ორი მედიატექსტი მოვიხმოთ. ერთია ჟურნალისტ ჯ. ხუბუას პუბლიკაცია „რა კავშირი აქვს ვანის რაიონის სოფელ გორაში დატრიალებულ შემზარავ ტრაგედიასთან მამუკა ხაზარაძეს“ (36), მეორე – ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძის ინტერვიუ ზიტა სუთიაშვილთან, რომელიც ასეა დასათაურებული: „ეს საქმე მამუკა ხაზარაძეს აუცილებლად გადაიყოლებს“ (37).

ორივე პუბლიკაცია თანამედროვე საგაზეთო პუბლიცისტიკის ფორმატითაა წარმოდგენილი, რომელსაც შეიძლება ჰიბრიდული მედიატექსტი ეწოდოს.

აქ მედიატექსტის ჰიბრიდულობას განაპირობებს ანტურაჟი (ფოტო მასალა, განსხვავებული შრიფტით აწყობილი სათაურები, ლიდის ფუნქციის მატარებელი საკვანძოს გამონათქვამები და მათი განთავსება). ტექსტის ერთგვარი პარაცელაცია, ოღონდ არაა მრავალწერიტილით ქვეტექსტურობაზე აქ ცენტრირებული დახლეჩა, არამედ განმეორებადობა. რაც მთავარია, გრაფიკისა და ვერბალიზების სინთეზური მიზნობრიობა, მიმართული ადრესატის დისკრედიტირებისაკენ.

ჟურნალისტ ჯ. ხუბუას მედიატექსტი ვერბალიზებულ ნაწილში ინფორმაციული შენიშვნის ჟანრისაა. იგი იუწყება:

„ამ დღეებში ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ამა წლის 21 მარტს ვანის რაიონის სოფელ გორაში,

ქარჩხაძეების ოჯახში დატრიალებული სულისშემძვრელი ტრაგედიის შესახებ – მამამ თავი მოიკლა იმის გამო, რომ გასვენებაში შემოსული ფულით მისი მცირეწლოვანი შვილისათვის ოპერაცია გაეკეთებინათ“.

ამ მედიატექსტის ჟანრულ ნოვაციას – ჟურნალისტის შემფასებლურობის აქცენტირებას უპირველესად გახაზავს ლიდის ფუნქციით სათაურის გასწვრივ გატანილი გამონათქვამი:

„შვილის გადასარჩენად ხეზე ჩამომხრჩვალ მერაბ ქარჩხაძისა და მისი ობლად დარჩენილი გოგონას ცოდვა ბევრს წამოეწევა თავისი ცხოვრების გზაზე, მაჯებს დააკბენინებს და თავბედს დააწყევლინებს“.

მომხდარის არსი კი ასე არის მოთხრობილი: 13 წლის ირინა ქარჩხაძეს ლავიწის ძვალი ჰქონდა მოტეხილი, აუტანელი ტკივილისაგან იტანჯებოდა. ოპერაციისათვის 2100 ლარი იყო საჭირო. მიმართეს სადაზღვევო კომპანიას „ჯი პი აის“, უარი მიიღეს.

ამ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, 2011 წლის 26 ოქტომბრიდან კი საბჭოს წევრ მ. ხაზარაძეს ჟურნალისტის რისხვა ამის გამო დაატყდა თავს. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ გამოქვეყნებულია სანოტარო აქტი რეესტრში რეგისტრაციისა და „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ აქციონერთა 2011 წლის 14 სექტემბრის N11 კრების გადაწყვეტილების ოქმი.

ტექსტიდან განმეორებულად ცალკე გატანილია კიდევ ერთი საკვანძო გამონათქვამი: „ხაზარაძის“ „ჯი პი აი ჰოლდინგს“ უარი რომ არ ეთქვა 13 წლის ირინა ქარჩხაძის ოპერაციის 2 ათასი ლარით დაფინანსებაზე ცოცხალი იქნებოდა“.

საანალიზო მედიატექსტში ადრესატის პიროვნების ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის მიზნის შემცველი სხვა გამონათქვამებიც არსებობს, სხვადასხვა განსხვავებული შრიფტებით აწყობილი. მაგალითად:

1. „თუმცა როგორც ჩანს, მამუკა ხაზარაძისათვის ადამიანის

ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე უფრო პრიორიტეტული ბურჭულაძის, დეისაძის, ბულაძის, ქარუმიძისა და სხვათა უგარყვნილესი წიგნების დაფინანსებაა“.

2. ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უგულვებელყოფით დიდი შრიფტით დაბეჭდილია აშკარა თავაზიანი აგრესიის შემცველი (ადრესატის მხოლოდ გვართ ხსენება – პიროვნულობის დამცირების – აბუჩად აგდების – დემონსტრირება) გამონათქვამი.

„ამდენადაც ცნობილია, მამუკა ხაზარაძე მრავალშვილიანი მამაა. მის შვილებს ღმერთმა ნურასდროს ნურაფერი გაუჭირვოს და ხაზარაძეს თავისი შვილების ტკივილისათვის ღმერთმა ნუ აყურებინოს, მაგრამ მაინც მაინტერესებს, რას გრძნობს და რას განიცდის იგი ახლა, როცა იცის, რომ სადაზღვევო კომპანიის გულგრილი დამოკიდებულების გამო, ახალგაზრდა მამამ თავი მოიკლა, რათა შვილისთვის ეშველა?!“

ადრესატის შვილებზე აპელირების გარდა, მედია ტექსტში არაფერია თქმული დაზარალებულმა ოჯახმა მიმართა თუ არა პირადად მ. ხაზარაძეს, ანუ პირადად „ჯი პი აი ჰოლდინგის“ მეპატრონეს მიუძღოდა ბრალი თუ არა.

რაც შეეხება „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის დიტო ჩუბინიძის პუბლიკაციას, ესაა ინტერვიუ მოქალაქე ზიტა სუთიაშვილთან, რომელიც ასეა დასათაურებული: „ეს საქმე მამუკა ხაზარაძეს აუცილებლად გადაიყოლებს“. საქმე კი შეეხება „საქართველოს საინვესტიციო კორპორაციის“ გარშემო ატეხილ სკანდალს, რომელიც 1992 წლის 20 აგვისტოს დააარსა მ. ხაზარაძემ ჯგუფთან ერთად. ინტერვიუერია 9 აპრილს მოწამლული პედიატრი ზ. სუთიაშვილი, რომელმაც კორპორაციაში 7 ათასი მანეთი შეიტანა და უკან მხოლოდ 7 ლარი მიიღო. ეს ფაქტი კორპორაციის საქმიანობაში თაღლითობის გამოაშკარავების მიზანს შეიცავს. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტის ტენდენციურობა ინტერვიუს ლაიტმოტივად გასდევს და პირველსავე შეკითხვაში იკვეთება. ჟურნალისტი ეკითხება რესპონდენტს:

„ქალბატონო ზიტა, დიდი მადლობა რომ მობრძანდით... თქვენ რა რაოდენობის თანხა შეგიჭამათ მამუკა ხაზარაძემ და როდის მოგატყუეს?“

მ. ხაზარაძის პიროვნებისადმი მიმართული აგრესია აშკარაა გამონათქვამში „თქვენ რა რაოდენობის თანხა შეგიჭამათ მამუკა ხაზარაძემ და როდის მოგატყუეს?“ (ამას ცხადყოფს ზმეები „შეგიჭამეს“ და „მოგატყუეს“).

ჟურნალისტის ტენდენციურობის ფაქტს კიდევ უფრო ამკვეთრებს ე. წ. დამაკვალიანებელი „ჩართვა“. ინტერვიუერის ნათქვამის საბჭოთა 7 ათასი მანეთი ვაკეში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მივიტანო, ჟურნალისტი ასე აზუსტებს:

„– დიახ, ქალბატონო ზიტა, ეს იყო ჭავჭავაძის ქუჩა N11, სადაც დღეს „თი ბი სი ბანკის“ ვაკის ფილიალი მდებარეობს“.

ჟურნალისტის დაჟინებული მცდელობა მ. ხაზარაძის „საქმეში ჩარევისა“ იკვეთება ასევე დაჟინებულ შეკითხვაში „მამუკა ხაზარაძე თუ ჩნდება ამ შეხვედრაზე?“ როდესაც ჟურნალისტმა მისთვის არასასურველი პასუხი მიიღო – „წარმოდგენა არა მაქვს, მახსოვს, ერთ-ერთი აქციონერი იყო გვარად პატარაიო“, ისევ სცადა საქმეში მ. ხაზარაძის ჩართვა. ამას ცხადყოფს ჟურნალისტის მომდევნო „დამაზუსტებელი“ შეკითხვის შინაარსიც:

„ის პატარაი მამუკა ხაზარაძის და იმ კორპორაციის ფარული მოკავშირე ხომ არ იყო?“

ჟურნალისტის მიერ ელემენტარული ეთიკის ნორმების უგულვებელყოფა და სოფიზმი გამონათქვამის ზედაპირზე დევს. თუ ვინმე პატარაი კორპორაციის აქციონერი იყო, თავისთავად უკვე ეს ფაქტი ცხადყოფს მ. ხაზარაძესთან ამ პიროვნების კავშირს. ასე რომ, შეკითხვა მხოლოდ მ. ხაზარაძის პიროვნების დისკრედიტაციის ქვეტექსტურობას შეიცავს, ამას კიდევ უფრო ცხადს ხდის სრულიად ალოგიკური და კონტექსტისათვის შეუფერებელი განსაზღვრების ფუნქციით გამოყენებული სიტყვა „ფარული“. აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს ჟურნალისტის ასეთი შეკითხვაც:

„ქალბატონო ზიტა, მამუკა ხაზარაძესთან შეხვედრის სურვილი არასდროს გქონიათ?“ და ბოლოს: ჟურნალისტის ტენდენციურობის გამომხატველია პუბლიკაციის პოსტსკრიფტში:

„ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, როგორ ფიქრობთ, ჰგავს მამუკა ხაზარაძის ბიზნესი ყბადაღებული 500 დოლარით დაწყებულ საქმეს? ვფიქრობთ, რომ საკუთარი ერისა და ხალხის გაყვლეფის ხარჯზე აწყობილი საქმე და სხვისი გაუბედურებით გაჭედილი ბედნიერება დიდი ბიზნესი კი არა, დიდი „ბოზნესია“... სხვა თუ არაფერი, „საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციის“ მიერ ჩატარებული უპრეცედენტო მასშტაბის აფერა, მამუკა ხაზარაძეს აუცილებლად გადაიყოლებს!“

ადრესატისადმე აშკარა შემტევი ვერბალური აგრესიის გამომხატველია პროფესიულ-ინვექტივი „ბოზნესი“, ნეგატიურ-შემფასებლური სიტყვა „აფერა“, ასევე პროფესიულ-ინვექტივი „საბარასტები“ (საბას სახელობის პრემიის მფლობელთა აღსანიშნავად: „საბა+რასტ(ებ)ი“, რაც უკანასკნელ ხანს ქართული საჯარო მეტყველების სივრცეში სიტყვაწარმოებში ახალი სუფიქსის – „რასტი“ წარმოქმნა-დამკვიდრება-გააქტიურებას ცხადყოფს.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2014 წლის 21-27 ივლისის N29(1030) გამოქვეყნებულია ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძის სტატია „დეისადმე ჩაიხადა“. სტატიის თემაა „თი ბი სი ბანკის“ მიერ „საბას“ ლიტერატურული პრემიის უღირსი ლიტერატორებისათვის (ლ. ბუღაძე რ. ამაღლობელი, ე. დეისადმე) საბას პრემიის მინიჭების ფაქტი.

ჟურნალისტის ტენდენციურობას აქ ააშკარავებს ლიდის ფუნქციით გამოტანილი გამონათქვამები-გამეორებები, აწყობილი მსხვილი შრიფტით, მაგალითად:

„მამუკა ხაზარაძეს რომ ქართველი ერის ფული არ მოეპარა და ქართველი საზოგადოება ასე არ დაეჩაჩანაკებინა, ფულის

გულისთვის არც ქართველი გაიხდიდნენ თურქეთში და არც ერეკლე დეისაძე ჩაიხდიდა სახალხოდა“.

ციტატა აშკარად ცხადყოფს ჟურნალისტის შემდეგ აგრესიულ პოზიციას ადრესატისადმი, რაც კიდევ უფრო გამოკვეთილია მედიატექსტის დასკვნით ნაწილში:

„ყველაფერში მოპარული, ანუ ბინძური ფულია დამნაშავე და, რა გასაკვირია, რომ ბინძურ ფულს სწორედ დეისაძის-ნაირი ბინძური ადამიანები ეტანებიან?!“

ადამიანის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის სასამართლოების მიერ განხილვის შემთხვევები უცხო არ არის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, თუმცა ლინგვისტიკური ექსპერტიზის გამოყენების პრაქტიკა ჯერ-ჯერობით არ არის დამკვიდრებული. ამიტომ სასამართლოებს განაჩენი ასეთ შემთხვევაში ეროვნული ენობრივი ცნობიერების დონეზე გამოაქვთ, აშკარა აგრესიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ფიქსირების საფუძველზე, რომლის არსებობაც ყოველთვის არ არის მიზანმიმართული, გააზრებულ-გაცნობიერებული აგრესია. აღნიშნულის ქრესტომათიული მაგალითია გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქციის, მისი ჟურნალისტების, რედაქტორის დაპირისპირება „თი ბი სი ბანკის“ დამფუძნებელ მ. ხაზარაძესთან. სამწლიანი დავა 2017 წლის 26 ივლისს თბილისში გადაწყვიტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოსამართლეების მზია თოდუას (თავმჯდომარე), პაატა ქათამაძის (მომხსენებელი) და ეკატერინე გასიტაშვილის შემადგენლობით.

პრიველი კასატორი (მოპასუხე) იყო ჯ.ხ-ა, მეორე კასატორი (მოპასუხე) – შპს „ს-ი“, მესამე კასატორი (მოპასუხე) – დ. ჩ-ე, მეოთხე კასატორი (მოპასუხე) – ლ. ნ-ი. მოწინააღმდეგე მხარე (მოსარჩელები) – მ. ხ-ე, სს „თ-ი“.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება.

კასატორების მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

დავის საგანი – პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ახეთ „ა-ში“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გახეთი, მედია, პირველი მოპასუხე) მ.ხ-ისა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოსარჩელე) და სს „თ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ზანკი, მეორე მოსარჩელე) შესახებ გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია, კერძოდ:

1.1. 2014 წლის 10 თებერვალს გამოქვეყნდა ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ჟურნალისტი, მეორე მოპასუხე, მესამე კასატორი) სტატია, სადაც მითითებულია, რომ „მ. ს-ის ფინანსური ჟანდარმი – მ. ხ-ე „ე-ის“, თავისუფლების მოედანზე მდებარე „ცე-ის“ უზარმაზარი შენობის, „ბ-სა“ და სხვა ხილული თუ უხილავი სიკეთეების მონელებისა თუ შეტყაპუნების შემდეგ „გ-ს“ მიადგა“ (სტატიაში დასახელებული საწარმოები შემდეგში ტექსტში მოხსენიებულია, როგორც სადავო კომპანიები).

1.2. 2014 წლის 17 თებერვალს გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, მეორე მოპასუხე რესპონდენტ ზ. კ-ს უსვამს კითხვას: „თქვენ მ.ხ-ე ახსენეთ და ბარემ აქვე გკითხავთ – „გეპეის“ მეექვსე კორპუსთან მ.ხ-ემ მერაბ კოსტავას მიტინგის ჩატარების საშუალება მართლა არ მისცა, ხელი დაარტყა და მერე მ.მა მართლა სასტიკად სცემა „თ-ის“ ახლანდელი უსტაბაში? თქვენ ამას იმიტომ გეკითხებით, რომ, როგორც ვიცი, სულ მ.ის გვერდით იყავით ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე“.

1.3. 2014 წლის 3 მარტს გამოქვეყნდა მეორე მოპასუხის სხვა

სტატია, სადაც მითითებულია „როგორც გაზეთმა გამოარკვია, ჩამოთვლილი ფირმებისა და ბანკის მეშვეობით, ცრუ მეწარმეობით, უკანონ შემოსავლის ლეგალიზებით, სხვისი ქონების მითვისება-გაფლანგვით პირველმა მოსარჩელემ და მისმა „თიბისი ბანკამ“ ს-ის ყოფილი ლუბენატორსა და ელჩს – დ. მ-ეს არაპირდაპირი ფორმით 4 მილიონი დოლარი გადაუხადა და ხელში ჩაიგდო 20-30 მილიონის ქონება. ცხადია, შენობის კანონიერ მესაკუთრებს არაფერი ჰკითხეს და ერთი თეთრიც არ გადაუხადეს“. ამავე ნომერში ამავე ჟურნალისტის სტატიაში ავტორი აცხადებს: „დიახ, პირველი მოსარჩელისათვის 1989 წლის 18 თებერვლის მიტინგის დარბევა, რომელსაც საქართველოს ეროვნული გმირი – სულმნათი მ.კ-ა უძღვებოდა, ავ ბედისწერად იქცა... ან კი, რას იფიქრებდა მაშინდელი „გ-ის“ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომ-ის კომიტეტის მდივანი, რომ ქვეყანა ამოტრიალდებოდა, ქართველი ერი მ.კ-ას ეროვნულ გმირად შერაცხდა და იმ ავბედითი დღიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ აწ უკვე მილიონერ პირველ მოსარჩელეს, რომელიც მილიარდერობას ეთამაშება, გაზეთი და მკითხველი მ. კ-ას მისამართით მოქმედებულ ხელკეტს ცხვირში ძმრად ამოადენდა?“

1.4. 2014 წლის 21 აპრილს გაზეთში გამოქვეყნდა სტატია ჟურნალისტ ჯაბა ხუბუას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ჟურნალისტი, მესამე მოპასუხე, პირველი კასატორი) ავტორობით, სადაც აღწერილია სოფელ გ-ში მომხდარი ტრაგედია, ასევე, მითითებულია, რომ პირველი მოსარჩელე სადაზღვევო კომპანია „ჯ-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადაზღვევო კომპანია) მმართველი ორგანოს წევრია და სტატიის სადავო ნაწილი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „აი, ყოველივე აქედან გამომდინარე, ძვირფასო მკითხველო, ვ-ის რაიონის სოფელ გ-ში მომხდარი შემზარავი ტრაგედია – მამის მიერ შვილის გადასარჩენად თავის ჩამოხრჩობა-პირდაპირკავშირშია მ.ხ-ესთან... დიახ,

მ.ხ-ე ქართველი ხალხის ჯიბიდან ამოღებული პროცენტებით ახალისებს და ტირაჟირებას უწევს ქართველი დედის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის, პატრიარქის, სიწმინდეების შეურაცხმყოფელ „ლიტერატურას“, მაგრამ თვით-მკვლელობამდე მიჰყავს ქართველი მამა – ახალგაზრდა კაცი, რადგან მას შვილის ოპერაციის ორი ათასი ლარით დაფინანსებაზე უარს ეუბნება...”

2. 2014 წლის 23 ივლისს პირველმა და მეორე მოსარჩელემ (შემდეგში ასევე ერთობლივად მოხსენიებულები, როგორც მოსარჩელები ან პირველი აპელანტები) დაზუსტებული სარჩელი წარუდგინეს გაზეთის, გაზეთის რედაქტორის, ლ.ნ-ის (შემდეგში ასევე ერთობლივად მოხსენიებულები, როგორც რედაქტორი, მეოთხე მოპასუხე, მეოთხე კასატორი) მედიის მესაკუთრის – მშპ „ს-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც გაზეთის ან მედიის მესაკუთრე, მეხუთე მოპასუხე, მეორე კასატორი) და მოითხოვეს:

3.1. პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ხელყოფით მიყენებული მორალური ზიანის, 160000 ლარის (პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ – 80 000 ლარის, მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ 80 000 ლარის), მოპასუხეთათვის დაკისრება;

3.2. პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფის გამოქვეყნება გაზეთის იმავე გვერდზე და ისეთივე შრიფტით, როგორც გამოქვეყნდა აღნიშნული (დიფამაციური) ინფორმაცია.

4. მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ამ გადაწყვეტილების 1.1-1.4 პუნქტში მითითებული ინფორმაცია ფაქტების შემცველია, რომელიც სიმართლეს არ შესაბამება. ცრუ ინფორმაციის გავრცელებით, მოპასუხეები მიზანმიმართულად და სისტემატურად ატყუებენ საზოგადოებას, რაც მოსარჩელებს პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას ულახავს. ასეთი ინფორმაცია გაზეთის ოთხ გამოცემაში გამოქვეყნდა. იგი 10 000 ტირაჟით მაინც გამოდის და ერთი გაზეთის ღირებულება 2 ლარია. შესაბამისად, ზიანის

ანაზღაურება მოპასუხეებს სრული ტირაჟიდან მიღებულ თანხის ოდენობით უნდა დაკისრებოდეთ.

5. მოსახუბებმა სარჩელი არ ცნეს. მათ წარადგინეს მოთხოვნის წარმოშობის დამაბრკოლებელი შესაგებელი და მიუთითეს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცი არ შეიცავს ცრუ ფაქტებს. **არაერთი გამოძიება და სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა მოსარჩელეთა წინააღმდეგ, არც მოსარჩელეთა და არც მოპასუხეთა სასარგებლოდ ფაქტი დადასტურებული არ იყო**, შესაბამისად, მათი განცხადებები აზრის გამოხატვა, შეფასება იყო და არა – ფაქტების კონსტანტაცია. ასევე მათი მოსაზრებით, გაზეთი არასათანადო მოპასუხე იყო, მხოლოდ მისი გამომცემელი უნდა ყოფილიყო დასახელებული მოპასუხედ.

მედიის მესაკუთრემ წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ მოპასუხეთა მიერ გამოქვეყნებული მასალა ეყრდნობა კონკრეტულ რესპონდენტთა ინტერვიუებსა და მათ მიერ წარდგენილ დოკუმენტებს. ის მოვლენათა კომპლექსური გაშუქება იყო და მათზე დაყრდნობით ჟურნალისტების კრიტიკული შეფასება. მისი მტკიცებით, გაზეთისა და ჟურნალისტების ქმედებები არ სცილდებოდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

6. თბლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

6.1.1. მოპასუხეებს დაევალიათ: ა) გაზეთის მე-7 გვერდზე ამავე გაზეთში 2014 წლის 10-16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სადავო სტატიაში, გავრცელებული ცნობების უარყოფის გამოქვეყნება, კერძოდ, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს ის, რომ ვითომ პირველმა და მეორე მოსარჩელემ უკანონოდ მიისაკუთრეს სადავო კომპანიათა აქტივები. ბ) გაზეთის მე-6 ან მე-7 გვერდზე ამავე გაზეთის 2014 წლის 17-23 თებერვლის ნომრის სადავო სტატიით გავრცელებული

ცნობების უარყოფის გამოქვეყნება, კერძოდ, არ შეესაბამება სინამდვილეს ის, რომ პირველმა მოსარჩელემ დაარბია 1989 წლის 18 თებერვლის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამ მოძრაობის ლიდერ მ.კ-ას;

6.1.2. მოპასუხეებს დაეკისრათ გაზეთის მე-19 გვერდზე გამოაქვეყნონ ამავე გაზეთში 2014 წლის 21-27 აპრილის გამოქვეყნებული სადავო სტატიით გავრცელებული ცნობების უარყოფა, კერძოდ, რომ პირველ მოსარჩელეს კავშირი არ აქვს 2014 წლის 21 მარტს სოფელ გ-ში მომხდარ ტრაგედიასთან.

6.1.3. სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

6.2. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენციის (შემდეგში კონვენციის) მე-10 მუხლი, საქართველოს მოქალაქეთა კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) მე-18 მუხლი და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში სპეციალური კანონი) პირველი მუხლის „ე“, „ი“ ქვეპუნქტები და ამავე კანონის მე-14 მუხლი.

6.3. სასამართლოს განმარტებით, დიფამაციის საქმეებზე არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, გასაჩივრებული განცხადებები შეიცავდა თვალსაზრისს, კომენტარს, შეფასებით მსჯელობას, თუ მასში გადმოცემული იყო დადასტურებადი ან უარყოფადი ფაქტები, რომელიც არწმუნებდა მკითხველს, რომ მოვლენა სინამდვილეს შეესაბამებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ დავაზე სადავო სტატიებში მითითებული იყო გარემოებები, რაც შეიძლება დადასტურებულიყო ან – არა. სასამართლომ დადგინა, რომ სტატიები ეძღვნებოდა: 1. მეწარმე სუბიექტის სავარაუდო გაკოტრებასა და მისი ქონების უკანონო მითვისებას, ასევე, პარალელებს სხვა მეწარმე სუბიექტებისა თუ კერძო პირების ქონების სავარაუდო უკანონო დაუფლებას; დასახელებული იყო

კონკრეტული მაღალი თანამდებობის პირი და არაპირდაპირი ფორმით გადაცემული თანხა. 2. ქართველებისათვის თვალსაჩინო პიროვნების – მ.კ.-ასთან სავარაუდო ფიზიკურ შეხებას და 1989 წელს ეროვნული ძალების მიერ ჩატარებული მიტინგის უკანონო ხერხებით დაშლას; 3. სადაზღვევო კომპანიის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობის სავარაუდო შეუსრულებლობას და აის გამო სოფელ გ-ში დატრიალებულ ტრაგედიას.

6.4. სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დაადგინა, რომ არცერთი ზემოთ ხსენებული ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ამავდროულად, სტატი იყო ნეგატიური, ბანკი დადანაშაულებული იყო საკუთრების უკანონოდ ხელში ჩაგდებაში, რამაც კომერციული პირის საქმიან რეპუტაციას ზიანი მიაყენა. პირველი მოსარჩელის მიმართ წამოყენებული იყო მნიშვნელოვანი ბრალდებები, უარყოფითი ინფორმაცია, რაც გავლენას ახდენდა საზოგადოებისათვის ცნობილი პირის რეპუტაციაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი არ წარმოადგენდა პოლიტიკურ ფიგურას და მის მიმართ არსებობს გამოხატვის თავისუფლების შედარებით ვიწრო ფარგლები. შესაბამისად, სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მიზანშეწონილად მიიჩნია.

6.5. სასამართლოს განმარტებით, ჟურნალისტი მოვალეა, ინფორმაცია შეაჯეროს სხვადასხვა წყაროსთან, საშუალება მისცეს პირს, რომლის წინააღმდეგაც ამზადებს რეპორტაჟს, პასუხი გასცეს კითხვებს, გააკეთოს კომენტარი და მხოლოდ შეჯერებული და დაბალანსებული სახით წარუდგინოს საზოგადოებას. როდესაც სუბიექტი დადანაშაულებულია სისხლის სამართლის დანაშაულში, აუცილებელია, ჟურნალისტი ეყრდნობოდეს გადამოწმებულ ფაქტებს, სარწმუნო მტკიცებულებებს, რაც უდავოს ხდის დანაშაულებრივი ქმედების არსებობას. სასამართლოს მითითებით, გამოხატვის თავისუფლების მოსარგებლე ვალდებულია, იმოქმედოს ისე, რომ სხვა

მომიჯნავე ღირებულებები არ დაარღვიოს და არ ხელჰყოს ადამიანის კონსტიტუციით დაცული და გარანტირებული პატივისა და ღირსების უფლება.

6.6. რაც შეეხება ზიანს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი დაკისრებისათვის მნიშვნელოვანი იყო მედიის სახეობა, კერძოდ, მოპასუხე მედიასაშუალება ყოველკვირული გაზეთი იყო და არა – ტელევიზია, რაც საფუძველს იძლეოდა, რომ ამ მედიასაშუალების მიმართ გამოყენებულიყო შეზღუდვის მინიმალური სტანდარტი. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებმა კონკრეტული მტკიცებულებებით ვერ დაასაბუთეს, გაზეთი რა მასშტაბით ვრცელდებოდა და რა ტირაჟით იყიდებოდა. ამიტომ, სასამართლომ მიუთითა, რომ იგი შეზღუდული იყო ემსჯელა ამგვარი ცნობების გავრცელებით მიყენებული ზიანის მოცულობაზე.

7. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე მხარემ.

7.1. სასამართლოს გაზეთის გავრცელებით მიყენებული ზიანის ოდენობაზე მსჯელობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა ვინაიდან მოსარჩელების მიერ სარჩელში მითითებული გაზეთის გავრცელების ტირაჟი (სულ მცირე, ასი ათასი) მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია. აპელანტთა მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურებაზე უარი, სრულიად დაუსაბუთებელი იყო და ეწინააღმდეგებოდა თავად ამ გადაწყვეტილებაში მოცემულ სხვადასხვა მსჯელობას.

7.1.2. სასამართლომ არ იმსჯელა კომპენსაციის პრევენციულ ფუნქციაზე, რასაც წინამდებარე საქმეში, პუბლიკაციების ინტენსივობიდან და სისტემატური ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ფინანსური სანქციის არათანაბარზომიერებაზე მსჯელობისას, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა სტატიების გამოქვეყნების სისტემატური ხასიათი: განსხვავებით ევროსასამართლოს პრეცედენტისგან, სადაც სასამართლომ იმსჯელა „მსუსხავი

ეფექტის“ ტესტზე (Erdogdu v. Turkey)წინამდებარე საქმეში ერთჯერადი ან თუნდაც რამდენიმე საგაზეთო სტატია კი არ იყო, არამედ 2014 წლის 10 თებერვლიდან დაწყებული ამ დრომდე არ გამოსულა არცერთი ნომერი, რომელშიც უარყოფით და შეურაცხმყოფელ კონტექსტში არ იყვნენ მოსარჩელები მოხსენიებული.

7.1.3. პირველ აპელანტთა მოსაზრებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფორმულირებით მოპასუხეებს შეეძლოთ, შეერჩიათ ნებისმიერი, მათ შორის, წვრილი და შეუიარაღებელი თვალით შეუმჩნეველი შრიფტი გავრცელებული ცნობების უარსაყოფად, მაშინ, როცა დიფამაციური სტატიები ვრცელდებოდა მსხვილი სათაურებით, ხშირ შემთხვევაში, ბანკის ლოგოსა და პირველი მოსარჩელის სურათების მითითებით მკითხველის ყურადღების უკეთ მოსაპყრობად. შესაბამისად, პირის დარღვეული უფლების აღსადგენად, აუცილებელი იყო, მოპასუხეებს უარმყოფელი ცნობების გამოქვეყნება იმავე შრიფტით დავალებოდათ, რომლითაც გავრცელდა დიფამაციური ხასიათის განცხადებები.

7.2. მოპასუხე მხარემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით მოითხოვა:

7.2.1. მეორე აპელანტის განმარტებით, ნებისმიერ კონკრეტულ საკითხზე კონკრეტული რესპონდენტის მიერ ინტერვიუები მტკიცებითი ფორმით იყო მიცემული და მათ მიერ წარმოდგენილი იყო მასალებიც. ასეთ ვითარებაში აპელანტისათვის გაუგებარია, თუ როგორ უნდა უარყოს მოპასუხე მხარემ ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულმა რესპონდენტმა გაავრცელეს ინტერვიუებში. აღსანიშნავია, რომ ამავე საკითხზე სხვა საინფორმაციო საშუალების პუბლიკაცია მოსარჩელე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

7.2.2. მეორე აპელანტის მოსაზრებით, მოსარჩელე მხარემ დაადასტურა, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორ-

მაცია არსებითად მცდარ ფაქტებს შეიცავდა. მოსარჩელეს არ წარუდგენია მათ მიმართ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამაბათილებელი მტკიცებულებები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებელია ჟურნალისტს საკუთარი აზრისა და პოზიციის გამოხატვის შეზღუდვა დაუწესდეს და ამისათვის მას პასუხისმგებლობა დაეკისროს.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებებით:

8.1.1. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

8.1.2. გაზეთის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა;

8.1.3. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება გაზეთისათვის ცნობების უარყოფისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში;

8.1.4. მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

8.1.5. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში;

8.1.6. დადგინდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით გათვალისწინებული ცნობების უარყოფის გამოქვეყნება ისეთივე შრიფტით, რომლითაც გამოქვეყნდა აღნიშნული (დიფამაციური) ინფორმაცია;

8.1.7. გაზეთის მესაკუთრებს, რედაქტორსა და ჟურნალისტს (მეორე მოპასუხეს) დაეკისრათ 2014 წლის 10-16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით მიყენებული მორალური/არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად, სულ - 2 000 ლარის სოლიდარულად გადახდა, აქედან, 1 000 ლარი - პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო 1 000 ლარი - მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ;

8.1.8. გაზეთის მესაკუთრეს, რედაქტორსა და ჟურნალისტს

(მეორე მოპასუხეს) სოლიდარულად დაეკისრათ 2014 წლის 17-23 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 2 000 ლარის გადახდა, პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ;

8.1.9. გაზეთის მესაკუთრეს, რედაქტორსა და ჟურნალისტს (მესამე მოპასუხეს) სოლიდარულად დაეკისრათ 2014 წლის 21-27 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 2 000 ლარის გადახდა, პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ;

8.2. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სტატიებში ასახული ინფორმაცია ფაქტების შემცველი იყო და ისინი არ შეიძლებოდა ავტორის მოსაზრებად მიჩნეულიყო, თუმცა, სასამართლოს განმარტებით, მოსაზრებაც, თავის მხრივ, რეალურ, სიმართლესთან შესაბამის, მტკიცებად ფაქტებს უნდა დაფუძნებოდა, მით უფრო მაშინ, როდესაც მოსაზრება პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი იყო.

8.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველ მოსარჩელეს კავშირი არ ჰქონდა 2014 წლის 21 მარტს სოფელ გ-ში მომხდარ ტრაგედიასთან. პალატამ განმარტა, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანა წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას, თუმცა საქმეზე წარმოდგენილი არ იყო განაჩენი ამ დანაშაულის პირველი მოსარჩელის მიერ ჩადენის დასადასტურებლად. განაჩენის არარსებობა კი, საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ქმნიდა პრეზუმფციას, რომ დანაშაული არ ჩადენილა. პალატამ მიუთითა, რომ არც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობა არსებობდა საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის ან ჯეროვანი შესულების გამო, ვინაიდან პირველი მოსარჩელე სადაზღვევო კომპანიაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო და საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, უფლებამოსილ იყო, მონაწილეობა

მიეღო კენჭისყრაში მხოლოდ საბჭოზე გატანილ და საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების თაობაზე. კომპანიის წესდების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხის გადაწყვეტა სამეთვალყურეო საბჭოსა და პარტნიორთა კრების უფლებამოსილების ფარგლებს სცილდებოდა.

8.4. პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა სადავო სტატიაში მითითებული ფაქტები, რომ მოსარჩელეებმა უკანონოდ მიისაკუთრეს დასახელებული კომპანიები. სასამართლომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად დადგენილად მიიჩნია, რომ ბანკმა ერთ-ერთი კომპანიის აქციათა 55% კანონიერი გზით შეიძინა, ბანკის მიერ გაცემული სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული საწარმოს მიერ სესხის ხელშეკრულების დარღვევის გამო, გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად. თავის მხრივ, ვადამოსული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი გახდა კომპანიის დამფუძნებლებისა და ხელმძღვანელის მიერ კომპანიის სახსრების მართლსაწინააღმდეგო გზით მითვისების გამო. რაც შეეხება თავისუფლების მოედანზე მდებარე შენობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარდგენილ საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია უძრავი ქონების მესაკუთრე და საკუთრების შეძენის სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნული მტკიცებულების საწინააღმდეგო მტკიცება, რომელიც დაადასტურებდა სადავო შენობის უკანონოდ შესყიდვას, საქმეში წარმოდგენილი არ იყო. პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ბორჯომის საბადოს მინერალური წყლის მოპოვება-წარმოების უფლება მიღებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზით, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებისა და მოთხოვნების დაცვით. ამასთან, ბანკი არასოდეს ყოფილა წყლის მოპოვების ლიცენზიატი კომპანიის დამფუძნებელი.

პირველი მოსარჩელე კი, კომპანიის წილის ბენეფიციარი მესაკუთრე 2012 წლამდე იყო. რაც შეეხება სადავო კომპანიათაგან ერთ-ერთს, რომელიც რეაბილიტაციის რეჟიმში იმყოფებოდა, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ბანკმა მხარი დაუჭირა რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყებას.

8.5. სააპელაციო პალატამ მოწმეთა ჩვენებებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დაადგინა, რომ სადავო სტატიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, პირველი მოსარჩელის მიერ 1989 წლის 18 თებერვალს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგის დარბევისა და მოძრაობის ლიდერ მერაბ კოსტავასათვის ფიზიკური შეურაცხყოფის თაობაზე სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

სასამართლომ განმარტა, რომ ფაქტის შემცველი, მიმანიშნებელი კითხვის დასმა ფაქტზე მითითებად და არა მოსაზრების გამოხატვად განიხილება. ისტორიულ ფაქტთან და-ებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჟურნალისტის მოვალეობანი და პასუხისმგებლობა, ცალმხრივად მიღებული ინფორმაცია გავრცელებამდე სხვა გზითაც გადაემოწმებინა. იგივენიარად უნდა გადამოწმებულიყო ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც, თავისი არსით, დანაშაულის ნიშნების შემცველი იყო.

8.6. სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური კანონი მოსარჩელეს აკისრებს მის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის დადასტურების ვალდებულებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტი ვალდებული, ამტკიცოს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ ჟურნალისტური ეთიკის ფარგლებში მიღებული ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად. სპეციალური კანონის მიხედვით, მისი ინტერპრეტირება უნდა მოხდეს... კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესა-

ბამისად, ამიტომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს, რამდენად განხორციელებადია მტკიცების ტვირტი შეზღუდვის ინიციატორის მხრიდან, განსაკუთრებით უარყოფითი ფაქტის მტკიცების კონტექსტში და კანონის ინტერპრეტაციისას უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით.

მიუხედავად მტკიცების ტვირტის აღნიშნული წესით განაწილების პრეცედენტული საფუძვლისა, სასამართლომ ამ შემთხვევით კანონისმიერი დანაწესით იხელმძღვანელა და დაადგინა, რომ მოსარჩელემ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდა გავრცელებული ფაქტების მცდარობა. პალატამ მიიჩნია, რომ დარღვეულ იყო ჟურნალისტის მოვალეობანი და პასუხისმგებლობა, გაავრცელოს გადამოწმებული ინფორმაცია, ამასთან აღნიშნული ფაქტები პირველი მოსარჩელისათვის პატივისა და ღირსების შემლახველი იყო, ხოლო ბანკისათვის – საქმიანი რეპუტაციის ხელმყოფელი, რაც იმთავითვე მორალური ზიანის დაკისრების წინაპირობას ქმნიდა. ცილისწამებისათვის პასუხისმგებელ პირებად კი, სასამართლომ ჟურნალისტი, მედიის მესაკუთრე და რედაქტორი მიიჩნია.

8.7. არამატერიალური ზიანის მტკიცებასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება არის თუ არა ზიანის მიმყენებელი, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და ურთიერთშეჯერებით უნდა დადგენილიყო. ამასთან, ამ ზიანის (არაქონებრივი) დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისი იყო. პალატის განმარტებით, მორალური ზიანი იმ ოდენობის უნდა იყოს, რომ მოპასუხისათვის მისი დაკისრება მძიმე ქონებრივ ტვირტს არ წარმოადგენდეს და, ფინანსური თვალსაზრისით, მისი შემდგომი საქმიანობის გაგრძელებას საფრთხე არ შეექმნას. ამ კონტექსტით, პალატამ მიიჩნია,

რომ თითოეული დარღვევისათვის 2000 ლარის დაკისრება გონივრული და კანონთან შესაბამისი იყო.

9. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს იმ მოპასუხეებმა, რომელთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა (მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მოპასუხე) და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა.

9.1. პირველი კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ სპეციალური კანონის იმპერატიული ნორმები არასწორად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად განმარტა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოში აქამდე არსებულ პრაქტიკას, კერძოდ, კანონის მიხედვით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას, მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება, ანუ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მის მიმართ ცილისწამება გავრცელდა. სააპელაციო სასამართლომ კი მიიჩნია, რომ მოსარჩელეებს, სირთულის გამო, გაუჭირდებოდათ ამის მტკიცება და შინაგანი რწმენის საფუძველზე ევროპული პრეცედენტის გამოყენება გადაწყვიტა.

პირველი კასატორის განმარტებით, მართალია, კანონის მეორე მუხლის მიხედვით, იგი ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სიმართლის შესაბამისად უნდა განიმარტოს, თუმცა დაუშვებელია ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ნორმატიული ხასიათი მივაკუთვნოთ თუკი იგი სპეციალური კანონის იმპერატიულ ნორმას ეწინააღმდეგება. ამასთან, იგი სავალდებულოა მხოლოდ მათთვის ვინც კონკრეტულ დავაში მხარეს წარმოადგენს.

9.2. სასამართლომ უდანაშაულობის პრეზუმფციაზე მითითებით დაადგინა, რომ, რადგან სასამართლოში გამამტყუნებელი განაჩენი არ იყო წარდგენილი, მოსარჩლეებს არ ჰქონდათ სტატიებში მითითებულ ფაქტებთან, მაშინ როდესაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მათი

არარსებობა. საქმეში წარმოდგენილ მასალათა ერთობლიობა ბევრ კითხვასა და ეჭვს ბადებს. ეჭვის არსებობისას კი, დავა უნდა გადაწყდეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ.

კასატორის მოსაზრებით, კანონის არასწორი განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარ საქმეებზე კანონით დაცულ უფლებათა დარღვევა ზიანის არსებობის დასამტკიცებლად საკმარისი იყო. მით უფრო, რომ საქმე საჯარო პირსა და იურიდიულ პირს ეხება. კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობს მტკიცებულებები, რომელიც ორივე მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტს დაადასტურებდა.

იგი სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებასაც ხდის სადავოდ და მიუთითებს, რომ სწორედ იმ კომპანიამ, რომელსაც მეორე მოსარჩელე მეთვალყურეობდა თავისი ბიუროკრატიული მექანიზმის, სამსახურებრივი დაუდევრობისა და ზნეობრივი დანაშაულის გამო, ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

9.3. მეორე კასატორი მიუთითებს გადაწყვეტილების 9.1-9.2. პუნქტში აღნიშნულ პრეტენზიებზე და დამატებით სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ 8.4. პუნქტში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას. მისი მოსაზრებით, ჟურნალისტმა ცრუ ფაქტი კი არ გაავრცელა, არამედ ხატოვნად გადმოსცა თავისი შეხედულება კომპანიების შეძენასთან დაკავშირებით. სტატიაში ნახსენები ფრაზები – „ფინანსური ჟანდარმი“, „ყაჩაღბანკირი“ და სხვა ჟურნალისტის მოსაზრება და პირადი შეფასებაა. აზრისა და ფაქტის ერთმანეთისაგან გასამიჯნად მასალა მთლიანობაში უნდა შეფასდეს და არა – კონტექსტიდან ამოჭრილად.

სასამართლოს მითითებით, მოპასუხე მტკიცებით ფორმით ავრცელებს განცხადებას, რომ პირვლმა მოსარჩელემ აქტივები უკანონოდ მიითვისა, მაშინ, როდესაც აღნიშნული რაზა სადავ სტატიაში არც მითითებული და არც ნაგულისხმევი არ არის.

ამასთან საყურადღებოა, რომ კვლავ მიმდინარეობს გამოძიება შენობის უკანონო მითვისების ფაქტზე, სისხლის სამართლის საქმეში პირველი და მეორე მოსარჩელებიც ფიგურირებენ. მოსარჩელემ მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერი წარადგინა, რითაც მოსარჩელები ვერ ადასტურებენ, რომ ამ საკითხზე გამოძიება არ მიმდინარეობს. მოსარჩელეს კი არ გაუვრცელებია ინფორმაცია, რომ მოსარჩელე მსჯავრდებული ან ბრალდებულია.

9.4. მეორე კასატორი სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ 8.5. პუნქტში მითითებულ გარემოებასაც ხდის სადავოდ და ამტკიცებს, რომ საქმეში წარმოდგენილია საგაზეთო ინტერვიუები, სადაც რესპონდენტები პირველ კასატორს ამხელენ მიტინგის დარბევასა და მ. კ-ას მიმართ ხელის აღმართვაში. ერთ-ერთმა მიტინგის დარბევისას ამოიგნეს დაკითხული მოწმეები კი, უტყუარად ვერ ადასტურებენ მიტინგზე პირველი მოსარჩელის არყოფნას. აღნიშნულ საკითხზე მასალები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაერთხელ გამოქვეყნდა, თუმცა მოსარჩელეს ცილისწამებაზე არასოდეს უდავია.

9.5. მესამე და მეოთხე კასატორის საკასაციო პრეტენზიები მეორე კასატორის პრეტენზიათა იდენტურია.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა

დაკმაყოფილდეს, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე კასატორთა საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დასაბუთებულია და ისინი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

12. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრებით კასატორები აპელირებენ, რომ სადავო სტატიები შეიცავდა როგორც ჟურნალისტთა შეფასებას (აზრს), ისე ფაქტებს. ფაქტები კი, თავის მხრივ, სინამდვილეს შეესაბამება, ვინაიდან მოსარჩელემ მათი მცდარობა ვერ დაადასტურა. ამდენად, სადავოა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებულ პრეტენზია (შედავება). „დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია“ გულისხმობს კასატორის მითითებას იმ საპროცესო სამართლებრივ დარღვევებზე, რასაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა მოჰყვა. მოცემულ შემთხვევაში, კასატორები მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებაზე აპელირებენ.

13. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პირველი მოსარჩელე მიჩნეულია საჯარო პირად და ეს გარემოება მხარეთა მიერ სადავო არ გამხდარა. შესაბამისად, მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო ირის ცილისწამებისათვის გათვალისწინებული სტანდარტი, რომლის სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს სპეციალური კანონის მე-14 მუხლი (პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში ამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი

ან მოპასუხებ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება).

მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთის მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს შემდეგი:

ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;

ბ) სადავო განცხადება არ შესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;

გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა;

დ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან/და საქმიან რეპუტაციას.

ასევე, სარჩელის წარმატებისათვის უნდა გაირკვეს რომ არ არსებობს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, კერძოდ, რომ განცხადება, სპეციალური კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში არ გავრცელებულა; უნდა დადგინდეს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული კვალიფიციურ პრივილეგიის მიმნიჭებელი გარემოებების არარსებობა; ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არსებობა (თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა, სადავო განცხადებაში მითითებული ფაქტის დაუდასტურებლობის და მცდარობის გამო).

14. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სტატიების მოპასუხის მიერ გავრცელების ფაქტი სადავო არაა. კასატორები მიიჩნევენ, რომ გამოქვეყნებული სტატიები დაფუძნებულია რესპოდენტთა გამონათქვამებსა და ჟურნალისტთა შეფასებებზე, რაც მოპასუხეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორთა ზემოაღნიშნულ მტკიცებას და აღნიშნავს, რომ ხუთივე სადავო სტატია ისეთ კონკრეტულ ინფორმაციას შეიცავს, რომელთა დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია. ხშირად აზრისა და ფაქტის გამიჯვნა რთულია, თუმცა, როგორც სპეციალური კანონის, ისე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (შემდგომში ევროსასამართლო) პრეცედენტული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ანალიზით მათი განსხვავება შესაძლებელია.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ სპეციალური კანონით მოცემულია როგორც აზრის (*შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს*), ისე ცილისწამების (*არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მომყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება*) დეფინიცია, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის. მითითებული ნორმის მიხედვით, „აზრი“ ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი გულისხმობს განსჯას დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ერთმანეთისაგან განასხვავდნა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა), ევროსასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, მაშინ,

როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას. ...რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ფულების ფუნდამენტურ ნაწილს (**Lingens v. Austria; Jerusalem v. Austria; Dichand and Others v. Austria**).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (*სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3.04.2012*). მოცემულ შემთხვევაში, სადავო სტატიებში ინფორმაცია და გამონათქვამები მტკიცებითი და არა შეფასებითი ფორმისაა – „როგორც გაზეთმა გამოარკვია, ჩამოთვლილი ფირმებისა და ბანკის მეშვეობით, ცრუ მეწარმეობით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებით, სხვისი ქონების მითვისება – გაფლანგვით პირველმა მოსარჩელემ და მისმა „თიბისი ბანკამ“ ს-ის ყოფილ გუბერნატორსა და ელჩს... არაპირდაპირი ფორმით 4 მილიონი დოლარი გადაუხადა და ხელში ჩაიგდო 20-30 მილიონი ქონება. ცხადია, შენობის კანონიერ მესაკუთრეს არაფერი ჰკითხეს და ერთი თეთრიც არ გადაუხადეს“. სტატია ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ მკითხველზე დადასტურებული ფაქტის შთაბეჭდილებას ტოვებს. რაიმე მსჯელობა ან იმაზე მინიშნება, რომ ეს მხოლოდ სტატიის ავტორის მოსაზრებაა, არ გვხვდება, პირიქით, ავტორი ირწმუნება, რომ ამგვარი ფაქტები „გაზეთმა გამოარკვია“.

ასევე, დადასტურებულ ფაქტად არის მოხსენიებული და სუბიექტურ შეფასებად ვერ მიიჩნევა პირველი მოსარჩელის მიერ მ.კ-ას ცემის შემთხვევა, – „ან კი, რას იფიქრებდა პირველი მოსარჩელე, რომ... გაზეთი და მკითხველი მ.კ-ას მისამართით მოქმედებულ ხელკეტს ცხვირში ძმრად ამოადენ-

და?“ მიმანიშნებელი კითხვაც - „გ-ის“ მეექვსე კორპუსთან მ.ხ-ემ მ.კ-ას მიტინგის ჩატარების საშუალება მართლა არ მისცა, ხელი დაარტყა და მერე მ. მა მართლა სასტიკად სცემა „თ-ის“ ახლანდელი უსტაბაში?“, – აღწერს ობიექტურად არსებულ გარემოებას და მასზე ვრცელდება სისწორისა და ნამდვილობის მტკიცების კრიტერიუმები. ამდენად, კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სადავო სტატია შეიცავდა მხოლოდ ჟურნალისტის შეფასებას (აზრს) და არა ფაქტებზე მითითებას, გაზიარებული ვერ იქნება.

ასევე, 21.04.2014 წლის სადავო სტატიაში მოპასუხე პირველ მოსარჩელეს პირის თვითმკვლელობამდე მიყვანაში ადანაშაულებს და გადმოცემს კონკრეტულ ფაქტებს, თუ რომელი ადამიანის თვითმკვლელობასთან არის დაკავშირებული, რა ფორმით არის დაკავშირებული და რა ვითარებაში მკვლელობასთან – „პირველ მოსარჩელეს... თვითმკვლელობამდე მიყვანვს ქართველი მამა-ახალგაზრდა კაცი, რადგან მას შვილის ოპერაციის 2 ათასი ლარით დაფინანსებაზე უარს ეუბნება...“

როგორც უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა (№ას-677-638-2011, 24.19.2012) ცილისწამების მაკვალიფიცირებული ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომელიც რეალობისგან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია. სადავო სტატიების ზემომითითებული ინფორმაცია ყველა ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს და არცერთი გადმოცემული ფაქტი არ არის მოკლებული ობიექტურ (ფაქტობრივ) სიცხადეს.

რაც შეეხება საკასაციოსა ჩივრებში მითითებულ პრეტენზიას, რომ სტატიებში ნახსენები ფრაზები „ფინანსური ჟანდარმი“, „ყოჩაღ ბანკირი“, „სულით კომსომოლა“ ჟურნალისტის პირადი შეფასებაა, სასამართლო განმარტავს შემდეგს: ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ

უ-დება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე – ფაქტობრივი ელემენტები. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სტატიებში, ბუნებრივია, მხოლოდ ფაქტები არ არის გადმოცემული და ჟურნალისტთა მოსაზრებასა თუ შეფასებასაც შეიცავს, თუმცა აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომ ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი (შდრ. №ას-1278-1298-2011, 20.02.2012). მოცემულ შემთხვევაში, დასახელებული გამონათქვამები არც მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით და არც იზოლირებულად განხილვის შემთხვევაში არ იძლევა მათი ფაქტის კატეგორიისადმი მიკუთვნების საკმარის საფუძველს. ამასთან, ევროსასამართლოს განმარტებით, როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს (Dichand and Others v. Austria). მოცემულ შემთხვევაში კი, გამოხატვა განხორციელდა იმგვარი ფორმით და მანერით, რომ პირველი მოსარჩელე წარმოიჩინდა, როგორც დამნაშავე, რომელმაც თავი აარიდა პასუხისმგებლობას: პირის თვითმკვლელობამდე მიყვანა, ქონების მითვისება, ეროვნული გმირის ცემა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო კასატორმა მოპასუხის განცხადებისათვის „აზრის“ სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით, ვერ წამოადგინა დასაბუთებული პრეტენზია.

15. ცილისწამების შემადგენლობის უმთავრესი ელემენტი სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორთა პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი და მათ მოსთხოვა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტების დადასტურება. სპეციალური კანონის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება, დაადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო 21.04.2014 წლის სტატიის ავტორი ირწმუნება, რომ პირველმა მოსარჩელემ დანაშაული ჩაიდინა – პირი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. პირველი კასატორი საკასაციო საჩივარშიც ადასტურებს, რომ პირველი მოსარჩელე სოფელ გ-ში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებულია, ვინაიდან მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფმა კომპანიამ სამსახურებრივი დაუდევრობისა თუ ზნეობრივი დანაშაულის გამო ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ამ ფაქტების ჭეშმარიტების დადასტურება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებითაც რამდენადაც სეიოზული ბრალდება, იმდენად სერიოზული უნდა იყოს ფაქტობრივი საფუძველი (*Abeberry v France*). შეუძლებელია, თუნდაც სამოქალაქო საქმეზე პირს იმის მტკიცება მოეთხოვებოდეს, რომ მას დანაშა-

ული არ ჩაუდენია და, ამდენად, ამ ინფორმაციის შემცველი განცხადება ცილისმწამებლურია. ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას. გარდა ამისა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სადაზღვევო კომპანიის წესდების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხს სამეთვალყურეო საბჭო არ წყვეტს. შესაბამისად, პირველი მოსარჩელის, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტი არ დგინდება, რის გამოც არ დგინდება ხსენებულ ტრაგედიასთან მისი-ი.

სტატიაში დასახელებული კომპანიების აქტივებთან მიმართებით კასატორები მიიჩნევენ, რომ ჟურნალისტის მიერ მითითებული „მონელება და შეტყაპუნება“ უკანონოდ მითვისება არ გულისხმობდა, შესაბამისად, ამ ინფორმაციის სისწორეზე კასატორები არ დავობენ. ხოლო თვისუფლების მოედანზე მდებარე ქონების უკანონოდ მითვისების ნაწილში, კასატორის მოსაზრებით, სარჩელის დაუსაბუთებლად მიჩნევის მთავარი წინაპირობა ის გარემოებაა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების გამო არ არის გადაწყვეტილი გავრცელებული ინფორმაციის მცდარობის საკითხი.

საქმეში წარდგენილი არ არის შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებასთან მოსარჩელეთა -ს დაადასტურებდა. ასეც რომ იყოს, აღნიშნული დასტური იქნებოდა იმისა, რომ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დადასტურდებოდა მათ მიერ დანაშაულის ჩადენა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელეთა წინააღმდეგ გამოძიება არ მომდინარეობს, ან თუნდაც გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და საქმეზე არ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი, საკმარისია შეფასების გასაკეთებლად, რომ მოსარჩელემ დაძლია სპეციალური კანონით დადგენილი მტკიცების ტვირ-

თი, რაც სარეცელის საფუძვლად მითითებული გარემოების (გავრცელებული განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს) დადასტურებულად მიჩნევის შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგზე ეროვნული გმირის – მ.კ.-ას ცემას, სარჩელის დამამტკიცებელ მტკიცებულებად მოსარჩელის მხარის განმარტებაც უნდა განვიხილოთ, რომლის დამაჯერებლობა საფუძვლიანად გამყარებულია საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებითაც. სასამართლოს შინაგანი რწმენა ცემის ფაქტის მცდარობის თაობაზე, მოწმეთა ჩვენებებთან ერთად, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან წარმოდგენილ მტკიცებულებასაც ემყარება, რომლის მიხედვითაც მითითებულ მოვლენებზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში პირველი მოსარჩელის ახსნა-განმარტება არ ინახება.

ამდენად, კასატორთა პრეტენზია, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზაცია, დაუსაბუთებელია. საკასაციო პალატის შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა და განმარტა სპეციალური კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი, *(სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ)*, სწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და მართებულად დაასკვნა, რომ მოსარჩელემ წარმოადგინა საპირისპირო რაიმე მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს ფაქტების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს გაუჩენდა.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთთან და-ებით მოხმობილ McVical-ის საქმეს, ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მე-10 მუხლთან პრინციპულად შეუთავსებელი არ იყო ცილისწამების საქმეებზე მოპასუხი-

სათვის დიფამაციური განცხადებების სიმართლის მტკიცების დაკისრება. სასამართლომ მითითა Bladet Tromsø and Stensaas-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სადაც მან განმარტა, რომ გაზეთის გავრცელებამდე ფაქტების შესახებ განცხადებების გადამოწმება წარმოადგენდა სრულიად ორდინარულ ვალდებულებას. ევროსასამართლოს მიდგომა მტკიცების ტვირთთან და-ებით არ არის იმგვარი, რომ ფაქტების სისწორის მტკიცება ყოველთვის მოპასუხეს ეკისრებოდეს (მაგალითად, სახელმწიფო მოხელეთა მიერ აღძრულ საჩივრებში ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ტვირთის კისრება აზრის გამომხატველისთვის წარმოადგენს მე-10 მუხლის დარღვევას), არამედ სასამართლო მიიჩნევს, რომ ჟურნალისტმა თავისი „მოვალეობისა და პასუხისმგებლობის“ შესრულება უნდა დაამტკიცოს (იხ. 19 პუნქტი).

ასევე ვერ იწევა გაზიარებული კასატორთა პრეტენზია ევროსასამართლოს პრეცედენტული სიმართლის გამოყენებასთან და-ებით, ვინაიდან გარდა იმისა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განმტკიცებული კანონის იერარქიის პრინციპებიდან გამომდინარე, კონვენცია უპირატესია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონზე, თავად კანონის მეორე მუხლიდან გამომდინარე კანონის ინსპექტირება უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად (*ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად*). მითითებული პრეტენზია უსაფუძვლოა იმიტომაც, რომ სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთი სწორედ საქართველოში აქამდე არსებულ პრაქტიკას შესაბამისად გა-

ანაწილა, რომელიც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე არ ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

16. რაც შეეხება კასატორთა აპელირებას, რომ სტატიათა ნაწილი რესპოდენტთა გამონათქვამებია, რომლებიც სამართლებრივად სათანადოდ არ შეფასდა, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავების განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს გამავრცელებლის მიმართებას მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მცდარობა-ჭეშმარიტებასთან. დაუშვებელია, მედიის წარმომადგენლებს მოეთხოვოს ასი პროცენტი გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, თუმცა გონივრულ ფარ-გლებში გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელების სტანდარტის დაცვა აუცილებელია, რომ არ გაუფასურდეს დემოკრატიული ფასეულობები. ქცევის ამგვარი სტანდარტის დაწესება სრულიად შეესაბამება სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს. ადამიანთა უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პრესის თავისუფლებისაგან განუყოფელია ჟურნალისტიკის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, მათ შორის მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი, საჭიროების შეხედულებებს და იზრუნოს იმისათვის, რომ ნებისთი თუ უნებლიეთ არ გადაიქცეს სიძულვილის მომწოდებელი განცხადებების გამავრცელებლად. სადაცო სტატიებში ჟურნალისტები არათუ გაემიჯნენ რესპოდენტთა შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, არამედ თავადაც გამოთქვამდნენ ამგვარ ფრაზებს.

17. საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელეთა მტკიცებას, რომ მოპასუხეთა ქმედება მიზანმიმართული იყო და განცხადებული ფაქტების მცდარობა მოპასუხისათვის წინაწარ იყო ცნობილი.

როდესაც სტატია ფაქტებს ეხება, მნიშვნელოვანია, დასტურდებოდეს ჟურნალისტიკის მიერ საკუთარი ვალდებულებების

შესრულება: მისი მხრიდან ფაქტების გადამოწმება და კრიტიკის ობიექტისათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ პრესის მეშვეობით პასუხის გასცეს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს. შეუსრულებლობა ბადებს საფუძვლიან ეჭვს ჟურნალისტის განზრახვასთან მიმართებით, მას ამომძრავებს საზოგადოების ინფორმირების სურვილი თუ თავს ესხმის ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომლის მიზანი შეურაცხყოფა და რეპუტაციის შელახვაა.

საკასაციო პალატა იზიარებს ევროსასამართლოს მიდგომას, რომ, როდესაც ჟურნალისტი „არაკეთილსინდისიერია“ მოქმედებს მისი (ჟურნალისტის) დაცვის ხარისხი გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა შემთხვევაში. კონვენციის მეათე მუხლი ითვალისწინებს როგორც უფლებებს, ასევე - ვალდებულებებს, რომლებიც უნდა დაიცავს პირმა, თუკი იგი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ეს მოვალეობები პრესაზეც ვრცელდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება პირის რეპუტაციის შელახვას. მეათე მუხლის თანახმად, ჟურნალისტები კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდნენ და უზრუნველყოფდნენ ზუსტი და სათანადო ინფორმაციის მიწოდებას ჟურნალისტური ეთიკის საფუძველზე (Bladet Tromsø and Stensaa v. Norway).

საქმეზე დადგენილი გარემოებები ჟურნალისტის მხრიდან ამ მოვალეობათა დარღვევაზე მიუთითებენ. საკასაციო საჩივრები კი არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას მათ მიერ პროფესიულ მოვალეობათა დაცვასთან დაებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, თუ დადასტურდებოდა, რომ ჟურნალისტმა ინფორმაცია მიიღოს ოფიციალური წყაროდან. იგი დარწმუნებულ იყო, გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება ან გადამოწმება დაუძლეველ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. შესაძლებელია, გამორიცხულიყო სამოქალაქოსამართლებ-

რივი პასუხისმგებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ პრესას ინფორმაციის გავრცელების ამოცანა აკისრია, საზოგადოებას, თავის მხრივ, უფლება აქვს მიიღოს სულ მცირე, გადამოწმებული ინფორმაცია.

კასატორები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების გაშუქებაზე აპელირებენ და მიუთითებენ, რომ მსგავს სტატიებს სხვა საინფორმაციო საშუალებებიც ავრცელებდნენ. მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, არსებობს ფაქტის შესახებ განცხადება, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება და, მეორე მხრივ, ჟურნალისტი განიხილავს ჟემმარიტი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს. ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტის პროფესიონალური ქცევის და კეთილსინდისიერების შემოწმება ხდება გადამწყვეტი მნიშვნელობის (*Kasebova v. Bulgaria, Flux v. Moldova*). პალატა განმარტავს რომ სწორედ საზოგადოებრივი ინტერესებს მქონე საკითხების გაშუქებისას ჟურნალისტებისთვის კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე მინიჭებული დაცვა იმ წინაპირობას გულისხმობს, რომ ისინი მოქმედებენ კეთილსინდისიერად, რათა უზრუნველყონ ზუსტი და საიმედო ინფორმაციის გადაცემა. მართალია, ჟურნალისტის მხრიდან გაზვიადება და გადაჭარბება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა, მაგრამ პრესამ არ უნდა გადალახოს გარკვეული საზღვრები, განსაკუთრებით, სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის თვალსაზრისით. მოცემულ საქმეში ბრალდებები იყო სერიოზული, ისინი არ იყო გამყარებული მასალებით, ასევე, არ დგინდება, რომ ჟურნალისტმა საკუთარი პროფესიული ვალდებულებები შეასრულა, გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჟემმარიტება ან შესაძლებლობა მისცა მოსარჩელებს პასუხის გაეცათ წარდგენილი ბრალდებებისთვის. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მასალებიც ამართლებენ ბრალდებებს.

18. გამოხატვის თავისუფლება რამდენიმე უფლებას აერთიანებს და დაცვის სფეროებიც განსხვავებულია, კერძოდ,

განსხვავებულია მიდგომა მედიასაშუალებების მიერ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებაზე, როდესაც სასამართლო ვალდებულია, გადაწყვეტილება კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დაცვის პირობებში მიიღოს. ასევე, განსხვავებულია დაცვის სტანდარტი, საჯარო პირის მიმართ ინფორმაციის გავრცელებაზე, რომელსაც საზოგადოებრივი თუ თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, თემნის მომეტებული ვალდებულება ეკისრება, მაგრამ მოცემული საქმეზე მედიის უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, უპირისპირდება მოსარჩელეთა რეპუტაციის უფლება, რომელიც აღიარებულ და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტითა (გამოხატვის თავისუფლება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, **სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად**, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად) და კონვენციის მე-10 მუხლით (ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა, ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს,

რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა და დანაშაულს აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, **სხვა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად**, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად).

გამოხატვის ძირითადი უფლება დაკარგავს არსს, თუკი მას მოეხსენება შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები. ამდენად სხვათა უფლებების და ღირსების დაცვა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებისათვის დაწესებულ კონსტიტუციურ საპირწონეს. მითითებული ნორმებიდან ჩანს, რომ ღირსებისა და რეპუტაციის საკითხს, საქართველოს კონსტიტუცია და ევროპული კონვენცია განიხილავს, როგორც გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს. პირთა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვა კი, უპირველეს ყოვლისა, მათი უფლებების დაცვაა, რომ ცნობები მათი ქცევის, საქმიანობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს გარშემომყოფთა მიერ შეფასებაზე, სინამდვილეს შეესაბამებოდეს.

ევროსასამართლოს განმარტებით, განცხადების შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენტია, რამდენად შეიცავს იგი შეურაცხყოფელ ტერმინებს, ასევე, მათი შინაარსი და გავ და გავლენასაზოგადოებაზე (Chauvy v France). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეებმა პირველი მოსარჩელის, როგორც მეწარმის, როგორც პიროვნების მიმართ საზოგადოებას არასწორი სურათი მიაწოდეს. ასევე, არასწორი სურათი შექმნეს იურიდიულ პირთან მიმართებით, რომელსაც კომერციული წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცვის კონკურენტული ინტერესი აქვს. ამასთან, არამართო ამ კომპანიების აქციო-

ნერებისა და თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ფართო ეკონომიკური სიკეთის თვალსაზრისითაც **(Market intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany)**.

ამასთან, როგორც აღინიშნა, საჯარო პირებთან მიმართებით „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებში უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირებთან, თუმცა გამოხატვის თავისუფლება იმდენად არ უნდა გაფართოვდეს, რომ მან დაკარგოს თავისი არსი, რაც სხვათა უფლებების გადაჭარბებულ ხელყოფაში გამოიხატება.

მოცემულშემთხვევაში, მოსარჩელეთა ინტერესი – საკუთარი რეპუტაციის დაცვისა, უპირატესია გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. დარღვეულია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, სტატიებში მოცემული გამო-ნათქვამები მისაღები კრიტიკის ფარგლებს და ინფორმირების უფლებას სცილდება. როგორც გამონათქვამები, ისე სტატი-ათა შინაარსი მოსარჩელეთა პირად უფლებებზე თავდასხმას წარმოადგენს. ამდენად, სახეზეა კანონიერი ინტერესის მი-ზანმიმართული დაზიანება. აღნიშნული გარემოებები კი გა-მოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას ამარ-თლებენ.

19. მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელებისას ფიზიკური პირის მიმართ ზიანი არაქონებრივი სახით – პირის პატივის და ღირსების შელახვით არის გამოვლენილი. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, არაქონებრივი ურთი-ერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინა-არსს, და მას არ გააჩნია ღირებულება, ამ ზიანის დამტკი-ცებისათვის სპეციალური კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია (*N^ას-1477-1489-2011 3.04.2012*).

კონვენციის მიხედვით, დიფამაციისათვის მინიჭებული ზიანის ანაზღაურება უნდა გულისხმობდეს რეპუტაციისათვის მიყენებულ ზიანთან პროპორციულობის გონივრულ ურთი-ერთ-ს (*Toshtoy Miloskavsky v. the United Kingdom*). მოცემულ

შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული მორალური ზიანის ანაზღაურება უფლების დარღვევის თანაზომიერია.

პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოპასუხეთათვის იურიდიული პირის სასარგებლოდ მორალური ზიანის დაკისრებასთან დაკავშირებით. სსკ-ის 413.1 მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. მართალია, სსკ-ის მე-18.1 მუხლიდან, შესაბამისი წინაპირობების არსებობის (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული შელახვა), აქედან გამომდინარეობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა იურიდიული პირის სარჩელთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკით დადგენილია დამატებითი შეზღუდვები. იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისებრივად არ უდება ადამიანს. პიროვნულ უფლებათაგან ნაწილი იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით გააჩნდეს. იურიდიულ პირს არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორიცაა: პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე მორალურ განცდებთან დაკავშირებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მორალური ზიანი არ შეიძლება მიაღდგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა და სხვ.). ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიული საფუძველია (მდრ. სუსგ № 3კ/924-01, 26.12.2001, №ას-1052-1007-2014; 30.09.2015).

უდავოა, რომ იურიდიული პირის დაცულ (არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუტაცია, რომლის შელახვის გამო, არა მორალური, არამედ მატერიალური ზიანის დაკისრებაა შესაძლებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მატერიალური ზიანის თაობაზე მოთხოვნას კი, წარმოდგენილი სარჩელი არ შეიცავს.

20. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელებმა დაამტკიცეს მათ მიმართ ცილისწამების ფაქტი, ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები არ არსებობს. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეზღუდვა პირველი მოსარჩელის პატივისა და ღირსების, ხოლო მეორე მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზნით, აუცილებელია და კანონიერ მიზანს ემსახურება. უფლებაში ჩარევის საშუალება ჩარევის მიზანთან – ხელყოფილი უფლების დაცვასთან პროპორციულია. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ჩარევა მინიმალური, თანაზომიერი, ეფექტიანი, ეკონომიკური და აღსრულებადია.

სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ მეორე, მესამე და მეოთხე კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც

მოპასუხეებს, იურიდიული პირის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრათ და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 7.2-ე, 257.1-ე, 264.3-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გადაწყვეტა:

1. ჯაბა ხუბუას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ს-ის“, დიტო ჩუბინიძის და ლ. ნ-ის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-11 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც შპს „საგამომცემლო ახლ ა-ს“, ლ.ნ-სა და დ.ჩ-ეს, სს „თ-ის“ სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ 1000 ლარის გადახდა მორალური/არაქონებრივი ზიანის ასანაზღაურებლად და ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე მ. თოდუა

მოსამართლეები: პ. ქათამაძე, ე. გასიტაშვილი

ოქმის №ას-1011-972-2016,

26 ივლისი, 2017 წელი, თბილისი

გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოზე საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე ჩატარდა. ეს ნიშნავს, რომ წერილობით ფიქსირებულ ფაქტებს დაემყარა, უზუსტობების თავიდან ასაცილებლად.

თუმცა შეფასებები, კვალიფიკაციები უფრო ენობრივი ცნობიერების პრაქტიკას ემყარებოდა და არ ითვალისწინებდა ჟურნალისტების ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ლინგვისტურ რეალიებს იდეოსტილის გამოვლენათა თვალსაზრისით, რაც უფრო ცხადად გამოკვეთდა მათს ბრალეულობას (ტენდენციურობას და ენობრივ შემტევ აგრესიულობას).

ამასთან სასამართლოს არ მიუცია კვალიფიკაცია ჟურნალისტების იმ შემფასებლური ლექსიკა-ფრაზეოლოგიისათვის, რაც თავადვე დააფიქსირა და უაპელაციოდ ჩათვალა საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტებად.

საქმის მასალებში დაფიქსირებულია ჟურნალისტურ ტექსტებში არსებული შეურაცხმყოფელი და შემტევი აგრესიის გამომხატველი ლექსიკა-ფრაზეოლოგია. ასე მაგალითად:

- „ფინანსური ჟანდარმი“ მ-ხ-ის მისამართით, ასევე: „თავისუფლების მოედანზე მდებარე „ცე-ის“ უზარმაზარი შენობის, „ბ-სა“ და სხვა ხილული თუ უხილავი სიკეთეების მონელებისა თუ შეტყაპუნების შემდეგ „გ-ს“ მიაღდა“ („ასავალ-დასავალი“, 2014 წლის 10 თებერვალი);
- „თ-ის“ ახლანდელი უსტაბაში“ („ასავალ-დასავალი“, 2014 წლის 17 თებერვალი);
- „როგორც გაზეთმა გამოარკვია, ჩამოთვლილი ფირმებისა და ბანკის მეშვეობით, ცრუ მეწარმეობით, უკანონო შემოსავლების ლეგალიზებით, სხვისი ქონების მითვისება-გაფლანგვით პირველმა მოსარჩელემ და მისმა „თიბისი ბანდამ“ ს-ის ყოფილ ლუბერნატორსა და ელჩს – დ. მ.-ეს არაპირდაპირი ფორმით 4 მილიონი დოლარი გადაუხადა და ხელში ჩაიგდო 20-30 მილი-

ონის ქონება („ასავალ-დასავალი“, 2014 წლის 3 მარტი);

- „... რას ფიქრობდა მაშინდელი „გ-ის“ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომ-ის კომიტეტის მდივანი, რომ ქვეყანა ამოტრიალდებოდა..., გაზეთი და მკითხველი მ.კ-ას მისამართით მოქნეულ ხელკეტს ცხვირში ძმარა ამოადენდა“ (იქვე);
- „... ძვირფასო მკითხველო, ვ-ის რაონის სოფელ გ-ში მომხდარი შემზარავი ტრაგედია - მამის მიერ შვილის გადასარჩენად თავის ჩამოხრჩობა – პირდაპირ კავშირშია მ.ხ-ესთან ...“ („ასავალ-დასავალი“, 2014 წლის 21 აპრილი);

სასამართლოს მიერ დაფიქსირებულ ამონარიდებში „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტიკის მედიატექსტებიდან აშკარა აგრესიული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გვერდით, გვხვდება ისეთი ლექსემებიც, რომელთა აგრესიულობის მტკიცება უკონტექსტოდ აშკარად გაჭირდება. ასეთი ლექსემებია, მაგალითად, „ახლანდელი უსტაბაში“, „ღუბენატორსა და ელჩს“ (განსაკუთრებით სიტყვა „ღუბერნატორს“ სადაც ლინგვისტიკური ექსპერტიზის გარეშე გაჭირდება ამ სიტყვის ქვეტექსტური აგრესიულობის შემცველობის მტკიცება მისი ძველი ფორმით „გუბერნატორის“ ნაცვლად „ღუბენაროტის გამოყენებით).

შეურაცხმყოფელი სიტყვები ყოველთვის არ გამოხატავენ შეურაცხყოფას. მაგალითად, შესაძლებელია ასეთი ფაქტის განხილვა, მართალია, არაქართული სინამდვილიდანაა აღებული, რადგან თანამედროვე ქართულ სამართალწარმოების სფეროში ლინგვისტიკური ექსპერტიზების ჩატარების პრაქტიკა ჯერ არ არის დამკვიდრებული. მაგალითისთვის კი შეიძლება რუსული სამართალწარმოების პრაქტიკის ერთი კონკრეტული შემთხვევა გამოვიყენოთ: მოპასუხე მ. ნ. დუმინას აღწერილი აქვს ასეთი სიტუაცია: „მე ნ. ა. ვალუევას, ვ. ვ. ვალუევასა და ა. ი. პიროვას თანდასწრებით წარმოვთქვი ერთი სიტყვა „კოზიოლი“, უნებლიედ რომ წამომცდა, როგორც შორისდებული, უკონტექსტოდ, ვინმესადმი მიმართული

თანმდევი ჟესტების და მიმიკის გარეშე (იმ დროს ჩემს ქმარზე ვფიქრობდი)“.

ლინგვისტ ექსპერტს გადასაწყვეტად დაუსვეს შემდეგი კითხვები:

1. სიტყვა „კოზიოლი“ გამოხატავს თუ არა ვინმეს შეურაცხყოფას აღწერილ ლინგვისტიკურ სიტუაციაში?

2. როგორია სიტყვა „კოზიოლისადმი“ ლინგვისტიკური სიტუაციისა და შესაბამისად სამოსამართლო პროცესის მონაწილეთა დამოკიდებულება (ნ. ა. ვალუევის, ვ. ვ. ვალუევას, პ. ი. პიროვის, მ. ნ. დუმინას)?

3. ნ. ა. ვალუევის სიტყვა შეიცავს თუ არა ფარულ მუქარას მ. ნ. დუმინას მისამართით სიტყვა „კოზიოლის“ გამოყენე-ბასთან დაკავშირებით?

ლინგვისტიკური გამოკვლევისათვის წარმოდგენილი იყო შემდეგი მასალები:

1. განცხადება ლინგვისტიკური დასკვნის წარმოსადგენად;

2. სასამართლოს სხდომის ოქმის ქსეროასლი;

3. სასამართლოს განაჩენის ქსეროასლი;

4. საოლქო სასამართლო კოლეგიაში წარდგენილი საკასაციო საჩივრის ქსეროასლი.

სასამართლოს დადგენილებაში შენარჩუნებული იყო სასამართლო დოკუმენტაციის ორთოგრაფია და სტილისტიკა.

დასკვნითი კვლევის ნაწილი

დასმული საკითხების გადასაწყვეტად ჩატარებულ იქნა წარმოდგენილი მასალების ლინგვისტიკური ექსპერტიზა, ტექსტების ლინგვისტიკური, ტექსტოლოგიური, ლექსიკურ-სემანტიკური და სემანტიკურ-სინტაქსური ანალიზის იმ მეთოდების შესაბამისად, რომლებიც რეკომენდირებულია სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ.

ექსპერტიზის საგნის თითოეული გამონათქვამის კვლევის

შედეგების შესაბამისად წარმოებდა დადგენილი ენობრივი ფაქტების შეფასება და გამოიყვანებოდა დასკვნა თითოეული წამოჭრილი საკითხის მიხედვით.

1. კვლევა პირველი საკითხის მიხედვით

შეკითხვა: წარმოადგენს თუ არა სიტყვა „კაზიოლი“ ვინმეს შეურაცხყოფას აღწერილ ლინტვისტიკურ სიტუაციაში?

შეკითხვის მიზანი: შეურაცხყოფის ფაქტის კონსტატაციის აუცილებელი ნიშნების დადგენა.

მკვლევარ მ. ოსადიჩის გამოკვლევაზე (38) დაყრდნობით განსაზღვრული შეურაცხყოფის, როგორც სამეტყველო აქტის, არსი. შეურაცხყოფა აუცილებლად მიმართულია კონკრეტული პირისადმი – შეურაცხყოფის ადრესატისადმი. შეურაცხყოფის სამეტყველო აქტი ამდენად საჭიროებს შესაბამისი უწყესო გამონათქვამების გამოყენებას, რომლებიც მიმართულია კონკრეტული პირისადმი.

ვერბალური შეურაცხყოფის დროს მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული მოლაპარაკე სუბიექტის (როგორც ავტორის) კომუნიკაციური განზრახულობა. შეურაცხყოფის დროს გამონათქვამში მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს მოლაპარაკე სუბიექტის სურვილი ადრესატისათვის ზიანის მიყენებისა. განსახილველ შემთხვევაში კი ეს არ ჩანს, რადგან გამოკვეთილი არ არის კომუნიკაციის აქტის ორი უმნიშვნელოვანესი ელემენტი – სიტუაციონალურობა და კონტექსტურობა. ასევე აქ არა ჩანს შეურაცხყოფის ადრესატი.

სემანტიკური თვალსაზრისით შეურაცხყოფა ორ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს შეიცავს:

შეურაცხყოფის ადრესატს მიეწერება რაიმე უარყოფითი მახასიათებელი (იმის მიუხედავად, შეესაბამება იგი რეალობას თუ არა). ამასთან ეს უარყოფითი მახასიათებელი ვერბალიზდება უწყესო ფორმით. განსახილველ ლინგვისტიკურ სიტუაციაში არ არსებობს არც მტკიცება, არც მოსაზრება, არც შეფასება.

იმდენად, რამდენადაც მ. ნ. დუმინას სამეტყველო აქტი ერთი სიტყვისაგან შედგება, კონტექსტის მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, რა იგულისხმება კონკრეტულად. ლინგვისტური სიტუაციის გაგებას ისიც ართულებს, რომ სიტყვა „კოზიოლს“ არ ახლავს ჟესტიკულაცია და მიმიკა. აქ ის შემთხვევაა, როდესაც მხოლოდ მოლაპარაკე სუბიექტს (მ. ნ. დუმინას) შეუძლია განმარტოს, რა ჰქონდა მხედველობაში. მ. ნ. დუმინამ კი განმარტა, რომ სიტყვა „კოზიოლის“ წარმოთქმისას მხედველობაში ჰყავდა საკუთარი ქმარი, რომელთანაც იმ მომენტში გაყრილი იყო.

შესაძლოა, „კოზიოლთან“ დაკავშირებული ასოციაციები გამოიწვია ნ. პ. ვალუევის საქციელმა. თუმცა ამ შემთხვევაში შევდივართ ვარაუდების სფეროში. მით უფრო, რომ მ. ნ. დუმინას შეეძლო არც დაეზუსტებინა, ვინ ჰყავდა მხედველობაში (ვინ იყო „კოზიოლი“).

მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში არ არსებობს პრედიკატული ურთიერთობები – მიმართებები ქვემდებარეს, როგორც ნიშან-თვისების მატარებელსა, და შემასმენელს, როგორც ნიშან-თვისების გამომხატველს შორის. მოცემულ ლინგვისტიკურ სიტუაციაში არ არსებობს ფრაზები, რომლებიც შეიცავდნენ კონკრეტულად მიუთითებდნენ ნ. ა. ვალუევზე: „შენ, კოზიოლი ხარ“.

შესატყვისი კონტექსტის, თანმხლები ჟესტებისა და მიმიკების გარეშე წარმოთქმული სიტყვა „კოზიოლი“, განხილულ უნდა იქნეს შორისდებულად, რომელიც ნაწარმოებია სრულმნიშვნელობიანი სიტყვისაგან, დაკარგული აქვს ნომინაციური ფუნქცია და წარმოთქმულია ძლიერი ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობით. შორისდებულით აღნიშნული მეტყველების ნაწილები კი იმით განსხვავდება, რომ მათ არ გააჩნიათ სახელდების ფუნქცია, რადგან არ წამოადგენენ სიტყვა-სიგნალებს, რომლებიც გამოიყენება ადამიანის უსწრაფესი და უმოკლესი რეაქციების გამოსახატავად რეალური სინამდვილის ან ადამიანის ქმედებებზე (39).

ასე რომ, კონტექსტის არარსებობის საფუძველზე, შესაბამისად, პრედიკატულობის, სპეციალური თანმხლები ჟესტების, მიმიკის გარეშე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: მოცემულ ლინგვისტიკურ შემთხვევაში კონკრეტული პირის (აქ: ნ. ა. ვალუევის) შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია.

2. მეორე საკითხთან დაკავშირებული კვლევა:

შეკითხვა: როგორია დამოკიდებულება სიტყვა „კოზიოლის“ წარმოთქმასთან აღწერილ ლინგვისტიკურ სიტუაციაში სასამართლო პროცესის მონაწილეების – ნ. ა. ვალუევის, ვ. ვ. ვალუევას, ა. ი. პიროვისა და მ. ნ. დუმინას მხრიდან?

მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში წარმოდგენილი სასამართლო მასალების საფუძველზე ოთხივე მონაწილის ვერბალური და არავერბალური მოქმედება შემდეგ სურათს ქმნის:

2008 წლის 15 დეკემბრის სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებობს მსჯავრდებულ მ. ნ. დუმინას შემდეგი განცხადება: „ვალუევს იგი – მ. ნ. დუმინა – საერთოდ არ დალაპარაკებია, არც ჟესტით, არც გამოხედვით არ მიუნიშნებია, რომ თქმული შეეხებოდა დაზარალებულს“.

დაზარალებული ნ. ა. ვალუევი სასამართლოში არ აკონკრეტებს შეურაცხყოფის არსს (ანუ რა კონტექსტში და რა თანმხლები ჟესტებით იყო თქმული სიტყვა) (იხ. გვ. 7: „როდესაც თანამშრომელი სამზარეულოში ვ. ვ. ვალუევას განცხადების შესაბამისად მასალას აგროვებდა, ამ მიზნით ჩემს დაკითხვას აწარმოებდა, ვ. ვ. ვალუევას მიერ გამოძახებულმა მ. ნ. დუმინამ დაიწყო ჩემი შეურაცხყოფა, მიწოდებდა „ძალს (πέν) და „კოზიოლს“).

სასამართლოს 2018 წლის 18 ნოემბრის სხდომა:

გამართლებული ნ. ა. ვალუევი, გვ. 4: „ნ.მ. დუმინასთვის უფრო ადვილი იყო მისთვის ეთქვა: „ეი, შე კოზიოლო“, მაგრამ მან ეს ასე არა თქვა“, ხოლო როგორც თქვა მ. ნ. დუმინამ, ამაზე ნ. ა. ვალუევი პასუხს არ იძლევა. არაფერს ამბობს არც იმ ვერბალურ, არც არავერბალურ საშუალებებზე, რომლებიც ახლდა შეურაცხყოფას.

ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ შენობაში ორი მამაკაცი იმყოფებოდა (ნ.ა. ვალუევი და ა. ი. პიროვი), სწორედ ნ. ა. ვალუევმა მიიღოს სიტყვა **კოზიოლი** თავის თავაზე ნათქვამად და გამორიცხა ა. ი. პიროვი.

შემდეგ სხდომაზე (ალბათ, მ. . დუმინას განცხადებით მისი დაცვის არსის გაცნობიერების შემდეგ) ნ. ა. ვალუევმა დაიწყო იმის მტკიცება, რომ სიტყვა „კოზიოლის“ წარმოთქმისას, გააკეთა ჟესტი – თავი მის მხარეს გაიქნია.

იხ. ამონარიდი სასამართლოს 2008 წლის 14 დეკემბრის სხდომის ოქმიდან, გვ. 3:

სასამართლოს შეკითხვაზე: რატომ მიიღეთ თქვენს თავზე დუმინას სიტყვები?

კერძო ბრალმდებელმა (დაზარალებულმა) ნ. ა. ვალუევმა უპასუხა: მე პირდაპირ ჩემს თავზე იმიტომ მივიღე ბრალდებულის სიტყვები, რომ შენობაში არ იყვნენ ისეთი პირები, რომლებისათვის მ. ნ. დუმინას შეეძლო მიემართა აღნიშნული სიტყვით.

სასამართლოს შეკითხვაზე: თქვენ ლაპარაკობდით მ. ნ. დუმინასთან?

კერძო ბრალმდებელმა (დაზარალებულმა ნ. ა. ვალუევმა უპასუხა: არა, ჩვენ არ ვლაპარაკობდით, მაგრამ, როდესაც მან წარმოთქვა სიტყვა „კოზიოლი“, მან ჩემკენ გამოიქნია თავი, ანუ ნ. ა. ვალუევმა უარყო მ. ნ. დუმინასთან ლაპარაკის ფაქტი. ამის საფუძველზე შეიძლება იმის ვარაუდის დაშვებაც, რომ არ არსებობდა სიტყვა კოზიოლის გამოყენების კონტექსტი.

სასამართლოში ასევე აღნიშნულია (კერძო ბრალმდებლის) ვ. ვ. ვალუევას მიერ (ლინტგვისტიკური სიტუაციის ამ მნიშვნელოვანი მონაწილის ჩვენება რატომღაც იგნორირებულია), რომ მ. ნ. დუმინა მხოლოდ და მხოლოდ უბნის ინსპექტორ ა. ი. პიროვს ელაპარაკებოდა („სახით პიროვისაკენ იდგა). თუ ეს ასეა, თავის გაქნევა სიტყვა კოზიოლის ნ. ა. ვალუევს მისამართით წარმოთქმა მ. ნ. დუმინას არ შეეძლო.

თავად მ. ნ. დუმინა არ უარყოფს, რომ გამოიყენა სიტყვა კოზიოლი, სასამართლოზედაც განაცხადა, მაგრამ არა ნ. ა. ვალუევის მისამართით:

„სასამართლომ დაადგინა, რომ მე წარმოვთქვი სიტყვა კოზიოლი. ამ ფაქტს არ უარყოფ, მაგრამ არა ნ. ა. ვალუევის მისამართით. მე არ მიწოდებია ნ. ა. ვალუევისათვის „კოზიოლი“, უბრალოდ ემოციურად აღმომხდა როგორც შორისდებული. ეს არ იყო მისადმი მიმართული, ფიქრშიაც კი არ მქონია მისი შეურაცხყოფა, მან კი ჩათვალა, რომ მისი მისამართით იყო ნათქვამი. ჩემი სიტყვის დამადასტურებელი ის არის, რომ მე არ მიმინიშნებია ნ. ა. ვალუევისაკენ თითით ან ჟესტით. მე არ მითქვამს, რომ „შენ, ნ. ა. ვალუევი, – კოზიოლი ხარ“.

ახლა განვიხილოთ მოცემული სამეტყველო სიტუაციის მთავარი მოწმის ა. ი. პიროვის ჩვენება.

მოწმე მილიციონერმა ა. ი. პიროვმა ასევე დაადასტურა, რომ სიტყვა კოზიოლი წარმოთქვა, თუმცა რა კონტექსტში და როგორ იყო გამოხატული, ვერბალურად თუ არავერბალურად (ჟესტების და მიმიკის თანხლებით) – მას არ დაუკონკრეტებია.

აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისაგან ეს ძალიან უცნაურია. კიდევ უფრო უცნაურად ჟღერს მისი განცხადება: „კიდევ როგორ შეურაცხყოფდა მ. ნ. დუმინა ნ. ა. ვალუევს, მას, მოწმეს, არ ახსოვს“ (გვ. 9). მოწმის ჩვენებები არაერთგვაროვანია:

ა) ან მ. ნ. დუმინას წარმოთქმული სხვა რაიმენაირი შეურაცხმყოფელი სიტყვებიც უნდა იყოს ნ. ა. ვალუევის მისამართით წარმოთქმული, რომლებიც მას არ ახსოვს;

ბ) ან სიტყვა „კოზიოლის“ ადრესატია ნ. ა. ვალუევი;

გ) ან ლექსმა „კოზიოლი“ ერთეულებრივი იყო და მ. ნ. დუმინას მიხედვით გამოყენებული იყო შორისდებულად.

დასკვნა: ნ. ა. ვალუევისა და მოწმე ა. ი. პიროვის სასამართლო ჩვენებები შეიცავს წინააღმდეგობებსა და უზუსტობებს მ. ნ. დუმინას მიერ სიტყვა „კოზიოლის“ კონკრეტულ ლინ-

გვისტურ სიტუაციაში გამოყენების თვალსაზრისით, რომელთაგანაც მთავარია: გამოყენებული იყო სიტყვა კონტექსტში ან მის გარეშე, გამოიყენებოდა თუ არა ჟესტები და მიმიკები მოცემული სიტყვის წარმოთქმისას, შეინიშნება ასევე „გულმავიწყობა“ ზოგიერთი ლინგვისტიკური ფაქტების მიმართ ა. ი. პიროვის მხრიდან; სასამართლოს მიერ იგნორირებულია ვ. ვ. ვალუევას ჩვენება; მ. ნ. დუნიამ სიტყვა „კოზიოლი“ გამოიყენა როგორც შორისდებული, კონტექსტის, ჟესტებისა და მიმიკების გარეშე.

3. გამოკვლევა მესამე საკითხის ირგვლივ:

- სიტყვიერ მუქარას ჟანრობრივი მაწარმოებლის ნიშანთვისებები აქვს. მათ პირველ რიგში განეკუთვნება სუბიექტების შემადგენლობა:

მუქარას წარმოთქვამს ერთი სუბიექტი მეორე (სხვა) სუბიექტის მისამართით, რომელიც მუქარის ადრესატი არის.

ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ლაპარაკია დასჯაზე, სამართალდარღვევებზე, დანაშაულზე მესამე პირის მიმართ, როდესაც ნაგულისხმებია უშუალო ობიექტი. აღწერილ სიტუაციაში ერთიც არის და მეორეც.

- მუქარის ჟანრის მეორე მნიშვნელოვანი პირობაა დროითი ორგანიზების განსაკუთრებული თვისება;
- მუქარის სიტყვიერი აქტის კონსტატირების მნიშვნელოვანი პირობაა სუბიექტური კუთვნილება:

მუქარის ფაქტი მაშინ არის აშკარა, როდესაც სუბიექტი ლაპარაკობს ისეთ ქმედებაზე, რომელსაც თავად მოიმოქმედებს. მოქმედების ეს სუბიექტური კუთვნილება, შესაძლოა, პირდაპირიც იყოს და არაპირდაპირიც: მოლაპარაკე სუბიექტი შეიძლება საკუთარი მოქმედებებით ემუქრებოდეს მსმენელს (ობიექტს), შესაძლოა მესამე პირთა ორგანიზებით, იმ გვერდითი (კონტექსტური) მოვლენების აქტივობებით, რომლებიც შეეხებიან მუქარის ობიექტს;

- მუქარის ჟანრის მნიშვნელოვანი ნიშანია მოქმედების

ტიპი: იგი ზიანს უნდა აყენებდეს მუქარის ობიექტს, რადგანაც მოლაპარაკე სუბიექტი ჰპირდება ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც არ არის სასარგებლო მსმენელისათვის (38).

სიტყვა **კოზიოლი** ნეგატიური ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობის პეიორატიული ლექსემაა კრიმინალურ სამყაროში, რადგან როგორც ციხის ჟარგონი, ნიშნავს: „ბრალდებულთა ჯგუფის წარმომადგენელს, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს გამოსასწორებელი დაწესებულების ადმინისტრაციასთან“; „სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომელს“; „პასიურ ჰომოსექსუალისტს“; „მამაკაცისადმი მიმართულ შეურაცხყოფას“.

ნ. ა. ვალუევმა სიტყვა **კოზიოლი** ჟარგონული მნიშვნელობით რომ აღიქვა, ამას მოწმობს ფრაზა: „კოზიოლისათვის“ „პეროზე“ დასმაც შეიძლება. ანუ ნ. ა. ვალუევი ჟარგონის ენაზე ალაპარაკდა: სიტყვა „კოზიოლისათვის“ დანით დაჭრაც შეიძლება. მან სიტყვა კოზიოლი აღიქვა, როგორც კრიმინალური წრის წარმომადგენელმა, რომელთათვისაც სიტყვა კოზიოლი ნამდვილად წარმოადგენს სასტიკ შეურაცხყოფას. ეს ფრაზეოლოგია მ. ნ. დომინას ფიზიკური განადგურების ფარულ მუქარას შეიცავს.

სასამართლოს შეკითხვაზე „რა არის შეურაცხყოფელი სიტყვაში „კოზიოლი“, დაზარალებულმა ნ. ა. ვალუევმა უპასუხა: „მე ცხოველი კი არა, ადამიანი ვარ“. ნ. ა. ვალუევმა ამით კონკრეტულად არ გასცა პასუხი მოსამართლის შეკითხვას, რატომ შეურაცხყო იგი ამ სიტყვამ.

ნ. ა. ვალუევმა ამავედროულად გააფრთხილა: იგი კაცი რომ ყოფილიყო, ალბათ, სილას გავაწნავდი სახეში. ანუ სასამართლოს სხდომაზე ნ. ა. ვალუევმა აღიარა, რომ ჩაიდინა სამართლის საწინააღმდეგო ქმედება სიტყვა „კოზიოლის“ გამო. ამასთან, ნ. ა. ვალუევმა მკაფიოდ მიაჩნიშნა მ. ნ. დომინას, რომ სიტყვა კოზიოლი მან მიიღო შეურაცხყოფად და შეედლო სილა ეთავაზებინა თავისი შეურაცხყოფლისათვის.

დასკვნა

ნ. ა. ვალუევის მეტყველება შეიცავს ფარულ მუქარას მ. ნ. ღუმინას მისამართით შემდეგ ფრაზებში: „კოზიოლის“ გულისთვის დანით გაფატვრაც კი შეიძლება“; „იგი კაცი რომ ყოფილიყო, ალბათ სილასაც გავაწნავდი სახეში“.

- შეურაცხყოფის ფაქტის დადგენა შესაძლებელია არაორაზროვანი სამეტყველო სიტუაციის, ანუ სიტუაციური არაორაზროვნობის წყალობით, სადაც, შესაძლოა, არც იყოს პირდაპირი მითითება ადრესატზე. მაგალითად, ბიზნესმენი ხელშეკრულების დასადებად ესტუმრა პოტენციურ პარტნიორს, აუხსნა მისვლის მიზანი, მაგრამ საუბარი ვერ აეწყო, პოტენციურმა პარტნიორმა უდიერობა გამოიჩინა ქცევითაც და სიტყვიერადაც. ბიზნესმენმა დაურეკა თავის მოწილეს და აცნობა: შეხვედრიდან არაფერი გამოვიდა, არც გამოვა, რადგან ისეთი კაცი დამხვდა, რომ არც მისმენს და **იყეფება** და **იყეფება**. ცხადია, რომ ბიზნესმენმა ზოოინვექტივის გამოყენებით გამოხატა თავისი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება პოტენციური პარტნიორისადმი.

- ლინგვისტიკური ექსპერტიზის სფეროში არაერთი პრობლემა იჩენს თავს. ასეთ პრობლემებს განეკუთვნება კნინობითი სუფიქსების ხმარება, არასრული სახელებით ხსენება ადამიანებისა, განსაკუთრებით **პეიორატიული** ინტონაციით. მაგალითად, **დათუა**, დათიკელა დავითის ნაცვლად.

- ტექსტში მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შესაძლოა, არც იყოს გამოხატული ვერბალურად და გადმოცემული იყოს პარალინგვისტური ხერხებით (ინტონაციით, ტემპრით, ხმის მოდულაციებით ზეპირტექსტში, სტილისტიკური ხერხებით და გრაფიკული საშუალებებით – წერილობით ტექსტში;

ლინგვისტ-ექსპერტებს დაფიქსირებული აქვთ ის ფაქტიც, რომ ინვექტიური ლექსიკა დროთა განმავლობაში იცვლება. მაგალითად, XIX საუკუნის შუახანებსა და XX საუკუნის დასაწყისში სიტყვები **უღმერთო** და **ურწმუნო** ინვექტივებს

წარმოადგენდა, შემდეგ XX საუკუნის 90-იან წლებამდე აღარ აღიქმებოდნენ შეურაცხმყოფელ სიტყვებად. ამჟამად ეს სიტყვები შეურაცხმყოფელ სიტყვებად –თეო-ინვექტივებად იქცნენ.

- ლინგვოკრიმინალისტიკაში ანგარიშგასაწევია შეურაცხმყოფელი სიტყვების გრადაცია. ეს განსაკუთრებით შეეხება ნაციონალ-ინვექტივებს (მაგალითად, **ჩურბანი** შუა აზიის მკვიდრთა მისამართით, **ხახოლი** – უკრაინელის, კაცაპი რუსის მისამართი და ა. შ.).

ასევე გასათვალისწინებელია შეურაცხმყოფელი სიტყვების პრობლემა სხვადასხვა სოციუმებში, ტერიტორიულსა და სოციალურ დიალექტებში. საერთო სახალხო მეტყველებაში სიტყვა შესაძლოა ნეიტრალური იყოს, არ წარმოადგენდეს შეურაცხმყოფელს და საწყენს, მაგრამ ტერიტორიული თუ სოციალური დიალექტის სივრცეში ასეთად განიცდებოდეს.

- ლინგვოკრიმინალისტიკისათვის პრობლემას ქმნის საწყენი და შეურაცხმყოფელი სიტყვების გარჩევა – განცალკევება.

საწყენს ის სიტყვები განეკუთვნება, რომლებიც „არასასიამოვნონი, მაგრამ ობიექტურია“. მაგალითად, მსუქან ადამიანს შეიძლება ეწყინოს, თუ მას „**სქელოს**“ დაუძახებენ“. ეს სიტყვა საწყენი იმის გამოა, რომ მიუთითებენ ადამიანის გარკვეულ ფიზიკურ-სხეულებრივ ნაკლზე.

1.5. შეურაცხმყოფელი და საწყენი სიტყვების ლექსიკონი (ლექსიკა-ფრაზეოლოგია)

აქ განსაკუთრებით საინტერესო: (ფრაზეოლოგიაში შეფარვით, ქვეტექსტურად, ირონიულად გამოხატული შეურაცხყოფა და ქილიკი) სალანძღავი და საგინებელი სიტყვების შესწავლის ისტორიის დადგენა ამგვარი სიტყვების კლასიფიცირება:

1. **ლანძღვა-გინების სიტყვები:** გინებები, საგინებელი სიტყვები და გამოთქმები;
2. **ბოროტსიტყვაობა და ასაგდები სიტყვები** (პიროვნების ზნეობრივი საქციელის განსასჯელი სიტყვები: სულელი, გარეწარი, ნაძირალა, ბოზი, ქურდი, გაიძვერა, გველი, ქვემძრომი, ქვეწარმავალი);
3. **არასრული სახელები (დაკნინებული)** (დათუა დავითის ნაცვლად...);
4. **სასაყვედურო სიტყვები;**
5. **ამორალური და კანონსაწინააღმდეგო წინადადებები** (მაგ., ქრთამის შეთავაზების, ქალისათვის ღამის გატარების შეთავაზების);
6. **დაცინვის, კილიკის, დამცირების გამომხატველი სიტყვები და ფრაზეოლოგია:** (ნაგავი, ნეხვის ჭია, გველი, კუმ ფეხი გამოყო... სისინებს, ძაღლი, ძაღლივით იყეფება; ძაღლი ყეფს – ქარავანი მიდის...);

1. **შეურაცხყოფელი სიტყვები:**

თანამედროვე ლინგვოკრიმინალისტიკაში ისეთი სიტყვების დადგენა, რომელთა გამოყენება გარკვეული პერსონის მიმართ შეურაცხყოფლებრივად ითვლება (ასეთ ლექსიკურ ერთეულებს **ინვექტივები** ჰქვიათ):

1. **სოციალურად განსასჯელი საქმიანობის ამსახველი სიტყვები და გამოთქმები** (ბანდიტი, „ჟულიკი“, თაღლითი;

2. **გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ზოგიერთი პროფესიის ამსახველი სიტყვები** (ყასაბი, ჯალათი...);

3. **ფიტო-ზოოსემანტიკური მეტაფორები**, ანუ მეტაფორები, რომლებიც მიმართულია ცხოველთა სახელწოდებებზე და გზაზავენ ადამიანის რაიმე უარყოფით თვისებას: მოუხერხებლობას – ძროხა, სისულელეს – ბატი, უხეშობა – სიჯიუტეს – ვირი და ა. შ.

4. **ადამიანის ქცევის კონკრეტულ საქმიანობაზე ან პოზიციაზე მითითებისადმი დამოკიდებულების გარეშე ექს-**

პრესიული ნეგატიური შეფასების შემცველი სიტყვები (გაუთლელი, ხეპრე და სხვ.).

5. გამკითხავი მნიშვნელობის ან პირდაპირ ნეგატიური შეფასების გამომხატველი ზმნები: ქურდობა, ძარცვა, მითლა, მისაკუთრება;

6. გამკითხავი მნიშვნელობის ან პირდაპირ ნეგატიური შეფასების გამომხატველი ზედსართავი სახელები (გამყიდველი, ორგული, ბოროტი, უნდო);

7. ადამიანის სოციალურად განსასჯელობის გამომხატველი სიტყვების ევფემიზმები, რომლებიც მაინც ინარჩუნებენ ნეგატიურ-შემფასებლურ ხასიათს (მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, ინტერ-გოგონა,...);

8. გარკვეული პირის დასახასიათებლად გამოყენებული უცენზურო სიტყვები (დედამ.../დედააფეთქებული);

9. სპეციალური ნეგატიურ-შემფასებლური კალამზრული წარმონაქმნები (ერთიანი ეროვნული **ვიროვნული** მოძრაობა, ნაცები, ქოცები, „პრიხვატიზაცია“,...);

10. ჟარგონული ტერიტორიული დიალექტებიდან, სასაუბრო მეტყველებიდან წარმომავლობის არანორმატიული ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულები: აქლემი, სპილო, ვირი, თავქარიანი, აბდალი, რქიანი;

11. პეიორატიული საკუთარი სახელები (მაგალითად, ვასილა, თამაზა, ვარდუა, ციურა).

შეიძლება გამოიყოს შეურაცხმყოფელი სიტყვების სხვა სახეობებიც – ჯგუფებიც. მაგალითად,

- **ინტელექტ-ინვექტივები** (სულელი, უტიფარი, კრეტინი);
- **სოციომორალური ინვექტივები** (ნადირალა, თავხედი, ქაჯი);
- **პოლიტიკური ინვექტივები** (რასისტი, ობსტრუქცი-ონალისტი);
- **ნაციონალ-ინვექტივები** (სეროჟა, ურია, ხაჩიკა, აზერი);

- პროფესიონალ-ინვექტივები (მეთხე, მენახირე, ყასაბი);
- ზოო-ინვექტივები (ვირი, აქლემი, ღორი, ძაღლი);
- სექს-ინვექტივები (ცისფერი, რქიანი);
- ევფემიზმი-ინვექტივები (მსუბუქი ყოფაქცევის ქალიშვილი);
- შედარება-ინვექტივები (ისტორიულ ოდიოზურ ფიგურებთან და ლიტერატურულ პერსონაჟებთან).

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები ყოველთვის არ გამოხატავენ შეურაცხყოფას. ასე, მაგალითად, ვერ იქნებიან შეურაცხმყოფელნი, თუ არ არიან მიმართული ვინმეს საწინააღმდეგოდ, ანუ თუ არ არსებობს ვერბალური და არავერბალური (მიმიკა-ჟესტიკულაციური) მითითება დაზარალებულზე.

თავი 2. სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის ლინგვისტიკური რეალიები

2.1. სამართლის დარგობრივი (ფუნქციური) სტილის შესწავლის ისტორია

ლინგვისტიკური სტილისტიკა ენათმეცნიერების დარგად XIX საუკუნუს II ნახევარში ჩამოყალიბდა. მისი ერთი ფუძემდებელია შვეიცარიელი ენათმეცნიერი შ. ბალი. მისი განსაზღვრებით:

სტილისტიკა საგანი აზრის სიტყვიერი გამოხატვაა და არა თვით აზრისა.

სტილისტიკა სწავლობს სამეტყველო მოვლენის გარეგან ასპექტს და არა შინაგან მხარეს.

ფილოლოგიური სტილისტიკა პრაქტიკულ სტილისტიკას და ტროპების თეორიას ემყარება.

ენის სტილური რესურსების შემსწავლელი მიმართულება ენაში სინონიმის არსებობას ეფუძნება.

სტილისტიკა სამი მიმართულებისაა (სახისა):

1. ენის სტილისტიკა, ანუ სტრუქტურული სტილისტიკა;
2. მეტყველების სტილისტიკა;
3. მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკა.

ფუნქციური სტილისტიკა წინ წამოსწევს ენის ბუნებრივი ფუნქციონირების ობიექტური შესწავლის ამოცანას სხვადასხვა სფეროში, სადაც ენობრივ ერთეულთა მიზანდასახული გამოყენება შეპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა გამონათქვამის შინაარსი, კომუნიკაციის მიზნები, ტიპები, სიტუაციები და სხვა (5).

ზოგიერთი მეცნიერი სტილის დიფერენციაციას იდეოლექტის დონეზე ახდენს.

ფუნქციური სტილი რთული სისტემაა. იგი ქვესტილე-

ბისა და ჟანრებისაგან შედგება. ამ სტილის ნაირნაირი კლასიფიკაციაა ცნობილი. ც. ბარბაქაძე ოპტიმალურად მიიჩნევს შემდეგს: **1. სასაუბრო; 2. ოფიციალურ-საქმიანი; 3. სამეცნიერო; 4. პუბლიცისტური; 5. მხატვრული; 6. ორატორული** (1).

თუმცა ამჟამად ეს დაყოფაც ვერ ჩაითვლება უმჯობესად. ადამიანის გონით-ინტელექტუალური საქმიანობის სფეროებმა ისეთი სიღრმისეული პარამეტრები და მახასიათებლები შეიძინა, სპეციფიკური ლექსიკა-ფრაზეოლოგია, ტერმინოლოგია ისეთი სიხშირისა გახდა, რომ ტრადიციულმა პროფესიონალიზმებმა გადაფარა ზოგადი-მეცნიერული ან ოფიციალურ-საქმიანი სტილების მეტყველება და დამოუკიდებელ, ანუ კონკრეტულ სახეობად - ფუნქციურ სტილად ჩამოყალიბდა. იგივე ითქმის სამართლის სფეროს ფუნქციურ სტილზე.

აღნიშნულიც არის, რომ ზოგიერთი მკვლევარი სტილის ცალკეულ სახეობად წარმოადგენს ექიმის, ინჟინერიის, მასწავლებლის და ა. შ. ინდივიდუალურ ენას და იდეოსტილის დონეზე დაჰყავს.

2.2. ექსტრალინგვისტური ფაქტორები და სამართლის ნორმის სტრუქტურა

ქართული ოფიციალურ-საქმიანი სტილი ტრადიციული ენათმეცნიერების ხედვით იყოფა შემდეგ ქვესტილებად: **საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ-კანცელარული, დიპლომატიური.**

1. საკანონმდებლო სტილი მოიცავს: **კანონების, კოდექსების, კონსტიტუციის, სხვადასხვაგვარი ნორმატიული დოკუმენტების ტექსტებს.**

- **კანონი** უმთავრესად ნორმატიული აქტის ტექსტია. იგი განსაკუთრებული აქტია. აწესრიგებს ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობების მნიშვნელოვან საკითხებს (7).

2. **საკანონმდებლო აქტები** მნიშვნელობის მიხედვით იყოფა **ძირითად** ანუ **საკონსტიტუციო** და **ჩვეულებრივ** ანუ **მიმდინარე** კანონებად.

3. იმის მიხედვით, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელ სფეროს არეგულირებენ, სამართლებრივი ნორმები არის: **ადმინისტრაციული, სისხლის, შრომის, სამოქალაქო სამართლის**. ისინი კვალიფიცირების შედეგად კოდექსებად ყალიბდება.

კანონშემოქმედება სახელმწიფოსაგან ნორმატიული აქტების შექმნაში აისახება. ენა აქ უმთავრეს ფუნქციას ასრულებს - აზროვნების საშუალებაც არის და ურთიერთობისაც.

ფილოსოფოსთა მიხედვით, რასაც სამართლის თეორეტიკოსებიც იზიარებენ, სამართალი შემდეგი სახეობებისაა:

- **ბუნებითი; უზენაესი; საყოველთაო; პოზიტიური.** ისინი მუდმივ განვითარებაშია და ეს განვითარება იმაზეა დამოკიდებული, სად და როდის ხდება კანონშემოქმედებითი პროცესი.
- კანონშემოქმედება განუწყვეტელი პროცესია. დროისა და საზოგადოების ცვლილებასთან ერთად იცვლება ვითარება და იცვლება სამართლებრივი ნორმაც, ყავლი გაუდის **ძველს**, ყალიბდება **ახალი**.

სხვადასხვა ერის კანონათა ენა და სტილი განსხვავებულია - ინდივიდუალურია, განსხვავებულია **კანონების სისტემებიც**. ამასთან აქვთ **საერთოც**.

განსხვავებებს განაპირობებს სამართლის არსის წვდომის სტილი (ები), რაც თავის მხრივ, ეროვნული სულის (მენტალიტეტის) შედეგია.

♦ **“ნორმატიული აქტები** შეიცავენ ზოგადი ხაისთვის სავალდებულო ქცევის წესებს”. ამ წესების ენა კი მკაცრად ნორმირებულია, ნახვეწი და აზრს დაქვემდებარებული. აქ ტექსტის ყოველი სიტყვა, ტერმინი შინაარსის მიხედვით უნდა იყოს გამოყენებული. იგივე ითქმის პუნქტუაციაზედაც.

◆ **საკანონმდებლო სტილი** ხელისუფლებისა და ადამიანების ურთიერთობებს ემსახურება.

საკანონმდებლო ენა ნორმატიულ აქტებში ფუნქციონირებს.

ნორმატიული აქტები კომუნიკაციის ფორმებია. ისინი ენის ტიპიზებულ გამოყენებას განაპირობებენ.

◆ **სამართლის ნორმა** არის სამართლის კონკრეტული სუბიექტების მიერ დადგენილი **ქცევის წესი**. **სამართლის ნორმა** აწესრიგებს ერთი სახის საზოგადოებრივ ურთიერთობას მონაწილე კონკრეტულ პირებს შორის ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების აღიარება-გამიჯვნის გზით, რომელთა სამართლებრივი დაცვა, მათი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით (41, 72).

◆ **სამართლის ნორმის სტრუქტურა** შედგება: ჰიპოთეზის, დისპოზიციის, სანქციისაგან (ან დისპოზიციის სახეობის).

◆ **ჰიპოთეზა** - არის ის ფაქტობრივი გარემოება, რომლის დადგომის დროს იწყება მოქმედებას ქცევის წესი;

◆ **დისპოზიცია** - სამართლის ნორმის ნაწილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია შესაბამისი სუბიექტის ქცევის წესი;

➤ **სანქცია** - სუბიექტის პასუხისმგებლობის ზომა.

განსაზღვრულობის მიხედვით ჰიპოთეზა სამგვარია: - ზუსტად განსაზღვრული; - შეფარდებით განსაზღვრული; - აბსოლუტურად განსაზღვრული.

◆ **სამართლის მიხედვით** კი ჰიპოთეზა არის: - **მარტივი**; - **რთული**; - **ალტერნატიული**.

ჰიპოთეზა სამართლებრივ ნორმებში სხვადასხვა რედაქციული ან **ენობრივი** ფორმით არის ჩამოყალიბებული. ეს იმიტომ გამოწვეულია, რომ სხვადასხვანაირია ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად განსხვავებულია ენობრივი ასახვაც (9).

- **დისპოზიცია**: ა) **შინაარსის მიხედვით** არის: - **მავალბელი**; - **ამკრძალავი**; - **ნებადამრთველი**. ბ) **სირთულის მიხედვით**: - **მარტივი**; - **აღწერილობითი**; - **მითითებითი**; - **ცარიელი**.

არსებობს დისპოზიციის **სპეციფიკური სახეობები**, რომლებიც განსაზღვრავს ზოგად პრინციპებს. მაგ., კონსტიტუციაში არის ნორმა, რომელიც აღიარებს: პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება დაცულია კანონით.

- **სანქცია** - განსაზღვრულობის მხრივ შეიძლება იყოს: **აბსოლუტურად განსაზღვრული, შეფარდებით განსაზღვრული, კუმულაციური და ალტერნატიული** პასუხისმგებლობის დამდგენი (10).

2.3. ლექსიკა და სიტყვაწარმოება. ტერმინოლოგია

2.3.1. სიტყვა და მისი მნიშვნელობა საკანონმდებლო სტილში

ამ სტილისათვის დამახასიათებელია შინაარსის კონკრეტულობა და გამოხატვის საშუალებათა აბსტრაქტულობა. ამიტომ კანონთა ენას სიზუსტის მკაცრი მოთხოვნა წაეყენება. სიტყვების ერთი მნიშვნელობით გამოყენება, მეტაფორის, ეპითეტის, მეტონომიის გამოყენების გამორიცხვა (42, 104).

- განასხვავებენ **სიტყვის ემოციურ შეფერილობას** და სიტყვის ემოციურ მნიშვნელობას, სტილისტიკურ **შეფერილობას** და სტილისტიკურ **მნიშვნელობას**.

ემოციური შეფერილობა უშუალოდ არ გამოხატავს ადამიანური გრძნობის გაგებას. მას მხოლოდ ემოციური დამოკიდებულების არეალი მოეპოვება (43) იგი წარმოადგენს შეფასების მომენტს (დადებითს და უარყოფითს) და სიტყვის მნიშვნელობას შეადგენს.

ემოციური მნიშვნელობის სიტყვები კი ისინია, რომლებიც უშუალოდ **გადმოსცემენ ადამიანურ გრძნობებს**.

- სიტყვის სტილური შეფერილობა არის სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა + დამატებითი ექსპრესიულობა და ფუნქციონალურობა, რომელიც შემოსაზღვრავს სიტყვის გამოყენების შესაძლებლობების და დამოკიდებულების სფეროს. იგი სტილური ინფორმაციის მატარებელია.

● **საკანონმდებლო სტილისათვის არ არის დამახასიათებელი ემოციურობა-ექსპრესიულობა.** აქ სუბიექტური შემფასებლური მომენტი (მოვლენის შეფასების მომენტი) საერთოდ გამორიცხულია.

აქ არ არსებობს ზედმეტი სიტყვა, ემოციურობის გამომხატველობა.

ამ სტილისათვის სპეციფიკურია **შინაარსის**, ფაქტის, მოვლენის ზუსტი ასახვა-გადმოცემა. ეს კი ნიშნავს, რომ აქ გამოსახვის საფუძველია **სინამდვილის ობიექტური ასახვა და არა სუბიექტური შეფასებითი მომენტი** (13).

● საქმიან ენაში დიდ ადგილს იკავებს ტერმინოლოგიური ფრაზეოლოგია და არ გამოირჩევა ემოციურობითა და ექსპრესიულობით.

საქმიანი ენისათვის ზედმეტია გამომსახველობა, ც. ბარბაქადის აზრით ასე არაა, აქ გამომსახველობა არის, მაგრამ სპეციფიკურია და მიმართულია საქმიანი ენის სტილური თვისებების ენობრივი განსახიერებისაკენ.

● საერთოდ, **ფუნქციური სტილი** დახვეწილია, თუ აკმაყოფილებს **მართებულობის (სისწორის)**, **სიზუსტისა და ესთეტიურობის** მოთხოვნებს.

სტილს, როგორც წესი, ნორმათა საკუთარი სისტემა აქვს (13).

საკანონმდებლო სტილისათვის:

1. **მართებულობა** (სისწორე) - სტანდარტების დაცვა;
2. **სიზუსტე** - ლექსიკა-ფრაზეოლოგიის პირდაპირი, ნომინაციური მნიშვნელობით გამოყენება;
3. **ესთეტიური** - სიმკაცრესა და გამოკვეთილ ობიექტურობაშია ვლინდება (14).

● **კანონთა ენაში** ემოციურ-ექსპრესიული შეფასებები **ფუნქციურ-სტილური** შეფერილობისაა. იგი სტილის ნეიტრალური ნორმაა და არა ექსპრესიული გადახვევა. **თუმცა ექსპრესია ახლავს, მაინც ე. წ. მშრალი „ენობრივი ეპითეტებით არის გამოხატული“ და ტერმინოლოგიური მნიშვნელობისაა.**

მაგალითად, აშკარა გატაცება, მსუბუქი სასჯელი, გულწრფელი მონანიება.

● **ტავტოლოგია** - საკანონმდებლო ტექსტებში **სტილური ნორმაა**.

ზოგადად ტავტოლოგია მეტყველებაში სიღარიბის გამოხატულებაა.

კანონთა ენაში ტავტოლოგიის თავიდან აცილების მცდელობა და ამ მიზნით სინონიმების გამოყენება აზრის გაბუნდოვანებას იწვევს. ეს კი აქ დაუშვებელია. საკანონმდებლო ენაში სიტყვებისა და გამონათქვამების გამეორება ამ ენას ოფიციალურ ტონს აძლევს (აძლიერებს), ამასთან გახაზავს მთავარს, არსებითს.

განმეორებული სიტყვები და გამოთქმები ადვილად ჯდება მკითხველის ცნობიერებაში (14). **მაგალითები!**

- საკანონმდებლო სტილის ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:
 1. საერთოენობრივი (წიგნური), ნეიტრალური;
 2. ფუნქციურ-სტილური შეფერილობის;
 3. ტერმინოლოგიური სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც მხოლოდ საკანონმდებლო სტილისაა.
- სამართლებრივ ნორმებში აქცენტირებული საერთო სავალდებულო ქცევის წესები.
- სამართლებრივი ნორმები ადამიანებს ანიჭებს უფლებებს, აკისრებს მოვალეობებს.
- სამართლის ნორმებს ადგენს სახელმწიფო, სახელმწიფოთა ჯგუფი, საზოგადოება, საერთაშორისო ორგანიზაციები, მართლმსაჯულების ორგანოები.

კანონთა შექმნა განპირობებულია მუდმივი სიტუაციების არსებობით, მათი შექმნა კი ენობრივ თავისებურებებს იწვევს.

არსებითი სახელებიდან მაღალი სიხშირით გამოირჩევა ისეთები, როგორებიცაა **პირი, კანონი, უფლება** (17).

ზმნებიდან: ადგენს, ამტკიცებს, არეგულირებს, აწერიებს,

აღიარებულია, აკრძალულია, განსაზღვრავს, განიხილავს, დასაშვებია, დაუშვებელია, დადგენილია, ექვემდებარება, ეწევა, ვრცელდება, ვალდებულია, ითვალისწინებს, ისჯება, მოქმედებს, უფლებამოსილია, უზრუნველყოფს, შეიძლება, ხელშეუხებელია (17).

საწყისი - მიმდებარე: განსაკუთრებული, განხორციელება, განსაზღვრული, დადგენილი, მოქმედება, ქმედება, ჩადენა (17).

ამის გათვალისწინება საჭიროა შედარებისთვის - რა ცვლილებები შევიდა ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში, როდესაც ქართული კანონმდებლობა, რუსულის ნაცვლად, ევროატლანტიკურ ანალოგიებს დაემყარა.

საკანონმდებლო სტილში საერთოენობრივი მნიშვნელობის ზოგიერთი სიტყვა მაღალი სიხშირისაა, ახალ ისეთ ნიუანსებს იძენს, რომლებიც განმარტებით ლექსიკონებში საერთოდ არაა ასახული. ან სიტყვის ის მნიშვნელობაა აქცენტირებული და ხშირი, რომელიც სხვა სტილში იშვიათია. ასეთ შემთხვევაში სიტყვა “სტილისტური ინფორმაციის” მატარებელია. მაგ. სიტყვა “პირი”. ქველში შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

1. ნაპრალი ტუჩებს შორის, ტუჩების მოხაზულობა;
2. ტუჩებს, ხორხსა და ყბებს შორის ღრუ;
3. სახე, პირისახე;
4. ცალკე ადამიანი - პიროვნება, ინდივიდი;
5. პირობა;
6. ერთმანეთის მხარის დაჭერა, გატანა - ერთსულოვნება, პირიანობა;
7. ნება, უფლება;
8. დედნისაგან ზუსტად გადაღებული ტექსტი - ასლი, კოპიო;
9. ზედაპირი, ზევითა, გარეთა მხარე, ჭრილობის ღია, გარეთა მხარე;
10. ქსოვილის, ტყის და მისთანათა ერთი მხარე;
11. ქვეშაგებზე, საბანზე გარედან გადასაკრავი ქსოვილი;
12. განაპირა ადგილი, კიდე;

13. ჭურჭლის ზემოთა, ღია ნაწილი;
14. იარაღის მჭრელი მხარე;
15. წყება, რიგი;
16. ჯერი, გზობა;
17. სასროლი იარაღის ლულის წინა ნახვრეტი, საიდანაც ტყვია გადის;
18. დასაწყისი (დროის დასაწყისი);
19. გრამატიკული ფორმა ზმნისა;
20. რთული ფუძის მეორე ნაწილი.

საკანონმდებლო სტილში წამყვანია სიტყვა “პირის” მეოთხე მნიშვნელობა - ცალკე პიროვნება, ინდივიდი.

- ზმნებიდან ხშირად იხმარება **“განსაზღვრავს”**.
- “სტილური ინფორმაციის” მატარებელი შეიძლება იყოს საერთოენობრივი ლექსიკის კუთვნილი სიტყვები (18).

საკანონმდებლო სტილში:

- სიტყვები გამოიყენება პირდაპირი მნიშვნელობით;
- აზრი გადმოიცემა ლოგიკურად;
- ტექსტი შეიცავს: მტკიცებას, დასაბუთებას, ფაქტების დაზუსტებას, ანალიზს, აღწერას.
- ემყარება ნეიტრალურ ლექსიკას;
- ემოცია, ექსპრესია, შეფასებითი დამოკიდებულება მინიმუმამდეა დაყვანილი;
- ხშირია სტანდარტული გამოთქმები ანუ შტამპები.

2.2.2. ტერმინოლოგია

საკანონმდებლო სტილის ტერმინოლოგია მეტწილად **პოლიტიკური** და იურიდიული ტერმინოლოგიის შემცველია.

იმის გამო, რომ კანონის ენის გარეთ, მაგ., იურიდიულ ტერმინებს სხვა განმარტებები ეძლევა, საკანონმდებლო სტილის სივრცეში ტერმინებს ახლავს განმარტებები, რადგან იმ ნიუანსებს, რასაც ტერმინები აღნიშნულ სივრცეში იძენენ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

- ცილისწამება - მონაჭორის გავრცელებაა შეგნებულად.

სისხლის სამართლის კოდექსში ამ სიტყვის განმარტება სალექსიკონოსაგან განსხვავდება სიტყვით “შეგნებულად”. ეს სიტყვა ასახავს იმ ნიუანსს, რაც არსებითია კანონის ტექსტში. აქცენტირებულია მონაჭორის განზრახული, ანუ შეგნებული გავრცელება და არა შეუგნებლად, გაუაზრებლად, უნებლიედ.

- “შეურაცხყოფა” - პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, უწესო ფორმით;
- “ყაჩაღობა” - თავდასხმა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მიტაცების მიზნით, საშიში ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით.

აღნიშნული სიტყვების შინაარსების დაზუსტება კანონის ენაში შეპირობებულია იმ დამატებითი ნიუანსების (შინაარსების) შეძენით, რომლებსაც ისინი ამ ენაში იძენენ (19). ამგვასი სიტყვებს პროფესიონალიზმები ეწოდება.

- პროფესიონალიზმები

სიტყვა-ტერმინი ცოდნის ერთი სფეროდან შეიძლება გადავიდეს მეორეში, თანაც ისე, რომ ან შეინარჩუნოს თავდაპირველი მნიშვნელობა ან გამდიდრდეს ახალი ნიუანსით.

ცოდნის სხვადასხვა დარგებში მოხმარებული ტერმინები კარგავენ ვიწრო სპეციალურ ხასიათს და გადაინაცვლებენ წიგნურ ენაში. ამგვარი ტერმინები უხვადაა საკანონმდებლო ენაშიც (20).

- სესხება - კანონის ენაში ნასესხებია უპირატესად პოლიტიკური ტერმინები.

სესხება ხდება ან უშუალოდ უცხო ენიდან, ან სხვა ენის მეშვეობით.

ამის ცოდნა იმიტომაც არის საჭირო, რომ შუამავალი ენა ხშირად ასხვაფერებს ნასესხებ სიტყვას.

მაგ. სიტყვები: **ნაცია, რეაქცია, უნიფიკაცია** ლათინური წარმომავლობისაა. მათი დაბოლოებაა იო, რუსულში აქვთ დაბოლოება ია (я). ქართულში რუსულის გზით შემოვიდა:

ნაციო-ს მაგიერ ნაცია, რეაქციო-ს ნაცვლად რეაქცია, უნიფიკაციო-ს ნაცვლად - უნიფიკაცია.

ნასესხები სიტყვები ყველა ენაშია. სესხება არაა საშიში, თუ საფრთხე არ მოელის ენის თვითმყოფადობას.

ნასესხებ პოლიტიკურ ტერმინთა უმეტესობა ინტერნაციონალური ხასიათისაა. ინტერნაციონალური ლექსიკა ქართულში უკავშირდება ბერძნულ და ლათინურ ენებს.

ქართული სამართლის ძეგლები (ვახტანგ VI სამართლის წიგნი) უკავშირდება მოსეს სჯულის, სირიული, რომაული, ბიზანტიური და სომხური სამართლის ძეგლებს. კანონთა ტექსტებში საკმაოდ ძლიერია ინტერნაციონალიზმების დამკვიდრების ექსპრალინგვისტური ფაქტორი (გვ. 21).

2.3. სინონიმია საკანონმდებლო ტექსტებში

სინონიმიის მოვლენა ენობრივ პრაგმატიკასთან არის დაკავშირებული, სიტყვათა ერთი მნიშვნელობით გამოყენებისა და ამით მათი სემანტიკის გაფერმკრთალებისაგან თავის დასაცავად. აბსოლუტური სინონიმია (აბსოლუტური ერთგვაროვნება), მართალია, გამორიცხულია, სინონიმები ყოველთვის რაღაცით სხვაობენ, მაგრამ სწორედ ეს ძნელად შესამჩნევი სხვაობა სძენს ხიზლს მეტყველებას - ზეპირსაც და წერითსაც.

ქართულ ლექსიკოლოგიაში აქამდე გარკვეულია, რომ სიტყვათა გამოყენების პრაქტიკაში სამი მომენტი იჩენს თავს:

პირველი ცხადყოფს სიტყვის მიმართებას აღსანიშნ საგანთან, მეორე - სხვა სიტყვასთან, მესამე - ენობრივ პიროვნებასთან ანუ მომხმარებელთან.

ზოგადად მსგავსი მნიშვნელობის სინონიმებს შეუძლიათ განსხვავებული აზრობრივი ნიუანსის გამოხატვა. ეს ნიუანსობრივი სხვაობა მოლაპარაკე სუბიექტის აზრის უფრო ზუსტად, ამასთან ემოციურ-ექსპრესიული ელფერით გამოხატვას უწყობს ხელს.

სინონიმებს ერთმანეთისაგან ან შინაარსობრივი ნიუანსი განასხვავებს, ან სუბიექტური მომენტი - მოლაპარაკე სუბიექტის დამოკიდებულება აღსანიშნისადმი.

მაგალითად: “ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის **სუბიექტები** ასევე არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირების ის თანამშრომლები,... აგრეთვე ნებისმიერი სხვა **პირი**” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი XI, თავი 39, მუხლი 332, შენიშვნა 1).

აქ სინონიმას ერთ შემთხვევაში შინაარსეული ნიუანსი განაპირობებს (“სუბიექტი” - “დანაშაულის” და “იურიდიული პირი” - “საჯარო სამართლის”), მეორე შემთხვევაში კანონმდებლობის სუბიექტური ხედვა (“ნებისმიერი სხვა პირი”).

◆“კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი” (სამოქალაქო სამართალი, წიგნი I, შესავალი დებულებანი, მუხლი 8, 1);

აქაც სინონიმის საფუძველს ქმნის შინაარსეული ნიუანსი (“**სუბიექტი**” - ზოგადი შინაარსის გამოხატვა, “**პირი**” - კონკრეტული სიმრავლისა - “ფიზიკური ან იურიდიული”).

◆“...სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი” (სისხლის სამართალი, კარი XI, თავი 37¹, მუხლი 322¹, შენიშვნა).

ამ შემთხვევაშიც სინონიმის საფუძველია შინაარსობრივი ნიუანსური სხვაობა.

საერთოდ განასხვავებენ **აბსოლუტურ** და **რელატიურ** სინონიმებს, აბსოლუტური სინონიმები, თავის მხრივ, “სინონიმურ დუბლეტებს” ქმნიან. სინონიმური დუბლეტები ზუსტ ექვივალენტებს წარმოადგენენ.

სინონიმურ რიგებს ნასესხები (ინტერნაციოლიზმები) ქმნიან. მაგალითად:

- კრედიტი - სესხი - “ფინანსურ ოპერაციებს მიეკუთვნება კრედიტის (სესხის) აღება/გაცემა/გადაცემა” (საგადასახადო კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 15 2 “გ”);
- “პროცენტად ითვლება...კრედიტთან (სესხთან), დეპოზიტთან, ანაბართან, ობლიგაციასთან დაკავშირებული გადასახადი” (საგადასახადო კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 8, 19 “ზ” - “ზ”);
- **ლიცენზია - ნებართვა:**

“ცოცხალი გენმოდირეზირებული ორგანიზაციების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე, ... ისჯება” (სისხლის სამართალი, კარი X, თავი 36, მუხლი 289¹, 2);

“არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება: საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, ...ლიცენზია, ფრანჩიზი...” (საგადასახადო კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 8, 1);

- **ფალსიფიკაცია - გაყალბება:**

“იმ გარემოების... დამალვა ან გაყალბება, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, ... ისჯება (სისხლის სამართალი, კარი IX, XXXII თავი, მუხლი 247, 1);

- **იდენტური - მსგავსი:**

“თუ საქონლის/მომსახურების ბაზარზე იდენტურ (მსგავს) საქონელზე/მომსახურებაზე დადებული გარიგება არ არსებობს, ... საბაზრო ფასი განისაზღვრება იმ ფასებით... (საგადასახადო კოდექსი, I კარი, II თავი, მუხლი 18, 5);

“იდენტური საქონელი არის სხვადასხვა საქონელი, რომლებსაც აქვთ ერთნაირი მახასიათებლები” (საგადასახადო კოდექსი, I კარი, II თავი, მუხლი 18, 12);

- **იმპორტიორი - მომწოდებელი:**

“...იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით შეძენისას (იმპორტისას)” (საგადასახადო კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 8, 3)

“გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწო-

დებელს (იმპორტიორს)” (საგადასახადო კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 8, 2);

“არაპირდაპირი გადასახადი... დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის...ფასზე დამატების სახით” (საგადასახადო კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 8, 3).

სინონიმურ დუპლეტებში სხვაობა არ არსებობს. მათ საგნებთან მიმართების იდენტურობა აკავშირებს.

◆რელატიური სინონიმები სამი ჯგუფისაა:

1. აზრობრივი სხვაობის მქონე სინონიმები;
2. სტილისტიკური სხვაობის მქონე სინონიმები;
3. ფრაზეოლოგიური სხვაობის მქონე სინონიმები.

1. აზრობრივი სხვაობის სინონიმებია: სუბიექტი, პირი, მოქალაქე.

ეს სინონიმები კონტექსტში სხვადასხვა მსაზღვრელებს მიემართება. მაგალითად:

◆“ამ თავით გათვალისწინებული **დანაშაულის სუბიექტები** ასევე არიან საჯარო სამართლის **იურიდიული** პირების ის თანამშრომლები, ... აგრეთვე ნებისმიერი სხვა **პირი** (სისხლის სამართალი, კარი XI, თავი 39, მუხლი 332, შენიშვნა 1).

აქ: “დანაშაულის სუბიექტი” და “**იურიდიული პირი**”- ია.

◆ “...სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობისაგან თავისუფლდება უცხო ქვეყნის **მოქალაქე** ან მოქალაქეობის არმქონე **პირი**” (სისხლის სამართალი, კარი XI, თავი 37¹, მუხლი 322¹, შენიშვნა) ამ მაგალითში **მოქალაქე პირიც** არის.

ლექსიკონების მიხედვით სინონიმებს წარმოადგენს „**ბრალო**“ და „**დანაშაული**“.

„დანაშაული“, სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით, არაკანონიერი, არამართებული მოქმედებაა. ამ სიტყვების სემანტიკაში ასახულია მოსაუბრის პოზიცია, მისი უარყოფითი შეფასებითი დამოკიდებულება ჩადენილი მოქმედების მიმართ. ამ გაგებით „დანაშაული“ შესიტყვებებში დინამიკური შინაარსის ზმნებს იგუებს, მაგალითად:

◆ „ის, ვინც ჩაიდინა **დანაშაული**... შეიძლება გათავისუფლდეს... პასუხისმგებლობისაგან, თუ **დანაშაულის** ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა **ბრალის** აღიარებით“ (სისხლის სამართალი, კარი IV, თავი XIII, მუხლი 68, 1).

◆ „პასუხისმგებლობა დაეკისრება საერთო წესით, თუ არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი სხვა გარემოება“ (სისხლის სამართალი, კარი II, თავი IX, მუხლი 37, 2);

◆ „... შინაპატიმრობით შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა **ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის** მოსახდელი სასჯელის...“ (სისხლის სამართალი, კარი IV, თავი XIV, მუხლი 73, 4, “ა”);

◆ “... თუ მან ფაქტობრივად მოიხადა ა) **ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის** მოსახდელი ვადის არანაკლებ ერთი მესამედი... ბ) **მძიმე დანაშაულისათვის**... გ) **განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის**...;

◆ “უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ **განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის** (სისხლის სამართალი, კარი III, თავი X, მუხლი 51,1);

◆ “არაერთგზისი **დანაშაული** ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ... **დანაშაულის ჩადენას**” (სისხლის სამართალი, კარი II, თავი 5, მუხლი 15);

◆ “თუ მსჯავრდებულმა... განზრახ დანაშაული ჩაიდინა, ... საკითხს წყვეტს სასამართლო” (სისხლის სამართალი, კარი IV, თავი XIV, მუხლი 72¹, 2, “ზ”).

სამართლებრივი კვალიფიკაციის მიხედვით დანაშაული შედეგი სახეობებისა: გამოუსწორებელი, განსაკუთრებით მძიმე, მძიმე, უნებლიე, სისხლის სამართლის, ნაკლებად მძიმე, მაგალითად:.....

სიტყვა “ბრალი” ტერმინოლოგიური დანიშნულებით დანაშაულის აღიარების დადასტურების საშუალებაა. წინაპირობაა და არა თავად მოქმედების შეფასება. ამასთან სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სფეროში დაუშვებელია

“ბრალისა” და “დანაშაულის” სინონიმური ხმარება. აქ სიხშირის მიხედვით გამოირჩევა ზმნათა პარალელური ფორმები:

1. ახორციელებს კონტროლს//კონტროლს უწევს//აკონტროლებს:

- „პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს“ (საგადასახადო კოდექსი, I კარი, II თავი, მუხლი 19, 2, „გ“);
- „პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს... ახორციელებს პრობაციის ბიურო“ (სისხლის სამართალი, კარი III, თავი XII, მუხლი 66, 1);
- „ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორეს“ (საგადასახადო კოდექსი, I კარი, II თავი, მუხლი 19, 2, “1”);
- “პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს” (საგადასახადო კოდექსი, I კარი, II თავი, მუხლი 19, “ზ”);

2. რეგისტრირდება//რეგისტრაციას ექვემდებარება:

- “უცხოურ საწარმოს... უფლება აქვს დაარეგისტრიროს განცალკევებული მუდმივი დაწესებულება (საგადასახადო კოდექსი, II კარი, III თავი, მუხლი 24¹, 2);

3. უფლებამოსილია//უფლება აქვს//სარგებლობს უფლებით:

- “ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს” (საგადასახადო კოდექსი, კარი I, თავი I, მუხლი 7,1);
- “სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს... განახორციელოს...” (საგადასახადო კოდექსი, კარი II, თავი III, მუხლი 24¹, 2);
- “ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს უფლება აქვს, შემოიღოს (საგადასახადო კოდექსი, კარი I, თავი I, მუხლი 5, 3);
- “სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე” (სამოქალაქო კოდექსი, წიგნი I, ძირითადი დებულებები, მუხლი 4, 1)

4. განსჯადია//განსჯას ექვემდებარება:

5. ხელმძღვანელობს//ხელმძღვანელობას უწევს:

6. აკონტროლებს//კონტროლს უწევს

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სივრცეში გეხვდება “პარაფრაზული სინონიმია”. უფრო გავრცელებულია სახელადი მნიშვნელობის პარაფრაზული სინონიმები. მაგალითად:

- “ჯანმრთელობის განზრახ მძიმე... დაზიანება, რაც გამოიწვია **დამნაშავეს** ან მის ახლო ნათესავის მიმართ... ძალადობამ” (სისხლის სამართალი, კარი VII, თავი XX< მუხლი 121);

- “განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც **ბრალდებულის** მიერ საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა... **განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის** ვინაობა (სისხლის სამართალი, კარი IV, თავი XIII, მუხლი 70¹).

2.3.1. კალკი

კალკი კანონთა ენაში ჩვეულებრივი მოვლენაა. იგი ლექსიკის გამდიდრების საშუალებაა. კალკი იქნება გამონათქვამის სხვა ენის სიტყვაწარმოების პრინციპით აგების შემთხვევაში, ანუ კალკი ემყარება გამონათქვამის აგებას ერთი ენის ლექსიკით და მეორე ენის სიტყვაწარმოების წესის გამოყენებით.

კალკი ორი სახისაა:

- **მიბადვით სიტყვაწარმოებითი;**

- **მნიშვნელობის სესხებითი.**

მიბადვითი სიტყვაწარმოება უცხოენოვან მოდელს ემყარება - ქართული სიტყვა უცხო ენის სიტყვაწარმოების წესით აიგება.

კანონთა ენისათვის უმთავრესად მიბადვითი სიტყვაწარმოებაა დამახასიათებელი, მაგალითად, **წარდგენა**:

- ◆ “... სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა არ საჭიროებს საბაჟე დეკლარაციის წარდგენას” (საგადასახდო კოდექსი; კარი X, თავი 32, მუხლი 222, 1);

- ◆ “პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა დაუშვებელია”... (საგადასახადო კოდექსი: კარი IV, თავი IX, მუხლი 69, 4);
- ◆ “დეკლარაციის წარდგენის ვადა გრძელდება 6 თვით” (საგადასახადო კოდექსი, კარი IV, თავი IX, მუხლი 68);
- ◆ **განსაზღვრული:**

“ამ მუხლით **განსაზღვრული** სამართლებრივი ურთიერ-
-თობების მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო
კანონდემლობის დებულებები...” (საგადასახადო კოდექსი:
კარი XI, თავი 35, მუხლი 249, 4);

- ◆ “თუ ვადა **განსაზღვრული** არ არის, პირობა შესრულე-
ბულად ითვლება მაშინ, თუ...” (სამოქალაქო კოდექსი:
წიგნი I, კარი II, თავი V, მუხლი 94, 2);
- ◆ “თუ კონსტიტუციით არ არის **განსაზღვრული** კანონის
მიღების სხვა წესი” (საქართველოს კონსტიტუცია: თავი
III, მუხლი 45, 3).

◆ **თანასწორია:**

“ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის
წინაშე **თანასწორია**”.

ინტენსიურია კალკები: ექვემდებარება განსჯადობას, **განი-
საზღვრება... კანონით**;

“დაზიანებული ან გაფუჭებული საქონელი **ექვემდებარება**
დეკლარანტის მიერ არჩეული სასაქონლო ოპერაციის განხორ-
ციელებას” (საგადასახადო კოდექსი: კარი X, თავი 34, მუხლი
231, 11);

“საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარება სხვა სახელმწიფოს...
დიპლომატიური პერსონალი” (საგადასახადო კოდექსი: კარი
X, თავი 32, მუხლი 219, 2);

უნდა გვახსოვდეს, რომ კალკის გამოყენება იმ შემთხ-
ვევაშია გამართლებული, როდესაც მისი შესატყვისი სიტყვა ან
გამოთქმა მიმღებ ენაში არ არსებობს.

კალკი პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება. კალკი უნ-
და შეესაბამებოდეს ქართული ენის ბუნებას, სტრუქტურას.

2.3.2. ტერმინოლოგიური შესიტყვებები

კანონთა ენაში ტერმინოლოგიური შესიტყვებები ორკომპონენტიანია - მსაზღვრელ-საზღვრულის კონსტრუქციისაა. მაგალითად:

1. ზედსართავი სახელი მსაზღვრელად:

- ◆ “ზანგრძლივი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირების პრინციპები განისაზღვრება ორგანული კანონით” (საქართველოს კონსტიტუცია: თავი VII, მუხლი 67, 2)
- ◆ “იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობაში შედიან 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე” (საქართველოს კონსტიტუცია: თავი VI, მუხლი 64, 2).

2. მიმღეობა მსაზღვრელად:

- ◆ “სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს... დადგენილი წესით აწერს ხელს” (საქართველოს კონსტიტუცია: თავი VI, მუხლი 66, 7).
- ◆ “...ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე” (სისხლის სამართლის კოდექსი: კარი X, თავი 36, მუხლი 301, 1).

3. მიმართებითი ზედსართავი სახელები მსაზღვრულად:

- ◆ “მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის,... შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის ან ეპიდემიის დროს” (საქართველოს კონსტიტუცია: თავი III, მუხლი 71, 2);
- ◆ “საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საყოველთაო არჩევნები არ ტარდება” (საქართველოს კონსტიტუცია: თავი VIII, მუხლი 71, 5);
- ◆ “ძალადაკარგულია პირველი ნაწილის ის ნორმატული

შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს **სისხლისსამართლებრივო სასჯელის** სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას” (სისხლის სამართლის კოდექსი: კარი IX, თავი 33, მუხლი 260, 1);

- ♦ “საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის **მონეტარულ პოლიტიკას**” (წარმომავლობის სუფიქსით ნაწარმოები მსაზღვრელი)
- ♦ “თავაცვითი ომი საქართველოს **სუვერენული** უფლებაა” (დანიშნულების სახელთა სუფიქსით ნაწარმოები მსაზღვრელი) (საქართველოს კონსტიტუცია: თავი VIII, მუხლი 70, 1);
- ♦ “**საომარი** მდგომარეობის დროს დეკრეტით შეიძლება თავდაცვის ძალებში **სახელმწიფო და საზოგადოებრივი** უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოების გაერთიანება” (მიმართებითი ზედსართავი დანიშნულების აფიქსებით ნაწარმოები მსაზღვრელი) (საქართველოს კონსტიტუცია: თავი VIII, მუხლი 70, 5).

4. თანდებულიანი არსებითი სახელი მსაზღვრელად:

- ♦ „**სახელმწიფოთა შორისი** და შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების დროს გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფ კულტურულ ფასეულობათა დაცვის საერთაშორისო წესების განზრახ დარღვევა...” (სისხლის სამართლის კოდექსი: კარი IX, თავი 32, მუხლი 259⁵, პუნქტი 1).

5. მართულმსაზღვრელიანი შესიტყვებები:

- ♦ „პარლამენტის წევრის **არჩევის წესი**, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით“ (საქართველოს კონსტიტუცია: თავი III, მუხლი 50, 5);
- ♦ „...ისჯება თავისუფლების აღკვეთით“ (სისხლის სამართლის კოდექსი: კარი IX, თავი 34, მუხლი 276, 3).

ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში მსაზღვრელებლად ყვე-

ლაზე მაღალი სიხშირისაა დანიშნულების სახელთა აფიქსებით წარმოებული მსაზღვრელები და მართული მსაზღვრელები.

6. კანონათა ენაში ჩვეულებრივი მოვლენაა ორზე მეტი კომპონენტის მქონე შესიტყვებები:

- ◆ „თანამსრულებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით“ (სისხლის სამართლის კოდექსი: კარი II, თავი VII, მუხლი 25, 2);
- ◆ „ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია“ (საქართველოს კონსტიტუცია: მუხლი 10, 2).
- ◆ „აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმოო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა... ისჯება ჯარიმით“ (სისხლის სამართლის კოდექსი: კარი IX, თავი XXXI, მუხლი 242, 1)
- ◆ „ჯამური საგადასახადო ვალდებულების თანხის გაანგარიშება ხორციელდება სრულ ლარებში“ (საგადასახადო კოდექსი: კარი IV, თავი IX, მუხლი 67, 2).

7. კანონთა ენას ახასიათებს მარტივი ფრაზეოლოგიური კავშირები - მყარი შესიტყვებები, სადაც ერთი წევრი (უპირო ზმნა) დაცლილია მნიშვნელობისაგან, მაგრამ მაინც შეიცნობა, როგორც შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამი. ამგვარ ფრაზეოლოგიურ კავშირებში მონაწილეობენ შემდეგი ზმნები:

ამტკიცებს:

- „საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია“ (საქართველოს კონსტიტუცია: თავი IV, მუხლი 50, 3);

ახორციელებს:

- „ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“ (44);

განსაზღვრავს:

- „საქართველოს პარლამენტი... ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, **განსაზღვრავს** ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს...“ (საქართველოს კონსტიტუცია: თავი III, მუხლი 36, 1).

კონტროლს უწევს:

- „საქართველოს პარლამენტი... კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში **კონტროლს უწევს** მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“ (საქართველოს კონსტიტუცია: თავი III, მუხლი 36, 1).

აწესრიგებს:

- „...მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით“ (44); (საქართველოს კონსტიტუცია: თავი I, მუხლი 2, 4).

დანიშნავს:

- „საქართველოს პრეზიდენტი... დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს“ (საქართველოს კონსტიტუცია: თავი V, მუხლი 56, 3).

წარადგენს:

- „მთავრობა **წარადგენს** მოხსენებას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ (საქართველოს კონსტიტუცია: თავი VII, მუხლი 66, 2).

ზრუნავს:

- „სახელმწიფო **ზრუნავს** საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე“ (საქართველოს კონსტიტუცია: თავი I, მუხლი 5, 2).

8. კანონთა ენაში ტერმინოლოგიური შესიტყვებები დაც-

ლილია მეტაფორულობისაგან, მშრალ ეპითეტებს წარმოადგენენ და უფრო კანონმდებლის ნების ზუსტად გადმოცემას ემსახურებიან.

2.3.3. ანტონიმია

საკანონმდებლო ენისათვის ბუნებრივია ანტონიმების გამოყენების სიხშირე. განასხვავებენ **კონტრარულ** და **კონტრადიქტორულ** ანტონიმებს.

1. კონტრარული ანტონიმებით საწინააღმდეგო ცნებები გამოიხატება. მაგალითად:

- ◆ „ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი“ (სამოქალაქო კოდექსი: წიგნი II, კარი I, მუხლი 148);
- ◆ „კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ობიექტი შეიძლება იყოს **ქონებრივი** ან **არაქონებრივი** ღირებულების **მატერიალური** და **არამატერიალური** სიკეთე“ (სამოქალაქო კოდექსი: წიგნი I, მუხლი 7);
- ◆ „**მეწარმეთა** და **არასამეწარმეო** (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო...“ (სამოქალაქო კოდექსი: კარი I, თავი 2, მუხლი 28, 2);

2. კონტრადიქტორული ანტონიმებით საპირისპირო ცნებები გადმოიცემა:

- ◆ „თუ პარლამენტი... **ნდობას** გამოუცხადებს ახალ მთავრობას, **უნდობლობა** გამოცხადებულად ჩაითვლება“ (საქართველოს კონსტიტუცია: თავი V, მუხლი 57, 3).
- ◆ „თუ პარლამენტი საკითხის აღძვრიდან **არაუადრეს** 7 და **არაუგვიანეს** 14 დღისა სრული შემადგენლობის უმრავლესობით **ნდობას** გამოუცხადებს ახალ მთავრობას, **უნდობლობა** გამოცხადებულად ჩაითვლება“ (საქართველოს კონსტიტუცია: თავი V, მუხლი 57, 3);

- ♦ „თუ მოქმედების განხორციელების ბოლო დღე ემ-თხვევა **არასამუშაო დღეს...** მოქმედება შეიძლება განხორციელდეს **სამუშაო დღეს**“ (საგადასახადო კოდექსი: კარი I, თავი I, მუხლი 3, 6).

კანონთა ენაში დაფიქსირებულია **ვექტრული ანტონიმებიც**, ესენია უპირატესად სხვადასხვა მიმართულების გამომხატველი ანტონიმები. მაგალითად, „გადის - შემოდის“ ტიპისა.....

საკანონმდებლო ფუნქციური ენისა და სტილის სფეროში ანტონიმები უფრო ანტონიმიურობების შესაძლებლობებია და არა ენაში ბუნებრივად არსებული ანტონიმები. აქ სხვადასხვა ფუძეებითაა ნაწარმოები ანტონიმებიც გვხვდება. მაგალითად:

- ♦ “პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრა არის **ღია ან ფარული**” (საქართველოს კონსტიტუცია: თავი III, მუხლი 44, 5);

კანონთა ენაში ხშირია აფიქსებით ნაწარმოები ანტონიმები, მაგალითად:

1. უ-ო აფიქსებით ნაწარმოები:

- ♦ “**უკანონო** შეძენა... ისჯება თავისუფლების აღკვეთით” (საგადასახადო კოდექსი: კარი IX, თავი 32, მუხლი 210, 1);
- ♦ “ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით **უნებართვო** სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა”... (საგადასახადო კოდექსი: წიგნი I, კარი I, მუხლი 18, 1);
- ♦ “არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედითუუნაროდ ცნო...” ((საქართველოს კონსტიტუცია: თავი II, მუხლი 28, 2).

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სფეროში ანტონიმიის გამოყენება განპირობებულია ობიექტური ვითარებით: რაღაც დასაშვებია, ნებადართულია, შესაძლებელია, რაღაც - დაუშვებელი, აკრძალული, შეუძლებელი. ამგვარ ბინალურ ოპოზიციათა გამოხატვა ბუნებრივად საჭიროებს ანტონიმიას.

2.3.4. სიტყვაწარმოება

სიტყვაწარმოება, როგორც ლექსიკის გამდიდრების აქტური საშუალება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სივრცეშიც.

ამ შემთხვევაშიც სხვადასხვა გვარეულობების, დარგების გამოხატვის მნიშვნელოვანი საშუალებაა სიტყვების წარმოება აფიქსებით.

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სფეროში სიტყვაწარმოება განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდება. ეს უპირველესად შეეხება აბსტრაქტული სახელების წარმოებას, **-ობა**, **-ება**, სუფიქსებით ნაწარმოებ სახელებს:

- ◆ -ობა:
- ◆ “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო... იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების **კონსტიტუციურობის** საკითხს” (საქართველოს კონსტიტუცია: თავი V, მუხლი 89, პუნქტი 1, ე).
- “სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება **ნასამართლობის** არმქონედ” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი IV, თავი XV, მუხლი 79, პუნქტი 2);
- ◆ “სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფრომაციის **ხელმისაწვდომობის**... უფლებები” (საქართველოს კონსტიტუცია: მუხლი 18).

◆ - ება - **ობა**: თავდებობა;

◆ -ება: გასხვისება, გასახლ-ება.

დანიშნულების სახელებიდან სიხშირით გამოირჩევა:

- ◆ **სა-ო**: სა-ავტორ-ო, სა-მშენებ-ლო;
- ◆ **-ურ(ულ)**: “იგივე ქმედება ჩადენილი... ორგანიზებული ჯგუფის მიერ...” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი IX, თავი 33, მუხლი 264, პუნქტი 4 (“ზ”));
- ◆ **-ზე**: ზე-ვადიანი, ზე-მდგომი;
- ◆ **-ქვე**: ქვე-მდგომი, ქვე-პუნქტი;

- ◆ **-მართლ:** მართლ-მსაჯულება, მართლ-ზომიერება;
- ◆ **თანა:** თანა-ავტორი, თანა-მზრახველი;
- ◆ “თანახელმოწერას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი...”;
- ◆ **თვით:** თვით-მიზანი, თვით-მხილველი;
- ◆ **-ანტი:** ანტი-სახელმწიფოებრივი, ანტი-კორუფციული.

ქართულში საზოგადოდ და კერძოდ სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სფეროში დამკვიდრდა ტერმინების უცხოური აფიქსებით წარმოება. მაგალითად, აფიქსი სუპერ, რომელსაც ქართული –ზე აფიქსი შეესაბამება: ზე-საიდუმლო.

ქართულში არა ნაწილაკი ჩვეულებრივი მნიშვნელობის უარყოფას აწარმოებს. ნაწილაკი არა დაერთვის ნაწარმოებ ფუძეებს, მაგალითად:

- ◆ “არასამეწარმეო იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება” (სამოქალაქო კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 27, 1);
- ◆ “არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტწლამდე შეზღუდული ქმედითუნარიანობის მქონეა” (სამოქალაქო კოდექსი, წიგნი I, კარი I, მუხლი 14);
- ◆ უცხოური აფიქსი anti ქართულში და კერძოდ, სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სფეროში არ ითარგმნება: ანტი-კორუფციული, ანტი-სახელმწიფოებრივი.

კანონთა ენის სამყაროში აქტიურად გამოიყენება კომპოზიტები. ისინი სპეციფიკური შინაარსის მოკლედ გადმოცემის ფუნქციას ასრულებენ. მაგალითად:

- ◆ “კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლება-მოვალეობის ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად” (საქართველოს კონსტიტუცია: თავი XI, მუხლი 78);
- ◆ “სახელმწიფო აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებუ-

ლია პარლამენტის წინაშე” (საქართველოს კონსტიტუცია, თავი IX, მუხლი 69, 4);

- ♦ “თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის უფლება” (საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 13, 6).

2.4. სემანტიკური სიტყვათვლები სამართლის ფუნქციურ ენასა და სტილში

სამართლებრივი კომუნიკაციები მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, პიროვნებათშორის ურთიერთობებს. ეს კომუნიკაციები უფლება-მოვალეობითი შინაარსისაა.

სამართლებრივი კომუნიკაციები ორი სახისაა - **ზოგადი და კონკრეტული**. შესაბამისად არსებობენ **ზოგადი და ინდივიდუალური** სამართლებრივი კომუნიკაციების სუბიექტები. **სამართლის სუბიექტი** შეიძლება **კერძო** პირიც იყოს და **სახელმწიფოც**. არსებობს სამართლებრივი კომუნიკაციების ობიექტიც.

სამართლებრივი კომუნიკაციების ობიექტია სამართლებრივი სუბიექტების ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, პირადი **ინტერესები** ანუ ყველაფერი, რის გამოც სამართლებრივი სუბიექტები ამყარებენ საზოგადოებრივ კომუნიკაციებს.

სამართლებრივი **ფაქტი**, - სამართლებრივი კომუნიკაციის საფუძველი (მიზეზი) ობიექტური რეალობის ის **ფრაგმენტია**, რომელიც ცვლის სამართლებრივი კომუნიკაციების შინაარსს. დაწვრილებით ამის თაობაზე იხ. ბ. სავანელის „სამართლის თეორია“ (41; 84-105).

სამართლებრივ ტექსტებში ურთიერთობენ სამართლებრივი სუბიექტები და ობიექტები, აისახება სამართლებრივი ფაქტები და ყველაფერი გაფორმებულია **სიტყვებით**. სიტყ-

ვები აზრობრივი კავშირებით უკავშირდება ერთმანეთს და შინაარსობრივ ჯგუფებს ქმნის.

სიტყვათა დაჯგუფება უმთავრესად ორი სახით მიმდინარეობს - ანალიტიკურად და სინთეტიკურად:

- ♦ ანალიტიკური დაჯგუფება ემყარება სიტყვათა კლასიფიცირებას სიტყვაწარმოების მიხედვით. სიტყვები ჯგუფობრივ ერთობლიობას მნიშვნელობით ქმნიან. მაგალითად: გირაო, გირავდება, მოგირავნე, დამგირავებელი, დაგირავებული, დასაგირავებელი, კონტექსტებში;
- ♦ „დამგირავებელი ვალდებულია დააზღვიოს გირავნობის საგანი“ (სამოქალაქო კოდექსი, კარი III, თავი VII, მუხლი 262);
- ♦ „მოგირავნეს გირავნობის საგნიდან აქვს თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით“ (სამოქალაქო კოდექსი, კარი III, თავი VI, მუხლი 254, 2);
- ♦ „გარიგებაში უნდა აღინიშნოს...“
- ♦ ბ) მონაცემები მოგირავნის, დამგირავებლის, შესაძლო მოვალე მესამე პირის შესახებ;
- ♦ გ) გირავნობის საგნის ზოგადი ან სპეციფიკური ნიშნებით აღწერა...” (სამოქალაქო კოდექსი, კარი III, თავი VII, მუხლი 258, 2, ბ, გ);
- ♦ “დაგირავებული ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში” (სამოქალაქო კოდექსი, კარი III, თავი VI, მუხლი 260¹);
- ♦ “მოდრავ ნივთზე მფლობელობითი გირავნობა წარმოიშობა მხარეთა შეთანხმებისა და ნივთის მოგირავნის ან მოგირავნის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემის გზით” (სამოქალაქო კოდექსი, კარი III, თავი VI, მუხლი 257, 1);
- ♦ “თუ გირავნობის საგანი დამგირავებლის მფლობე-

ლობაში იმყოფება, მას უფლება აქვს მიიღოს სარგებელი **გიროვნობის** საგნიდან” (სამოქალაქო კოდექსი, კარი III, თავი VI, მუხლი 261, 2);

- ♦ **“გიროვნობის** უფლება შესაძლებელია გავრცელდეს როგორც ნივთზე, ან მის ნაწილზე, ნივთთა ერთობლიობაზე ან მათ ნაწილზე ანდა არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, ისე მთელ მოძრავ ქონებაზე” (სამოქალაქო კოდექსი, კარი III, თავი VI, მუხლი 254, 4¹);
- ♦ **“გიროვნობით** შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სამომავლო ან პირობითი მოთხოვნები” (სამოქალაქო კოდექსი, კარი III, თავი VI, მუხლი 254, 3).

სიტყვათა ანალიტიკური ჯგუფების არსებობა კანონების ტექსტებში შეპირობებულია სამართლის ნორმის სტრუქტურითა და დანიშნულებით.

სიტყვების შინაარსები სიტყვათვლეებითაც (ლ. ვაისგერბერი) დგინდება. ველი ლინგვისტიკაში შინაარსის შემანარჩუნებელი ენობრივი საშუალებების ფუნქციონირების ერთობლიობას ნიშნავს. მაგალითად, კონსტიტუციის ტექსტში სიხშირით იქცევს ყურადღებას **“აკრძალვისა”** და **“ნებართვის”** აღმნიშვნელი ზმნები. ისინი ერთმანეთისაგან გარკვეული ელფერით განსხვავდებიან, ქმნიან **“ამკრძალავ სიტყვათველს”** და **“ნებისდამრთველ სიტყვათველს”**.

ამკრძალავ სიტყვათველში ერთიანდებიან, მაგალითად, ისეთი მაღალი სიხშირის სიტყვები, როგორებიცაა: **აკრძალულია, დაუშვებელია, არ შეიძლება, უფლება არა აქვს, არ ექვემდებარება**. მაგალითად:

- ♦ **“შინაპატიმრობის** მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება საქართველოს საზღვრის გადაკვეთა” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი III, თავი X, მუხლი 47¹, პუნქტი 7);
- ♦ **“დაუშვებელია** კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება” (საქართველოს კონსტიტუცია, თავი I, მუხლი 6, 3);

- ♦ “**დაუშვებელია** ადამიანის წამება” (საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 9, 2);
- ♦ “საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა **არ შეიძლება** ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 25, 2);
- ♦ “არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის **უფლება არა აქვს** მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 24, 2);

ნებისდამრთავ სიტყვათველში ერთიანდება მაღალი სიხშირის ისეთი ზმნები, როგორებიცაა: **დასაშვებია, შეიძლება, უფლება აქვს, უფლებამოსილია, ექვემდებარება**. მაგალითად:

- ♦ “ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა **დასაშვებია** მხოლოდ კანონის შესაბამისად” (საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 15, 1);
- ♦ “საოჯახო ინტერესებისათვის **დასაშვებია** ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში” (საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 19, 2);
- ♦ “თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება **დასაშვებია** მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით” (საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 13, 2);
- ♦ „პარლამენტის წევრები **შეიძლება** გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში...” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 41, 3);
- ♦ “იურიდიული პირი **შეიძლება** იყოს...” (სამოქალაქო კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 24, 2);
- ♦ “ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ

დამატებით სასჯელად” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VI, თავი 18¹, მუხლი 107³, 4);

- ◆ “ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 68, 4);
- ◆ “ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, 4);
- ◆ “თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია კანონმდებლობის დაცვით თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება...” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 75, 2);
- ◆ “სახელმწიფო უფლებამოსილია კანონით დააწესოს...” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 33, 2);
- ◆ „პარლამენტის წევრის... თ) ექვემდებარება უფლებამოსილების შეწყვეტას“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 39, 5, თ).

სიტყვათვალის ერთეულები ერთი შეხედვით სინონიმებს ჩამოჰგვანან, მაგრამ არსებითად ნიუანსობრივ ნაირგვარობას ქმნიან. ნებისმიერ სიტყვას შესწევს კონტექსტში განსხვავებული აზრის (შინაარსის), თანაც რამდენიმეს, გამოხატვის უნარი. ამ ენობრივ-სამეტყველო მოვლენამ მიიქცია სწორედ ცნობილი ქართველი პოეტის ტარიელ ჭანტურიას ყურადღება და შექმნა მშვენიერი ლექსი **„მცირე ლინგვისტიკური საგა“**, სადაც უკვე სათაურშივე გამჟღავნებულია პოეტის ენობრივი ცნობიერების სასწაულებრივი სიღრმეების და განცდილის კონტექსტურ მრავალგვაროვნობაში მოქცევის უნარი.

ენობრივი ცნობიერების ამგვარი ბუნება ცხადყოფს, რომ მოლაპარაკე სუბიექტს საკუთარი აზრის ზუსტად, ადეკვატურად გამოსახატავად სერიოზული ფიქრი, განსჯა და ინტელექტუალური კონცენტრირება მართებს.

ლინგვისტიკაში ცნობილია, რომ ენა სამყაროს აზრებად გარდაქმნის და მას ენობრივად აფორმებს (ჰუმბოლდტი).

ფუნქციურ სტილებში განსაკუთრებით აშკარაა „ენის მოქმედება“, „ენის მოხმარება“. ამ სფეროში მთელი სისრულით არის გამოკვეთილი მეტყველი სუბიექტის სამეტყველო გამიზნულობა. აქ მოლაპარაკე სუბიექტი ენობრივ პიროვნებად წარმოსდგება. რაც მთავარია, ლექსიკური ერთეულები - სიტყვები სწორედ ფუნქციურ სტილებში იძენენ ახალ შინაარსს. ამ ახალი შინაარსის სემანტიკური რეგისტრები სემანტიკური ველის ფარგლებში მჟღავნდება მთავარი (ძირითადი) ცნების მნიშვნელობის დანაწევრების გზით. მაგალითად, აკრძალვით სიტყვათველი ეს ენობრივ-სამეტყველო მოვლენა ასეც გამოიყურება:

- ◆ „ადამიანის სიცოცხლე დაცულია, სიკვდილით დასჯა **აკრძალულია**“ (საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 10, 1);
- ◆ „მოქალაქეობის ჩამორთმევა **დაუშვებელია**“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 32, 3);
- ◆ „საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გამევეება **დაუშვებელია**“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 32, 4);
- ◆ „**დაუშვებელია** საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60, 6);
- ◆ „**დაუშვებელია** ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 16, 3);
- ◆ „**არ შეიძლება** სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის“ (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 6, 3);
- ◆ „... სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია **არ შეიძლება** გახდეს უვადოდ განწყესებული მოსამარ-

თლის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველი“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 63, 5);

- ◆ „ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 34, 2);

ნებადამრთველ სიტყვათველშიც ზემოაღნიშნულის ანალოგიური ვითარებაა. მაგალითად:

- ◆ „უკანონოდ თავისუფლებაზე ზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება“ (საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 13, 6);
- ◆ „საქართველოს მოქალაქეებს... უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა“ (საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 11, 2);
- ◆ „თანახელმოწერას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი...“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 53, 2);
- ◆ „არავის დაედება განმეორებითი მსჯავრი...“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, 8);
- ◆ „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც...“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, 8);
- ◆ „არავინ არის ვალდებული მისცეს... ჩვენება...“ (საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 31, 11).

სემანტიკური ველის შიგნით რაც მეტია დანაწევრების ხარისხი, მით მეტად იცნობიერებს ენა სამყაროს, მით მეტად მრავალფეროვანია სამყაროს ენობრივი სურათ-ხატი, მით მეტი სიზუსტით “ახერხებს” საგნებისა და მოვლენების აღნიშვნას. მნიშვნელობათა ნიუანსობრივ სიმრავლეს ლინგვისტიკური ამოცანის რაგვარობაც ქმნის. ამ სიმრავლეს კი ფუნქციური ენა და სტილი სამეტყველო გამოიხსნა შესატყვისად გამოიყენებს.

2.5. სამართლის ფუნქციური ენის მორფოლოგია

2.5.1. სახელები

სამართლის ნორმა ენობრივად არის გაფორმებული. ამიტომ მისი შინაარსის გაცნობიერებისათვის აუცილებელია ენობრივი, გრამატიკული ანალიზი. სამართლის თეორიაში ამგვარ ანალიზს “გრამატიკულ ახსნა-განმარტებას” უწოდებენ (41; 167). თანამედროვეობაში ამ ტერმინო-ლოგიურ შესიტყვებას “ლინგვისტიკური ექსპერტიზის” ცნება ჩაენაცვლა. ლინგვისტიკური ექსპერტიზა სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის ცოდნას ემყარება.

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის თავისებურებების გამოვლენა-გაცნობიერებისათვის, ბუნებრივია, კანონთა ტექსტების გრამატიკული და სტილისტური მახასიათებლების დადგენა არის აუცილებელი. ლინგვისტიკაში ამ მიზნით ამოსავალ პრინციპად მიჩნეულია სამართლის ფუნქციური ენის ლექსიკის მორფოლოგიური სახეობების **სიხშირულობის** გამოვლენა. ეს მოვლენა სამართლის ფუნქციური ენის სივრცეში ც. ბარბაქაძემ შეისწავლა. მისი გამოთვლით პირველ ადგილზეა **არსებითი სახელი**. მეტყველების ეს ნაწილი ლექსიკის 40%-ს შეადგენს. მეორე ადგილზეა **ზედსართავი სახელი** (13,3%), შემდეგ 4-5 პროცენტია სიხშირით მეტყველების სხვა ნაწილები გამოირჩევა. გამონაკლისს ქმნის ზმნა (11%), თუმცა ესეც ორჯერ ნაკლებია არსებითი სახელის სიხშირულობაზე. შორისდებული კი სამართლის ფუნქციური ენის სამყაროში საერთოდ არ გამოიყენება (1,40).

➤ **არსებითი სახელი:**

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სივრცეში არსებითი სახელი თავისებურებას იჩენს მრავლობითი რიცხვის წარმოების თვალსაზრისით. უპირატესია ნართანიათი მრავლობითი, თუმცა ჩვეულებრივი მოვლენაა **-ებიან** მრავლობითთან პარალელური გამოყენება.

-თა სუფიქსიანი ფორმები -ებ სუფიქსიან ფორმებთან შედარებით მოკლებულია და, ამასთან, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის (-ის) განმეორებითი ხმარების თავიდან ასაცილებლად გამოიყენება, რადგან -თა სუფიქსი თავად ასრულებს ნათესაობით ბრუნვის ფორმის ფუნქციას. ამასთან -თა სუფიქსი თავისებურ ელფერს სძენს სიტყვას - აძლიერებს შთამბეჭდაობას, ზემოქმედებას, ემოციურ-ექსპრესიულობას, რასაც სამართალშემოქმედებისა და სამართალწარმოების სფეროებში გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

- ◆ ნართანიანი ფორმები სახელობით ბრუნვაშიც გვხვდება. ამგვარად გაფორმებული სიტყვები უფრო მეტი სიხშირით კონსტიტუციის ტექსტში გვხვდება. აქ -თა სუფიქსი განზოგადებულობას, ძირითადობას, ფუძემდებლობას გამოკვეთს. მაგალითად:
- ◆ “ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას...” (საქ. კონსტ., თ. II, მუხლი 36,1);
- ◆ „**დანაშაულთა** ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის“ (სისხ. სამართ., კარი III, თავი XI, მუხლი 59,1);
- ◆ „საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან...” (საქ. კონსტ., თ. II, მუხლი 38,1);
- ◆ „სახელმწიფო... ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას...” (საქ. კონსტ., მუხლი 34,1);
- ◆ „ბავშვთათვის, ხანდაზმულთათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციებისთვის...” (საგად. სამართ., კარი I, თავი II, მუხლი 10, 1 – ა, ბ).

როგორც ვხედავთ, ბოლო წინადადებებში გვერდი-გვერდ არის წარმოდგენილი ნართანიანი და ებიანი მრავლობითის ფორმები, მაგრამ სტილურ ღვარჭნილობად არ განიცდება.

-თა სუფიქსიანი ფორმები კონსტიტუციის ენაში ხიშრად იცვლება ებიანი მრავლობითის ფორმებით, რაც არ იწვევს აზრის გაბუნდოვანებას. მაგალითად:

- ◆ „მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით... მიიღონ... უმაღლესი განათლება“ (საქ. კონსტ., თ. II, მუხლი 35);
- ◆ „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“ (საქ. კონსტ., თ. II, მუხლი 36,3);
- ◆ „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის“ (საქ. კონსტ., მუხლი 11,3).

➤ ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სივრცეში სიხშირის მიხედვით მეორე ადგილზეა. ეს განპირობებულია ტერმინოლოგიური შესიტყვებების სიუხვით. ზედსართავ სახელთაგან უმეტესობა მიმართებითია, მაგალითად:

- ◆ „გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი“... (საგ. კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 8, 9);
- ◆ „გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო, ფულადი შენატანი ბიუჯეტში“ (საგად. კოდექსი, კარი I, თავი I, მუხლი 6,1);
- ◆ „უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია დაადგინოს დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა“ (საგადას. კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 8, 11).

➤ ნაცვალსახელი

ნაცვალსახელთაგან აქტიურად გამოიყენება ჩვენებითი, კულთვნილებითი, განსაზღვრებითი ნაცვალსახელები, ასევე ნაწილაკშეზრდილი ნაცვალსახელი „იგივე“.

- ◆ „იგივე ქმედება, ჩადენილი ალკოჰოლის... ზემოქმედების ქვეშ, ისჯება“ (სისხ. სამართ. კოდექსი, კარი IX, თავი XXXIV, მუხლი 275, 7; 276, 5);
- ◆ „იგივე ქმედება,... ჩადენილი იმის მიერ, ვისაც ადრე

ჩადენილი ჰქონდა,... ისჯება” (სისხლ. სამართ. კოდ., კარი XII, თავი 44, მუხლი 378¹ 2, “ზ”);

- ◆ “დახმარების... უანგაროდ გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ, მათ შორის:” (საგადასახ. კოდ., კარი I, თავი II, მუხლი 10, 1 “ა”);
- ◆ “დაქირავებულად ითვლება ის, ვინც არ არის შეიარაღებულ კონფლიქტში... მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე” (სისხ. სამართლ. კოდ., კარი XIV, თავი 47, მუხლი 410, შენიშვნა).

2.5.2. ბრუნვის ფორმების სიხშირული განაწილება

ყველაზე მაღალი სიხშირისაა ნათესაობითი ბრუნვა.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, ერთი მხრივ, მიმართებას გამოხატავს, მეორე მხრივ, უბრალო ობიექტს. ამ ბრუნვის სიხშირე განპირობებულია კანონების ტექსტებში თანდებულების: -მიერ, -შესახებ, -თაობაზე, -დროს, -გარეშე, -მიმართ ხშირი გამოყენება, რადგანაც კანონი დგება რაიმეს შესახებ ან რაიმეს მიმართ, თაობაზე, მოქმედება კი სრულდება ან არსრულდება ვინმეს მიერ. მაგალითად:

- ◆ “საყარაულო სამსახურის წესის დარღვევა ყარაულის მიერ... ისჯება” (სისხ. სამ. კოდი, კარი XIII, თავი 45, მუხ. 394, 1);
- ◆ “ქმედება, ჩადენილი... ორგანიზებული ჯგუფის მიერ, - ისჯება” (სისხლ. სამართ. კოდ., კარი IX, თავი 33, მუხლი 261, 4 - “ზ”);
- ◆ “პატრულირების წესის დარღვევა საპატრულო განაწესის შემადგენლობაში შემავალი პირის მიერ” (სისხ. სამართ. კოდ., კარი 13, თავი 45, მუხლი 396);
- ◆ “სამსახურის შესრულების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც..., - ისჯება” (სისხ. სამართ. კოდექსი, კარი XIII, თავი 45, მუხლი 395, 1);

- ◆ “...თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის **შესახებ**” (სამოქ. სამართ. კოდექსი, წიგნი I, კარი II, თავი I, მუხლი 57, 2);
- ◆ “...არასრულწლოვანი... თვითონ წყვეტს საკითხს თავისი ნების გამოვლენის ნამდვილობის **შესახებ**” (სამოქ. სამართ. კოდექსი, წიგნი I, კარი II, თავი II, მუხლი 63, 2);
- ◆ “ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის **დროს** (სამოქ. სამართ. კოდექსი, წიგნი I, კარი II, თავი I, მუხლი 58, 2);
- ◆ “...უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ **შემთხვევაში**, როცა არასრულწლოვანი მას ატყუებდა (სამოქ. სამართ. კოდექსი, წიგნი I, კარი II, თავი II, მუხლი 64, 2);
- ◆ “ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია... იმ განზრახვის **გარეშე**...” (სამოქ. სამართ. კოდექსი, წიგნი I, კარი II, თავი I, მუხლი 56, 1);
- ◆ “...თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდება მისი ბათილი ნაწილის **გარეშეც**” (სამოქ. სამართ. კოდექსი, წიგნი I, კარი II, თავი I, მუხლი 62);
- ◆ “ეს წესი გამოიყენება... შრომითი ურთიერთობების დაწყებისა და დამთავრების **მიმართაც** (სამოქ. სამართ. კოდექსი, წიგნი I, კარი II, თავი II, მუხლი 65, 2)
- ◆ “ნორმალური **ფუნქციონირებისათვის** ხელის შეშლა ისჯება” (სისხ. სამართ. კოდექსი, კარი XI, თავი 37, მუხლი 318, 1);
- ◆ “საქვეყნოდ მოწოდება აგრესიის აქტის **დაგეგმვისაკენ, მომზადებისაკენ, დაწყებისაკენ ან წარმოებისაკენ**, - ისჯება” (სისხ. სამართ. კოდექსი, კარი XIV, თავი 47, მუხლი 405, 1);
- ◆ “უკანონოდ დამზადება... იმის **მიერ**, ვისაც ჩადენილი აქვს... დანაშაული... ისჯება” (სისხ. სამართ. კოდექსი, კარი IX, თავი 33, მუხლი 261, 3 - ის “ე”);
- ◆ “საქვეყნოდ მოწოდება... სახელმწიფო ხელისუფლების

დამზოვისაკენ... ისჯება” (სისხ. სამართ. კოდექსი, კარი XI, თავი 37, მუხლი 317);

კანონების ტექსტის სტრუქტურა, გადასაცემი შინაარსი მსაზღვრელ-საზღვრულთა დახვევებას განაპირობებს, სადაც მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია. აღნიშნულის მიზეზია აგრეთვე ვნებითი გვარის კონსტრუქციების არსებობა. მაგალითად:

- ◆ “მათი შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით” (სამოქ. სამართ. კოდექსი, წიგნი I, თავი II, მუხლი 24, 3);
- ◆ “იურიდიული პირი შეიძლება იყოს: კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, **წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული**” (სამოქ. სამართ. კოდექსი, წიგნი I, თავი II, მუხლი 24, 2).

➤ **მოქმედებითი ბრუნვა:**

მოქმედებითი ბრუნვის სიხშირეს ის გარემოება განაპირობებს, რომ სამართლის ნორმებში ერთ დანაშაულებრივ ქმედებას, შესაძლოა, ერთოდეს სასჯელის სხვა დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ზომა. ამიტომ ჭარბობს შემდეგნაირი კონსტრუქციები:

- ◆ “...ისჯება საქმიანობის უფლების **ჩამორთმევით**” (სისხ. სამართ. კოდექსი, კარი X, თავი 36, მუხლი 289¹, 3);
- ◆ “...ისჯება თავისუფლების **აღკვეთით ვადით** თხუთმეტიდან 20 წლამდე” (სისხ. სამართ. კოდექსი, კარი IX, თავი 33, მუხლი 262, 4);
- ◆ “პროსტიტუციაში ჩაბმა **ძალადობით**, ძალადობის ან ქონების განადგურების **მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით**, - ისჯება” (სისხ. სამართ. კოდ., კარი IX, თავი 32, მუხლი 253, 1);
- ◆ “ქმედება ჩადენილი... ა) არაერთგზის, ბ) **ძალადობით** ან იარაღის **გამოყენებით**, გ) დაზარალებულის პირადი

ღირსების **შეურაცხყოფით**,... - ისჯება” (სისხ. სამართ. კოდ., კარი XI, თავი 32, მუხლი 332, 3);

- ◆ “...ბირთვული ენერგიის **კონტროლიდან** გამოყვანა... ისჯება” (სისხ. სამართ. კოდ., კარი XI, თავი 37, მუხლი 318, 3);
- ◆ “იგივე ქმედება, ჩადენილი ა) წინასწარი **შეთანხმებით** ჯგუფის მიერ, ბ) წინასწარი **შეცნობით** არასრულწლოვანი ან ორსული ქალის მიმართ...” (სისხ. სამართ. კოდ., კარი IX, თავი 32, მუხლი 253, 2).

ბრუნვათა სიხშირული განაწილება კანონების ტექსტებში ასეთნაირია:

- ◆ სახელობითი ბრუნვა - 29,3 %;
- ◆ მიცემითი ბრუნვა - 13,3%;
- ◆ ნათესაობითი ბრუნვა - 37,6%;
- ◆ მოქმედებითი ბრუნვა - 14,9% (46 გვ.)

➤ რიცხვითი სახელი

რიცხვით სახელთაგან სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სივრცეში სიხშირით გამოირჩევა რაოდენობითი რიცხვითი სახელები. მიზეზია კანონების ჩამონათვალის დანომვრის საჭიროება. ამას გარდა, დამახასიათებელია მიახლოებითი ოდენობის რიცხვით სახელთა გამოყენება. მაგალითად:

- ◆ “ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ვადით **ას ოციდან ასოთხმოც საათამდე**...” (სისხ. სამართ. კოდექსი, კარი IX, თავი XXXII, მუხლი 258, 1);
- ◆ “ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე” (სისხ. სამართ. კოდექსი, კარი IX, თავი XXXII, მუხლი 247, 2).

➤ ზმნა

სამართლის ნორმა არ გულისხმობს ინდივიდის, კონკრეტულ პირს. ქცევის წესი, მასშტაბი, ზომა ზოგადადაა ჩამო-

ყალიბებული (41, 70-71). აქ აშკარად ექსტრალინგვისტიკური ფაქტორის ფუნქციონირებაა ნაგულისხმევი. იგი სუბიექტის მოქმედების მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირში გადმოცემას განაპირობებს. მაგალითად:

- ◆ “ბათილია გარიგება, რომელიც **არღვევს** კანონით დადგენილ წესებს და აკრძალვებს, **ეწინააღმდეგება** საჯარო წესრიგს” (სამოქ. კოდ., წიგნი I, კარი II, თავი I, მუხლი 54);
- ◆ “გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი მოძრავი ძეგლის დაზიანება ისჯება” (სისხ. სამართ., კარი IX, თავი 32², პუნქტი “ა”);
- ◆ “...ძალადობა ადამიანის მიმართ... ისჯება” (სისხ. სამართ., კარი IX, თავი 32, მუხლი 252, 1);
- ◆ “ამ პირის უფლებებს **ახორციელებს** მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე)” (სამოქ. სამართ., წიგნი I, კარი I, თავი I, მუხლი 12, 5).

გარდაუვალი ზმნები გარდამავლებზე მნიშვნელოვნად მეტია, კანონების ტექსტებში ზმნებით ხდება მოვლენათა განზოგადება. ეს გარემოება გარდაუვალი ზმნების მაღალ სიხშირეს განაპირობებს.

ზმნებით ხდება “**ქმედობის**”, “**მოქმედების**” შეფასება. სისხლის სამართლის კოდექსის ტექსტებში “**ისჯება**” არა კონკრეტული პირი, არამედ მოქმედება. მაგალითად:

- ◆ “...უკანონო შეძენა, ფლობა ან **განკარგვა, გამოყენება, გამოცდა, გადაცემა, გადაზიდვა, ექსპორტი, იმპორტი, ვაჭრობა...** ისჯება თავისუფლების აღკვეთით” (სისხ. სამართ., კარი IX, თავი XXX, მუხლი 230, 1);
- ◆ “აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის **განხორციელება** ისჯება...” (სისხ. სამართ., კარი XI, თავი 37¹, მუხლი 322², 1);

ჰიპოთეზა სხვადასხვა ენობრივი სახეობით არის ჩამოყალიბებული. ამის მიზეზი ფაქტობრივ გარემოებათა ნაირგვარობაა და მათი ენობრივი ასახვაც განსხვავებულია. ჰიპო-

თეზაში შეიძლება რამდენიმე ქმედობა იყოს წარმოდგენილი. ცალ-ცალკე ყველანი ზმნის სუბიექტებს წარმოადგენენ. მაგალითად:

- ◆ „მცენარე კანაფის ან მარიხუანას უკანონო **შემენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა** - ისჯება“ (სისხ. სამართ. კოდ., კარი IX, თავი XXXIII, მუხლი 273¹, 2);
- ◆ „არასრულწლოვანის მათხოვრობაზე ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე **დაყოლიება**, - ისჯება...“ (სისხ. სამართ. კოდ., კარი VII, თავი 24, მუხლი 171, 1);
- ◆ „ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ **ძალადობა**, სისტემატური **შეურაცხყოფა**, შანტაჟი ან დამცირება..., - ისჯება“ (სისხ. სამართ. კოდ., კარი VII, თავი XX, მუხლი 126¹, 1);
- ◆ „ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ისჯება...“ (სისხ. სამართ. კოდ., კარი X, თავი 36, მუხლი 287).

ჰიპოთეზაში საწყისებით გადმოცემული ქმედებები „ისჯება“ ზმნის სუბიექტებია.

● ვნებითი გვარის ზმნებით ხდება მოქმედებათა განყენება, განზოგადება. კანონები ზოგადი ხასიათისაა და უამრავ (თანაც ნაირგვარ) შემთხვევაში გამოიყენება. მაგალითად:

- ◆ “იგივე ქმედება, **ჩადენილი**... იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს...” (სისხ. სამართ. კოდ., კარი IX, თავი 33, მუხლი 264 3 “გ”);
- ◆ “პარლამენტისთვის **განკუთვნილი** მიმდინარე ხარჯების შემცირება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით... პარლამენტისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განაწილების” (საქ. კონსტ., თავი III, მუხლი 49, 4);
- ◆ “ამ მუხლის პირველი... ნაწილით **გათვალისწინებული** ქმედება, ჩადენილი... - ისჯება” (სისხ. სამართ. კოდ., კარი IX, თავი 33, მუხლი 264, 4).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საკანონმდებ-

ლო ტექსტებში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა ზმნა **გამოიწვევს** (მაგ., დაჯარიმებას, გაფრთხილებას). ეს ზმნა აზრობრივად ამთლიანებს მოქმედების მიზეზსა და შედეგს.

მაგალითად: არ არის მაგალითები (გვ. 12).

კანონების ტექსტებში ზოგჯერ კონკრეტულად არის მითითებული ზმნის **სუბიექტი** და **ობიექტი**. მაგალითად:

- “საქართველოს **პარლამენტი** (ს)... **ახორციელებს** საკანონმდებლო **ხელისუფლებას**” (ო) (საქ. კონსტ., თავი III, მუხლი 48);

კანონთა ტექსტებში განზოგადება და გაუპიროვნებულობა პასიური კონსტრუქციების მაღალ სიხშირეს იწვევს, რაც ხორციელდება პერიფრასტული ვნებითის ფორმათა სიმრავლით, ვნებითის მიმღეობით აგებულ შედგენილ შემასმენელთა სიუხვით (49). მაგალითად:

- ◆ “ამ მუხლის პირველი ნაწილით **გათვალისწინებული** ქმედება, **ჩადენილი**... ისჯება” (სისხ. სამართ. კოდ., კარი IX, თავი 33, მუხლი 264, 4).

- მწკრივის ფორმების სიხშირული განაწილება

მწკრივების ფორმებისაგან ყველაზე ხშირია აწმყოს მწკრივის ფორმები. ისინი ყოველთვის არ გამოხატავენ ახლანდელ დროს, მეტიც - ისინი დაცლილნი არიან დროის გაგებისაგან. მაგალითად:

- ◆ “უფლება აქვს... **დაარეგისტრიროს** განცალკევებული მუდმივი დაწესებულება” (საგადასახ. სამ. კოდ., კარი II, თავი III, მუხლი 24¹, 2);
- ◆ “საწარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც **ახორციელებენ** ეკონომიკურ საქმიანობას”... (საგად. სამ. კოდ., კარი II, თავი III, მუხლი 21, 1);
- ◆ “სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის **განისაზღვრება** ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით” (სისხ. სამართ. კოდ., კარი II, თავი VI, მუხლი 18, 3).

სამართლის ფუნქციური ენის სივრცეში ახლანდელი

დროის ფორმები მომავალ დროსაც გამოხატავენ, ოღონდ იმ ზღვრამდე, სადამდეცაა შესაძლებელია კანონის მოქმედება.

მომავალი დროის გაგება კანონების ენაში გარკვეული მუდმივი მოცემულობების გამოხატვას უკავშირდება. ამის გამო აწმყოს დროის გვერდით მომავალი დროის (მყოფადის მწკრივის) ფორმებიც გამოიყენება.

- ◆ მომავალი დრო გამოხატულია ასევე II კავშირებითის მწკრივის ფორმებითაც. აწმყოს კავშირებითსა და II კავშირებითის მწკრივის ფორმებს დაერთვის ნაწილაკი “შეიძლება”, მაგალითად:
- ◆ “პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან” (საქ. კონსტ., თავი II, მუხლი 49, 2);

➤ **თანდებული**

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სფეროში ცალკე მდგომ თანდებულთაგან სფეციფიკურობას იჩენს ნათესაობითი ბრუნვის თანდებულები - **მიერ, მიმართ, შესახებ, თაობაზე, შემთხვევაში, დროს, გარეშე** და ა. შ. მაგალითად:

- ◆ “**შესახებ**” თანდებული გამოიყენება რუბრიკაციებშიც;
- ◆ “პირი ვალდებულია დადგენილი წესით წარუდგინოს დამქირავებელს შეღავათით **სარგებლობის შესახებ...** გაცემულია ცნობა” (საგადასახ. კოდ., კარი V, თავი XI, მუხლი 82, 5);
- ◆ “ფინანსური ინსტიტუტის უფლებამოსილი წარმომადგენელი მიუთითებს განცხადებაში... სტატუსის **გაუქმების თაობაზე**” (საგად. კოდ., კარი II, თავი III, მუხლი 23, 1);
- ◆ “ერთზე მეტი სამუშაო **ადგილის შემთხვევაში** გადახდის წყაროს... განსაზღვრავს დაქირავებული პირი” (საგად., კოდ., კარი V, თავი XI, მუხლი 82, 5);
- ◆ “სახელმწიფო **რეგისტრაციის შემთხვევაში** - რეგისტრა-

ციასთან ერთად... ენიჭება საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსი” (საგად. კოდ., კარი III, თავი III, მუხლი 23, 1).

აღნიშნულ თანდებულთა გამოყენება გამოწვეულია სამართლის სფეროს სპეციფიკით: ვინმეს მიერ, ვინმეს მიმართ, რომელიმე დროს, რაღაც შემთხვევაში, რაიმეს გარეშე, რაიმეს შესახებ ჩადენილი მოქმედების განხილვით (53).

2.5.3. ზოგადი ცნებების გამომხატველი ლექსიკა სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სივრცეში

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სივრცეში ყველა სიტყვას, განსაკუთრებით ტერმინს, გამორჩეული შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. აქ ზოგადი ცნებები კონკრეტული შინაარსის დაუზუსტებლად იხმარება. კონკრეტული შინაარსის შეფასება ან ცნების ახსნა-განმარტებები ეკუთვნის სამართლის ნორმის შემფარდებელ სუბიექტს. მაგალითად:

- ◆ “დაუსაბუთებლად უარის თქმა საწარმოს რეგისტრაციაზე, ნებართვის ან ლიცენზიის გაცემაზე, ...რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, - ისჯება (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი 8, თავი 26, მუხლი 190; <https://matsne.gov.ge>);
- ◆ “...იგივე ქმედება, ჩადენილი ა) განსაკუთრებით დიდი ოდენობით..., ისჯება” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი 8, თავი 26, მუხლი 200², 4).

დიდი ოდენობა შენიშვნაში შემდეგნაირად არის დაზუსტებული: “დიდი ოდენობად ჩაითვლება 1000 ცალზე მეტი, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად 5000 ცალზე მეტი აქციური მარკის მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება...”

- ◆ “...ქმედება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ადამიანის ჯანმრთელობას, მცენარეულ სამყაროს, თევზის მარაგს... ან სხვა... ისჯება” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი X, თავი 36, მუხლი 293, 3);

- ♦ “ამ მუხლის პირველ ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება: ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ... ისჯება” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი IX, თავი 35, მუხლი 286, 3 “ა”);
- ♦ “ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, - ისჯება” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VIII, თავი 25, მუხლი 189¹, 4).

გამონათქვამები “მნიშვნელოვანი ზიანი”, “წინასწარი შეთანხმება” არც თუ ზუსტ წარმოდენას ქმნის. აქ შეუძლებელია თითოეული ცნების შინაარსის გარკვევა, იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ რა შინაარსი ჩადო სამართლის ნორმის დამდგენმა. ამის გამო ასეთ შემთხვევებში სამართალშემფარდებელს უფლება ეძლევა ინდივიდუალურად გაიცნობიეროს და განმარტოს თითოეული ცნება, ტერმინი საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე. თუმცა ცალკეულ შემთხვევაში კანონი მაინც იძლევა აუცილებელ განმარტებებს. მაგალითად:

- “... იგივე ქმედება, ... რამაც “მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით...” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი IX, თავი 35, მუხლი 284, 2, “დ”). ამ მუხლს ახლავს შენიშვნა, რომ ამ თავში “მნიშვნელოვნად ითვლება 2000 ლარზე მეტი ოდენობის ზარალი”. იქვე: შენიშვნა 4.

იგივე შეიძლება ითქვას ისეთი ზოგადი შინაარსის გამომხატველ შესიტყვებაზე, როგორიც არის “ექსპლუატაციის მიზნით”. ზოგადობიდან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევაში ამ შესიტყვებას ახლავს დამაზუსტებელი გამიზნულობის შენიშვნები. მაგალითად, ერთ შემთხვევაში თუ დაუზუსტებლად არის წარმოდგენილი, (“არასრულწლოვანის ყიდვა ან გაყიდვა... **ექსპლუატაციის მიზნით**, - ისჯება” – სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VII, თავი 23, მუხლი 142², 1), სხვა შემთხვევაში ვრცელი შენიშვნა-კომენტარები ახლავს:

- “ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება, ... ადამიანის გადაბარება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება, ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, - ისჯება” (სისხლის სამართ. კოდ., კარი VII, თავი 23, მუხლი 143¹, 1), შენიშვნებში (1-ის ა), ბ), გ), დ)-ს ე, ა, ე, ბ, ე, გ, ე, დ პუნქტებში) ახსნილია თუ რა ითვლება ექსპლუატაციად.

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სფეროში გამოყენებული ზოგადი ცნებები ფუნქციური თვისებებით ხასიათდება, იმის გამო, რომ კანონი ზოგადი და საყოველთაო დანიშნულებისაა. ყველა კერძო შემთხვევა კანონებში ვერ აისახება. ამიტომ ზოგადი შინაარსის ცნებების დაზუსტება კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით ხდება.

2.6. საკანონმდებლო სტილის სინტაქსი

2.6.1. სინტაქსემები

ეს სტილი დახვეწილია. აქ საერთო ლექსიკის მხოლოდ გარკვეული ნაწილი გამოიყენება, აქ არც ერთი სიტყვა არაა ზედმეტი, არც ტერმინი. ყველას თავისი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს.

ცნობილია, რომ მეტყველება მიზნობრივი კომუნიკაციური პროცესია. წინადადება სინტაქსური ერთეულებისაგან - სინტაქსემებისაგან შედგება. სინტაქსემა არის ვალენტური სიტყვა, სიტყვათშეხამება, შესიტყვება, კონსტრუქცია.

•საკანონმდებლო სტილში გამოიყენება **ანალიტიკური ტერმინი** ანუ ცნების გამოსახატავად გამოიყენება რამდენიმე სიტყვა ანუ ტერმინოლოგიური გამოთქმა. ანალიტიკური ტერმინები სტრუქტურულად უმთავრესად მსაზღვრელ-საზღვრულებია. თითოეული ელემენტები დამოუკიდებელი

მნიშვნელობისაა. მაგალითად, “საკონსტიტუციო სასამართლო”, “უზენაესი სასამართლო”: “საკონსტიტუციო სასამართლო (სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით” (საქ. კონსტ., თავი VI, მუხლი 60, 1).

ანალიტიკური ტერმინი იგივე **დენოტაციური** ტერმინია. მაგალითად, “საქართველოს პრეზიდენტი”, “უზენაესი სასამართლო”, “პოლიტიკური პარტია” („დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა პოლიტიკური ნიშნით“) (საქ. კონსტ., თავი II, მუხლი 23,3).

● აღნიშნულ სტილში გამოიყენება ასევე **სინთეზური** ანუ **იდიომატური** ტერმინოლოგიური გამოთქმები. ასეთ ტერმინებში შინაარსს თითოეული ელემენტის შინაარსების ჯამი კი არ ქმნის, არამედ ყველასაგან გამოიყვანება ერთი საერთო მნიშვნელობა. მაგ. „სისხლის სამართალი“. „საკონსტიტუციო სამართალი“ (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა“ (საქ. კონსტ., თავი VI, მუხლი 60,5).

საკანონმდებლო სტილში ტერმინოლოგიაში სიტყვათა აფიქსაციასთან შედარებით სინტაქსურ საშუალებებს ეძლევა უპირატესობა.

საკანონმდებლო სტილს ახასიათებს **ატრიბუტული** და **მართლმსაზღველიანი** კონსტიტუციები. ატრიბუტული მსაზღვრელის მაგალითებია: “გადაწყვეტილება **კონსტიტუციური შეთანხმების** დამტკიცების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ...” (საქ. კონსტ., თ. III, მუხლი 45, 3); “საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით” (საქ. კონსტ., თ. I, მუხლი 7, 3); “საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით” (საქ. კონსტ., თ. I, მუხლი 7, 4)

მართული მსაზღვრელის მაგალითებია;

“გადასახადის გადამხდელის მოწმობის ასლი... განათავსოს...” (საგ. სამართ. თ. IV, მუხლი 43, 1 “ზ”);

მაღალი სიხშირისაა სიტყვათშეთანხმებები (ორკომპონენტური), შესიტყვებები (სამ, ოთხ და ა. შ. კომპონენტებიანი). მსაზღვრელი პრეპოზიციულია. მაგალითად:

- ◆ **სამკომპონენტური** - “სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა”; “საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი სახელწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს” (საქ. კონსტ., თ. II, მუხლი 25, 1);
- ◆ **ოთხკომპონენტური**: “სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში” (საქ. კონსტ., <https://emis.ge>); “ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები” (საქ. კონსტ., თავი II, მუხლი 34, 1).
- ◆ **ხუთკომპონენტური**: “კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები...”
- ◆ **თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება...** „ეს ვადა აითვლება იმ საგადასახადო პერიოდის კალენდარული წლის დასრულებიდან...” (საქ. კოდ., კარი II, თავი 4, მუხლი 43, 1ვ);
- ◆ **ექვსკომპონენტურია**: „უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები“ (საქ. კონსტ., თავი III, მუხლი 39, 3);
- ◆ **შვიდკომპონენტური**: „სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით“ (საქ. კონსტ., თავი VII, მუხლი 66, 6); „ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე პარლამენტი შედგება... 4 წლის ვადით“ (საქ. კონსტ., თავი III, მუხლი 37,2).

კანონთა ენისათვის მსაზღვრელთა გრძელი რიგები სტილური ხასიათისაა და ეს ბუნებრივია, რამდენადაც ტერმინოლოგიური შესიტყვებების ცნებები ზუსტი და ტევადია. ამხსნელ სიტყვებში მაქსიმალურია ინფორმაციულობა.


მსაზღვრელი სახეობითი ცნების გამომხატველია, **საზღვრული** - გვარეობითისა.

მაგ. სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება.

ტერმინი **დაზიანება** გვარეობით ცნებას აღნიშნავს, **მსაზღვრელები** - სახეობით ცნებებს.

ამ უკანასკნელთა შორის გარკვეული დაქვემდებარებაა.

სქემაა:



სხეულის დაზიანება მომდევნო გამოთქმისათვის უფრო ზოგადი ცნების აღმნიშვნელი ანუ ჰიპერონიმი იქნება, ბოლო კომბინაციაც **ჰიპერონომი** იქნება, რადგან სიტყვა „დაზიანების“ კიდევ უფრო დეტალიზებულ სახეობას მოგვცემს (58).

ანალიტიკური გამოთქმები კანონთა ტექსტებში ხასიათდება **სწორი ორიენტაციით, ცხადი მოტივაციით, სინონიმის გაჩენის ნაკლები შესაძლებლობით** (14, 223).

2.7. წინადადება

კანონთა ენაში იშვიათია **გაუვრცობელი** წინადადება. ამის მიზეზია ამ ენაში სიტყვათშეხამებებისა და შესიტყვებათა სიჭარბე.

სიტყვებით აღნიშნულ საგნებს (მოვლენებს) შორის მიმართებები ქართულში აღინიშნება (გამოიხატება) **აფიქსებით. ამის გამო არ არსებობს სიტყვათა მყარი განლაგების აუცილებლობა**. სიტყვა განლაგება თავისუფალია. სიტყვების ადგილების შეცვლა სტილისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება - აზრის სხვადასხვა ნიუანსების გადმოსაცემად (15, 215-216).

- წინადადებას, როგორც გამონათქვამს, ექსპრესიულ-საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს. სუბიექტის მიზნის შესაბამისად იგი ნაირგვარია. აზრის შეტყობინებას თან ახლავს მოლაპარაკე სუბიექტის ემოციურ-ექსპრესიული, გრძნობითი დამოკიდებულება.

საკანონმდებლო სტილისათვის ემოცია-ექსპრესიის გადაცემა უცხოა. აქ უფრო ბრძანებითი ფორმაა გამოკვეთილი, **მთავარს კი ინტონაცია გამოარჩევს**.

- კანონების ტექსტებში წინადადებაში პირველ რიგში მთავარი სიტყვები დგას, რომლებსაც უკავშირდება ძირითადი სათქმელი - მთავარი აზრი. ასეთი სიტყვები ზეპირმეტყველებაში აწეული ინტონაციით წარმოითქმის. „საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს წარმოადგენს საგარეო ურთიერთობებში“ (საქ. კონსტ., თ. IV, მუხლი 49, 3);

წინადადებაში წევრები ფუნქციის შესაბამისად არის განაწილებული და ეს განპირობებულია კანონმდებლის ნების უკეთ გამოხატვის გამიზნულობიდან.

◆ აზრობრივი მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით გამოიყენება ინვერსია (სიტყვათა გადაადგილება):

♦ „მთავრობის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტი ცვლილებების შეტანა“ (საქ. კონსტ., თ. VII, მუხლი 66, 3). აქ მთავარი წევრებია: ქვემდებარე („შეტანა“) და შედგენილი შემასმენელი „დაუშვებელია“. წინადადება იწყება არა მთავარი წევრებით, არამედ მთავარი სიტყვებით: „მთავრობის თანხმობის გარეშე“;

♦ „ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად, საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები“ (საქ. კონსტ., თავი VIII, მუხლი 70, 3). აქ მთავარი წევრები გადატანილია წინადადების ბოლოს („საქართველოს“ - ირიბი დამატება; „ჰყავს“ - შემასმენელი; „სამხედრო“ - განსაზღვრება; „ძალები“ - ქვემდებარე).

♦ „მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს“ (საქ. კონსტ., თავი V, მუხლი 56, 5). ხაზგასმული სიტყვები მთავარი წევრებია, მათ წინ უსწრებს მთავარი (აქცენტირებული) სიტყვები („მთავრობისათვის ნდობის“).

♦ წინადადება ვარიანტებით წევრთა განაწილებით სხვადასხვანაირია, თუმცა აზრობრივად იდენტურია. განსხვავებას ქმნის აქცენტი სხვადასხვა სიტყვაზე. საუკეთესოდ ც. ბარბაქაძის მიერ მიჩნეულია: „უმემკვიდრეოდ დარჩენილი პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი დაემატება სხვა დანარჩენ პარტნიორებს. აქ „მთავარი“ სიტყვაა „უმემკვიდრედ“.

ინტონაციით მთავარი სიტყვის ხაზგასმა იოლია ზეპირ-მეტყველებაში, წერითში კი სიტყვათა რიგის მიზნობრივი შეცვლით მიიღწევა.

♦ ნებისმიერი ინვერსია კონტექსტით უნდა იყოს შეპირობებული. სხვა შემთხვევაში ინვერსია სტილისტური გაუმართლებლობა და შეცდომა იქნება. ორაზროვანი გახდება წინადადების აზრის ახსნა. ეს კი კანონთა ტექსტებში დაუშვებელია.

- ◆ კანონთა ენაში უფრო შესაძენვეია მარტივი გავრცო-
ბილი წინადადება. ამასთან თვალშისაცემად მაღალია
გავრცობის ხარისხი (8-10 სიტყვას აღწევს).

სამართლის თეორიაში ცნობილია მარტივი, რთული და
ალტერნატიული ჰიპოთეზები. მარტივი ჰიპოთეზები მარ-
ტივი წინადადებებით გადმოიცემა. მაგ. „ქორწინება ითვლება
შეწყვეტილად მმჩის ბიუროში განქორწინების რეგისტრაციის
მომენტიდან“.

1. მარტივი ჰიპოთეზა:

- „სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართვე-
ლოს სახელით (საქ. კონსტ., თ. VI, მუხლი 62,1);
- „თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია კანონ-
მდებლობის დაცვით თავისი ინიციატივით მიიღოს
გადაწყვეტილება...“ (საქ. კონსტ., თ. IX, მუხლი 75,2);

2. რთული ჰიპოთეზა:

- „თუ პარლამენტმა არ მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტი
ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ხარჯები დაი-
ფარება კანონით დადგენილი წესით, წინა წლის
სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით“ (საქ. კონსტ., თავი
VII, მუხლი 66, 5);

3. ალტერნატიული ჰიპოთეზა:

- „მთავრობას მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოს-
თხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარ-
ჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს“
(საქ. კონსტ., თ. VII, მუხლი 66, 3);

მარტივი წინადადებით ხშირად გადმოიცემა დისპოზი-
ციის სახეობები - ქცევის წესები, რომლებითაც განისაზ-
ღვრება ზოგადი პრინციპები. მაგალითად, „საქართველოს
დედაქალაქი არის თბილისი“.

2.7.1. შერწყმული წინადადება

ამ ტიპის წინადადება მარტივთან შედარებით აქტიურად გამოიყენება, რადგან მისი მეშვეობით კანონმდებლის ნების მრავალი ასპექტი გამოიხატება..

1. **რთული ჰიპოთეზები** მეტწილად შერწყმული წინადადებებით არის გადმოცემული. მიზეზი ისაა, რომ ფაქტობრივი ვითარების დადგომა რამდენიმე პირობის არსებობას ემყარება და არა ერთს. მაგ. „ქორწინებისათვის საჭიროა მექორწინეთა თანხმობა და საქორწინო ასაკის მიღწევა“.

შერწყმული წინადადება კავშირიანიც არის და უკავშიროც.

2. შერწყმული წინადადებებით გადმოიცემა **ალტერნატიული ჰიპოთეზებიც**. მაგ. „საიჯარო ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოსყიდვის პირობები“.
3. შერწყმული წინადადებებით გამოიხატება **ზოგადი პრინციპების შემცველი დისპოზიციის** შინაარსი. მაგ. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან“ (საქ. კონსტ., თ. V, მუხლი 90, 4) (<https://emis.ge>);
4. საკანონმდებლო ქცევის წესები ერთს ან რამდენიმეს, ჯგუფს ან ჯგუფებს. კანონმდებლობის ნება გადმოიცემა შერწყმული წინადადებით. მაგ. „**მოწმის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მისაცემად...**“.

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრები ან ქვემდებარეებია, ან განსაზღვრებები, ან ვითარების გარემოებები.

1. **შერწყმული ერთგვარ ქვემდებარეებიანი წინადადება:**

➤ საქართველოს უზენაესი სასამართლოს **უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასა-**

მართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“ (საქ. კონსტ., თ. V, მუხლი 95, 3);

- „ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი“.

2. შერწყმული წინადადება ერთგვარი შემასმენლებით და ერთგვარი პირდაპირი დამატებებით:

- „საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას“ (საქ. კონსტ., თ. IV, მუხლი 69, 2, <https://emis.ge>);

2. შერწყმული წინადადება ერთგვარი განსაზღვრებებისა და ერთგვარი უბრალო დამატებათა მიხედვით:

- „სახელმწიფო თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენებისა და გადაადგილების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი“ (საქ. კონსტ., თ. VII, მუხლი 100, 2);

3. ერთგვარი პირდაპირდამატებიანი შერწყმული წინადადება:

- „გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი“ (საქ. კონსტ., თ. VI, მუხლი 94, 2)

4. ერთგვარი მიზნისგარემოებებიანი შერწყმული წინადადება:

- „სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო“ (საქ. კონსტ., თ. VII, მუხლი 99, 1).

კანონთა ენაში გამოიყენება ნარევი სახის შერწყმული წინადადებები, რადგან ხშირია ჩამოთვლა, დასახელება და ა. შ.

ერთგვარი წევრები უფრო გავრცობილი ფორმით არის გადმოცემული.

2.7.2. რთული წინადადება

რთული წინადადება აკავშირებს სიტყვათა დიდ რაოდენობას, გადმოსცემს რთულ შინაარსს, გამოყოფს მის მთავარ ასპექტს, ზუსტად განსაზღვრავს აზრობრივ დამოკიდებულებას წინადადების ნაწილებს შორის (64). ამის გამო სამართლის ტექსტებში ხშირია რთული და ზერთული წინადადებები.

➤ სამართალი სამართლის ნორმების, სამაფრთხელებრივი წესების ნაკრებია.

სამართლის ნორმა სამართლის კონკრეტული სუბიექტის მიერ დადგენილი ქცევის წესია. ეს წესი არეგულირებს ერთი სახის საზოგადოებრივ ურთიერთობას, მასში მონაწილე პირებს შორის უფლება-მოვალეობების აღიარებისა და გამიჯვნის გზით.

სამართლის ნორმა ჩამოყალიბებულია მსჯელობის ფორმით, რომელიც ემყარება ფორმულას „თუ - მაშინ“: თუ არსებობს ფაქტობრივი გარემოება, მაშინ შ უნდა მოიქცეს გარკვეული წესით (64). მაგალითად, თუ ორმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა ანგარებით,... მაშინ ეს პირი უნდა დაისაჯოს... (64).

სამართლის ამ ნორმაში ჩამოყალიბებულია, ერთი მხრივ, ფაქტობრივი გარემოება, მეორე მხრივ, სასამართლო ქცევის წესი, ანუ ის, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო.

პირველ ნაწილს („თუ“) ჰიპოთეზა ჰქვია, მეორე ნაწილს („მაშინ“) - დისპოზიცია. მაგალითად: „თუ მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს შენიშვნებს, ... კანონ-პროექტი მთავრობის მიერ მოწონებულად ჩაითვლება (საქ. კონსტ., თ. III, მუხლი 67, 3).

ჰიპოთეზა-დისპოზიციის ურთიერთმიმართება კანონთა ტექსტებში რთულ წინადადებათა გამოყენების საჭიროებას ქმნის.

საკანონმდებლო ტექსტებში გამოიყენება პირობითი საწყისური კონსტრუქციები. მათი საჭიროება განპირობებულია

სამართლის ნორმის ტექსტში დამატებითი შენიშვნისა და მისი სტრუქტურით მაგალითად:

- „არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა“ (საქ. კონსტ., თ. IV, მუხლი 70, 4).

აქ გვეხმიანება კონსტრუქცია “ის..., რომელსაც...”

იგივე სტრუქტურა გვაქვს წინადადებაში:

- “საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოსაღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად **არ ჩაითვლება** გადასახადის **შემოღება** ან **ცვლილება**, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივაა...” (საქ. კონსტ., თ. VI, მუხლი 94, 5).

➤ კონსტრუქცია “თუ - მაშინ” გავრცობილი ფორმითაც გამოიყენება, რადგანაც “თუ” შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე პირობას, ხოლო ნაწილი “მაშინ” - არა ერთს, არამედ რამდენიმე შედეგს. “საქართველოს პრეზიდენტი არ დაითხოვს პარლამენტს და არ დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს, თუ პარლამენტი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან 2 კვირის ვადაში სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას გამოუცხადებს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთ მესამედზე მეტის მიერ წამოყენებული პრემიერმისნისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ მთავრობას” (საქ. კონსტ., მუხლი 56, პუნქტი 4).

- პირობითი წინადადებებით გამოიხატება რეალური და პოტენციური პირობები.

პირობითი დამოკიდებული წინადადებებისათვის დამახასიათებელია დამოკიდებული წინადადების პრეპოზიცია, ე. ი. დამოკიდებული წინადადება თავშია, მას მთავარი მოსდევს. დამოკიდებულ წინადადებაში პირობაა დასახელებული, მთავარში კი - შედეგი.

მაგალითად:

- “დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომე-

ლიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევის ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან...”

აქ მთავარ წინადადებას ახლავს განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადება...

- **“კანონპროექტი, რომელიც იწვევს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, შემოსავლების შემცირებას ან სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს მთავრობის თანხმობის შემდეგ, ხოლო მომავალ საფინანსო წელთან დაკავშირებული კანონპროექტი...”** (საქ. კონსტ., თ. VI, მუხლი 93, 5, <https://emis.ge>)

2.8. პარალელური და უარყოფითი სინტაქსური კონსტრუქციები

2.8.1. პარალელური სინტაქსური კონსტრუქციები

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სფეროში ჩვეულებრივი მოვლენაა ნაზმნარსახელიანი სინტაქსური კონსტრუქციების სიხშირე. მაგალითად:

- “ხელყოფის **დაზიანება** მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების... დასაბრუნებლად მართლობიერია...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი II, თავი VIII, მუხლი 28, 3);
- “თანამდებობის **დაკავების** ან საქმიანობის უფლების **ჩამორთმევა** ძირითად სასჯელად ენიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი III, თავი X, მუხლი 43, 2);
- “შვილად აყვანის მიზნით ფეხმძიმე ქალის შერჩევა

და..., - ისჯება” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი VII, თავი XXIV, მუხლი 172¹, 1)

სამართლის ფუნქციური ენის სამყაროში ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა პარალელური სინტაქსური კონსტრუქციების ერთდროული გამოყენება. მაგალითად:

- “ფსიქოტოპული ნივთიერების შესაძენად ყალბი რეცეპტის ან სხვა დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით,... ისჯება...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი IX, თავი XXXIII, მუხლი 268, 1);
- “საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება...” (საგად. კოდ., კარი I, თავი II, მუხლი 11, 1);
- “ასაფეთქებელი... ნივთიერების გადატანა, განთავსება... ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის მიზნით, ისჯება” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი IX, თავი 30, მუხლი 229, 1);
- “მეკობრეობა... თავდასხმა სხვისი ნივთის დასაუფლებლად, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, - ისჯება” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი IX, თავი XXX, მუხლი 228, 1);
- “სხვა არამართლზომიერი უპირატესობის დაპირება, შეთავაზება, გადაცემა ან გაწევა, **რათა** მან განახორციელოს რაიმე ქმედება...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი VIII, თავი XXIX, მუხლი 221, 1) (პარალელური კონსტრუქცია, “რათა” კავშირიანი);
- “**დანაშაულის ჩამდენი** შეიძლება გათავისუფლდეს, თუ დადგინდება...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი IV, თავი XIII, მუხლი 70) და პარალელური ფორმა:
- “იმას, **ვინც დანაშაული ჩაიდინა** საქართველოს ტერიტორიაზე...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი I, თავი III, მუხლი 4, 1);

ან:

- „საზღვარგარეთ... **დანაშაულის ჩამდენ** უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი I, თავი III, მუხლი 5, 3) და პარალელური ფორმა:
- „საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, **რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს... ქმედება**“ (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი I, თავი II, მუხლი 5, 1). ორივე ფორმა ერთსა და იმავე მუხლში (V-2) რამდენჯერმე გვხვდება.

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილისათვის კანონ-ზომიერი მოვლენაა სინტაქსური მოდელების ტრანსფორმაცია, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების სიხშირე. მაგალითად:

- „იგივე ქმედება, **ჩადენილი** სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, - ისჯება“ (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი VII, თავი XXIV, მუხლი 173, პუნქტი 2);
- კონსტრუქციები „როგორც - ისე“, „როგორც - ასევე“:
- „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა, ჯარიმა... შეიძლება დაინიშნოს **როგორც ძირითადი, ისე დამატებით** სასჯელად“ (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი III, თავი X, მუხლი 41, 2);
- „თავდები შეიძლება იყოს **როგორც** იურიდიული, ისე **ფიზიკური** პირი“ (საგად. კოდექსი, კარი XI, თავი 35, მუხლი 249, 2);
- „ეს წესი გამოიყენება **როგორც** სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო... პირობის მიმართ“ (საგად. კოდ., წიგნი I, შესავალი დებულებანი, მუხლი 8, 1).

კავშირი „**როგორც - ისე**“ ქვეწყობილ წინადადებაშიც გამოიყენება და შერწყმულშიც. ამ შემთხვევაში მთავარ წინადადებაში მოცემულია ის, რაც უნდა შევადაროთ, დამოკიდებულ წინადადებაში კი ის, რასაც უნდა შევადაროთ (ლ.

კვაჭაძე, 1988, გვ. 381), სხვაგვარად რომ ვთქვათ, დამოკიდებულ წინადადებაში დასახელებულია მთავარი მოვლენა, მთავარ წინადადებაში კი შესადარებელი მოვლენა.

- „როგორც - ისე“ კავშირი შერწყმულ წინადადებაში მაჯგუფებელ ფუნქციას ასრულებს. იგი იოლად იცვლება „ან-ან“ კავშირით, ცხადია, შენაცვლების შემთხვევა არ იწვევს აზრის ცვლილებას.

„ან“ კავშირი რამდენიმესაგან ერთის არჩევანზე მიუთითებს და ათანაბრებს ჩამოთვლილ საგნებს. „როგორც – ისე“ გახაზავს პირველ რიგში დასახელებულს და ათანაბრებს მეორე რიგში დასახელებულთან. „როგორც-ისე“ კავშირი ყოველთვის ვერ იცვლება „ან“ კავშირით.

• ზერთული წინადადება

კანონშემოქმედება ურთულესი გონებრივ-ინტელექტუალური მოღვაწეობის სფეროა. იგი მოიცავს შემეცნების, ურთიერთობების, ზემოქმედების ასპექტებს, უმთავრესად მიმართულია მათს რეალიზებაზე. ეს გარემოება ისეთი სინტაქსური კონსტრუქციების სიხშირეს იწვევს, რომლებიც უპირველესად აზრის ლოგიკური პრინციპებით გადმოცემას უზრუნველყოფენ. ეს კი არც თუ იშვიათად ზერთული წინადადების საჭიროებას წარმოშობს.

ზერთული კი იმგვარი წინადადებაა, რომელშიც შთაბეჭდილია კანონმდებლობის მსჯელობა ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის შესახებ. ეს მოვლენა განსაკუთრებით კოდექსების ენაშია თვალშისაცემი, მაგალითად:

- „იმ პირისათვის, რომელიც საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ახორციელებს ხელმძღვანელობით, წარმომადგენლობით ან სხვა სპეციალურ უფლებამოსილებას, ან რომელიც მუშაობს ამ ორგანიზაციაში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მის ან სხვა პირის სასარგებლოდ ფულის, ფასიანი ქაღალდის... დაპირება, შეთავაზება, გადაცემა, გაწევა, რათა განახორცი-

ელოს რაიმე ქმედება, ან თავი შეიკავოს ქმედების განხორციელებისაგან თავისი სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევით მომსყიდველის ან სხვა პირის ინტერესებისათვის, ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ“. (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი VIII, თავი XXIX, მუხლი 221, 1).

ესაა, ფაქტობრივ, „წინადადება - მსჯელობა“. აქ ასახულია ფაქტი, პირობები, მიზეზ-შედეგობრიობა...

2.8.2. უარყოფითი სინტაქსური კონსტრუქციები

სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სფეროებში უარყოფის ენობრივ კატეგორიას მკაფიოდ გამოხატული ფუნქცია აქვს.

უარყოფა ორგვარია - **სრული** და **ნაწილობრივი**. სრული უარყოფა მთელ წინადადებას შეეხება, ხოლო ნაწილობრივი - ცალკეულ სიტყვას ან შესიტყვებას,

უარყოფა გამოიხატება: **უარყოფითი ნაწილაკებით, ნაცვალ-სახელებით, ზმნიზედებით, კავშირებითა და უარყოფითი სიტყვებით**. აქ განსაკუთრებით აქტიურია არ(ა) ნაწილაკი, რომელიც აკრძალვით ურთიერთობას გამოხატავს.

● **სრული უარყოფა:**

“შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაცია გამოიყენება:...

ბ) უცხოური საქონლის მიმართ, რომლის... შემოტანისას არ გადაიხდევენ იმპორტის გადასახდელები და არ ხორციელდება სატარიფო ღონისძიებები...” (საგადას. კოდექსი, კარი X, თავი XXXIV, მუხლი 235, 1).

- “წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ” (სამოქ. სამართ., წიგნი I, კარი II, თავი VII, მუხლი 104, 2);

- “საქართველოს პრეზიდენტს უფლება არ აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა” (საქ. კონსტ., თავი IV, მუხლი 72).

● **ნაწილობრივი უარყოფა:**

- “საქონლის გაშვება არ გამოორიცხვას საბაჟო კონტროლის ვადის გაგრძელებას” (საგად. კოდექსი, კარი X< თვი XXXII, მუხლი 220, 4);
- “სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე” (სამოქ. კოდექსი, წიგნი I, შუალედური დებულებანი, მუხლი 10, 1);
- “აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: ა) მას არ დაურღვევია საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონმდებლობები და არ ჩაუდენია... დანაშაული” (საგადასახ. კოდ., კარი X, თავი XXXIII, მუხლი 224, 7).

● **ორმაგი უარყოფა:**

ორმაგი უარყოფა კანონების ტექსტებში ფუნქციური მოვლენაა. კანონი თავისი არსით კატეგორიულობით გამოირჩევა. ორმაგი უარყოფა კი ამ კატეგორიულობას კიდევ უფრო აძლიერებს. იგი კანონმდებლობის ნებას გამოხატავს, ამკვეთრებს სათქმელის ოფიციალურ, მბრძანებლურ ტონს, უარყოფს კატეგორიულობას (73).

ორმაგი უარყოფა გამოიხატება შემდეგნაირად: “არ” ნაწილაკს წინ დაერთვის უარყოფითი ნაცვალსახელი “არავინ”: “არავინ+არ”; “არავის+არ”. მაგალითად:

- “არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში...” (საქ. კონსტ., თ. II, მუხლი 20, 2, <https://emis.ge>)
“არ(ა) ნაწილაკი ხშირად შერწყმულია იმ სიტყვასთან, რომლის შინაარსსაც უარყოფს. მაგალითად:
- “წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ” (სამოქ. კოდექსი, წიგნი I, კარი II, თავი VII, მუხლი 104, 2).

2.9. კანონის ენის დახვეწისათვის

სამართლის ენის ლინგვისტიკური ობიექტი სამართლის ნორმაა. სამართლის ნორმის ენობრივი ახსნა-განმარტება, კომენტარი ლინგვისტიკური ექსპერტიზის შედეგი და შესაბამისად ამ ექსპერტიზის სახეობაა. აქედან გამომდინარე სამართლის ნორმა ლინგვისტიკური მსჯელობა-ანალიზის შედეგია.

სამართლის ნორმის განმარტება სამართლის ნორმის დამდგენი კომისიის მიერ ჩადებული აზრის დემიფრირებას ნიშნავს. კანონმდებლები ასეთ შემთხვევაში ენობრივი (ლინგვისტიკური) წესების დაცვის აუცილებლობაზე საუბრობენ. ამგვარ წესებს, ტრადიციულად, განეკუთვნება:

1. სამართლის ნორმის ლექსიკა-ფრაზეოლოგიას სალიტერატურო ენის მიერ მიკუთვნებული მნიშვნელობა უნდა შეუნარჩუნდეს. თუნდაც იმიტომ, რომ სალიტერატურო ენა არის თავისთავად სტანდარტიზებული, ნორმატიული და კანონიზებული ენა;
2. სამართლის ნორმაში გამოყენებულ ტერმინებს არ უნდა მიეცეს ახალი, დედნისაგან განსხვავებული მნიშვნელობა;
3. ერთ ნორმაში გამოყენებულ მსგავს ტერმინებსა და გამოთქმებს ერთი მნიშვნელობა უნდა შეუნარჩუნდეთ;
4. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების დროს დაუშვებელია თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიტყვის, ტერმინის უგულებელყოფა;
5. გასათვალისწინებელია, რომ სამართლის ნორმაში თვითეულ სიტყვას, ტერმინს თავისი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს.

საკანონმდებლო ტექსტებში, პროფესიული სიფრთხილის მიუხედავად, მაინც “იპარება” ცთომილებები, რომლებიც აბუნდოვანებენ სამართლის ნორმაში ჩადებულ აზრს და აქედან გამომდინარე მის ზუსტ გააზრებას - ინტერპრეტირებას.

საკანონმდებლო ტექსტებში ენობრივი დარღვევების დიდი უმრავლესობა დაკავშირებულია უხეირო, ღვარჭნილ, ლინგვისტიკური განათლების უგულვებელყოფილ თარგმანთან.

თარგმანებში აზრის ზუსტი გადაცემა გაიგივებულია გარეგან გამომსახველობით ფორმასთან, “კანონის ენობრივი ქსოვილის ზუსტად გადმოტანასთან”. ეს კი კანონის ქართულ ტექსტს სისხარტეს, ლაკონიურობას უკარგავს და არაბუნებრივი (უცხოენოვანი) კონსტრუქციების დამკვიდრებას უწყობს ხელს” (18, 52).

მაგალითად, მკვლევართა მიერ (ო. გამყრელიძე, ც. ბარბაქაძე) რუსულიდან უხეირო, შეუსაბამო თარგმნილი სიტყვის ნიმუშად განხილულია სიტყვა „заведомо“-ს ქართული სამართლის ფუნქციური ენის და სტილის სივრცეში გადმოღების ფაქტი. ამ რუსული სიტყვის ქართული შესატყვისია: **უეჭველად, აშკარად, შეგნებულად**, კოდექსების ტექსტებში კი თარგმნილია შესიტყვებით “წინასწარი შეცნობით”, რაც არც აზრობრივად არის ზუსტი და არც ენობრივი ცნობიერებისათვის მისაღები და შესაბამისი (1).

საოცარი ის არის, რომ ეს აშკარად ხელოვნური შესიტყვება არც ამჟამად არის შეცვლილი და ტერმინოლოგიური დატვირთვით კვლავაც გამოიყენება რუსულ სამართალწარმოების სამყაროსთან დაშორების მიუხედავად. მაგალითად:

- “**წინასწარი შეცნობით** დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება ისჯება ჯარიმით...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი VIII, თავი 25, მუხლი 186, პუნქტი 1);
- “**წინასწარი შეცნობით** სხვისი გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის... შემოსავლის მიზნით უკანონოდ გამოყენება ისჯება ჯარიმით...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი VIII, თავი XXV, მუხლი 189¹, პუნქტი 3);
- “ისეთი დაზიანება, რომელიც... დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი

მესამედით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან, ისჯება...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი VIII, თავი XX, მუხლი 117, პუნქტი 1);

- “განზრახ მკვლელობა წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით...” (სისხლ. სამართ. კოდექსი, კარი VII, თავი XIX, მუხლი 109, პუნქტი 2 (ა)).

თავის დროზე ამგვარ ხარვეზიანობაზე მიუთითა ც. ბარბაქაძე. მან აღნიშნული რუსული სიტყვის შემდეგი ვარიანტი წამოაყენა - **“შეგნებულად, აშკარად”** (1, 75), თუმცა ამ შემთხვევაში სიტყვა “აშკარად” მაინც შეუსაბამო არის. „заведомо“-ს უფრო ქართული “შეგნებული”, “გააზრებული”, “გაცნობიერებული” შეესატყვისება, რადგან აქ ლაპარაკია ისეთ ქმედებაზე, რომლის შედეგი მოქმედი სუბიექტისათვის წინასწარ არის გაცნობიერებული და ამდენად ცნობილი. ანუ როდესაც მოქმედმა სუბიექტმა იცის, რასაც აკეთებს. ჩვენი მოსაზრების მთავარ არგუმენტად სიტყვა „заведомо“-ს რუსული იდიომატური ფრაზა „заведомая ложь“-იც გამოდგება. ამ გამოთქმის ქართული შესატყვისობა, მოხსენებული ლექსიკონის მიხედვით, არის “აშკარა ტყუილი”, რაც სემანტიკურ ნონსესად უნდა ჩაითვალოს, რადგან ტყუილის მიზანი “აშკარას” დაფარვის მცდელობაა მოტყუების (ანუ სხვა შინაარსის შენაცვლების) გზით და არა დასფარავის გამოაშკარავება - **აშკარას გამოაშკარავება, რასაკვირველია, აღარ სჭირდება.**

1. იგივე შეიძლება ითქვას რუსული ფრაზეოლოგიზმის ქართულ ტრადიციულ თარგმანზე: „давать заведомо ложное показание“ – “აშკარად ცრუ ჩვენების მიცემა”. “აშკარა სიცრუე” აზრობრივი გაუგებრობაა. თუ აშკარაა, ანუ დაუფარავია, გამოაშკარავებულია, სიცრუე ვეღარ იქნება. აქ უფრო შესაფერისია სიტყვები: “შეგნებული”, “გააზრებული”, “გაცნობიერებული”.

1. ქართულისათვის შეუფერებლად არის მიჩნეული ასეთი კონსტრუქცია: “გამარცვა, ძალადობის გამოყენებით”. უპირატესობა მინიჭებული აქვს: “გამარცვა, რასაც თან ერთვის ძალადობა”. ამჟამად, კანონთა ენაში დამკვიდრებულია ამგვარი კონსტრუქციის ქართული ენობრივი ცნობიერებისათვის უფრო შესაფერისი ფორმები:

- “იგივე ქმედება..., ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის, ანდა ასეთი **ძალადობის გამოყენების მუქარით**, ისჯება...” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VIII, თავი 25, მუხლი 178, პუნქტი 3);
- “საპაერო ხომალდზე მყოფი პირის წინააღმდეგ **განხორციელებული ძალადობა ან ძალადობის მუქარა...** ისჯება” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი IX, თავი 30, პუნქტი 2);

“სტაციონალური პლატფორმის... მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება **ძალადობით ან ძალადობის მუქარით...** ისჯება” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი IX, თავი 30, მუხლი 227², პუნქტი 1).

ყველა შემთხვევაში შესიტყვებები “ძალადობის მუქარით”, “განხორციელებული ძალადობა”, “ძალადობის მუქარა” მსაზღვრელ-საზღვრულით არის აგებული, სადაც **ძალადობა**, როგორც მსაზღვრელი აკონკრეტებს ძარცვის სახეობას, აზუსტებს მის შინაარსს. აღნიშნული შესიტყვებები ქართული გრამატიკის მოთხოვნებსაც შეესაბამება.

2. კანონთა ენაში ქართულისთვის შეუფერებელ შესიტყვებებად არის მიჩნეული რუსული სიტყვის “злостное”-ს ქართულ თარგმანზე აგებული შესიტყვებები: “ზოროტი ხულიგნობა”, “ზოროტი ცილისწამება” და ა. შ. ასეთ შესიტყვებებში სიტყვები “ზოროტი”, “ზოროტად”, ზედმეტად არის მიჩნეული.

„злостное“-ს ქართულ შესატყვისად აღიარებულია “ავადგანზრახულობა”, “ავგანზრახვა”. უფრო უმჯობეს ვერსიად

მიჩნეულია “აშკარა”, რომელიც არ არის აღნიშნული რუსული სიტყვის შესატყვისი, მაგრამ “ზოროტს” მაინც ჯობსო. ისე კი, უნდა ითქვას, რომ “აშკარას” აჯობებდა “თავხედური”, “გამეტებული”, “დაუზოგავი”.

3. ქართული წინადადებისათვის არაბუნებრივად არის მიჩნეული სიტყვა “ვადით” გამოყენება შემდეგ შემთხვევებში:

- “განზრახ მკვლელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VII, თავი 19, მუხლი 108);
- “...ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცამეტიდან ჩვიდმეტ წლამდე” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VII, თავი 19, მუხლი 109, პუნქტი 2);
- “...ისჯება შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VII, თავი 19, მუხლი 111, პუნქტი 2).

“ვადა” დროის გარკვეულ მონაკვეთს აღნიშნავს. ამიტომ ამ სიტყვის სასჯელის ზომის განსაზღვრისას ზედმეტად მიიჩნევენ, რადგან ამ სიტყვის ამოღება წინადადებიდან აზრს ოდნავადაც ვერ აბუნდოვანებს.

აქ უთუოდ სხვა ასპექტიც არის გასათვალისწინებელი: თავისუფლების აღკვეთის დროის განსაზღვრა ენობრივ სიზუსტეს საჭიროებს, თორემ ფრაზაში “ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე” შესაძლოა ვინმემ იგულისხმოს სასჯელის აღსრულების დაწყების დრო განაჩენის გამოტანიდან 1, 2, 3 წლის შემდეგ. თუმცა არც ის არის დასავიწყებელი, რომ სიტყვა “ვადა” ცალკეულ შემთხვევაში სწორედ არის გამოყენებული. მაგალითად:

- “განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი III, თავი XI, მუხლი 59, პუნქტი 6);
- “სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ინიშ-

ნება სამი თვიდან ორ წლამდე” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი III, თავი 10, მუხლი 47, პუნქტი 2);

- “განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახ დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ხნის ვადით...” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი II, თავი 4, მუხლი 12, პუნქტი 4).

4. სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სივრცეში დაფიქსირებულია იურიდიული ტერმინოლოგიის არადა-ნიშნულებით გამოყენების ფაქტებიც. გასათვალისწინებელია, რომ სამართლის ნორმა საერთო ქცევის წესს განასახიერებს და ყველა დამნაშავე პირს შეეხება, თუმცა უდანაშაულობის პრეზუმციის ძალით ადამიანს დამნაშავე მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს, როცა ბრალი დაუმტკიცდება. ამის გამო ზოგ შემთხვევაში ტერმინი “დამნაშავე” უნდა შეიცვალოს ტერმინით “პირი”. მაგალითად:

- “...კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადადებას იმ თანამდევს შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა...” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი II, თავი 3, მუხლი 11, პუნქტი 1). იგივე ითქმის “დაზარალებულზე”. მაგალითად:
- “თავისუფლების უკანონო აღკვეთა,... რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა,... ისჯება” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VII, თავი 23, მუხლი 143, პუნქტი 4-ის “ზ”);
- “წამება,... რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, იჯება” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VII, თავი 23, მუხლი 144¹, პუნქტი 3 “გ”).

ყველა მსგავს შემთხვევაში ტერმინები “დამნაშავე”, “დაზარალებული” უნდა შეიცვალოს. რეკომენდირებულია ტერმინი “პირი” (“დამნაშავე პირი”, “დაზარალებული პირი”), თუმცა

უმჯობესად წარმოგვიდგება “ექვმიტანილი”.

5. შეუფერებლად არის მიჩნეული სიტყვების “შედეგი” და “დადგომა” გვერდიგვერდ ხმარება. მაგალითად:

- “ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა..., ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი II, თავი 3, მუხლი 9, პუნქტი 2).

შესიტყვება “შედეგის დადგომა” სემანტიკურად გაუმართლებელია, მისი მეორე კომპონენტი საერთოდ ზედმეტია. იგივე ითქმის შესიტყვებაზე “შედეგის განხორციელება”.

6. თავის დროზე გ. შალამბერიძემ დააფიქსირა, ხოლო შემდეგ ც. ბარბაქაძემ გაიზიარა მისი აზრი შემდეგი ენობრივ-სტილისტური დარღვევები შესახებ (1):

- “დაუდევრობა ისჯება”;
- “სამსახურებრივი სიყალბე ისჯება”;
- “ხულიგნობა ისჯება” და მისთანანი.

ამ ტიპის შესიტყვებების უვარგისობა იმით არის დასაბუთებული, რომ გაბუნდოვანებულია აზრი. ისჯება არა დაუდევრობა, სიყალბე, ხულიგნობა, არამედ აღნიშნულ ქმედებათა ჩამდენი, დანაშაულის ჩამდენი პირი.

როგორც ცნობილია, კანონი ითვალისწინებს დამნაშავეს დასჯის ზომას დანაშაულის ჩადენისათვის. თუ ამ გარემობას ანგარიშს გავუწევთ, საჭირო გახდება ყველა მუხლის ხელახალი ენობრივი რედაქცია. ამ აზრს გამოთქვამდა ჯერ კიდევ 1983 წელს გ. შალამბერიძე (20, 139).

არცთუ ცოტა დრომ განვლო ამ მოსაზრების შემოთავაზებიდან (36 წელი), მისი მართებულობაც არავის დაუყენებია ეჭვსქვეშ, მაგრამ ვითარება არ შეცვლილა. მაგალითად:

- “არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების... **გაყალბება ისჯება** თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VII, თავი 23, მუხლი 164³);
- “სანავიგაციო დანადგარის **დაზიანება ან განადგურება...** ისჯება თავისუფლების აღკვეთით” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი IX, თავი 30, მუხლი 227³, პუნქტი 3);
- “ცრუ მეწარმეობა... ისჯება ჯარიმით” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VIII, თავი 26, მუხლი 193);
- “წყლის ხომალდის... **განადგურება ან დაზიანება**, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას უსაფრთხო ნაოსნობას, **ისჯება** თავისუფლების აღკვეთით...” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი IX, თავი 30, მუხლი 227³, პუნქტი 5).

7. სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის სფეროში პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ტერმინოლოგიური დანიშნულების სიტყვების “**ქმედება**”, “**მოქმედება**” მონაცვლეობა. მათ შორის დასმულია აზრობრივი ტოლობის ნიშანი და შემოთავაზებულია ერთ-ერთის არჩევანის აუცილებლობა. თანამედროვე ქართული სამართლის ფუნქციური ენა უპირატესობას ტერმინ “ქმედებას” ანიჭებს, თუმცა არც ტერმინი “მოქმედება” არის უცხო. მაგალითად:

1. “ქმედება”

- „**ქმედების** დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით...” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი I, თავი 2, მუხლი 2, პუნქტი 1);
- “განგრძობადი დანაშაული დამთავრებულია უკანასკნელი **ქმედების** ჩადენის მომენტიდან (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი II, თავი 4, მუხლი 14, პუნქტი 2);
- “სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს **ქმედების** დანაშაულებრიობის ან ამსუბუქებს სასჯელს,

აქვს უკუძალა” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი I, თავი 2, მუხლი 2, პუნქტი 2);

- “განზრახ დანაშაულად ითვლება **ქმედება**, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი II, თავი 3, მუხლი 9, პუნქტი 1);
- “დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი **ქმედება**, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად...” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი II, თავი 6, მუხლი 19, პუნქტი 1);

2. “მოქმედება”:

- “დენადია... დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება **მოქმედებით** ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი II, თავი 4, მუხლი 13, პუნქტი 1);
- “მართლსაწინააღმდეგოდ **არ მოქმედებს** ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ **ქმედებას** ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობით” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი II, თავი 8, მუხლი 28, პუნქტი 1).

8. სამართლის ფუნქციური ენის სფეროში დაუშვებელია აუხსნელი, გაუშიფრავი, არაფრისმთქმელი სიტყვების გამოყენება. ამგვარი სიტყვები, ერთი მხრივ, აბუნდოვნებენ აზრს, მეორე მხრივ, კანონმდებლობებს ამა თუ იმ სიტყვის სუბიექტურად ინტერპრეტირების საშუალებას აძლევენ.

გაურკვეველი ცნებების გამომხატველ სიტყვებს შენიშვნების დართვით უნდა მოუძებნონ დამაზუსტებელი ახსნა-განმარტებები. მაგალითად, ასეთ დასაზუსტებელ ცნებებს წარმოადგენენ: “გარკვეული საქმიანობა”, “დიდი ოდენობა”, “მძიმე შეურაცხყოფა”, “მნიშვნელოვანი ზიანი” და ა. შ.

- “სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა... ბ) **დიდი ოდენობით**, - ისჯება... (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VIII, თავი 25, მუხლი 182, პუნქტი 3 “ბ”);

- “სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, - ისჯება ჯარიმით...” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VIII, თავი 25, მუხლი 188, პუნქტი 1);
- “იგივე ქმედება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია... ისჯება” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VIII, თავი 25, მუხლი 178, პუნქტი 2 “ა”).

ზემოაღნიშნული ცხადყოფს ლინგვოკრიმინალისტიკის ერთი დიდი პრობლემური არეალის კვლევის აქტუალობასა და დროულობას - სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის შესწავლის დახვეწის აუცილებლობას.

ამ მიმართულებით უადრესი მნიშვნელობა აქვს იურიდიული სამყაროს პროფესიული ენის სასაფუძვლო ენობრივი მოცემულობის (ცნების) - “**ნორმის**” ტერმინოლოგიური შინაარსის დაზუსტებას. ამ სფეროში “**ნორმა**” თავისი შინაარსით დანიშნულების შესბამისად ივსება. აქ განმარტება ემყარება “ნორმის” გააზრებას მისი მომხმარებლის მიერ (ვინც უფარდებს მის ცნებითს შინაარსს მიმართების სფეროს, “ნორმის” განმარტებას, ამას გარდა გულისხმობს ნორმის შინაარსის ახსნა-განმარტებას ნორმის შემფარდებელი პირისა თუ ორგანოსათვის).

ნორმის ოფიციალური განმარტების სუბიექტი, როგორც წესი, პროფესიონალური სახელმწიფოს ორგანო ან თანამდებობის პირია. როგორც ცნობილია, ოფიციალურ განმარტებას “სავალდებულოს” სტატუსი აქვს. კერძო პირების განმარტებები არაა “სავალდებულოს” სტატუსის მქონე.

სამართალწარმოების სფეროში (პრაქტიკაში) ცნობილია “ნორმის” ტერმინოლოგიური შინაარსის არაოფიციალური განმარტებების შემდეგი სახეობები;

- ნორმის **ადეკვატური (სიტყვასიტყვით)** განმარტება;
- ნორმის **განვრცობითი** განმარტება;
- ნორმის **შეზღუდვითი** განმარტება.

- ნორმის **ადეკვატური (სიტყვასიტყვითი)** განმარტება გულისხმობს მისი შინაარსის გაგებას ნორმის გამოხატულებასთან ზუსტ შესატყვისობაში. ასეთ ნორმებში ადეკვატურია კანონმდებლობის ნება და ამ ნების გამოხატვის ფორმა. კანონი სწორედ ამგვარ განმარტებებს საჭიროებს.

- ნორმის **შეზღუდვითი** განმარტება გულისხმობს ნორმის შინაარსის უფრო ვიწროდ გააზრებას, ვიდრე მისი ტექსტობრივი გამოხატულებაა. ასეთ შემთხვევაში “ნორმის” ცნებითი შინაარსი უფრო ფართოა, ვიდრე კანონმდებლობის ნებასურვილი ითვალისწინებს. ამის გამო ასეთ შემთხვევაში ნორმის განმარტების დროს ნორმის ტექსტში გამოყენებულ სიტყვებს, გამოთქმებს კონტექსტის შესაბამისად შეზღუდული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, ვიდრე ამ სიტყვებისა და გამოთქმების ჩვეულებრივ (არასპეციფიკურ) ვითარებაში გამოყენების დროს. მაგალითად:

- “ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება **არსებითად დააზიანოს** მათი უფლებები, ისჯება ჯარიმით...” (სისხლის სამართლის კოდექსი, კარი VIII, თავი 25, მუხლი 181, პუნქტი 1).

აქ, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ისეთი ცნობის გავრცელების მუქარაზეა ლაპარაკი, რომელიც უფლებების “არსებითად” დაზიანების საფრთხეს შეიცავს და არა ზოგადად და საყოველთაოდ არსებული ყველა უფლების.

➤ **“განვრცობითი”** ისეთი განმარტებაა, როდესაც ნორმის ცნების შინაარსის გაგება უფრო ფართოდ არის საჭირო, ვიდრე მისი ქრესტომათიური შინაარსი მოიცავს. ასეთ შემთხვევაში ნორმაში კანონშემოქმედი გაცილებით დიდ შინაარსს დებს, ვიდრე მისი ნომინაციური (ქრესტომათიული) მნიშვნელობა გამოხატავს.

სამართლის ნორმების “შეზღუდვითი” და “განვრცობითი” განმარტებების საჭიროება, ბუნებრივია, კანონშემოქმედების პროცესის არასრულყოფილებას ცხადყოფს, რისი მიზეზიც

პროფესიული ენობრივი ცნობიერების ხარვეზიანობაა.

სამართლის ნორმის აღნიშნულისაა და ამის გამო სუბიექტურობას დიდ ასპარეზს უქმნის. კანონების ტექსტებში ორაზროვნების გამოსარიცხად ყოველი სიტყვა, ტერმინი, შესიტყვება, გამონათქვამი კანონმდებლის სათქმელის ზუსტი შესაბამისი უნდა იყოს, ერთი მხრივ, და სამართლის ფუნქციური ენისა და სტილის ენობრივ ნორმათა შესაბამისი, მეორე მხრივ. აღნიშნულიც არის, რომ:

“სამართლებრივი ნორმის სიზუსტე და მისი აბსოლუტური ადეკვატური განმარტება არის კანონმდებლობითი ტექსტის იდეალი, რაც ხელს უწყობს სამართლის მარეგულირებელი ფუნქციის შეუფერხებელ რეალიზაციას. პირიქით, ამ ფორმულირებათა არასიცხადე, ორაზროვნება, სხვაგვარად განმარტების შესაძლებლობა ხელს უშლის სამართლის ძირითადი ფუნქციის განხორციელებას”.

თავი 3. მეტყველება და აგრესია. სამეტყველო აგრესიის ექსპერიმენტული კვლევები

3.1. მეტყველება და აგრესია: ლინგვისტიკური ანალიზის გზები და მეთოდები

საზოგადოებაში დამკვიდრებული აგრესიული ქცევის მოდელები ვერბალიზდება, ენაში მკვიდრდება და თაობიდან თაობას გადაეცემა.

აგრესიის ფენომენი მენტალური ბუნებისაა და მისი გამოვლენის მოდელები ღრმად ეროვნულია, რადგან გარე გემლიზიანებლებზე პასუხი თავისი ინდივიდუალურობის მიუხედავად ეთნოსს (ერს) მსგავსი (ერთნაირი) აქვს.

აგრესიული ქცევის მოდელების ვერბალიზებული გაფორმებებიც და საპასუხო რეაქციის მოდელებიც ენაში მყარ ფრაზეოლოგიად ფორმდება და მენტალობითი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის სახით მკვიდრდება - ანდაზებად, თქმებად, მაქსიმებად...

აგრესიული ქცევის მოდელები შემტევ-თავდაცვითი ხასიათიდან გამომდინარე ერისათვის, საზოგადოებისათვის ორად განიყოფება: შემტევი აგრესიული ქცევის მოდელები **განსაკიცხია**, ხოლო თავდაცვითი - **მოსაწონი**.

სრულიად სამართლიანად მიუთითებენ, რომ სამეტყველო აგრესიული ქცევის მოდელების აღწარმოებისა და ტრანსლირების „მკვებავ სივრცეს“ ქმნიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ტექსტები (როგორც ბეჭდური, ისე აუდიო-ვიზუალური მედიის). ბოლო დროს მათ მიემატა სოციალური მედიის ტექსტები. ამას მიაწერენ მასობრივი კომუნიკაციის ისეთ თავისებურებებს, როგორებიცაა:

- ინფორმაციის მიწოდების რეგულარულობა და ინფორმაციის მატარებელთა ტირაჟირება;
- მასობრივი აუდიტორიის მასობრიობა;

- კომუნიკაციის აშკარად გამოხატული სოციალური ორიენტირებულობა;
- კომუნიკაციის ორგანიზებული, ინსტიტუციონალური ხასიათი;
- ურთიერთობის პროცესში კომუნიკატორსა და აუდიტორიას შორის უშუალო კავშირის არარსებობა;
- ინფორმაციის სოციალური მნიშვნელობა;
- მასობრივი კომუნიკაციის ვარიანტულობისა და ნორმატიულობის უზრუნველმყოფი კომუნიკაციური საშუალებების მრავალარხიანობა და არჩევანის შესაძლებლობა;
- ინფორმაციის ცალმხრივობა და კომუნიკაციური როლების ფიქსირება;
- კომუნიკატორის “კოლექტიური” ხასიათი და მისი საჯარო ინდივიდუალურობა;
- შეტყობინებათა მასობრიობა, საჯაროობა, სოციალური აქტუალურობა და პერიოდულობა.

მასკომუნიკაციის სოციალური მნიშვნელობა გარკვეულ სოციალურ მოთხოვნილებებისადმი შესაბამისობაში და მის ზემომქმედ ფუნქციაში მდგომარეობს. თუ მედიაგარემო რეაქტიულობით ხასიათდება, რომელიც საზოგადოებრივი ყოფის აქტუალურ მდგომარეობას ასახავს, მხატვრული ნაწარმოებების ტექსტებში გადმოიცემა ეპოქის სული, ხასიათი, მისი სოციალური ურთიერთობის უფრო მყარი მოდელები, რომლებიც ასევე ახდენენ აგრესიის სახეობებსა და ფორმების რეპრეზენტაციას და რომლებიც მეტყველებაში ვერბალური საშუალებებით რეალიზდება. ამ თვალსაზრისით უპრიანია ლაპარაკი მხატვრულ ნაწარმოებებზე, როგორც აგრესიული ქცევის აღწარმოების მოდელების ლინგვოკულტუროლოგიურ წყაროებზე.

სამეტყველო ქცევის მოდელების ფიქსირება უფრო ძნელია პიროვნებათშორის დონეზე (როგორც ჯგუფურ, ისე

წყვილთა). ეს განპირობებულია ამგვარი კომუნიკაციის ინტიმური ხასიათით, მისი კონფიდენციალურობითა და კომუნიკანტებზე სისტემატური დაკვირვების სირთულით. ამ მხრივ სასარგებლოა სამეტყველო აგრესიის კვლევა ინტერნეტ-კომუნიკაციებში, რადგანაც იგი შეიცავს ქსელის მომხმარებელთა სამეტყველო ქცევებზე უშუალო დაკვირვებისა და კვაზინტიმური გარემოს შექმნის საშუალებას.

სოციალურ ქსელებში ურთიერთობა შეიძლება მიეკუთვნოს ჯგუფურ კომუნიკაციას, რომელიც ხორციელდება სქემის მიხედვით: “ინდივიდი > ჯგუფი”, “ინდივიდები ჯგუფში”.

ამას გარდა, პოლიტიკური საჯარო დისკურსში კომუნიკაციის დროს სუბიექტის ინდივიდუალური სტილისათვის თვალის გადევნების შესაძლებლობას აგრესიის პროვოცირების ვითარებაში იძლევა.

3.1.1. აგრესიის ვერბალური რეალიზების საშუალებები მხატვრულ ლიტერატურაში

მხატვრული ტექსტები კაცობრიობის ემოციური გამოცდილების საცავია, ასევე ამა თუ იმ საზოგადოების გარკვეული პერიოდის (ისტორიული ეპოქის) ქცევის სტერეოტიპული მოდელების ანარეკლი. ამ მოდელებში აისახება ენის მატარებელთა სტერეოტიპიზებული წარმოდგენები მოცემულ კულტურაში ამა თუ იმ ემოციების ვერბალურ და არავერბალურ გამოვლენათა შესახებ, მათ შორის ნეგატიურებისაც.

მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ ტექსტებში აგრესიის ვერბალიზაცია უფრო დატვირთულია, ვიდრე ცოცხალ კომუნიკაციებში, მხატვრული ტექსტების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვაცალკევოთ “სტილიზებული” რეპრეზენტაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიხატებოდეს ემოცია (46).

Я. А. Покровская ინგლისური და რუსული ენების მატარებელთა მსოფალქმის სისტემის გამოსავლენად მოახდინა

მტერობის ტრიადის ემოციური კონცეპტების მოდელირება (რისხვა, ზიზიდი, სიძულვილი) და ამის საფუძველზე განსაზღვრა ინდივიდის სამყაროს სურათის შემადგენლობაში სხვაობა ემოციების ვერბალურ წარმოდგენათა შორის.

ემოციათა გამოხატვის აღწერა სამი ხერხით ხორციელდება:

1. ემოციათა არავერბალური გამოხატვის აღწერის გზით;
2. ემოციათა ვერბალური გამოხატვის აღწერით;
3. საკუთრივ ემოციური მდგომარეობის აღწერით.

ყველაზე ხშირია ემოციური **კინემებისა და პროსოდემაების** ლექსიკური აღწერები. აგრესიულ მოქმედებათა უმეტესობა რისხვის ემოციის კონტექსტში ჩნდება. მაგალითად, ინგლისურში ადამიანური აგრესიული ემოციის გამოხატვის ინფორმაციული წყაროა **თვალები**, რუსულში - **მთელი სახე**. ქართული უფრო რუსულს უახლოვდება.

რუსულში და ინგლისურში მრისხანების დომინირებული ვერბალიზებული მიმიკური კომპონენტია სახის წამოწითლება - წამოჭარხლება.

რუსულში მრისხანების მიმიკური სტერეოტიპი უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი, ვიდრე ინგლისურში. მთლიანობაში ორივე ენის ადამიანის აგრესიული მდგომარეობის აღსაწერი პარაემოციური საშუალებებისა და მოდელეების მსგავსი მოდელეები მოეპოვება. ამასთან მრისხანების აღსაწერი ლექსიკა (ასევე ზიზიდისა და სიძულვილისა) თავისი სემანტიკით ნეიტრალურია, შეიცავს იდეას ემოციების შესახებ და გარკვეულ კონტექსტებში სიტუაციურად ემოციურია.

ემოციათა აღწერების სტერეოტიპები ტექსტში ამ ემოციების ამა თუ იმ კულტურაში გამოვლენის წესებს ასახავენ. მხატვრული ტექსტების კითხვის პროცესში ადამიანი აგროვებს ცოდნას ამ ემოციური სტერეოტიპების შესახებ, სწავლობს ემოციათა გარეგნული გამოხატულების ემოციის სუბიექტის შინაგან მდგომარეობასთან შეფარდებას, ემოციის სტერეოტიპიზებული აღწერის ვერბალიზებულად დეკოდირებას და ურთიერთობის

კონტექსტში ამა თუ იმ ემოციის გამოვლენის ჭეშმარიტების ხარისხის შეფასებას.

ი. ბ. ლაზებნაიამ სცადა ვერბალური აგრესიული ქცევის მოდელირება დიალოგზე დაყრდნობით. ამ თემის აქტუალობა იმით არის დასაბუთებული, რომ აუცილებელია აგრესიის გამოხატვის ეტაპების კვლევა და აღწერა კომუნიკაციის აქტში, როგორც **ერთეულში**, სადაც დიალექტიკურად არის დაკავშირებული საკუთრივ ენობრივი და არაენობრივი, ექსტრალინგვისტური შინაარსი, რაც თავის მხრივ, წარმოდგენას ქმნის ამ სამეტყველო აქტის ფუნქციონირების სპეციფიკაზე რეალური კომუნიკაციის პროცესში.

კვლევებისათვის შერჩეული იყო ინგლისურენოვანი დიალოგები, რომელთა ანალიზი მიმდინარეობდა ფორმატს: “ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნება-ნგრევა პერსონაჟებს შორის”. კომუნიკანტების აგრესიული ქცევის გაშლის პროცესში. გაანალიზებულ იქნა განსხვავებათა ფაქტორები და პირობები ენობრივ ერთეულთა გამოყენებაში, ურთიერთობაში ჩავარდნების გამომწვევი მავერბალიზებული აგრესიული ურთიერთობები, რომლებიც გამოწვეულია კომუნიკანტების სტატუსურ-როლური ურთიერთობების ხარისხის განსხვავებულობით. სამეტყველო აგრესია მოცემულ კონტექსტში განიხილება როგორც სამეტყველო აქტის დამოუკიდებელი ტიპი.

ბ. ლაზებნაია სამეტყველო აქტს განსაზღვრავს როგორც მეტყველი სუბიექტის ადრესატზე სამეტყველო ზეგავლენის საშუალებას, რომელიც მიმართულია ადრესატის სამოღვაწეო და ემოციური სფეროების შესაცვლელად მისი შიშისა და სიფრთხილის გრძნობაზე აპელირებით.

ამასთან აგრესიის სამეტყველო აქტი წარმოადგენს სხვადასხვა სემანტიკური და სუპრასემანტიკური დონეების კომპლექსური ურთიერთობების შედეგს, ისეთების, როგორიცაა გამონათქვამის **პროსოდიკის** დონე, ენობრივი სისტემის

ლექსიკური და სინტაქსური დონეები, ასევე დისკურსის დონე.

სამეტყველო აქტის მოცემული ტიპი ახლოსაა “კონფლიქტივის” ცნებასთან. ეს ტერმინი შემოიტანა პროფ. რ. კ. პოტაპოვამ, აღწერა კი ეკუთვნის ლ. რ. კომალოვას ნაშრომში “კონფლიქტოლოგიური კომპეტენტურობის ლინგვისტიკური ასპექტი”. **კონფლიქტივი** გაიგება, როგორც სოციოლოგიური ცნება, როგორც “კონფლიქტის” ლინგვისტიკური კორელატი, რომელიც წარმოადგენს სამეტყველო კონფლიქტურ კომუნიკაციაში აქტის შერეულ ტიპს და ახასიათებს მხარეთა აშკარა სამეტყველო შეჯახების ფაქტს, რომელშიც კომუნიკანტები ღიად აცხადებენ თავიანთ პოზიციებს, ახმოვანებენ თავიანთ ინტერესებს, წამოაყენებენ თავიანთ უკმაყოფილებას (47, 36).

ლ. ლარიონოვამ გამოიკვლია აგრესია, როგორც ემოციური რეაგირების ერთი სახეობა, რომლის მიზანია შეგნებული შეურაცხყოფა, ადრესატისათვის ზიანის მიყენება და ნეგატიური ემოციების გამოხატვა ინგლისურ და რუსულ ენებზე (48).

რუსი ლინგვისტები აგრესიის ფენომენს ინგლისურ ენასთან შეპირისპირებით იკვლევენ და მიზმად ისახავენ საკუთარი ენის ენობრივი სამყაროში როგორც ეროვნული, ისე ზოგადკაცობრიული ენობრივი მოვლენების გამოვლენასა და შესწავლას.

ლექსიკოგრაფიული წყაროების კვლევის საფუძველზე ა. ლარიონოვამ გაარკვია, რომ აგრესიის ყოველი კომპონენტი როგორც ემოციური რეაგირების სახეობა (რომელიც შედგება მოტივის, მიზნის, მიზნის რეალიზების საშუალებების, თავად რეალიზაციის პროცესებისა და შედეგის) თავის ასახვას პოულობს საკვლევი ენების სიტყვიერ მარაგში.

აგრესიული სემანტიკის ლექსემათა გაერთიანება ჯგუფებში დაფუძნებულია მათში მნიშვნელობის საერთო კომპონენტის არსებობაზე, რომელიც აგენერირებს მისით გამოხატულ ლექსიკურ ერთეულებს და სემანტიკური გენერატორი ეწო-

დება. ლექსემები, რომლებსაც ასტრუქტურირებენ სემანტიკურ გენერატორს, აიდენტიფიცირებენ მათ და აღინიშნებიან ტერმინით სემანტიკური იდენტიფიკატორი.

მაგენერირებელი ემოცია ანუ მრისხანების ემოციის გენერატორი რუსულში წარმოადგენილია ლექსემებით:

ცოფი (бешенство), რისხვა (гнев), досада, запальчивость, злоба, злость, исступление, негодование, недовольство, немилость, нерасположение, несочувствие, неудовольствие, озлобленность, опала, осторвенение, раздражение, свирепость, ярость (19 ერთეული);

Генератор отвращения: антипатия, брезгливость, гадливость, нелюбовь, ненависть, неприязнь, нерасположение, омерзение, отвращение (9 ერთეული);

Генератор презрения: неуважение, презрение, пренебрежение (3 ერთეული).

კლასიფიკაციის კრიტერიუმების საფუძვლად ფიზიკურ/ვერბალურ მოქმედებებთან მიმართებების არჩევის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ მხ. ტექსტში ფიზიკური აგრესია ვერბალიზდება ისეთი იდენტიფიკატორების მეშვეობით, რომელთა სემანტიკაში შედის არავერბალური აგრესიული აქტების რეალიზების ისეთი საშუალებები, როგორიცაა იარაღისა და მისი შემდგენელი ნაწილების სახელები, საჯარისო აღჭურვილობა, რომლებიც სამხედრო მოქმედებებში გამოიყენება (автомат, бомба, миномет), დასჯის მიზნით გამოყენებადი საგნები/ საშუალებები (სახრჩობელა, петля, электрический стул, ордер, тюрьма).

აგრესიულ მოქმედებათა პროცესის ძირითად გენერატორებს მიაკუთვნებენ:

- მკვლელობის გენერატორს (взорвать, губить, умертвить და სხვა);
- დანაშაულებრივ მოქმედებებს (террор, убийство, фашизм – наказания: драть, карать, наказать);

- დარტყმით განხორციელებული ფიზიკური მოქმედებების: дубасить, истегать, лупить და სხვა;
- იარაღის გამოყენებით განხორციელებული მოქმედებების: взорвать, зарубить, стрелять და სხვა;
- ნგრევის: взрыв, губительных, разрушительный;
- ობიექტისათვის ზიანის მიყენების მოქმედებების: калечить, обидеть, покастить...
- ტკივილის მიყენების: избить, травить, ушибить,
- страданий: исстрадаться, мучиться, мытариться и др.

რუსულ და ინგლისურ ენებში აგრესიის ვერბალიზების სხვა გენერატორებზე მეტად გავრცელებულია შემდეგები:

- რისხვის? - гневаться;
- შეურაცხყოფის: надерзить, обидеть, оскорбить,...
- უხეშობის: грубить, поругать;
- კრიტიკის: бранить, журить, хаять,...
- ჩხუბის/გინების: браниться, ругаться, собачиться,...
- სიტყვიერი შეტევის: ругательный არ არის, ინგლისური კი (გვ. 22-23).

ფიზიკური და სამეტყველო აგრესიის ვერბალიზების შედეგებს, როგორც აგრესიის ნაირსახეობებს განეკუთვნება:

- დამნაშავეობის/სასჯელის: виноватый, обвиняемый, повинный;
- ნგრევის: драный, истерзанный, колотый;
- კირთების: болезненный, неизлечимый...
- ტკივილის: болезненный, неизлечимый...
- შიშის: испуганный, нервный...
- ჭმუნვის/სევდის: грустный, подавленный, сокрушённый...

აგრესიული ვერბალური ურთიერთობა რუსულ და ინგლისურ ენათა მაგალითზე ემოციური რეაგირების სახეობა, რომელიც ითვალისწინებს მონაწილეთა კონფლიქტს და რეალიზდება დისკომფორტულ-ფსიქოლოგიური ურთიერთობის მოდელით შეისწავლა ა. გ. იშმეტოვმა (49, 240).

საერთოდ, გამოყოფენ აგრესიული ტიპის კომუნიკაციის მდგენელებს (შესაბამისი მოტივისა და მოქმედებათა მიზანმიმართულობის არსებობის გათვალისწინებით), კომუნიკანტების მუდმივ და ცვლად ნიშნებს, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებენ აგრესიული სტრატეგიებისა და შესაბამისი ენობრივი და სამეტყველო საშუალებების არჩევანს. ა. იშმეტოვი ა. ნ. ბარანოვზე დაყრდნობით მუდმივ ნიშნებს მიაკუთვნებს მოლაპარაკეთა ბიოლოგიურ სქესს, ასაკს, დაბადების ადგილს, აღზრდას, განათლების ხარისხს, პროფესიულ კუთვნილებას. ეს ნიშნები ურთიერთობის ნებისმიერ სიტუაციაში ხასიათდებიან თავჩენის მუდმივობით - უცვლელობით.

ცვლადი სოციალური როლები (ნიშნები) არაერთგზის იცვლება ადამიანის სიცოცხლის მანძილზე და ყალიბდება იმ პოზიციისაგან, რაც ადამიანს უკავია საზოგადოებაში და ამ პოზიციის ფუნქციებისაგან, ასევე ქცევის ნორმატიული ნიმუშისაგან (49, 241; 50).

მოლაპარაკეთა სოციალური და ფსიქოლოგიური როლების მიხედვით ა. იშმეტოვი გამოყოფს აგრესიული კომუნიკაციური სიტუაციის სამ ჯგუფს:

1. ადრესატი ახორციელებს ზემდგომის როლს, ადრესატი - ხელქვეითის;
2. ადრესანტი და ადრესატი სხვადასხვა მნიშვნელობის როლებს ასრულებს;
3. ადრესანტი ასრულებს ხელქვეითის როლს, ადრესატი - ზემდგომის (49, 242)

აღინიშნება, რომ კომუნიკაციის აგრესიულობის გაცნობიერება როგორც აგრესიულისა დაკავშირებულია მოლაპარაკის გამონათქვამებში შემფასებლური კომუნიკატორის არსებობასთან. ამასთან სამეტყველო აგრესია არ შემოიფარგლება უხეში სიტყვებისა და ჟარგონის გამოყენებით, ნეგატიური შეფასება შეხამებულია მისი გამოხატვის ინტენსიურობასთან, სიტყვების უხეშობასთან (ლექსიკური კომპონენტი), ხმის სიმაღლესა და

სიმკვეთრესთან, ინტონაციასთან (51, 197-198). სუბიექტის მეტყველების აგრესიულობას ცხადყოფს ასევე ადრესანტის მიერ თავისი კომუნიკაციური საქციელის თავისმოხვევის მცდელობა, მოსმენის უნარიანობა (49,243).

3.2. სამეტყველო აგრესიის ექსპერიმენტული კვლევები

ექსპერიმენტული კვლევების განმასხვავებელი თავისებურება მათი ანთროპოლოგიური მიმართულებაა. ექსპერიმენტატორი მიზნად ისახავს ადამიანის ქცევის არსში ჩაწვდომას, ადამიანის აგრესიული ქცევის მექანიზმების გამშვები კოგნიტიური მექანიზმების გამოვლენა-ფორმულირებას, აგრესიის რეალიზების დამამუხრუჭებელი (შემაკავებელი) ალგორითმების დასახვას. ხშირად სწორედ ექსპერიმენტულ პირობებში, ადამიანის ვერბალურ რეაქციებზე დაკვირვების პროცესში, ხდება შესაძლებელი იმის გაგება, როგორებია აგრესიული მოდელები, რომლებიც ახასიათებს ამათუიმ ლინგვოკულტურის მატარებლებს, გარემო პირობების თავისებურებებთან შეხამებაში, ასევე აგრესორის, აგრესიის მსხვერპლის (რომელიც აკვირდება აგრესიის აქტს) ინდივიდუალურ-პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

- შესწავლილია საკითხი იმის შესახებ, როგორ იქცევა რუსული ენის მატარებელი აგრესიულ სიტუაციებში, ანუ ისეთ სიტუაციებში, რომლებიც იწვევენ ზიზღს, ანტიპატიებს (52). 19-22 წწ. ასაკის სტუდენტებზე (23 ქალი, 6 მამაკაცი) დაკვირვების საფუძველზე (მათ შესთავაზეს დაესრულებინათ ფრაზა “მე ვაქვეყნებ მის ჩანაწერებს შურისძიების გამო და ვიმედოვნებ, რომ ეს მისთვის არ იქნება სასიამოვნო. თუმცა დაე მან იცოდეს, რომ მე მზად ვარ გავიყო მასთან იგავმიუწვდომელი ჰონორარი, რომელსაც მომიტანს მე ეს პუბლიკაცია, მაგრამ ერთი პირობით...” და სთხოვეს მიეთითებინათ

საკვანძო სიტყვები, რომლებმაც შეაძლებინეს ფრაზის დასრულება სწორედ ასე.

პასუხები პირობითად სამად გაიყო:

1. იქნება, როგორც მე მინდა, - სუსტი მხარისათვის მოქმედების თავსმოხვევა, ადრესატის იძულება მოიქცეს გარკვეული სახით (პასუხების 40,7%); (он признаёт, что моя месть удалась; пусть он укажет меня в своём завещании; он отдаст мне для публикации остальные свои записки и письма).

2. **ფლუსტატორი** უნდა გაქრეს ჩემი ცხოვრებიდან (34,4%); – я больше никогда его не увижу; он никогда больше не побеспокоит меня, не встанет у меня на пути; он должен немедленно по прочтении этого обращения уехать в Австралию и остаться там навсегда – მისწრაფება ავერსიული სტიმულის სრული დაკარგვისაკენ და მოლაპარაკების არდაშვებისაკენ;

3. მე ამის გამო არაფერი მომივა (20%): пусть он не знает, кто я; он пообещает не публиковать мои личные дневники; он не подасть на меня в суд.

ყველა გამოსაცდელის პასუხებს გასდევს შემდეგი ინტენცია (სურვილი): „пусть он действует мне во благо» («დაე მან ჩემთვის სასიკეთოდ იმოქმედოს»).

ფლუსტრაციის სიტუაციაში «სუსტი» და «ძლიერი» პოზიციებში ქცევის მოდელირების ექსპერიმენტში აღინიშნება, რომ ფლუსტატორთან ახლო ურთიერთობებში გამოსაცდელები სუსტიპოზიციის გამო, სიტუაციაზე სამეტყველო სტერეოტიპებით რეაგირებენ რაც თავისთავად მეტყველებს იმ ენობრივი ურთიერთობის ნორმების ცოდნაზე, რომელიც მირებულია მოცემულ ლინგვოკულტურაში. თუმცა მსგავსი კონვენციური რეაქცია არ არის პროდუქტიული ექსპერიმენტულ პირობებში, რადგანაც მკვეთრად არის დაშორებული არააგრესიული ურთიერთობების ფსიქოლოგიურ კონვენციებთან. საინტერესოა ისიც, რომ ძლიერი მხარის პოზიციიდან გამოსაცდელები იშვიათად იყენებდნენ მიმართვათა ეტიკე-

ტურ ფორმებს, მოთხოვნებს უხეშად და მკაფიოდ აფორმებენ. სუსტი მხარის პოზიციიდან მოქმედებისას, გამოსაცდელები იყენებენ ბოდიშებს და მიუთითებენ მესამე მხარის დამნაშავეობაზე. მსგავსი არაპროდუქტიული რეაქციების მოქმედების ლოგიკა ასეთია:

«თუ მე რაიმე მინდა, შენ მე ეს უნდა გამიკეთო; თუ ეს ვინმეს უნდა, მე გავარკვევ, მართლა უნდა მას ეს, თუ უამისოდაც გავა ფონს». ამ სიტუაციებში, როდესაც გამოსაცდელს არა აქვს საშუალება რომ უპასუხოს ფლუსტატორს, სიტუაციაზე იგი მხოლოდ სალანძღავი ლექსიკით რეაგირებს, რაც იმას მოწმობს, რომ სიტუაცია გამოუვალია და გამოსაცდელი კომუნიკაციურად წყვეტს თავისი უძლურების სიტუაციას, აფიქსირებს თავის სუსტ პოზიციას მოცემულ კულტურის ტაბუირებული ლექსიკით. ასეთსავე სიტუაციაში ფლუსტატორის როლში გამოსაცდელის პასუხები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. **პასუხები**, რომლებიც შეიცავენ სიტუაციის კვაზიპროდუქციულ გადაწყვეტას (კარს შევალე და ბოდიშს მოვიხდი);
2. **კვაზიბოდიშები** (მაპატიე, მეგობარო, არ მინდოდა);
3. **თვითბრალდებები და თვითბოდიშები** (საწყალი, იმედია ძალიან არ მივასხი);
4. **აგრესიული კონსტატაცია** (ხა-ხა-ხა, არაფერია, მეც დამმართნია ასე);
5. **თვითშენახვის (თვითშენარჩუნების) სტრატეგია** (სწრაფად გაგაქროლენ, რათა უკან ფანჯარა მაინც გადარჩეს);
6. **საკუთარი თავის დაზარალებულად გაცნობიერება** (ძალიან არ მიმართლებს დღეს ამ გუბებში ტყაპუნით).

გამოკვლეულია ვერბალური აგრესია, როგორც ოჯახში დეზადაპტიური ურთიერთობებისა და ფიზიკური აგრესიის გამოვლენის წინაპირობა. ოჯახური სკანდალი განიხილება როგორც ვერბალური აგრესიის აქტიური ფორმა, რომელიც

ყველაზე ხშირად გამოიხატება ყვირილით, შეურაცხყოფით, ფიზიკური ტკივილის მიყენების მუქარით. რუსული ენის 1600 მატარებლის (რუსეთის მოსახლეობის 5,5%, 743 მამაკაცი და 857 ქალი 18-დან 96 წლამდე) პასუხების ანალიზის საფუძველზე, კითხვაზე: პრაქტიკულად ყველა ოჯახში დრო და დრო ჩნდება გაუგებრობები და კონფლიქტები. ხდება თქვენს ოჯახებში ჩხუბი, აყალ-მაცალი, და თუ კი, რამდენად ხშირად? დადგინდა:

ოჯახური ჩხუბების რაოდენობა თვეში სამს შეადგენს, რაც ჩვეულებრივ “ძალადობის” (common couple violence) დონეს აღემატება. უფრო ხშირად ჩხუბობს ცოლ-ქმარი/პარტნიორები (42%) უფრო ხშირად მამაკაცები, იშვიათად ბავშვები და მშობლები (11%), უფრო ქალები. ჩხუბზე მიდრეკილ ასაკობრივ ჯგუფად აღმოჩნდა 18-დან 29 წლამდე ასაკის ჯგუფები.

მსგავს კვლევებში მნიშვნელოვანი მომენტი იმ ფაქტის ხსენება, რომ რესპოდენტების თვითანალიზებში ლაპარაკია სკანდალებზე/ჩხუბებზე, ხოლო რესპოდენტების აღქმაში ის, თუ რა ხდებოდა ჩხუბის მაგვარი მათ ოჯახებში (53, 135).

ლ. კომალოვას ნაშრომებში (2013 ა; 2014 ა; 2014 ბ) გამოკვლეულია საპასუხო სამეტყველო აგრესია რუსულენოვანი ახალგაზრდების წერით მეტყველებაში კონფლიქტისა და ფლუსტრაციის პირობებში. მსგავსი კვლევების აქტუალობა განპირობებული ჩვეულებრივ ყოფაში აგრესიული სამეტყველო ქცევის დესტრუქციული შედეგების ნეიტრალიზების მექანიზმების ძიებით.

აგრესიის ინიციატივისა და საპასუხო აგრესიული რეაქციის განსხვავება აფართოებს ლინგვისტურ კვლევებს აგრესიის მდგომარეობასთან მიმართებით აგრესიის ვერბალური ინდიკატორების ფსიქოლოგიასა სოციოლოგიაში დამუშავებული და დადასტურებული სახეობებთან შეფარდებით. მაგ. პირდაპირი ფიზიკური აგრესია შეეფარდება მეტყველებაში აღწერილ დესტრუქციული ხასიათის ფიზიკურ ქმედებებს სხვა სუბიექტის მიმართ; **ნეგატივიზმი** - ოპოზიციური შინა-

არსის გამონათქვამებთან ავტორიტეტების, ხელმძღვანელების წინააღმდეგ დამკვიდრებული ტრადიციების, მოთხოვნების, სიძულვილის სიტყვიერი გამოხატვა (54, 189).

აღნიშნული ექსპერიმენტის მიზანია წერითი მეტყველების პოტენციალის გამოვლენა პარტნიორის აგრესიული სამეტყველო ქცევის განვითარების პროგნოზირების დიაგნოსტიკასთან მიმართებით. გამოკვლეულია სტატუსურ-როლური ურთიერთობის სამი ტიპური სიტუაცია: **კონფლიქტი მშობლიურ სახლში; თანატოლების ჯგუფში და კონფლიქტი ორგანიზებულ გარემოში.**

ექსპერიმენტში მონაწილეობდა რუსული ენის 50 მატარებელი (43 ქალი, 7 მამაკაცი, ასაკი 20-23 წ.). მათ შესთავაზეს აღეწერათ, როგორ ირეაგირებენ ტესტიმულებზე მოდელირებულ სიტუაციებში. ყოველი სიტუაცია სამი ტაქტიკისგან შედგებოდა. ყოველ ტაქტზე ფსიქოლოგიური მაფრუსტრირებული ზეწოლა ძლიერდებოდა. ცდისპირებმა წინასწარ გაიარეს ფსიქოლოგიური ტესტირება, რომელშიც განისაზღვრებოდა მათთვის დამახასიათებელი აგრესიულ რეაქციათა ფორმები.

მონაცემების სტილისტურმა დამუშავებამ შესაძლებელი გახადა შემდეგი კანონზომიერების გამოვლენა: **“ჩასახვა** (სამეტყველო აგრესიის პირველი გამოჩენა) > **განვითარება** (აგრესიული პასუხების გაძლიერება) > **პიკი** (მეტყველებაში აგრესიული რეაქციის ყველაზე დიდი კონცენტრაცია) > **დაცემა** (აგრესიული რეაქციის დონის დაქვეითება).

ფსიქოლოგიური ტესტირების შედეგებისა და საპასუხო აგრესიის სახეობათა ვერბალური რეალიზაციის ნიშნების მნიშვნელობების კორელაციურმა ანალიზმა მამაკაცთა და ქალთა ჯგუფებში დაადასტურა დადებითი კოლექცია მამაკაცთა ჯგუფებისათვის ნიშნის - “სამეტყველო აგრესია” თანატოლთა შორის კონფლიქტის შემთხვევაში და “გალიზიანება” ნიშნის მიხედვით ოჯახური კონფლიქტის სიტუაციაში.

ქალთა ჯგუფებისათვის სტილისტიკურად სანდო დადებითი კორელაცია დადასტურდა შემდეგი ნიშნების მიხედვით: “სამეტყველო აგრესია”, “ირიბი აგრესია”, “ექვიანობა” ორგანიზებულ გარემოში კონფლიქტის სიტუაციაში და “წყენის” ნიშნის მიხედვით თანატოლებს შორის კონფლიქტის სიტუაციაში.

საპასუხო აგრესიის ვერბალური რეალიზების ნიშნების განაწილება ცხადყოფს შემაკავებელი მექანიზმების გაძლიერებას მთლიანი სიტუაციის სოციალურ-როლური ასიმეტრიის სიტუაციასთან მიმართებაში. ამასთან ყოველი სიტუაცია ხასიათდება არავერბალური საპასუხო აგრესიის თავისი ჟანრობრივი შემადგენლობით. აღინიშნება სამეტყველო აგრესიის რეპერტუარის განსხვავებები ქალთა და მამაკაცთა ჯგუფებში. მსგავსი კვლევების პერსპექტიულობა განპირობებულია ავტომატიზებული ფილტრაციის ალგორითმის შექმნის შესაძლებლობით სპონტანურ წერით მეტყველებაში სხვადასხვა აუდიტორიებისათვის ინტერნეტის გარემოში.

ლ. მ. ზაკოიანმა გამოიკვლია აგრესიის გამოხატვის თავისებურებათა შეპირისპირებები რუსულსა და ამერიკულ ინგლისურ ენებში “მასობრივი ინფორმაციის საშუალებების” ბეჭდური ტექსტების და მხატვრული ლიტერატურის მასალების საფუძველზე. კვლევის ობიექტი იყო სამეტყველო და არასამეტყველო აგრესიის გამოხატვის ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებები.

ეს ავტორი სამეტყველო აგრესიად მოიაზრებს სამეტყველო ქცევის ფორმას, რომელიც მიმართულია ადამიანის ან ჯგუფისათვის შეურაცხყოფაზე ან წინასწარგანზრახული ზიანის მიყენებაზე, მოლაპარაკის მიერ ინვექტიური ლექსიკის გამოყენებითა და ემოციურ მდგომარეობაში ყოფნით (55). სამეტყველო აგრესია აბრკოლებს საუბრის მონაწილეთა ჰარმონიულ ურთიერთობას და ხშირად იწვევს კომუნიკაციურ დისბალანსს ან ეტიკეტის ნორმათა დარღვევას. იგი

ხშირ შემთხვევაში პირველი ნაბიჯი ხდება არასამეტყველო ან ფიზიკური აგრესიის წარმოქმნის გზაზე.

ლ. მ. ზანკოიანი არასამეტყველო აგრესიად მოიაზრებს ემოციური რეაგირების ან ზემოქმედების სახეობად, რომელიც თავის რეალიზებას პოულობს ფიზიკური ან სხვა არასიტყვიერ მოქმედებათა ფორმით, რომლებიც მიზნად ისახავს აგრესიის ობიექტისათვის მორალური ან ფიზიკური ზიანის მიყენებას ან განადგურებას ან სხვა ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის სიცოცხლის ხელყოფას.

არასამეტყველო აგრესიის ვერბალიზების კატეგორია წერილობითი ტექსტების ანალიზის დროს იმით საბუთდება, რომ ფიზიკური აგრესიის აღწერის შემთხვევები (სტატიები სხვადასხვა ძალადობრივი მოქმედების შესახებ, როდესაც დეტალურად აღიწერება აგრესიული აქტები, ცემით დაწყებული და მკვლელობის ჩადენით დამთავრებული) თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საინფორმაციო შეტყობინებების მნიშვნელოვან მოცულობას შეადგენს ნებისმიერ ლინგვოკულტურაში.

ლ. მ. ზანკოიანმა ლექსიკონების, ინფორმატორების გამოკითხვებისა და სხვადასხვა ლექსიკური ერთეულების ანალიზის საფუძველზე, შეისწავლა როგორ გამოხატავენ აგრესიის მდგომარეობას თემატურ ჯგუფებში, ამ ერთეულებს აგრესიის ტიპებთან შეფარდებით, გრამატიკულ კატეგორიებთან და კონკრეტული ლექსიკური ერთეულის გამოყენების სფეროსთან შეფარდებით.

ეს იერარქია წარმოდგენილია 1 ტაბულაში.

წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე ლ. მ. ზანკოიანი აკეთებს შემდეგ დასკვნებს:

♦ რუსული ენის მატარებელთა ენობრივ ცნობიერებაში “მის”-ში სამეტყველო აგრესიის ცნება ყოველთვის უკავშირდება ხელისუფლების (ძალაუფლების) ცნებას; ამერიკული “მის” მიისწრაფვიან სიტყვის “აგერესსივე”-ს (ცნების) სტერე-

ტაბულა 1

გრამატიკული კატეგორია	ფიზიკური აგრესიის ფაქტების აღწერა		სამეტყველო აგრესია	
რას აღწერს ლექსიკური ერთეული	ზმნები	არსებითები	ზმნები	არსებითები
	ფიზიკური ზემოქმედება ობიექტზე (დარტყმის მიყენება)	● აგრესორის ხატის ნომინაციები	● სიტყვიერი თავდასხმა	● შეუ-რაცხყოფა
	● უარყოფითი ზემოქმედება 0-ზე ა) დამანგრეველი ზემოქმედება ზიანის მიყენების მიზნით ბ) ცოცხალი არსების მოკვლა	● აგრესიულ-ემოციური მდგომარეობა ა) ნებისმიერი ემოციების თვისმომხვევა ბ) სუბიექტის აგრესიული ემოციურ მდგომარეობაში ყოფნის პროცესის თავსმომხვევა.	● უხეში სამეტყველო ქცევა	● მუქარა
	● აგრესიული ემოციური მდგომარეობა ა) აგრესიულ-ემოციურ მდგომარეობამდე მიყვანა ბ) აგრესიულ-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბება გ) სუბიექტის ყოფნა აგრესიულ-ემოციურ მდგომარეობაში.	● აგრესიული მოქმედებები;	● მუქარა	● გაკიცხვა (საყვედური, ბრალდება)
		● აგრესიულ მოქმედებათა საშუალებების (იარაღების) ნომინაციები	● დაცინვები	● დაცინვა (ირონია, კბენა)

ოტიპიზებისაკენ და ამ სიტყვის არსის ამერიკული ლინგვოკულტურის წარმომადგენელთა აღქმაში დაფიქსირებას პოზიტიური მნიშვნელობით;

◆ თანამედროვე რუსულენოვან და აშშ ინგლისურენოვან მხატვრულ ლიტერატურაში აგრესიული მდგომარეობის აღსაწერად პერსონაჟთა მეტყველებაში უცენზურო ლექსიკა გამოიყენება;

♦ თანამედროვე ინგლისურში გამოვლინდა სიტყვიერი თავდასხმებისა და უხეში სამეტყველო ქცევის ზმნების ჯგუფები;

♦ აშშ ინგლისური ენებისათვის დამახასიათებელია არასამეტყველო/ფიზიკური აგრესიის არსებითი სახელების ყველანაირი ჯგუფები;

ნ. ს. იაკიმოვამ გამოავლინა ყოველდღიური კომუნიკაციების ვითარებაში სამეტყველო აგრესიის კონცეპტუალიზაციისა და გამოხატვის სპეციფიკა რუსულ და აშშ ინგლისურენოვან ლინგვოკულტურებში;

ეს ავტორი სამეტყველო აგრესიაში გულისხმობს იმ ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებას, რომლებიც უპირისპირდებიან კომუნიკაციის ინსტიტუციურ და სიტუაციურ ნორმებს სხვა პირის კომუნიკაციური პოზიციისა და თვითშეფასებისათვის ზიანის ან ზარალის მიყენების მიზნით (Якимов, 2018).

ექსტრალინგვისტურ კომპონენტებს ეს ავტორი მიაკუთვნებს პიროვნულ, სიტუაციურ და საზოგადოებრივ ფაქტორებს (ტაბულა 2).

ზემოხსენებული ავტორი გამოყოფს აგრესიული კომუნიკაციური ქცევის შემდეგი ტაქტიკებს: - აღშფოთება, - საყვედური, - შეურაცხყოფა, - მუქარა, - დაცინვა, - კბენა, - წყენის დემონსტრირება, - კონტაქტის შეწყვეტა, - კომპეტენტურობის კონსტატაცია, - წყევლა/კრულვა.

ცდისპირთა საანკეტო გამოკითხვამ გამოავლინა აგრესიულობის დონის სხვაობა. გაირკვა, რომ რესპოდენტების უარყოფითი მოგონებები ხშირად დაკავშირებულია იმავე სქესის ადამიანთან. უარყოფითი მოგონებები მამაკაცებში ხშირად დაკავშირებულია მამაკაცებთან, ქალებში - ქალებთან.

ტაბულა 2

აგრესიული სამეტყველო ქცევის წანამძღვები

(ფსიქო)ბიოლოგიურად განპირობებულები	სოციალურად განპირობებულები
- თანდაყოლილი აგრესიულობა - ტემპერამენტი - გენეტიკური წინასწარი განწყობა - სქესი - ასაკი	- სოციალური სტატუსი - კულტურის საერთო დონე - სამეტყველო კულტურის დონე - განათლების დონე - არსებული სოციალური გამოცდილება - პიროვნების გენდერული ტიპი - ეთნიკური კუთვნილება
2. სიტუაციური ფაქტორები - გარემომცველი რეალობა - თანამოსაუბრის ქცევა -კომუნიკანტების ფიზიკური მდგომარეობა -კომუნიკანტების ფსიქოლოგიური მდგომარეობა - სოციალური როლი	
3. საზოგადოებრივი ფაქტორები - ეროვნული მენტალიტეტი (გენეტიკურად ნამემკვიდრევი კომპონენტები)	- ეროვნული მენტალიტეტი (აღზრდის პროცესში შეძენილი კომპონენტები) - ეთნოლინგვოკულტურული ნორმა; - საზოგადოების (გარემოს) აგრესიულობა - "მის" გავლენა

♦ რუსი რესპოდენტების (მამაკაცებში) კომუნიკაციურ ქცევაში სამეტყველო აგრესიის გამოსახატავად ყველაზე ხშირად გამოიყენება აღშფოთების, დაცინვის, მუქარის ტექსტები, მაგრამ არ გამოიყენება წყვილის, დაცინვის და არაკომპეტენტურობის კონსტატაციის ტაქტიკები (ისინი იშვიათად გამოიყენება).

♦ მდედრობითი სქესის რუსი რესპოდენტების კომუნიკაციურ ქცევაში აგრესიის გამოსახატავად ყველაზე ხშირად გამოიყენება აღშფოთების, საყვედურის, კბენის, დაცინვის ტაქტიკები. არაკომპეტენტურობის კონსტატაციები ძალიან იშვიათია;

♦ მამრობითი სქესის ამერიკელი რესპოდენტების კომუნიკაციურ ქცევებში აგრესიის გამოსახატავად ყველაზე

ხშირად გამოიყენება. აღშფოთების, წაკბენის, კონტაქტის შეწყვეტის ფაქტები. შეურაცხყოფის, წყენის დემონსტრირების და წყევლა-კრულვის ტაქტიკები საერთოდ არ გამოიყენება.

◆ მდედრობითი სქესის ამერიკელი რესპოდენტების კომუნიკაციურ ქცევაში ყველაზე ხშირად გამოიყენება აღშფოთების, საყვედურის, კონტაქტის შეწყვეტის ტაქტიკები; არაკომპეტენტურობის კონსტატაციის, წყევლის ტაქტიკები საერთოდ არ გამოიყენება.

საკუთრივ ლინგვისტურ დონეზე რუსებისათვის დამახასიათებელია აგრესიის შემდეგი ვერბალური მარკერები:

1. **ლექსიკურ დონეზე:**

- შემფასებლური შორისდებულები და ნაწილაკები;
- ფამილარული მიმართვები;
- სასაუბრო გამონათქვამები, მდაბიორული ლექსიკა და დაბალი სტილის ლექსიკა;
- საწყენი ნომინაციები;
- გადაჭარბებები.

2. **სინტაქსურ დონეზე:**

- უსრული წინადადებები;
- გაუვრცობელი წინადადებები ბრძანებითკილოიანი ზმნით.

3. **გრაფიკულ დონეზე (ფონეტიკური დონის ასახვა წერით მეტყველებაში):**

- ძახილის ნიშანი;
- მრავალწერტილი წინადადების ბოლოს;
- თავკიდური ბგერების გამოყენება.

რუსი მამაკაცების კომუნიკაციურ ქცევებში სამეტყველო აგრესიის რეპრეზენტაციურ ქცევებში სამეტყველო აგრესიის რეპრეზენტატორია მიმართვის „შენ“ გამოყენება იმ სიტუაციებში, როცა ეს დაუშვებელია (ასაკითა და მდგომარეობით უფროსი ადამიანებისადმი). რუსი ქალებისათვის სამეტყველო აგრესიის დამახასიათებელი რეპრეზენტატორია დადე-

ბითი კონოტაციის ლექსიკის გამოყენება სიტუაციისათვის შეუფერებლად, წაკბენის ტაქტიკის განსახორციელებლად.

საკუთრივ ლინგვისტიკურ დონეზე მთლიანად ამერიკელებისათვის დამახასიათებელია აგრესიის შემდეგი მარკერები (56).

1. ლექსიკურ დონეზე:

- სალაპარაკო (საურთიერთო) გამოთქმები, მდაბიური ლექსიკა და მდარე სტილის ლექსიკა;
- სადაგი (ყოფით-ყოველდღიური) ნომინაციები;
- ფამილარული მიმართვები;
- შემფასებლური შორისდებულები და ნაწილაკები, რომლებიც დაცინვებისათვის გამოიყენება.

2. სინტაქსის დონეზე:

- უსრული წინადადება;
- არაოფიციალური ურთიერთობების სიტუაციებში ისეთი რთული ანალიტიკური კონსტრუქციების გამოყენება, რაც დამახასიათებელია ოფიციალური სტილისათვის;

3. გრაფიკულ დონეზე (ფონეტიკური დონის ასხვა წერით მეტყველებაში);

- ძახილისა და კითხვითი ნიშნების შეთანადება;
- წინწყლების ან საავტორო რემარკების გამოყენება, როგორც ინტონაციის გადმოცემის საშუალების გამოყენება.

ამერიკელი ქალებისათვის სამეტყველო აგრესიის დამახასიათებელი რეპრეზენტატორია შემფასებლური ზმნიზედების გამოყენება.

Н. В. Вязигина-მ შეისწავლა მამაკაცებისა და ქალების სამეტყველო აგრესიის გამოვლენა სასამართლო ლინგვისტიკური ექსპერტიზის მასალებზე რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის 130 მუხლის (“შეურაცხყოფა”) მიხედვით (57). Ю. В. Щербинина-ს მიხედვით, შეურაცხყოფა არის სამეტყველო აგრესიის ყველაზე აშკარა ფორმა (ისეთთა

შორის, როგორცაა მუქარა, დაცინვა, გაკიცხვა (საყვედური, ბრალდება), ჩივილი, ჭორი (58, 155). ამასთან შეურაცხყოფაში გაიაზრება ადრესატის საწყენი “ნებისმიერი სიტყვა ან გამონათქვამი”. შეურაცხყოფა უფრო ხშირად ავლენს აშკარა და ძლიერ ვერბალურ (სამეტყველო) აგრესიას, რამდენადაც მას ადრესატი ყოველთვის აღიქვამს როგორც ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურ, საწყენ, დამამცირებელ, მიუღებელ გამონათქვამს. შეურაცხყოფის სტრუქტურული სქემა ასეთია: “შე X-ო!”, “შენა ხარ – X!”

მამაკაცებისა და ქალების აგრესიულობის და აგრესიის სამეტყველო გამოვლინებების განცალკევების კრიტერიუმების ძიებაში Н. В. Вязгина დაემყარა Е. П. Ильин-ის ნაშრომს “სქესი და გენდერი”, სადაც აღნიშნულია, რომ არსებობს განსხვავება მამაკაცებისა და ქალების აგრესიულობაში და იმაშიც, თუ რა ფორმით ვლინდება მათში აგრესია (59, 227).

- ◆ ქალები კაცებზე ნაკლებ არ არიან მიდრეკილნი აგრესიისადმი, მაგრამ უფრო მეტად აქვთ გამოხატული **ემპათია**. შფოთიანობა, დამნაშავეობის შეგრძნება. მათ შეუძლიათ ღიად არ გაამჟღავნონ აგრესია იქ, სადაც მამაკაცები თავს ვერ იკავებენ;
- ◆ ქალებს უფრო მეტად ავტოაგრესია ახასიათებთ (თავიანთკენ მიმართული, ან საკუთარ თავზე გაბრაზება), ხოლო კაცებს - ჰეტეროაგრესია (სხვებზე მიმართული);
- ◆ მამაკაცები, ჩვეულებრივ, უფრო აგრესიულებად აღიქმებიან, ვიდრე ქალები, ხოლო ქალები - ბევრად კონფლიქტურებად, ეჭვიანებად, აღგზნებადებად, ბუტიებად, ვიდრე კაცები;
- ◆ ქალები უფრო მიდრეკილნი არიან მტრობის ფარული ფორმების გამოვლენისადმი, რაც გამოიხატება უდიერ მიმართვაში, აგრესიის ობიექტის სოციალური სტატუსის იგნორირებასა ან გაუფასურებაში;
- ◆ ითვლება, რომ ქალები კაცებზე თავისუფლად გამოხა-

ტავენ თავიანთ ემოციურობას, თანაც ასაკთან ერთად ეს სხვაობა იზრდება მამაკაცების მიერ თავიანთი ემოციების შენიღბვის ხარჯზე სოციალური ნორმებისა და აკრძალვების ძალით;

- ◆ კაცების ჯგუფებში გამოჯავრება უფრო ხშირად შეი-ნიშნება, ვიდრე ქალთა ჯგუფებში.

ჩამოთვლილი განსხვავებები განპირობებულია აღზრდისა და სოციალური ნორმების აღქმის (59, 160-161) განსხვავებით.

ქალებისა და კაცების აგრესიის ვერბალური რეპრეზენტა-ტები რუსულენოვან მასალაზე დაყრდნობით ნ. ვ. ვიაზიგინამ სამი შემადგენლის მიხედვით გააანალიზა:

1. აგრესიის სუბიექტი, როგორც კაცების ან ქალების წარმომადგენელი;
2. აგრესიის ობიექტი, როგორც კაცების ან ქალების წარმომადგენელი;
3. აგრესიის გამოხატვის ფორმა.

თავისი ან მოწინააღმდეგე სქესის ადრესატისადმი გამოვ-ლენილი სამეტყველო აგრესიის თავისებურებათა შესახებ ეს ავტორი შემდეგ შედეგებამდე მივიდა:

1. სიტუაციები, როცა კონფლიქტის მონაწილენი სხვა-დასხვა სქესისანი არიან, ერთნახევარჯერ იშვიათად გვხვდება, ვიდრე სიტუაციები, როცა კონფლიქტის მონაწილენი ერთი სქესისანი არიან. ეს იმას მოწმობს, რომ მოპირდაპირე სქესთან ურთიერთობის სიტუაციაში ადამიანი უფრო მეტად აკონ-ტროლებს თავის სამეტყველო საქმიანობას, ვიდრე საკუთარი სქესის წარმომადგენელთან;

2. როცა სამეტყველო აგრესიის ობიექტი ქალია, ლან-ძღვაში აუცილებლად გამოიყენება ადრესატის სქესის უხეში აქტუალიზაცია, რომელიც ზღუდავს (აკავებს) საზოგადოებაში მიღებულ გენდერულ ნორმებთან შეუსაბამობის პოზიციიდან შეფასებას (მაგ., ისეთი ტიპის სიტყვებით, როგორებიცაა: მეძა-ვი, ძირგავარდნილი, ნათრევი, გათახსირებული); სიტუაციებ-

ში, როცა კონფლიქტის ორივე მონაწილე ქალია, ლანძღვაში ნეგატიურად რეპრეზენტირდება ადრესატის გარეგნობა (მაიმუნი, მახინჯი, კაცქალა);

3. სიტუაციებში, როცა კონფლიქტის ორივე მონაწილე ქალია, ხშირია ურთიერთშეურაცხყოფა როგორც დამცავი რეაქცია აგრესიის წინარე გამოვლენაზე;

4. სიტუაციებში, როცა კონფლიქტის ორივე მონაწილე კაცია, აგრესიის ობიექტის ნომინირება მოლაპარაკის მიერ ხდება ან მოლაპარაკის მოლოდინებთან შეუსაბამობის პოზიციიდან (მხდალი, აფერისტი, მეწვრილმანე, თაღლითი), ან გენდერულ ნორმასთან შეუთავსებელი ჰეტეროსექსუალური ორიენტაციის პოზიციიდან (შე ჩემა, პედერასტი, მატრაკე);

5. მოლოდინის ნორმა კაცებისათვის, რომელიც სამეტყველო აგრესიის მაჩვენებლებში გამოიხატება, უფრო მაღალია, ვიდრე მოლოდინის ნორმა ქალებში;

6. კაცები კაცებისადმი აგრესიის ენობრივი საშუალებებით გამოხატვისას, ხშირად გამოიყენებენ ჟარგონულ ლექსიკას (ნაგავი, ღლაპი, დამპალი) რაც მოწმობს, რომ კაცების მიერ ჟარგონის გამოყენება უფრო ხშირია ჰომოგენური მამაკაცური ჯგუფების ვერბალურად გამოცალკევების მისწრაფება ჟარგონული საშუალებების გამოყენებით;

7. ლექსიკის განსაკუთრებულ ჯგუფს, რომელიც აგრესიის ვერბალურობას ემსახურება, წარმოადგენს ზოოსემანტიკური ნომინაციები (თხა, მაიმუნი, ძროხა, ღორი, გველი, ვირი); ამ ტიპის ლექსიკა ასევე გამოიყენება კაცებისადმიც და ქალებისადმიც; ძალიან ხშირად ზოონიმებს გამოიყენებენ ქალები ქალების მისამართით და კაცები - კაცებისადმი; შედარებით იშვიათია სიტუაციები როცა კაცი ზოონიმებს იყენებს ქალის მისამართით. ასეთ სიტუაციებში ჩვეულებრივ გამოიყენება სიტყვა **მეძავი**.

3.3. ენობრივი აგრესიის რეგისტრები თანამედროვე ქართულ საჯარო დისკურსში (სამეტყველო აგრესია საჯარო დისკურსში)

აგრესიული სამეტყველო ქცევის ფუნქციონირების საჯარო სფეროს განხილვას ბევრი ავტორი პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტიკურ ანალიზს ამყარებს. პოლიტიკური დისკურსი სხვათაგან განსხვავებით (ყველაზე უკეთ) გადმოგვცემს სამეტყველო აგრესიის არსს.

პოლიტიკური დისკურსის ონტოლოგიურ თვისებას წარმოადგენს აგონალურობა (60, 205).

პოლიტიკური დისკურსის პრაგმატიკა მდგომარეობს პოლიტიკური ბრძოლის მსვლელობის დროს აუდიტორიაზე ძალაუფლების მოპოვებაში. ამასთან დაკავშირებით პოლიტიკურ დისკურსში სამეტყველო აგრესია შეიძლება განხილულ იქნას „ეკოლინგვისტიკის ინტრალინგვისტიკური ასპექტში, რომელიც ტრადიციულად დაკავშირებულია მეტყველების კულტურასთან, სტილისტიკასა და რიტორიკასთან.

პოლიტიკოსების მიერ აქტიურად გამოყენებადი სამეტყველო აგრესიის აქტუალიზების ენობრივი საშუალებაა პოლიტიკური მეტაფორა, რომელიც უმეტესად გამოდის როგორც ადრესატის შეგნებაში სამყაროს პოლიტიკური სურათის (ხატის) გარდაქმნის ხერხი (61). ამ გარდაქმნის გასაღებია მეტაფორული მოდელების აგრესიული პრაგმატული პოტენციალი. ასე, მაგალითად, ამ მოდელების გაშლის კანონზომიერებების და შინაარსის კვლევებში 1999-2000 წწ. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ათასზე მეტი რუსულენოვანი გაზეთების ტექსტების მასალების საფუძველზე ა. რიაპსოვამ გამოავლინა მეტაფორული მოდელების აგრესიული პრაგმატული პოტენციალი და აღნიშნა, რომ მსგავს მოდელებს სპეციფიკური თავისებურებები აქვთ, კერძოდ:

1. ადრესატზე ემოციური ზემოქმედების უნარით (მოწო-

დება აგრესიული მოქმედებისაკენ, აგრესიული მდგომარეობის პროვოცირება, საუბრის საგნის აგრესიული აღწერა და .ა. შ.);

2. მეტაფორით დახასიათებული მეტყველების ობიექტის პოლიტიკური სტატუსის, იმიჯის დაქვეითების, ადრესატის თვალში მისი მნიშვნელობის დამცრობის უნარი;
3. აგრესიული, მტრული რეალობის ხატის მოდელირების უნარით.

მეტაფორული მოდელის აღწერა ხდება შემდეგი ნიშნებით:

- ამოსავალი ცნებითი სფერო (სფერო-წყარო);
- ახალი ცნებითი სფერო (სფერო-სამიზნე);
- მოცემული მოდელისათვის ტიპობრივი სცენარები;
- მოცემულ მოდელებთან დაკავშირებული ფრეი-მები და მათი შემადგენელი ტიპური სლოტები;
- მოცემული მოდელით დაფარული პირველადი და მეორადი მნიშვნელობების ერთეულების დამაკავშირებელი კომპონენტი.

აღნიშნულმა ავტორმა რუსეთში ფედერალური არჩევნების პერიოდის პოლიტიკური დისკურსის ანალიზის საფუძველზე განასხვავა მომეტებულად ძლიერი აგრესიული პოტენციის მქონე მოდელები („ომის“, „დამნაშავეობის“, „ცხოველთასამყაროს“ ამოსავალი ცნებითი სფეროს მოდელები); ასევე საშუალო აგრესიული პოტენციის მოდელები („სპორტის“, „ავადმყოფობის“, „სექსის“ ამოსავალი ცნებითი სფეროების მოდელები). აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური მოვლენებისათვის მომეტებული აგრესიული პრაგმატიკული პოტენციალის მქონე მეტაფორულ მოდელებს შორის ძირითადი იყო შემდეგი:

♦ **„თანამედროვე რუსული სინამდვილე - ესაა ცხოველთასამყარო“:** აქტიურად გამოიყენება ზოომორფიზმები, მეტაფორიზაციის ობიექტად იქცევიან პოლიტიკური საქმიანობის

სუბიექტები, კრიტიკულ შეფასებას იმსახურებენ პოლიტიკური ოპონენტები, პარტიები, არსებული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია.

პოლიტიკური საქმიანობა და წინასაარჩევნო ბრძოლა მეტაფორულად გაიაზრება და წარმოდგინება როგორც ცხოველთა აგრესიული საქციელი, მათდამი მკაცრი მოპყრობა.

♦ „თანამედროვე რუსული სინამდვილე - ესაა ომი“: პოლიტიკური მოქმედებები ხასიათდება როგორც ფიზიკური აგრესია, ფორმირდება სახიფათო, მუქარის შემცველი პოლიტიკური სინამდვილის ხატი, თავსებევეა ნეგატიური წარმოდგენები პოლიტიკის სფეროში ნაყოფიერი და მშვიდობიანი თანამშრომლობის შესახებ.

♦ „თანამედროვე რუსული სინამდვილე - ესაა დამნაშავეობის სამყარო“: ეს მეტაფორული მოდელი ემყარება კრიმინალური სამყაროს კონცეპტებს, რაც ადრესატში იწვევს განგამის (შფოთვის) და საქმის არსებული მდგომარეობით გამოწვეული უკმაყოფილების ემოციურ მდგომარეობას, ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის კარდინალური ცვლილების მისწრაფებას.

აგრესიული კონცეპტუალური მეტაფორის გაშლის ძირითადი სახეობებია:

1. ტექსტში ძირითადად ისეთი მეტაფორების არსებობა რომლებიც ძლიერ აგრესიულ პრაგმატულ პოტენციას შეიცავენ და ერთსა და იმავე მოდელს მიეკუთვნებიან;

2. ტექსტში ორი-სამი ისეთი მოდელის გაშლა, რომელთაგან ყოველი მნიშვნელოვანი აგრესიული პრაგმატული პოტენციით ხასიათდება;

3. აგრესიული პრაგმატული პოტენციის მეტაფორულ მოდელებს ტექსტში წამყვანი ადგილი არ უკავია.

აღნიშნულის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ფედერალური არჩევნების პოლიტიკური სიტუაცია რუსეთში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს და იგი ხელს უწყობს

აგრესიული პრაგმატული პოტენციის შემცველი მეტაფორული მოდელების გააქტიურებას.

ა. ვ. კარიაკინამ (2010) შეისწავლა კომუნიკაციური სტრატეგიები და ტაქტიკები, რომლებიც გამოიყენება სამეტყველო აგრესიის გამოსახატავად გერმანულენოვან ტექსტებში, გერმანიის კანცლერ ა. მერკელის პოლიტიკურ ინტერვიუებში. ანალიზის ერთეულია გერმანელი პოლიტიკოსის რეაგირებითი (საპასუხო) რეპლიკები.

ანალიზით გაირკვა, რომ სამეტყველო აგრესიის საბაზო სტრატეგიებს გერმანულენოვან პოლიტიკურ ინტერვიუში წარმოადგენენ:

- ♦ მოწინააღმდეგის დისკრეტიზაციის სტრატეგია, რომელიც რეალიზდება „ანალიზი-მინუს“ ტაქტიკები, ბრალდებით, უპირო (უსამართლო) ბრალდებით, საყვედურით, მოწინააღმდეგის არაკომპეტენტურობის კონსტატაციით, სხვისი აზრის ან მოქმედების არასწორად მიჩნევით;

- ♦ პირადი სტატუსის ამაღლების (გაზრდის) სტრატეგია, რომელიც რეალიზდება „ანალიზი-პლიუს“, თვითპრეზენტაციის, გაურკვეველი თვითპრეზენტაციის, საკუთარი სიმართლის გამოცხადების ტაქტიკებით;

- ♦ პასუხისათვის თავის არიდების სტრატეგია, რომელიც ახორციელებს პირდაპირ სამეტყველო აგრესიას საკითხის (შეკითხვის) იგნორირების ტაქტიკების გამოყენებით, საკითხის არააქტუალურობაზე მითითებით, კომენტარებისათვის თავის არიდების ტაქტიკებით, შეკითხვაზე პასუხის გაუცემლად, პასუხის საყოველთაოდ ცნობილობაზე მითითებით, შეკითხვაზე შეკითხვით პასუხის გაცემის ტაქტიკით, კომპეტენტური წყაროსადმი აპელირების, პასუხისათვის თავის არიდებით მის არააქტუალურობაზე მითითების მეშვეობით, კომუნიკაციის შეწყვეტის მოთხოვნის ფრომით პასუხისათვის თავის არიდებით, საკითხის აღიარებით მასზე პასუხის გაუცემლად, პასუხისათვის კერძო ხასიათის თავის არიდებით.

უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი სტრატეგიები და ტაქტიკები საფუძველს იძლევა ვილაპარაკოთ თანამოსაუბრეზე კონტრასტული წარმოდგენის შექმნის შესახებ, როდესაც „მოწინააღმდეგეს“ ნეგატიური ხატის ფონზე შეეთავაზება (თავს-მოახვევენ, ჩაუნერგავენ) მოლაპარაკის პოზიტიური ხატი.

♦ დადებითი ხატის შესაქმნელად უშუალო ან შუალობითი შეფასების გზით პოლიტიკური ინტერვიუს გერმანულენოვან ტექსტებში მოლაპარაკე ისეთ განსაზღვრებებს იყენებს და ისეთი მნიშვნელობებით, როგორებიც არის: აშკარა/დამაჯერებელი, მიღებული/მიღწეული, სარწმუნო/დამარწმუნებელი, საჭირო სახით/წესით, ხელსაყრელი/პოზიტიური, მნიშვნელოვანი/ღირშესანიშნავი, ასევე გამოიყენება დადებით შემფასებლური შეფერილობის განსაზღვრებები, მაგალითად, richtig, überzeugt, wichtig, gut, profi, erfolgreich.

♦ მოწინააღმდეგის დისკრედიტაციისათვის მოლაპარაკე თავისი განწყობის შესაბამისად ირჩევს ისეთი მნიშვნელობების მქონე განსაზღვრებებს, როგორებიცაა: წარსული/წარსულიდან, ნეგატიური, არასაკმარისი, ძლივს, არამარტივი, გამცდენი, არასწორი/შეუსაბამო,... ასევე უარყოფითი შემფასებლური სემანტიკის განსაზღვრებებს: falsch, schlecht, schwierig და სხვა.

აღნიშნული მკვლევრის მიერ გარკვეულია, რომ ა. მერკელის ინტერვიუების ტექსტებში სამეტყველო აგრესიის რეპრეზენტაცია ხასიათდება მაღალი ხარისხის იმპლიციტურობით, რომელიც არ არის დამახასიათებელი დაბალკონტექსტური გერმანული ლინგვოკულტურისათვის და რაც ვლინდება არამკაფიო (ბუნდოვანი) თვითპრეზენტაციის და უმისამართო ბრალდების ტაქტიკების მომეტებულ რელევანტურობაში, ასევე ენობრივი საშუალებების არჩევანში, კერძოდ, ემოციურ-ექსპრესიული, სტილისტიკური შეფერილობის ლექსიკაზე უარის თქმაში.

ტ. ა. ვორონცოვას სამეტყველო აგრესია განხილული აქვს

სამეტყველო ურთიერთობის ოპტიმიზების პრობლემის ფორმატში. მან გააანალიზა რუსულენოვანი ტელეგადაცემების ზეპირი საჯარო დისკურსი (გამონათქვამები, ერთიანობის დიალოგები, დიალოგები, როგორც კომუნიკაციური აქტები), მათ შორის პოლიტიკურ თემატიკაზე. კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ თანამედროვე საჯარო დისკურსში როგორ მიმდინარეობს ადრესანტის კომუნიკაციურ-პრაგმატული განწყობების საფუძველზე ადრესატისათვის არასასურველი ცვლილებები კომუნიკაციური სივრცის სხვადასხვა სფეროში (62).

პიროვნებათშორის ურთიერთობებში სამეტყველო აგრესია რეალიზდება როგორც ადრესატის (კოგნიტიურ სამეტყველო სივრცეში შეჭრა, რაც შესაძლებელია შემდეგი პირობების შესრულების შემთხვევაში:

- ◆ სამეტყველო ზემოქმედების მრავალჯერადობა ინფორმაციის ავტორიტეტული წყაროების მეშვეობით (საჯარო დისკურსი);
- ◆ შესაბამისი ექსტრალინგვისტიკური მხარდაჭერის არსებობა;
- ◆ კონცეპტის მნიშვნელობა სოციუმისათვის;
- ◆ კონცეპტის „ბუნდოვანება“, ანუ კონკრეტული შინაარსისა და მყარი სტრუქტურის არარსებობა;
- ◆ „ისლამიზმის“, „ისლამისტის“ ცნებების „ტერორიზმის“ ცნებაში ტრანსფორმირების პროცესში ნეიტრალური კონცეპტის აგების მექანიზმი ასეთნაირად არის აღწერილი:

სოციუმში (აგრესიის ობიექტებში) სამეტყველო აგრესიის ახალი ობიექტების ფორმირების საბაზი არის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მთელი საზოგადოების ინტერესებს ეხება, ან სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით არ არის სასურველი საზოგადოებისათვის. ნეგატიურ ცვლილებებში, საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებასა და იმ ობიექტს შორის, რომელიც ამა თუ იმ ხარისხით შეიძლება იყოს არსებული მდგომარეობის

მიზეზი, ჩნდება ნეგატიურ გამონათქვამთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, სადაც ამგვარი ობიექტების აღსანიშნავად გამოიყენება აბსტრაქტული ნომინაცია, რომელიც შეიძლება რეფერენტების მნიშვნელოვანი რაოდენობის შესაბამისი იყოს. ნომინაციის არჩევანი, როგორც წესი, ექსტრალინგვისტიკური და ინტრალინგვისტიკური ფაქტორების თანხვედნის შედეგია. მოცემული ნომინაციის აქტიური გამოყენება მრავალი ადრესატების ნეგატიური მაღლობით სხვადასხვა დისკურსების სიმრავლეში იწყება.

ხანგრძლივი და მრავალჯერადი ზემოქმედების შედეგად კოლექტიურ კოგნიტიურ სივრცეში მიმდინარეობს კონცეპტის რესტრუქტურზაცია. ამ პროცესის შედეგს წარმოადგენს მთელი კონცეპტის სოციალური შეფასების ცვლილება (ნეგატიური მხრით). კონცეპტის ასეთ ტრანსფორმაციას საზოგადოების ცნობიერებაში მივყავართ ოპოზიციური აზროვნებისაკენ და ფარული ან ღია (აშკარა) სოციალური კონფლიქტების წყაროდ იქცევა.

დადგენილია, რომ ტელეგადაცემების მეტყველებაში აგრესია წარმოადგენს მიზანმიმართულ, მოტივირებულ, უმთავრესად კონტროლირებად სამეტყველო ქცევას, რომელსაც საფუძვლად უდევს ადრესატზე ცალმხრივი ემოციური უარყოფითი სამეტყველო ზემოქმედება.

В. В. Гленова და О. М. Родионова მიხედვით, აგრესიული კომუნიკაციის მიზანია კომუნიკანტებს შორის კომუნიკაციური ვერტიკალის შექმნა, რაც იწვევს კომუნიკაციის შეწყვეტას ან მის გადაქცევას მონოლოგურ ურთიერთობად (63).

საჯარო კომუნიკაციაში დისბალანსმა, როგორც აგრესიული სამეტყველო ქცევის შედეგმა, მასობრივ ადრესატზე სამეტყველო ზემოქმედების შესაძლებლობა უნდა უზრუნველყოს. ანუ საჯარო დისკურსში პრევალირებს ინსტრუმენტული აგრესია.

კომუნიკაციური დისბალანსის შექმნის ამოცანის რეალი-

ზებისათვის საჯარო დისკურსში გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

- გრამატიკის დონეზე აფექტური ზემოქმედების ისეთი ზმნების გამოყენება, როგორებიცაა: გაკვირვება, გამეორებადობა, გაოცება და შესაბამისი ზმინიზედები;

- სინტაქსურ-სტილისტიკურ დონეზე აღნიშნება სასაუბრო-საურთიერთო მეტყველების ფრაზეოლოგიზმების გამოყენება („ნუ მასულელებ“), ისეთი მეტაფორების გამოყენება, რომლებიც მიუთითებენ გამონათქვამის შინაარსის მიმართებაზე სინამდვილესთან (ზღაპრები, ფანტასტიკა);

- პრაგმატიკულ დონეზე მიმდინარეობს „კოდური“ კონფლიქტის შექმნა, სტატუსის დაწევაზე თამაშის გამოყენება (მაგ. ბოლოს და ბოლოს გაერკვიეთ ვინა ხართ - პოლიტიკოსები თუ ისტორიკოსები), შემფასებლური კონტექსტის შექმნა (მაგ. თქვენ ნიჭიერი ეკონომისტი ხართ), წინარე გამონათქვამის ნეგატიური შეფასების შექმნა ტყუილზე მითითების გზით (მაგ: ცრუობ! ტყუილია...), შეტყობინების აბსურდულობა (დემაგოგია, სისულელე), მითითება იმაზე, რომ ოპონენტის რეპლიკა არ შეესაბამება მოცემული დისკურსის ჟანრს, გამონათქვამის საკუთრივ ლინგვისტიკური პარამეტრების შეფასებას (არასწორადაა თქმული; неподходящий термин), ოპონენტის გაუცხოება (მე ამ ბატონს მივმართავ).

3.4. ავტორმცოდნეობითი ექსპერტიზა და პიროვნების იდენტიფიცირება

3.4.1. ავტორმცოდნეობითი ექსპერტიზის თავისებურებანი

ავტორმცოდნეობითი ექსპერტიზა გულისხმობს ტექსტის გამოკვლევას ავტორობის დადგენი მიზნით, გარკვეული ნაწარმოების ავტორის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ან ტექსტის გამოკვლევას ავტორმცოდნეობის სფეროს სპეციალური ცოდნის საფუძველზე.

ავტორმცოდნეობით ექსპერტიზას ხშირად ურევენ ხელწერამცოდნეობითან, მაშინ, როდესაც ისინი განსხვავებული სფეროებია. ავტორმცოდნეობისათვის ნიშნეულია შინაარსობრივი ასპექტი, ხელწერამცოდნეობის ობიექტია ხელის მოძრაობით შესრულებული წერის ჩვევების (იშვიათად, სხეულის სხვა ორგანოთი - პირით, ფეხით) კვლევა, ასევე ტექსტის დამზადების ხერხის, მისი შეცვლის ან აღდგენის ტექნიკურ-კრიმინალისტიკური დადგენა. ექსპერტიზის აღნიშნული ორი დამოუკიდებელი სახეობა ერთმანეთს ავსებს, ამიტომ სპეციალისტების ცოდნა, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს კომპლექსურ-ავტორმცოდნეობით-ხელწერამცოდნეობით-ექსპერტიზაში.

ავტორმცოდნეობითი ექსპერტიზა ორ ამოცანას წყვეტს: **იდენტიფიცირების და დიაგნოსტიკის.**

ავტორობის დადგენა ჩვენს თანამედროვეობაში აქტუალურ პრობლემებს განეკუთვნება. საავტორო უფლებების დარღვევათა დიდი რაოდენობა (ტექსტის არასამართლებრივი კოპირება, მისაკუთრება, საკუთარი სახელით გამოცემა) სასამართლო განხილვის საგანს წარმოადგენს. ავტორობის დადგენა უაღრესად შრომატევადი პროცესია.

ავტორმცოდნეობითი ექსპერტიზა პიროვნების იდენტიფიცირებას უზრუნველყოფს: მისი სოციალური და ეროვნული კუთვნილების დადგენას, საგანმანათლებლო, ინტელექტუალური, ასაკობრივი, გენდერული, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და სხვა ფსიქო-ფიზიოლოგიური ფაქტორების გამოვლენას. ინტონაციით, ტემპრით, აქცენტით, ფრაზათა ნაწყვეტობით (წყვეტილობით) შეიძლება გაირკვეს დელავს ადამიანი თუ არა, ყალბია მისი ხარი თუ არა და ა. შ.

შეიძლება ადამიანის იდენტიფიცირება ფონეტიკური თავისებურებების მიხედვით (ტერიტორიული დიალექტის სამეტყველო თავისებურებებით), ლექსიკური თავისებურებების მიხედვით (მაგალითად, პროფესიონალიზმების ან ამა თუ იმ სფეროს ფუნქციური ენისა და სტილის მიხედვით).

- **დიაგნოსტიკური** ავტორმცოდნეობითი ექსპერტიზა იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც უცნობი ავტორის პოვნაა (დადგენა) საჭირო.

ავტორმცოდნეობითი ექსპერტიზის ტექსტი შესაძლოა იყოს ნებისმიერ მატარებლებზე ჩაწერილი ნებისმიერი ინფორმაცია - იქნება ხელნაწერი, ბეჭდური თუ ელექტრონული მასალა.

ავტორმცოდნეობითი ექსპერტიზის მასალების ნიმუშები შეიძლება იყოს **თავისუფალი, ექსპერიმენტული და პირობითად თავისუფალი.**

ტექსტის შინაარსის მიხედვით უნდა განისაზღვროს: თემა, იდეა, ნაწარმოების შექმნის გამომწვევი მიზანი და მიზეზი, მითითებები წყაროებზე, გამოყენებული მასალები, ავტორის მიერ საკუთარი თავის შესაძლო ხსენება, მოვლენათა მონაწილეების ხსენება და ა. შ.

ტექსტში ვლინდება მწერლის (სკრიპტორის) ზოგადი და კერძო (კონკრეტული) თვისებები. ამ თვისებებში მთავარია ენობრივი უნარები (პუნქტუაცია, ორთოგრაფია, ლექსიკა, სინტაქსი და სტილისტიკა) და ინტელექტუალური უნარები (აღქმა, აზროვნება, მეხსიერება).

- **პუნქტუაციის დონეზე** ვლინდება სავარაუდო ავტორის მიერ პუნქტუაციის ნიშნების გამოყენების, შეცდომათა დაშვების (ან პირიქით, მათი არარსებობის) თავისებურებანი;

- **ორთოგრაფიის დონეზე** - ტიპური შეცდომების (ან პირიქით, მათი არსებობის) გამოვლენა;

- **სინტაქსურ დონეზე** - წინადადებათა აგების სპეციფიკა, სიტყვათა პირდაპირი ან შებრუნებული წყობა. განსაკუთრებით ბევრს იძლევა ლექსიკის დონე, რითაც ვლინდება სიტყვების მარაგი, მათი გამოყენების თავისებურებები, “ფავორიტი” სიტყვების რაგვარობა, უცხოური სიტყვების, არქაიზმების, დიალექტიზმების, ოკაზიონალიზმების, სპეციფიკური ფრაზეოლოგიზმების გამოყენება და ა. შ. მეტყველების თავისებურებები პიროვნების ინდივიდუალურ სტილს ქმნიან, რომელსაც იდეოსტილი ჰქვია.

ავტომცოდნეობით ექსპერტიზაში ხშირად გამოიყენება კვაზისინონიმური სიტყვების რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი, რომელიც მდგომარეობს ავტორისეული ლინგვისტიკური უმჯობესობების გამოვლენაში, ანუ იმ ლინგვისტიკური მოდელების გამოვლენაში, რომელიც უპირატესია (რომლებსაც ავტორი უპირატესობას ანიჭებს).

ავტორმცოდნეობით ექსპერტიზებში ხშირად გამოიყენება მყარი გამონათქვამების (ფრაზეოლოგიზმების), ზმნების, კავშირების, მაკავშირებელი სიტყვების, ზმნიზედების, ნაწილაკების რაოდენობრივი ანალიზი.

3.4.2. პიროვნების ფსიქოფიზიოლოგიური თვისებების განსაზღვრა

ლინგვისტიკური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ხასიათის თვისებების, ემოციათა თავისებურებების, ფსიქიკური ტიპის დადგენა და ა. შ. ამგვარ მონაცემთა მნიშვნელობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების, გამოძიებისა და სასამართლოსათვის განუზომლად დიდია. მაგალითად, მატყუარა (თაღლითი) არც თუ იშვიათად ლაპარაკს იწყებს ამგვარი გამოთქმებით: **სიმართლე გითხრა, გულახდილად რომ გითხრათ (ვთქვა), მართალი რომ გითხრათ, სიმართლე გითხრათ (ვთქვამთ), სინამდვილეში...**

არც თუ იშვიათად იგი საუბრის მონაწილეს აპელირებს ასეთი ფრაზებით: **მართალს გეუბნები (გეტყვი), გეფიცები არ ვიტყუილები, გარწმუნებ ყველაფერი კარგად იქნება.** ამგვარი გამონათქვამების გასამყარებლად კი მკითხველსაც გამოიყენებს: **ხომ მეთანხმებით? განა ასე არ არის? განა თქვენთვის ცნობილი (გასაგები) არ არის?**

ამასთან იგი ხშირად თავის კანტურით თითქოს ითხოვს თავისი მოსაზრების დადასტურებას. აქ ბუნებრივად იჩენს თავს ფსიქოლინგვისტიკური ხერხი, როცა თანამოსაუბრე

უნებლიედ თავს უქნევს თითქოს ეთანხმებაო მოლაპარაკეს. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ადასტურებს თაღლითის სიმართლეს. ადამიანი, რომელიც ხშირად ცრუობს, ტყუილის თქმის დროს ხმას იმაღლებს (ხმას უწევს ზევით).

არც თუ იშვიათად მატყუარას გაცემს გადაჭარბებული მჭევრმეტყველება ანუ ის, რომ ბევრ წვრილმანს მოიხმობს ოპონენტის დასარწმუნებლად. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკისათვის ცნობილია, რა ძნელია თაღლითისათვის (მატყუარასათვის) რაიმე ვითარების დეტალების (წვრილმანების) გამოგონება, ამის გამო იგი იწყებს დამაზუსტებელი შეკითხვების დასმას და ამის შედეგად იბნევა საკუთარ ჩვენებებში, ხოლო განებივრებული ადამიანი შეიძლება ჩადენილ დანაშაულშიც კი გამოტყდეს.

სიცრუის უმთავრეს ნიშნებს განეკუთვნება შემდეგი ენობრივი რეალიები:

- შეუსაბამობა რაიმე მოვლენის შესახებ შეტყობინებულ ინფორმაციასა და ამასთან დაკავშირებულ სხვა წყაროთა მონაცემებს შორის;
- ერთი პირის მიერ ერთსა და იმავე მიზეზის (საგნის) შესახებ სხვადასხვა ცნობების შეტყობინება;
- ჩვენებებში განუსაზღვრელი, დაუკონკრეტებელი ცნობების არსებობა;
- რამდენიმე პირის წვრილმან დეტალებში დამთხვევები (პირის შეკვრა);
- გამონათქვამებში ანდაზური, ხატოვანი სიტყვა-თქმების სიჭარბე;
- დაკითხვის ქვეშ მყოფი პირის ჩვენებებში მისი ინტელექტისათვის შეუფერებელი სიტყვებისა და თქმების (ფრაზეოლოგიის) არსებობა;
- ჩვენებების ემოციური ფონის სიღარიბე (სქემატურობა, უპიროვნულობა);
- საკუთარი კეთილსინდისიერებისა და დაუინტერესობრიობის დაჟინებითი ხაზგასმა;

➤ აშკარა ფაქტების დაფარვა, რომელთა არცოდნა დაკითხვის ქვეშ მყოფი პირისათვის შეუძლებელია.

ერთი და იმავე სიტყვის (მაგალითად „ჩემი...“) ან უცენზურო ლექსიკის ხშირი გამოყენება პიროვნების აზროვნების სიღარიბის, სისუსტის და განუვითარებლობის გამოხატულებაა.

თაღლითის, ხულიგანის გამოაშკარავება იოლია კინიობითი ფორმების ჭარბი მოხმარებით, კუთვნილებითი ნაცვალსახელების (ჩემი, შენი, იმისი, იმათი...) ხშირი გამოყენებით. ამგვარი ადამიანების მეტყველება „ღვარჭნილია“, სიტყვების მარაგი ღარიბია, გაჯერებულია ლანძღვა-გინებით.

იმ ადამიანის მეტყველებაში, რომელიც თავს დამნაშავედ გრძნობს, ხშირია სიტყვები **უბრალოდ, როგორც, თითქოს, რომლებიც როგორც** წესი, პლეონაზმებია.

ქალი დამნაშავეები სახელდებებში გამოიყენებენ კინიობით საალერსო სუფიქსებს (მაგალითად, ლევანიკო, მანანიკო), ხოლო მამაკაცები - ფამილიარულ უხემ ფორმებს (მაგალითად, ზურაბა, გიორგა, ვახტანგ...).

აღელვების დროს მეტყველება შესაძლოა აჩქარდეს ან, პირიქით, შენელდეს, წყვეტილი გახდეს, ფრაზები დაუსრულებელი შეიქმნას; მკვეთრად იმატებს სახელებისა და ზმნების რაოდენობა მეტყველების სხვა, არსებით, ნაწილებთან შედარებით; იცვლება სინტაქსიც - შეინიშნება ხშირი გამეორებები; ლექსიკურად მეტყველება მარტივდება - აირჩევა მოკლემოკლე სიტყვები, რომლებიც გამოყენების მაღალი სიხშირით გამოირჩევიან, იზრდება პლეონაზმების (პარაზიტი სიტყვების), ნეოლოგიზმებისა და უმართებულო ფორმის სიტყვების რაოდენობა; ჩნდება სემანტიკურად გამოურიცხავი მნიშვნელობის სიტყვები (მუდამ, ყოველთვის, არასოდეს, არავინ.

ზოგჯერ ნაცნობობის დასაფარად ან ზიზღის გამოსახატავად გამოიყენებენ ჩვენებითი ნაცვალსახელების შემცველ გამოთქმებს (**ეს ადამიანი, ის კაცი, ეს ქალი...**).

გასათვალისწინებელია, რომ ადამიანი არანაირ სიტყვას,

ფრაზას შემთხვევით არ წარმოთქვამს. თუ ადამიანი ძუნწია სიტყვებზე, მიზეზი შესაძლებელია იყოს ის, რომ იგი ბაიყუ-შია, ფრთხილია (არ სურს ინფორმაციის გაცემა), ეშინია რაიმეს თქმისა უადგილო ადგილას (შეუფერებლად) და ამით საკუთარი ინტელექტის სისუსტის გაცემისა.

ნაწერი ტექსტის, არაშაბლონურად შედგენილი დოკუმენტის (მაგალითად, განცხადების) ანალიზის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებას: რომელი ნაწყვეტები ან ელემენტები დგას პირველ ადგილზე და რომლები ბოლოზე. შეესაბამებიათ თუ არა ლინგვისტიკური მდგენელები დოკუმენტის თემისა და დასახელებას. ეს ყველაფერი ავტორის ფარული განზრახვის გამომჟღავნებას შეუწყობს ხელს.

ლინგვისტმა ექსპერტმა ანალიზის პროცესში ყურადღება უნდა მიაქციოს ჟარგონიზმებს, არგოტიზმებს, სხვა სოციალური ჯგუფის პროფესიონალიზმებს. ამგვარი ლექსიკა, შესაძლოა, გარკვეული საზოგადოების მოსაზრებებთან ერთიანობის გამოხატულება იყოს. მაგალითად, თუ ადამიანი, პოლიტიკოსი ან ჟურნალისტი ხშირად გამოიყენებს არგოტიზმებს, ეს შეიძლება იყოს კრიმინალური სამყაროს ყოფისა და ღირებულებების თანაგრძნობის გამოხატულება.

თუ მოლაპარაკე სუბიექტს წამოცდა (როგორც თვითონ მიიჩნევს) ესა თუ ის სიტყვა, ფრაზა, არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ მის ქვეცნობიერში დომინირებს სწორედ ის გამიზნულობა, რაც შემთხვევით წამოცდენილმა სიტყვებმა გაამჟღავნეს. მაგალითად, ამგვარი “შემთხვევითი” სიტყვებიდან ხშირად გამოიყენება სხვადასხვა გამიზნულობის შემდეგი სიტყვები:

- **“თითქოს”**: ამ სიტყვის გამოყენება ცხადყოფს მოლაპარაკე სუბიექტის წამიერ დაურწმუნებლობას, ან მის მოყოყმანე პიროვნულობას;
- **“მოკლედ”**: ამ სიტყვის ხშირი გამოყენებით მოლაპარაკე

სუბიექტი “იტყობინება”, რომ კონკრეტულ ადამიანს ან ყველას უარყოფითად უყურებს;

- **“ცალსახად”**: ამ სიტყვის ხშირი ხმარება ცხადყოფს თვითდარწმუნებულობას და შეუვალობას;
- **“გესმის”**: მოლაპარაკე ამ სიტყვის ხშირი ხმარებით ცხადყოფს, რომ მის ნალაპარაკეს დიდი მნიშვნელობა აქვს მსმენელისათვის, თუმცა შესაძლოა იმის გამოხატულებაც იყოს, რომ არ არის დარწმუნებული თავის თავსა და ნათქვამში;
- **“გამიგე”**: მოლაპარაკე სუბიექტი ამ სიტყვის ხშირი ხმარებით მსმენელს თანამოაზრობას სთხოვს, დარწმუნებულია თავის სიმართლეში, მაგრამ ამ სიმართლის მამტკიცებელი არგუმენტების არასაკმარისობას გრძნობს და განიცდის.

პიროვნების ფსიქოტიპის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს მეტყველების ხარისხიანობასაც. მაგალითად, პირი თუ ნელა ლაპარაკობს, აქცენტი გადააქვს ზოგიერთ სიტყვასა და ფრაზაზე, აკეთებს პაუზებს გარკვეული მოსაზრების გამოთქმის შემდეგ, ეს ნიშნავს, რომ სურს მას გაუგონ. მეტყველების მონოტონურობა და მოშვებულობა ცხადყოფს მსმენელისადმი ინტერესის არქონას. ასევე ხასიათდება ხმადაბლა მოლაპარაკე. აღწერილ მახასიათებლებს შესაძლოა დაემატოს შიში, თვითდამკვიდრების სურვილი ან საუბრის თემისადმი ინტერესის არარსებობა.

ნარკომანის მეტყველება ნარკოტიკული აბსტინენციის (შიმშილის) დროს წყვეტილოვანია, ბოდვიანი, რადგან მთელი მისი აზრები ნარკოტიკის ძიებისაკენაა მიმართული. მის სინტაქსში მარტივი წინადადებები ჭარბობს. წინადადების მეორეხარისხოვანი წევრების არსებობა, შესაძლოა, იმის ნიშანი იყოს, რომ ნარკომანი გარემომცველ სამყაროს გამარტივებულად აღიქვამს: ნარკოტიკების მიღებამდე სხვაგვარად და მათი მოხმარების შემდეგ სხვანაირად. სამყაროს შავ-თეთრ ფერებში აღქმა

პიროვნების დეგრადირებას მოწმობს. იცვლება ნარკომანის ხელწერაც: იგი დატალღური ხდება, გაურკვეველი.

ოლიგოფრენს (დებილს) აზროვნების დეფექტურობა გაცემს. მათ არ შეუძლიათ განყენებული, განმაზოგადებელი მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება. მათი ლექსიკონიც პრიმიტიულია. აღზნებადი ფსიქოლოგიური პირის გამოცნობა იოლია აჩქარებული მეტყველებით და ქესტიკულაციების სიხშირით, ე. წ. სამეტყველო დაცლილობის დროს თვალშისაცემია სალანძღავი ლექსიკა-ფრაზეოლოგია. ფსიქიკურ ავადმყოფებს შეენიშნებათ მეტყველების დაქვეითება, რაც გამოიხატება საწარმოთქმო დეფექტებით (ენაბრჯგუობა, შიშინი, ენაბორძიკობა,...); ნათქვამის აზრის დარღვევაში, აზრის მართებული მსვლელობიდან მცდარზე უცაბედი გადასვლა; მეყველების ტემპის ნორმებიდან გადახრა (მისი მოულოდნელი შენელება ან, პირიქით, აჩქარება), სიტყვის მარაგის სიმწირეში, დაშტამპულობაში და ა. შ. (64)

მკვლევართა აზრით, ლინგვოკრიმინალისტს შეუძლია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- ♦ დოკუმენტის ავტორის იდენტიფიცირება;
- ♦ ანონიმური ან ფსევდონონიმური დოკუმენტის ავტორის სოციალურ-დემოგრაფიული პორტრეტის განსაზღვრა, სქესის, ასაკის, განათლების დონის, პროფესიის, სოც-ალური სტატუსის, ინტერესების, ჰობის, ენობრივი უნარჩვევების ფორმირების ადგილის დადგენა.
- ♦ ენობრივი შეტყობინების შექმნის მომენტის ფსიქოფიზიოლოგიური მომენტის განსაზღვრა;
- ♦ ენობრივი შეტყობინების ავტორის გონებრივ-სამეტყველო პროცესების მყარი პათოლოგიის დიაგნოსტიკა;
- ♦ ტექსტში აღსაწერი ამოცანების დადგენა, მისი შინაარსის, ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის რომ შეეხება;
- ♦ პლაგიატის გამოვლენა;
- ♦ სამეტყველო სიტუაციის შენიღბვის ფაქტის და სახეობის დადგენა.

ამჟამად ლინგვისტიკას იურისპრუდენციისათვის დახმარება ორი ასპექტით შეუძლია: **იდენტიფიცირებისა და სასამართლოს თავალსაზრისით**. ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობის დადგენას ლინგვოკრიმინალისტიკის მიერ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტერორისტთან სამეტყველო ურთიერთობაში. ლინგვისტიკური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია იმის დადგენა, იმყოფება თუ არა მთვრალ მდგომარეობაში, ცრუობს თუ შესწევს თავგანწირული ქმედების ჩადენა. ინტონაციით, ტემბრით, აქცენტით, ბორძიკით, ფრაზების ენის მოკიდებით წარმოთქმით შეიძლება დაზუსტდეს ღელავს თუ არა ადამიანი...

საინტერესო ასპექტია სატელეფონო ხულიგნობა. ცნობილია, რომ მათ შორის ბევრია ნიჭიერი იმიტატორი - მამაკაცს შეუძლია ქალის ხმით ლაპარაკი, ახალგაზრდას - მოხუცის ხმის იმიტირებით, იმიტატორს შეუძლია სხვა ეროვნების ადამიანის მეტყველებას მიზამოს და ა. შ.

სატელეფონო ხულიგნობის გამოსავლენად პირველ რიგში უნდა შევთავაზოთ (თავს მოვახვიოთ) ჩქარ ტემპში ლაპარაკი, ველაპარაკოთ რაც შეიძლება დიდხანს, მიზანშეწონილია საუბრის თემების ცვლა.

მეტყველების პროცესში იმიტაციის ფაქტების გამოსავლენად უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებლად გამოვლინდება წინააღმდეგობანი იმიტატორის ენობრივ დონეებს შორის. იმიტატორი, როგორც წესი, გამოიყენებს იმიტატორული ადამიანის მეტყველების ფონეტიკურ თავისებურებებს, მის საყვარელ სიტყვებსა და სიტყვათშეთანხმებებს და არ აქცევს ყურადღებას გრამატიკულ თავისებურებებს.

კრიმინალური სამყაროს წევრის ან ციხეში ნაჯდომის გამოვლენა შესაძლებელია არა მხოლოდ არგოტიზმებით, არამედ სპეციფიკური სიტყვებითაც.

კრიმინალებს თანამზრახველის გაცემის შიში ხშირად გაურკვევლად ლაპარაკს აიძულებს. დამნაშავენი ხშირად

უკრძალავენ ქურდული სიტყვებით მიმართვას, სანაცვლოდ გამოიყენებენ ნაცვალსახელს ჩვენი (ჩვენიანი).

დამნაშავეთა სამყაროში მიღებული არ იყო პენიტენციალური დაწესებულებების სახელწოდებების ხსენება. ამის გამო მათ მეტყველებაში აქტიურად გამოიყენებოდა სიტყვა **იქიდან**, რაც შრომა-გასწორებითი დაწესებულების მიმართ **ტაბუიზმს** წარმოადგენდა.

• **ანონიმური ნაწერის ნიშნები:** ანონიმური ტექსტი, - ანონიმკა ვინმეს დისკრედიტაციის გამოზნულობის ტექსტია, რომელსაც არ გააჩნია ავტორის ხელმოწერა, მოწერილია ფსევდონიმით (მაგალითად, კეთილმსურველი), ან სხვისი გვარით. პირი, ანონიმური წერილის დამწერი, როგორც წესი, თავის ავტორობის დაფარვას ცდილობს. ამ მიზნით უპირველესად საკუთარი განათლებულობის დაფარვას ლამობს, უპირველესად, შეაქვს წერითი მეტყველებისათვის არადამახასიათებელი პარაზიტი სიტყვები, შორისდებულები, შემახილები, გამონათქვამთა გადასხვაფერება წერის პროცესში; სწორი ფორმის არასწორით შეცვლა. ავტორის დახასიათების და მდგომარეობის იმიტირების აშკარა კვალის არსებობა ტექსტში, რომელებიც ტექსტის შინაარსისათვის სრულიად ზედმეტია.

ანონიმურობის ფაქტის დადგენა შემდეგნაირადაც შეიძლება: ავტორის კულტურის და ინტელექტის შეუსაბამობით. ანონიმს შეუძლია, მაგალითად, ისეთი ფილოსოფიის გვარის დასახელება, როგორიცაა სპენსერი, შოპენჰაუერი და ამდროულად ელემენტარული შეცდომების დაშვება.

ტექსტის ანონიმურობის ფაქტის დადგენის შემდეგ შესაძლებელია ექსპერტიზის მეორე ეტაპზე გადასვლა - მისი ავტორის დადგენის პროცედურების დაწყება. აქ საჭიროა სტილის ანალიზი, უფრო სინტაქსის სტილისტიკის ანალიზი (წინადადებათა აგებულება, “საყვარელი”, (დამახასიათებელი) მოდელების გამოვლენა...).

ავტორების დადგენის პროცესში, ხელწერის განზრახ შეცვლის ფაქტის დადგენა შესაძლებელია კომპლექსური - ლინგვისტიკური და ხელწერამცოდნეობითი - ექსპერტიზის საფუძველზე.

3.5. აგრესიის ვერბალური ექსპლიკაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენს იმ შეხედულებათა ფორმირების აქტიურ წყაროს, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის აგრესიული ქცევა. აგრესიის თავჩენის და საკუთარი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით გამოყენებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მკვლევრები აღმზრდელობით ფუნქციას მიაწერენ. მაგ., ენიკოლოპოვის, კუზნეცოვას, ჩუდოვას (65, 15) მიხედვით “მის” ბავშვებს ეხმარება სხვა ადამიანებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრაში, ხელს უწყობს წარმოდგენის შექმნას სხვა ადამიანების სავარაუდო საქციელზე. “მის” შეტყობინებების მხედველობითი და სმენითი აღქმის პროცესში “მოზარდებს უყალიბდებათ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყვიტონ ადამიანებს შორის ურთიერთმიმართებათა პრობლემები. ამ შემთხვევაში ადრესატს, “მის” შეტყობინებათა წყალობით, უყალიბდება განწყობა, რომელიც სასურველის მიღწევაში ეხმარება. ეს კი ნიშნავს, რომ აგრესიულ საქციელს სარგებელი მოაქვს; აგრესიას ავლენენ გმირები, ამის გამო ასეთი საქციელი გამართლებულია საზოგადოებისათვის. გმირებს იშვიათად სჯიან, ე. ი. აგრესიული საქციელი უსაფრთხოა; მსხვერპლის ტანჯვა ხშირად “კადრს მიღმა” რჩება, ამ თვალსაზრისით აგრესია უხიფათოა.

ყველაფერთან ერთად, “მის” ტექსტებში რეალიზდება “ეროვნული ენის მოდელი”, რომელშიც წარმოდგენილია

ემოციური სამეტყველო კომპონენტი, მათ შორის სამეტყველო აგრესიის მოდელებიც. მედიადისკურსი (ბეჭდური “მის” ტექსტები, ტელე-, რადიო-, კინოპროდუქცია, ინტერნეტის მასალები) მთლიანობაში გადავსებულია ძალადობის, დაუდობლობის, მკვლელობების აღწერილობების, ძალის დემონსტრირების, სამხედრო მოქმედებების, უპატიურობის, დამცირების, სხვა სახის კონფლიქტების სცენებით. ამ ფონზე “მის”-ში ხშირად რეკლამირდება **აგრესია** და **ინტოლერანტობა**, მასობრივ შეგნებაში აბსოლუტიზმდება პროტესტი და შეურიგებლობა როგორც სამართლიანობის მიღწევის ერთადერთი ხერხები (თავისი და სხვისი თანამშრომლობისა და თანაარსებობის ფასეულობების საფუძვლიანად დანგრევით) (66, 5).

კომუნიკაციური მოვლენის მონაწილეთა შორის დადგენილი ურთიერთობების შესაბამისად, “მის” ტექსტებში გამოყოფენ სამეტყველო აგრესიის გამოვლენის რამდენიმე ტიპს (Речевая агрессия..., 1997, с. 10), კერძოდ:

- ავტორი თავისი მასალით პირდაპირ მოუწოდებს ადრესატს საუბრის საგნის საწინააღმდეგო აგრესიული მოქმედებებისაკენ;
- ავტორი საუბრის საგანზე თავისი წარმოდგენით იწვევს ან მხარს უჭერს ადრესატში აგრესიულ მდგომარეობას;
- ავტორი აგრესიულად აღწერს საუბრის საგანს და მოუწოდებს (აქეზებს) მას არააგრესიული, მაგრამ ადრესატისათვის პირდაპირ ან არაპირდაპირ მომგებიანი მოქმედების შესრულებისაკენ.

“მის” ტექსტებში სამეტყველო აგრესიის ლინგვისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ ტექსტების შექმნისას გამოიყენება სტილისტიკურ საშუალებათა რეპერტუარი, მაგრამ სინამდვილე ტექსტში სხვადასხვა ფორმით აისახება (67, 34; 68), კერძოდ:

1. აგრესიის გამოხატვის ღია ვერბალური ფორმა (სიტყვიერი ფორმა);

2. ფარული ვერბალური ფორმა, როდესაც ცნობები გამოხატულია სიტყვიერად, მაგრამ თვალეზში კი არ გვეჩხირება, არამედ მოგვეწოდება როგორც უკვე კარგად ცნობილი;
3. პრესუპოზიციური (ტექსტისმიმდებარი) ფორმა, როდესაც ინფორმაცია მოვლენათა რომელიმე ასპექტების შესახებ ტექსტში უშუალოდ არ გამოიხატება და იგულისხმება, რომ სამეტყველო აქტის მონაწილენი ფლობენ ამ ინფორმაციას;
4. ქვეტექსტური ფორმა, როდესაც ინფორმაცია თავად ტექსტში არაა მოცემული, მაგრამ მკითხველის ან მსმენელის მიერ იოლად ამოიცნობა.

ზემოქმედების ეფექტი იმით უფრო ძლიერდება, რომ მკითხველს არ გააჩნია რეფლექსია მასმედიურ პროდუქციაზე, რაც მანიპულირებისათვის ფართო შესაძლებლობებს ქმნის (67, 61; цит. по: 69, 10).

რუსული ოპოზიციური ჟურნალ-გაზეთების ინტერვიუების მასალაზე სამეტყველო აგრესიის კვლევის საფუძველზე ე. ბასოვსკამ (2004) დაამტკიცა, რომ სამეტყველო აგრესია “საკმაოდ ეფექტურია, თუმცა ყოველთვის არ არის კორექტული ჟურნალისტური ხერხი”.

ბეჭდური მასმედიის სამეტყველო აგრესია შეიძლება მიეკუთვნოს შემტევ აგრესიას, იგი როგორც ასეთი, განზრახულს წარმოადგენს.

იმის გამო, რომ ბეჭდური “მის” ტექსტებს არ ახასიათებს სპონტანურობა, ვერბალური (სამეტყველო) აგრესია ჟურნალისტების რეპლიკებში ვლინდება არა ემოციური აღტკინების ზემოქმედების გამო, არამედ გააზრებული სტრატეგიის შესაბამისად. (იქვე, გვ. 257). ეს ფენომენი შედარებით მკაფიოდ თავს იჩენს ინტერვიუების ტექსტებში.

სამეტყველო აგრესია შეინიშნება ხარისხიანი ჟურნალისტების ფურცლებზედაც, რომელთა სტილისტიკაც მთლიანობაში შეიძლება შეფასდეს როგორც ინტელიგენტურ-თავშეკა-

ვებული (სალიტერატურო ენის ნორმები, ფაქტობრივ, არ ირღვევა; ჭარბობს ნეიტრალური სტილი; ფართოდ გამოიყენება წიგნური ენობრივი საშუალებები). ამ ფონზე სამეტყველო აგრესიის ცალკეული გამოვლინება მაქსიმალურად მკაფიოდ გამოიყოფა. ამ დონეზე ჟურნალისტების აგრესიული სამეტყველო ქცევა არ არის სტიქიური და განპირობებული ელემენტარული უწიგნურობით, სალიტერატურო ენის ნორმებისა და სამეტყველო ეტიკეტის უცოდინარობით. პირიქით, შეტევითი სტრატეგია ამოირჩევა შეგნებულად, კომუნიკანტების ჰარმონია განზრახულად მიიტანება პუბლიცისტური გამომსახველობის სამსხვერპლოზე (იქვე, გვ. 257).

ინტერვიუ, თავის მხრივ, “თავის” და “სხვის” რეპლიკებად იშლება და, შესაბამისად, დაპირისპირებულობის იდეა მის ბუნებაშია ჩადებული. მიზეზ-შედეგობრივი ანუ **ერიიული** ტონი არაიშვიათად ისეთ ადამიანთან სასაუბროდ აირჩევა, ვისი სახეც მთლიანობაში პოზიტიურად მიეწოდება. სამეტყველო აგრესია პირველ რიგში წარმოადგენს (გვევლინება) არა ბრძოლის საშუალებას, არამედ მოდურ და ლამის უნივერსალურ რიტორიკულ ხერხად (70, 258-259). ინტერვიუს ანალიზის შედეგების საფუძველზე გამოიყოფა სამეტყველო აგრესიის შემდეგი მარკერები:

♦ ენის ლექსიკურ დონეზე გამოიყენება ექსპრესიული, ხშირად უხეში და ჟარგონული სიტყვები მოჭარბებული ნეგატიური შემფასებლურობით და მაშინაც, როდესაც ჟურნალისტი ეთანხმება მოსაუბრეს და მაშინაც, როდესაც არ ეთანხმება მას; პირველ შემთხვევაში “უხეში” სიტყვა ინტერვიუებულის პოზიციას უფრო კატეგორიულს ხდის, მეორე შემთხვევაში - მკთხველს მის სიმართლეში დაეჭვებას აიძულებს;

♦ სინტაქსურ დონეზე გამოიყენება დამაზუსტებელი კითხვა, რომელიც სინამდვილეში არსებითად ცვლის ამოსავალ გამონათქვამს; მსგავსი შეკითხვები არ ეწინააღმდეგება იმას, რა-

საც ლაპარაკობს ინტერვიურებული, მაგრამ ჟღერს რამდენადმე უფრო მკვეთრად, ვიდრე მისი საკუთარი გამონათქვამები; თუ თავად ინტერვიურებულის მსჯელობები გამოხატულია წყნარი, ობიექტური ტონით, მაშინ “დამაზუსტებელი” რეპლიკები ყოველთვის აღრმავენ სურათს და რაც მთავარია, მასალის მიწოდებას მნიშვნელოვნად უფრო ემოციურს ხდის;

♦ სტილისტიკური საშუალებების დახმარებით წარმოებს აგრესიული ახლობლობის დემონსტრირება, მოსაუბრის მხილება ხან არაგულწრფელობაში, ხანაც ამბიციურობაში; ამავე მიზნით გამოიყენება შეკითხვა, რომელიც მადისკრეტირებულ ანალოგიას შეიცავს;

♦ გრაფიკულ დონეზე შეინიშნება “წინწყლების” ხშირი გამოყენება, რომელიც ჟურნალისტს საშუალებას აძლევს ნაწილობრივ გაემიჯნოს უხეშ ლექსიკას, პასუხისმგებლობა დააკისროს მოსაუბრეს; ამასთან ხაზი ესმის საუბრის სანდობიანობას, მკითხველი განეწყობა ლაზღანდარულ ტონზე;

♦ ტექსტურ დონეზე ინტერვიუერი გამოიყენებს (საღებავების) ფერების გამუქებისა და წინააღმდეგობათა გამწვავების, პოზიციათა შეჯახების, ინფორმაციის უპიროვნებო წყაროზე მითითების, რეალურად არსებული პრობლემის აშკარა ჰიპერბოლიზების ტაქტიკებს.

ჟურნალისტის მიერ გამოყენებული სამეტყველო აგრესიის საშუალებები კორესპონდენტს დიალოგში დომინირებულ პოზიციას უზრუნველყოფს, მოსაუბრეს იწვევს პირდაპირ, ემოციურ, ხშირად მკვეთრ საუბარზე, იპყრობს მკითხველის ყურადღებას, ააქტიურებს აუდიტორიას, აიძულებს თითოეულს ფიქრით უთანაგრძნობს შეურიგებელ მოწინააღმდეგეს.

ე. ა. რეპინას (2000) ფიქრით ტექსტში გამოყენებული ლექსიკის ანალიზით შეიძლება მისი აგრესიულობის დონის დიაგნოსტირება, ასევე აგრესიულობის ხარისხის პროგნოზირება, რომელიც მსმენელსა თუ მკითხველში შეიძლება

გამოიწვიოს ამა თუ იმ ტექსტმა. ცნობილია, რომ აგრესიულობა გულისხმობს პიროვნების გარკვეულ დექსტრუქციულ ქარაქტერეოლოგიური თავისებურებებს და არა მის საქციელს როგორც ასეთს.

სამეტყველო აგრესია ყოველთვის არ არის ინდივიდის აგრესიულობის პირდაპირი დადასტურება. თუმცა აგრესიული ინდივიდი მიდრეკილია გამღიზიანებლებზე უფრო აქტიური რეაგირებისაკენ, მაგალითად, პროვოკაციულ ტექსტებზე აგრესიულად შფერილი ლექსიკითა და სხვადასხვა ფორმის აგრესიისაკენ და ძალადობისაკენ მოწოდებით, რაც დასტურდება ექსპერიმენტული მონაცემებით (71; 72).

ოპოზიციური ბეჭდური “მის” ტექსტები რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს ეკუთვნით, ადრესატებზე გარკვეულ ემოციურ ზემოქმედებას ახდენენ. ამ ტექსტების წაკითხვის პროცესში აღინიშნება ისეთ ძლიერ ნეგატიურ ემოციური მდგომარეობები, როგორიცაა განგაში, უსაფუძვლო შფოთვა, შიში, სიძულვილი, ზიზღი, გაბოროტება, წუხილი, ასევე მოქმედებისაკენ, ძალადობის და შურისძიებისაკენ ლტოლვა, ძალადობის და შურისძიების მოთხოვნილება, უძლურების და ზარალის შეგრძნება. ოპოზიციური პრესის ტექსტებს აგრესიული ტიპის ტექსტებს მიაკუთვნებენ. ამგვარი ტექსტები ადამიანებში განგაშის გრძნობას იწვევენ. ადამიანი ვერ იცნობიერებს კონკრეტულ მიზეზს, ღიზიანდება, ბოროტდება. ცხოვრების ყველა მხარე აგრესიულ ტექსტებში ნაკლოვანებების მიმართებით განიხილება. ისინი აიძულებენ ადამიანს თავი დამცირებულად და შეურაცხყოფილად იგრძნოს, მაგრამ არა უძლურად და დაზარალებულად, პირიქით, ასეთი ადამიანები აქტიური მოქმედებისა და შურისძიებისაკენ მოუწოდებენ (73).

ე. რეპინას მიხედვით, ტექსტი შეიძლება აგრესიულობის დაიგნოსტიკურ მარკერებს მიეკუთვნოს:

♦ ნეგატიური შეფერილობის ლექსიკის გამოყენება, რომ-

ლებიც მიეკუთვნება სემანტიკურ კატეგორიას “ქვემოთ” (მაგ., დაქვეითება, დეგრადაცია, ქვემოთ, დაცვენა, დავარდნა, დაკნინებულობა, ქვევით დაგორება, დაცემა, დაცემული და ა. შ.), “სევდა” (მაგ. მწარე ნალველი, ნალველი, გამოუვალი, გალანძღული ხელისუფლება, მტრული სამყარო, უბედურებები და დამცირებები, ძახილი საშველად, ყველა საწყენისა და შეურაცხყოფისათვის, ცრემლების ღვარღვარი, მონობას, სიღარიბე, დამცირება, მუქარა, მოღალატური, დანაშაულობები და სხვა). “სიკვდილი” (მაგ. მოკვდომა, კვდებიან, გაზრდილი სიკვდილიანობა, რუსეთი ან სიკვდილი! სიკვდილის საფრთხე, დაღუპულთა რიცხვი, დასაფლავებები და სხვა); “შიშშილი” (მაგ., არ შეუძლია გამოკვება, დამშეულები და უუფლებოები, შიშშილობა, სანახევროდ მშიერად ყოფნა, საარსებო მინიმუმს ქვემოთ, რით გამოკვებოს და სხვა).

◆ სიხშირული მიმართვა ადამიანური არსებობის ფიზიოლოგიური მხარისადმი (მაგ. რესტავრაციის მცდელობა გადაიქცა ხალხის საშინელ გენოციდად; ოჯახების ნახევარზე მეტი **საარსებო მინიმუმის ქვემოთ** ცხოვრობს);

◆ რეპრეზენტატული სისტემების ყველა ტიპის გამოყენება (სმენა, მხედველობა, გემო, ყნოსვა);

◆ ნეგატიური შეფერილობით ემოციური ლექსიკის გამოყენება პოლიტიკური შეფერილობის ლექსიკის, ისტორიზმებისა და ნასესხობების არარსებობის ფონზე;

◆ სტილისტიკური ხერხების მუწწად გამოყენება, უმთავრესად ნეგატიური შეფერილობის ეპითეტების შედარებები გამოყენება და ჰიპერბოლების;

◆ სინტაქსი არაა მრავალფეროვანი, ხშირია უპირო კონსპრიქციები, წინადადებები ძირითადად მარტივია ან რთული თანწყობილი წინადადებები ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადებით;

◆ გრაფიკული დონე გამორჩევა მრავალფეროვნებითა და

მახილის ნიშნის, კითხვითი ნიშნის, ტირეს, ორწერტილის, მოკლე აზნაცების ხშირი გამოყენებით;

♦ “უცხო” (სხვისიანის) კატეგორიის შესაბამისი სიტყვების მნიშვნელოვანი რაოდენობის არსებობა (მაგ. ვიღაც, ის, ეს, როგორმე და ა. შ. ასევე კითხვითი ნაცვალსახელებთან დაკავშირებული სიტყვების გამოყენება);

♦ ტექსტის საერთო მოცულობაში ნაცვალსახელთა წილობრივი ზრდა.

ამგვარად, ოპოზიციური პოლიტიკური “მის” ტექსტებში ჩადებულია ადრესატზე ზემოქმედების სპეციფიკური მექანიზმი: ტექსტის დასაწყისი საკმაოდ აგრესიულია, ბოროტი; დამახასიათებელია უიმედობის, განგამის, სევდა-ნაღველის, გამოუვალობის აღმნიშვნელი ლექსიკა; მიმდინარეობს ემოციურ-აზრობრივი დომინანტას შეცვლა; დასასრულისაკენ (მიახლოების) სვლის პროცესში ტექსტი ნაკლებ ბოროტებას, სიბრაზეს შეიცავს.

არასპეციალიზებული “მის” ტექსტების ზემოქმედი ძალის მონაცემები, რომლებიც სამეტყველო აგრესიის ნიმუშებს შეიცავენ, შესწავლილი აქვთ რ. კ. პოტაპოვასა და ლ. რ. კომალოვას. მათი დაკვირვებით, “აგრესიის” სემანტიკური ველის ლექსემების მაღალი მაჩვენებლის შემცველი ტექსტებს ავტომატურად ვერ მივაკუთვნებთ ტექსტებს, რომლებიც ადრესატში აგრესიის საპასუხო მდგომარეობას იწვევენ. მაგალითად, ტექსტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას შეიარაღებულ მოქმედებათა დეტალების შესახებ ავტორის შეფასებათა გარეშე. ამ ავტორთა აზრით, ადრესატში აგრესიასთან მიახლოებული მდგომარეობის გამოწვევის ამჟამად გამოხატული ტექსტებს განეკუთვნება შემდეგი ტიპები:

– ტექსტები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ტიპის აგრესიის გამოვლენის ფაქტებს (გეოპოლიტიკური კონფლიქტები, კრიმინალური საქციელი, ოჯახში ძალადობა, აგრესიული ეკონომიკური საქმიანობა);

– ტექსტები, როგორც ნეგატიური განწყობის გაძლიერების ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავენ შეტყობინების ობიექტისადმი ფიზიკური აგრესიის სავარაუდო ფორმების შესახებ მტრული აგრესიის გაკიცხვისა და თავდაცვითი აგრესიის გამართლების თანხლებით (უმთავრესად, რადიკალური პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანების, ექსტრემისტული ხასიათის არალეგარულად მოქმედი დაჯგუფებების აგიტაციური და იდეოლოგიური ხასიათის ტექსტები);

– სამეტყველო აგრესიის მაპროვოცირებელი ტექსტები, თავდაცვითი და მტრული აგრესიის გაკიცხვის შემცველობით (ასეთ ტექსტებს განეკუთვნება კრიტიკული შემტყობინებები, კერძოდ, არაპოპულარული პირების - საჯარო ფიგურების, მათი მოქმედებების გაკიცხვა); ბეჭდური “მის” და ინტერნეტის წერილობითი ტექსტების ინფორმაციულ სტრუქტურაში, რომელთა ანალიზი “აგრესიის” სემანტიკური ველის ლექსემათა მნიშვნელოვან რაოდენობას ავლენს, გამოიყოფა შემდეგი ლექსიკური კომპონენტები:

– მტრის ხატის არსებობა გარკვეულ საჯარო ფიგურათა სახით;

– იმპლიციტურად/ექსპლიციტურად დაპირისპირებული დადებითი სახის არსებობა ან ალტერნატიული ოპონენტის არარსებობა (მოცემულ შემთხვევაში რეციპიენტის მხრიდან ნეგატივიზმის გამოვლენა მასში კვაზიაგრესიულ - დესპრესიულ მდგომარეობის გამოვლინებას იწვევს);

– ყველაფრის უფლებისა და უპასუხისმგებლობის კონტექსტის შექმნა;

– ოპონენტის დამღუპველი გავლენის უკიდურესად მკვეთრი და ცალმხრივი დასაბუთებები.

პ. კ. პოტაპოვა და ლ. რ. კომალოვა აღნიშნავენ, რომ მსგავსი სტრუქტურირება შეინიშნება ასევე უცხოენოვანი ბეჭდური „მის“ ტექსტებში (ინგლისური, ესპანური, თათრული ენები). ეს კი საფუძველს იძლევა წამოვადგენოთ ჰიპოთეზა ტექსტების

სტრუქტურის უნივერსალური ხასიათის შესახებ, რომელთა შინაარსში არსებობს აგრესიის ემოციური მდგომარეობის მრავალდონიანი სემანტიკური ინდიკატორები.

3.6. სასაქონლო ნიშნის შინაარსის დამაზუსტებელი ექსპერტიზები

ექსპერტიზის ეს სახეობა უკავშირდება დოკუმენტებს. როგორც ცნობილია, დოკუმენტები საქმიანი ურთიერთობების ძირითადი საშუალებებია. საქმიანი ქაღალდების (დოკუმენტების) მრავალგვარობიდან გამომდინარე, დოკუმენტების ექსპერტიზები მრავალფეროვანია, თუმცა ტიპოლოგიურად ორი სახისაა:

- სასაქონლო ნიშნის დამაზუსტებელი;
- იმის მამტიკივბელი, რომ მოცემული სასაქონლო ნიშნის სახელწოდება არ წარმოადგენს საქონლის თვისებას.

სასაქონლო ნიშნის დაზუსტების დროს მხედველობაში იღებენ შემდეგ დოკუმენტებს:

- ... (ГОСТ), სადაც ფიქსირდება სასაქონლო ნიშანი;
- სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ნაწარმოებები;
- პოპულარული ნაწარმოებები (მაგალითად,... „სამზარეულო წიგნი“);
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები;
- მხატვრული ლიტერატურა;
- საცნობარო ლიტერატურა (ლექსიკონები, ცნობარები);
- გაზეთები, ჟურნალები, პროკლამაციები, სამახსოვროები და ა. შ.;
- რადიო, ტელევიზია;
- ხელოვნების ნაწარმოებები და სხვა.

ზოგჯერ ცალკეული ფორმების (ფაბრიკა-ქარხნების) ხელმძღვანელები სასამართლოს მიმართავენ მათი სასაქონ-

ლო ნიშნის მოპარვის თაობაზე.. მაგალითად, შეიძლება დასახელდეს ერთ-ერთი სამედიცინო ფაბრიკის მიერ პრეპარატ „**ბიოპროსტის**“ გამოშვების ფაქტი, რომელიც ძალიან ჰგავს თანახმიანობით პრეპარატ „**ვიტაპროსტს**“, თუმცა თვისებებით სრულიად განსხვავებული იყო, სრულიად სხვა თერაპევტული ეფექტი ჰქონდა. ელემენტები „**ბიო**“ (ბერძნული - „სიცოცხლე“) და „**ვიტა**“ (ლათინური „სიცოცხლე“) ერთსა და იმავეს გამოხატავდნენ. „**nrost**“ ელემენტის შემცველი მედიკამენტები კი საკმაოდ ბევრია, მაგალითად: „**Artoprostadil**“, „**Aniprost**“, „**Биопrosteid**“, „**Dinoprost**“, „**Iloprost**“ და სხვა (Наумов А. П. Информационный поиск в АС „Товарные знаки РФ“, М., 2001). ამ პრეპარატებს სხვადასხვა დანიშნულება და თერაპევტული ეფექტი აქვთ.

● ხმის ჩანაწერების უზუსტობები

არც თუ იშვიათად სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ხმის ჩაწერის დროს უამრავ ისეთ შეცდომას უშვებენ, რომლებიც გავლენას ახდენენ ექსპერტიზის ხარისხზედაც და მთლიანად სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციული საქმის წარმოებაზეც. ყველაზე მთავარი კი ამ შემთხვევაში ის არის, რომ შენიშნება ფიგურანტების მეტყველების აზრის შეცვლა. ხმის ჩანაწერებში მოვლენაა ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, შეცდომები, პარაზიტი ბგერათკომპლექსების და ბგერების უგულებელყოფა (მაგალითად, ისეთების, როგორებიც არის: „ესე იგი...“, „ააუ...“, „ისაა...“, „ააა...“, „ჰმ...“ და სხვა), რაც შესაძლოა მეყველებდეს მეტყველების მოუშზადებლობაზე, არ არის მითითებები პაუზების ხანგრძლივობაზე, წინადადებების ბოლოში უგულებელყოფილია ძახილის, კითხვის, კითხვა-ძახილის ნიშნები, რომლებიც, როგორც წესი, ცხადყოფენ გარკვეული ექსპრესიის, ემოციის, ინტონაციის არსებობას, რომლებიც ხელს უწყობენ ტექსტის ზუსტ გაგებას, რადგან ავლენენ მამ-

ტკიცებელ, კითხვით, წამახალისებელ კონოტაციებს. ამას გარდა, წარმოდგენას ქმნიან მოლაპარაკის ფსიქოფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე: მის დელვაზე, ექვებზე, სიცრუეზე და სხვ.

ხმისჩაწერის დროს შეცდომები უკავშირდება ხმების არასწორ ინტერპრეტირებას (მაგალითად, მიუთითებენ: „ის-მის დარტყმის ხმები“, მაგრამ არ აზუსტებენ, რისი დარტყმის, რაზე დარტყმის ხმები და სხვა); ხშირი მოვლენაა ლაკუნარულობა, ჩავარდნა ხმის ჩაწერების დროს უკავშირდება აგრეთვე ტექსტის ფრაგმენტის, გამონათქვამის ნაწილის გაუაზრებლობას (გაუგებრობას), რაც არანაირად არ დაემართება ლინგვისტ-ექსპერტს, რომელსაც ღრმა პროფესიონალური ცოდნა აქვს ენობრივი პრაქტიკის სფეროში და შესწევს ცუდადსმენადი ტექსტის გაშიფვრის უნარი.

• დოკუმენტური ექსპერტიზები

ექსპერტიზის ეს სახეობა მოიცავს დოკუმენტების ნამდვილობისა და ოფიციალური - საქმიანი სტილის წესების (ნორმირების) დაცვის პრობლემებს.

დოკუმენტების ნამდვილობა (უტყუარობა) უპირველესად რეკვიზიტებით მოწმდება: დოკუმენტის სახელწოდების, მისი გაცემის თარიღისა და საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელფოსტის, საბანკო რეკვიზიტების, ბეჭდის მიხედვით და ა. შ.

ლინგვოკრიმინალისტს მარტო სიყალბის გამოვლენა კი არ შეუძლია, არამედ რჩევის მიცემაც იმის შესახებ, როგორ შეიძლება დოკუმენტების გაყალბების გართულება (დაბრკოლების), თაღლითის ფალსიფიცირების პროვოცირების აღკვეთა და დოკუმენტოგრაფიკული ექსპერტიზის დროს მონაცემების სარწმუნოობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით შედეგისმომტანია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- პასუხისმგებელი პირების ხელმოწერების განხორციელება მელნის კალმისტრითა და ფერადი მელნით (იისფერი, ლურჯი);

- ბეჭდის დასმა ფერადი მელნით;
- ხელმოწერის ყველა ელემენტის სრული ვიზუალური აღქმის უზრუნველყოფა, თანამდებობის დასახელების, ხელმოწერის, ხელმოწერის გაშიფვრის, ბეჭდის, რაც ლანკზე არსებულებთან შესაბამისობის გამოვლენის საშუალება ხდება, ხოლო შედეგი ნამდვილობის გარანტიების დამატებაც;
- დოკუმენტების ბლანკებზე საბანკო რეკვიზიტების არარსებობა;
- „წაკითხვადი“ ხელმოწერის გამომუშავება (თუნდაც 3-5 ასოსი) (74).

დოკუმენტური ექსპერტიზის სფეროში უაღრესი მნიშვნელობის მქონე საქმიანობის ურთიერთობების ფუნქციური ენისა და სტილის საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც არც თუ იშვიათად სემანტიკის თვალსაზრისით ძირეულად სხვაობს სასაუბრო თუ კოდიფიცირებული (სალიტერატურო) ენისა და სტილის ლექსიკა-ფრაზეოლოგიისაგან. მაგალითად, ცალკეული სიტყვები, რომლებიც სახალხო (სასაუბრო) ენისა და სტილის საივრცეში სინონიმებია, სამართლის ფუნქციური ენის და სტილის სფეროში სრულიად განსხვავებულ შინაარსებს გამოხატავენ. ვთქვათ, სიტყვა **ავანსი** ვერ იქნება «ბეს» სინონიმი, რადგან «ბე» ყიდვა-გაყიდვის (ნასყიდობის) დოკუმენტებში გადახდილი თანხის ნაწილად ითვლება და დაბრუნებას არ ექვემდებარება, ხოლო ავანსი უკან ბრუნდება. ამ გარემოებას არაკეთილსინდისიერი **რიელტორები** ბინების გაყიდვის დროს იყენებენ და საწინდარის (წინდის, «ბეს») შინაარსს სათავისოდ განმარტავენ.

არც თუ იშვიათად მოსამართლეები უგულებელყოფენ ოფიციალურ-საქმიანი ენისა და სტილის ცოდნას, რასაც შეუძლია არასწორი განაჩენის გამოტანის პროვოცირება.

მაგალითისათვის ინტერესმოკლებული არ იქმნება ლინგვოკრიმინალისტიკაში ცნობილი (ქრესტომათიული) ფაქტის მოყვანა.

ადვოკატმა ლინგვისტ-ექსპერტებს საანალიზოდ წარუდგინა შემდეგი საკითხები:

1. შეესაბამება თუ არა ხელნაწერი ტექსტი სესხის შესახებ ხელმოწერილის ჟანრის მოთხოვნებს ფულადი ვალის დაბრუნების თაობაზე?

2. შეიძლება თუ არა სესხების ხელშეკრულების ხელნაწერი ტექსტის ინტერპრეტირება როგორც მისი აღმსრულებელი პირის მასხრობის, ტრაზახის, ირონიის გამოხატულება?

▪ **ლინგვისტიკური ექსპერტიზის ჩატარების ადგილი:**
- ნიჟეგოროდის რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია “ლინგვისტიკური საექსპერტო-საკონსულტაციო ცენტრი” (ნ. ნოვგოროდი, პისკუროვის ქ., სახლი 20-ა, ბ. 27).

▪ **გამოკვლევის მასალა:** 2005 წლის 14 დეკემბრის სესხების ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ მსესხებელი ნ. პ. გლეზოვა და სესხის გამცემი ა. გ. შუკოვი და რომელიც დამოწმებულია ნოტარიუს ლ. ლ. ქსენოფონტოვას მიერ. დოკუმენტის ასლი შეიცავს ხელშეკრულების ტექსტის ბოლოს დართულ ჩანართს, რომელიც გაკეთებულია 2006 წლის 7 თებერვალს და ხელმოწერილია “შუკოვი”:

1. მე, ამდრეი შუკოვი, ვამტკიცებ, რომ მოცემული ხელშეკრულება არ არის ნამდვილი (недействительный), მოქ. ნ. პ. გლეზოვასადმი არანაირი მატერიალურ-ფულადი პრეტენზიები არ მაქვს და დავალიანებას ვაცხადებ ანულირებულად.

2. ნ. პ. გლეზოვას მართებს ჩემი - ა. გ. შუკოვის 0 რუბლი და 0 კაპიკი (ნული რუბლი და ნული კაპიკი) ორიათას ოთხმოცდაცხრამეტი წლის 31 დეკემბერამდე. ერთვის ა. გ. შუკოვის საპასპორტო მონაცემები, თარიღი და ხელმოწერა.

• დასკვნის შესავალი ნაწილი

ქვემოთ წარმოდგენილია დასკვნაში გამოყენებული და გამოკვლევის საგანთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინების განმარტებები.

ხელწერილი წარმოადგენს ოფიციალური-საქმიანი სტილის ჟანრს, რომელსაც ახასიათებს:

1. ემსახურება სამართლებრივ და ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროებს; გამოიყენება დოკუმენტების, საქმიანი ქაღალდებისა და წერილების შესადგენად სახელმწიფო დაწესებულებებში, სასამართლოში, ასევე ზეპირსიტყვიერ საქმიან ურთიერთობებში;

2. ოფიციალური-საქმიანი სტილი სხვა წიგნიერ სტილებთან შედარებით მყარი და ჩაკეტილია;

3. ოფიციალურ-საქმიან სტილს ახასიათებს ფორმის აუცილებლობა, ფორმულირებების სიზუსტე და შეკუმშულობა;

4. ოფიციალური-საქმიანი სტილის ტექსტებისათვის უცხოა ემოციურ-ექსპრესიული სიტყვები, ასევე არანორმირებული ლექსემები (საერთო საყოფიერო სიტყვები, ჟარგონიზმები, არგორიზმები, ტერიტორიული დიალექტიზმები);

5. ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტებში არასასურველია პოლისემანტიკური სიტყვების გამოყენება, მკაცრად გამოკვეთილი კონკრეტული მნიშვნელობით და განსაზღვრულ კონტექსტში;

6. ოფიციალური-საქმიანი სტილისათვის დამახასიათებელია სიზუსტე, რაც გამორიცხავს სხვადასხვა განმარტებების შესაძლებლობას;

7. ოფიციალურ-საქმიანი სტილის სფეროში გამოიყენება სპეციფიკური ლექსიკა (მაგალითად: ქვემოთ, ზემოაღნიშნული, ქვემოთ ხელის მომწერი, წარმოადგინონ, იუწყება და ა. შ.);

8. დოკუმენტების ენას ახასიათებს სინტაქსური თავისებურებებიც. მაგალითად, თანდებულიანი შესიტყვებები გარკვეულ ბრუნვაში (ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ), უპირო წინადადებები (აუცილებელია საკითხის გადაწყვეტა), რთული ქვეწყობილი წინადადებები მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებული წინადადებებით, მაკავშირებელი კავშირებით: ასე რომ; იმის გამო, რომ; იმის შედეგად, რომ; ამის შედეგად;

გად; მისთვის უმთავრესად დამახასიათებელია სიტყვათა პირდაპირი რიგი;

9. ოფიციალურ-საქმიან სტილში სუსტად ვლინდება ავტორის ინდივიდუალურობა.

ოფიციალური - საქმიანი სტილის ერთი გავრცელებული ჟანრია ხელწერილი. ეს დოკუმენტი ადასტურებს რაიმეს მიღებას, გაცემას, გადაცემას. ხელნაწერის ტექსტის კომპოზიცია შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: დოკუმენტის დასახელება; დოკუმენტის ავტორის (მისი, ვინც გასცა დოკუმენტი) გვარი, სახელი, თანამდებობა; რაიმეს გამცემი ორგანიზაციის (ან პირის) სახელწოდება; თუ ხელწერილი გაიცემა პიროვნებაზე, მაშინ მიეთითება ამ პირის გვარი, სახელი, თანამდებობა; გადასაცემის ზუსტი სახელწოდება - რაოდენობა მიეთითება სიტყვიერდაც და ციფრობრივადაც; მიმღების ხელმოწერა, თარიღი; თუ ხელწერილი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, მაშინ მისი გამცემი პირის ხელმოწერა მტკიცდება ორგანიზაციაში ან ნოტარიუსთან.

ოფიციალური - საქმიანი სტილის ტექსტებში აბსოლუტურად მიუღებელია ტრაბახის, ირონიის, ხუმრობის გამომხატველი სიტყვები, რადგან ამგვარი სიტყვები ოფიციალურ-საქმიანი სტილის ტექსტს უკარგავენ კვალიფიცირებულობას.

1. ირონია - ფარული, შენიღბული მწარე დაცინვა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986, გვ. 251);

2. ტრაბახი - თავისქება, - ბაქიაობა, კვეხნა. ტრაბახი უგვანი კაცის საქმე (გვ. 421);

3. ხუმრობა - არასერიოზულად ამბობს ან მოქმედებს (გვ. 584).

• დასკვნის კვლევითი ნაწილი

მტკიცება გამოყენებულია არაზუსტად, რუსულ ნორმირებულ ენაში ამ სიტყვას შემდეგი მნიშვნელობა აქვს:

1. მყარად გამაგრება რისამე, დადგენა რაიმესი;

2. დაჟინებით ლაპარაკი, დასაბუთება რისამე.

სიტყვათშეთანხმება “ხელშეკრულება ბათილად ჩაითვალოს უსაფუძვლოდ” არალეგიტიმურია, რადგან ა. გ. შუკოვს არა აქვს მოცემული დოკუმენტის დამტკიცების უფლება: ძალადაკარგულად მისი გამოცხადება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს რაიმე მიზეზით (მაგალითად, თუ ხელშეკრულება ნოტარიუსის მიერ არასწორადაა შედგენილი, ასევე ერთ-ერთი მხარის არაქმედითუნარიანობის მიზეზით და სხვ.). რაიმე ხელშეკრულების ძალადაკარგულად მტკიცება ა. გ. შუკინს არ შეეძლო: გამოდის, რომ თანამდებობრივად ა. გ. შუკინი ნოტარიუსზე მაღლა იდგა? სიტყვა **მტკიცებას** ნაცვლად უნდა გამოყენებული ყოფილიყო ზმნა **ჩათვლა**. ამგვარად, ხელშეკრულების ტექსტზე მიწერილი ფრაგმენტი არ შეიძლება განიმარტოს ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად სამართლებრივი თვალსაზრისით და არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურად დადებული ხელშეკრულების სრულფასოვან ნაწილად.

მოცემულ ტექსტში (ხელშეკრულებაზე მიწერილ ფრაგმენტში) არაა ფრაზა ნ. პ. გლებოვას მიერ ა. გ. შუკოვისათვის კონკრეტული ვალის დაბრუნების შესახებ, რაც ასევე ეწინააღმდეგება ხელწერილის ჟანრს ოფიციალური-საქმიანის სტილის ფარგლებში. ამასთან ა. გ. შუკოვის ხელნაწერ ტექსტში არაა მითითებული ვალის დაბრუნების ადგილი, მაშინ, როდესაც 2005 წლის 14 დეკემბრის ნასესხობის ხელშეკრულების თანახმად, ა. გ. შუკოვს ნ. პ. გლებოვასთან ფული (ვალი) უნდა მიეღო ქ. ნიჟნი ნოვგოროდში (იხ. აღნიშნული ნასესხობის ხელშეკრულების მეოთხე პუნქტი: “ფულის დაბრუნება უნდა მოხდეს ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში”).

ხელშეკრულების ხელნაწერ ტექსტში არაა მითითება ნ. პ. გლებოვას მიერ კონკრეტული სესხის დაფარვაზე. ფრაზის ბუნდოვანება აშკარაა სტრიქონში **“არ გამაჩნია მოქ. ნ. პ. გლებოვასადმი არანაირი მატერიალურ-ფულადი პრეტენ-**

ზია”. რადგან დასახელება “მატერიალურ-ფულადი” აღნიშნავს არა მარტო ფულს, არამედ ა. გ. შუკოვისა და ნ. პ. გლეზოვას რაღაც საერთო ქონებასაც. სიტყვა **დავალიანება** ასევე არ არის დაკავშირებული ნ. პ. გლეზოვას ა. გ. შუკინისადმი კონკრეტულ ვალთან, არ არის აღნიშნული ვალის თანხა, მისი დაბრუნების თარიღი და ადგილი.

ტექნიკური თვალსაზრისით ხელწერილი გაფორმებული ცალკე ფურცელზე უნდა იყოს და არ უნდა იყოს დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ტექსტებთან.

ხელწერილის ჟანრისათვის დამახასიათებელია სიმკაცრე, სიზუსტე, ერთმნიშვნელოვნება; დაუშვებელია ხუმრობები, ორაზროვნება, რაც შეინიშნება ფრაზაში “ნატალია პეტროვნა გლეზოვას მართებს ჩემი - ანდრეი გრიგორიევიჩ შუკოვისა - ნული მანეთი და ნული კაპიკი ორი ათას ოთხმოცდაცხრამეტი წლის 31 დეკემბრამდე”.

3. ა. გ. შუკოვის ხელნაწერი ტექსტის შეუსაბამობა ხელწერილის ჟანრის მოთხოვნებთან იმის მტკიცების საფუძველს იძლევა, რომ მოცემული ტექსტი შეიძლება მოწმობდეს ან რაიმე მასხრობის, ან ტრაზახს ერთდროულად ერთის და მეორის შესახებ.

სიტყვათშეთანხმება “მოცემულ ხელშეკრულებას ბათილად ვაცხადებ” მოწმობს რაღაც ყოყორობას: “აი, რა გმირი ვარ. ჩემი შეხედულებით ნოტარიუსსა და კანონზე ზევითაც შემიძლია დავდგე!” ეჭვს გარეშეა, რომ ა. გ. შუკოვს ესმოდა, რომ ხელშეკრულების გამოცხადება ძალადაკარგულად გამოცხადება მას არ შეეძლო და რომ ეს მის კომპეტენციაში არ იყო.

ფრაზა “ნატალია პეტროვნა გლეზოვას მართებს ჩემი - ალექსეი გრიგორიევიჩ შუკოვის - 0 რუბ. 0 კაპ. (ნული რუბლი და ნული კაპიკი) 2099 წლის 31 დეკემბრამდე (ორი ათას ოთხმოცდაცხრამეტი წლის ოცდათერთმეტ დეკემბრამდე)” უნდა განიხილოს როგორც **აშკარა მასხრობა**. ადამიანს არ შეიძლება ვალად დაედოს 0 რუბლი და 0 კაპიკი, როგორც

ეს მითითებულია ხელნაწერ ტექსტში, მით უფრო 2099 წ. 31 დეკემბრამდე, ხოლო ამ თარიღის შემდეგ მას ისევ ექნება ა. გ. შუკოვის ვალი - რაღაც თანხა? მაგრამ რა თანხა? ამის შესახებ ცნობები ხელნაწერ ტექსტში არ არის.

ზემოაღნიშნულის შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ ნასესხობის ხელშეკრულების ხელნაწერი ფრაგმენტი უნდა განიხილებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ყოყლოჩინობად და ხუმრობად.

● დასკვნები:

1. ხელნაწერი ტექსტი 2005 წლის 14 დეკემბრის ნესესხობის ხელშეკრულების შესახებ არ შეესაბამება ხელწერილის ჟანრის მოთხოვნებს ფულადი ვალის დაბრუნების შესახებ;

2. 2005 წლის 14 დეკემბრის ნასესხობის ხელშეკრულების ხელნაწერი ტექსტი ინტერპრეტირება შესაძლებელია როგორც მისი დამწერი პირის ყოყლოჩობისა და ხუმრობის ფაქტისა.

დოკუმენტაციური ექსპერტიზები შესაძლოა სრულიად სხვადასხვა სახის იყოს.

3.7. სამეტყველო აგრესია ინტერნეტ-კომუნიკაციებში

თანამედროვე საქართველოში “საქსტატის” მონაცემებით 2018 წელს ინტერნეტი სახლში მოსახლეობის 69,5%-ს ჰქონდა. ინტერნეტით უზრუნველყოფილი ყველაზე მეტად თბილისის მოსახლეობა იყო (85,5%), შემდეგ იყო აჭარა (80,3%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (66%). ეს ინფორმაცია ეკუთვნის Forbes-ის ქართულ გამოცემას, რომელიც წყაროდ საქსტატს ასახელებს. ამავე წყაროს მიხედვით ინტერნეტს მოსახლეობის 92,4% სოციალური ქსელებისათვის იყენებს, მაღალია ინლაინ ახალი ამბების კითხვის პროცენტული მაჩვენებელიც (52, 5%). ინტერნეტს ელექტრონული ფოსტით სარგებლობისათვის 51% იყენებს.

ინტერნეტს სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით ყველაზე აქტიურად 15-29 წლის ასაკის ადამიანები იყენებენ (95,7%), შემდეგ მოდიან 30-59 წწ. ასაკისანი (89, 7%); 60 წელს ზევით - 70,8%.

ამჟამად საქართველოში ინტერნეტსივრცეში ფუნქციონირებს შემდეგი ინტერნეტპლატფორმები: Facebook, Viber, Instagram, WhatsApp, Messenger, Amazon.com, Bay, AliExpress...

ინტერნეტ-შეტყობინება ხარისხობრივად შეიცვალა, შეიცვალა მისი ისეთი თვისება, როგორიცაა ანონიმურობა. ადრე ანონიმურობა ინტერნეტში პრინციპული მახასიათებელი იყო, ახლა ასე აღარაა, იგი არჩევითი პოზიცია გახდა

თანამედროვე სამყაროში ინტერნეტში ურთიერთობის ქსელური რესურსები სოციალიზაციის ინსტიტუტად არის გადაქცეული. იგი ახანგრძლივებს მოზარდთა ურთიერთობას, მათ შორის პროტესტზე დამყარებულ აგრესიული ქცევისას. მაგალითად, რუსეთის მოსწავლეების სამეტყველო აგრესია ინტერნეტკომუნიკაციებში გამოავლინეს მოსწავლეთა მეტყველებაში აგრესიის გამოხატვის საშუალებები. გამოვლინდა შედარებით პოპულარული ჟანრები. სამეტყველო აგრესიას მიაკუთვნეს ე. წ. ინვექტიური სამეტყველო ჟანრები:

- შეურაცხყოფები;
- მუქარები;
- დაცინვები;
- საყვედურები.

ინვექტიური სამეტყველო ჟანრების კომუნიკაციური მიზანია «თანამოსაუბრის» კალაპოტიდან ამოგდება (წონასწორობიდან გამოყვანა), კონკრეტული ადამიანის დისკრედიტირება, მისთვის მორალური და ემოციურ-ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება. ამასთან ფუნქციური ინვექტიური მახასიათებლები ქსელურ ურთიერთობებში შეიძლება გამოიყენებოდეს ადრესატის სოციალური სტატუსის დასამცირებლად, პათოლოგიური ბილწსიტყვაობისათვის, სამეტყველო აგრე-

სიის პროვოცირებისათვის, ასევე წაქეზებისა და ყურადღების მიქცევისათვის.

გარკვეულია: გოგოებიცა და ბიჭებიც სამეტყველო აგრესიის გამოხატვის ერთიან საშუალებებს იყენებენ. თუმცა ბიჭები უფრო მიდრეკილნი არიან მეტყველებაში მუქარის გამოყენებისაკენ, ჩვეულებრივ გამოიყენებენ იმპერატივს ან მოუთითებენ კონკრეტულ მოქმედებაზე, რომელიც შეიძლება შეასრულოს ადრესანტმა. გოგოები, თავის მხრივ, უფრო ძაბილისა და კითხვის ნიშნებს, **ემოტიკონს** გამოიყენებენ.

უშუალოდ ინვექტიურ ლექსიკას, რომლებსაც კომუნიკანტები ინტერნეტ-ურთიერთობებში გამოიყენებენ, მიეკუთვნება:

- ანტისაზოგადოებრივი სოციალურად გასაკიცხი საქმიანობის ამსახველი სიტყვები;
- მკაფიონეგატიური შეფერილობის ლექსიკა;
- ზოოსემანტიკური მეტაფორები;
- გასაკიცხი მნიშვნელობის ზმნები;
- ექსპრესიულ-ნეგატიური ლექსიკა, რომელიც პიროვნებას აფასებს;
- ევფემიზმები.

სოციალური ქსელები მომხმარებლებს პრაქტიკულად თვითგამოხატვის აბსოლუტურ თავისებურებას ანიჭებენ, აუქმებენ კომუნიკაციურ შეზღუდვებს, რომლებსაც რეალურ კომუნიკაციებში წარმოადგენენ. სოციალური ქსელები, როგორც სოციალიზაციის გარემო, თავის გავლენას ინტერნეტ-მსოფლიო ურთიერთობის ნორმებზედაც ავრცელებენ. ამასთან დაკავშირებით აქტუალური ხდება ავტომატიზებული სისტემა-ფილტრების დამუშავება, რომლებიც გამოავლენენ და დაანორმატივებენ სამეტყველო აგრესიულ ქცევას სოციალურ ქსელებში.

მაგ. H. E. Маслова-მ შეისწავლა სოციალურ ქსელებში აგრესიის ექსპლიკაციის ვერბალური საშუალებების თავისებურებები აგრესიის ვერბალური მარკერების გამოვლენის

მიზნით ზრდილობის ჩარჩოების გადაცდენების შემთხვევების აღმოჩენებისა და აღკვეთების ავტომატიზებული სისტემების შესაქმნელად. მასალად გამოიყენა რუსულენოვანი მომხმარებლების მიერ ბლოგოსფეროში გამოვლენილი აგრესიის ვერბალიზება ხელისუფლების წარმომადგენლებთან მიმართებაში. ამ ავტორმა განიხილა ის ენობრივი დონეები, რომლებიც საძიებელი მარკერების გამოვლენის საშუალებას იძლევიან.

მორფოლოგიურ ინსტრუმენტებს განეკუთვნებიან: 1. უარყოფითი შეფერილობის მყარი სიტყვამაწარმოებელი მოდელების გამოყენება. მაგალითად, ჩნდება ისეთი სიტყვები, როგორიცაა: *толерастия, жидократия, толпоэлитаризм*. წარმოქმნილი **სიტყვა-ჰიბრიდები** შეიცავენ ნეიტრალურ კომპონენტს, რომელიც დაკავშირებული კომპონენტის მიხედვით ან დადებით ან უარყოფით შეფერილობას იძენს. ამგვარი სიტყვები ფორმალურად არ არღვევენ ეტიკეტის ნორმებს (წესებს), რაც ქმნის სირთულეს ავტომატიზებული საშუალებების მეშვეობით მათს პოვნაში.

ლექსიკურ დონეზე აგრესიის ვერბალურ მარკერებად გამოდიან სიტყვები, რომელთაც ფიქსირებული ემოციური შეფერილობა აქვთ (შტამპები, ფრაზეოლოგიზმები, თიკუნები, გამოცვლითი სახელები), სიტყვა - «ქამელეონები» და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამომხატველი სიტყვები.

ფიქსირებული ემოციური შეფერილობის სიტყვების ავტომატური ძიება შესაძლებელია ალგორითმების ფორმულებით, სემანტიკური ველების გამოყენებით, მაგრამ ამოცანა არსებითად რთულდება ზედმეტსახელებთან მიმართებაში.

- **სიტყვა “ქამელეონებს”** უწოდებენ ისეთებს, რომელთა მნიშვნელობებშიც მხოლოდ ერთს ან რამდენიმე “მეს” აქვს ნეგატიური შეფერილობა.

სამეტყველო აგრესიის ძიების ფორმალიზაციის კიდევ უფრო რთულ შემთხვევას გვიჩვენებენ სიტყვები, რომლებიც

მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე მიუთითებენ. ისინი აგრესიის ვერბალური მარკერები იმ პირობით იქნებიან, თუ მათ მიერ აღწერილ მოვლენებს ნეგატიური შეფერილობა ექნებათ. ეროვნულობის აღმწერ სიტყვებში მარკერებს წარმოადგენენ ისეთი სტერეოტიპები, როგორიცაა: еврей-жадный до денег и власти; немец – враг, шпион, предатель; американец – враг, шпион; таджик – гастербаитер; кавказец – мафиози.

სინტაქსურ დონეს აგრესიის ვერბალური ექსპიკაციის შემდეგი ინსტრუმენტები აქვს:

- პუნქტუაცია;
- დამამცირებელი შეფერილობის შემცველი მიმართვა, რომელიც არღვევს კომუნიკანტების თანასწორობის პრინციპს;
- სარკაზმნარევი რიტორიკული შეკითხვა;
- რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, როდესაც მოლაპარაკის პოზიციის გამომხატველი სიტყვები, «წინააღმდეგობით» გამონათქვამის შინაარსის საპირისპიროა (მაგ. ჩემდა სამწუხაროდ, დემოკრატია დამკვიდრდა);
- უპირო ერთსიტყვიანი ძახილის წინადადებები (სიკვდილი! საშინელება! საზიზღოება!);
- ნაცვალსახელები “თქვენი/ჩვენი/თავისი” (მერმე შენ მოდიხარ შენი სულელური აზრებით)

სინტაქსური მარკერები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამეტყველო აგრესიის პოტენციურად შესაძლო გამოვლენაზე მიმთითებელი საშუალებები.

როგორც ნებისმიერი კომუნიკაცია, ინტერნეტსივრცეშიც ურთიერთობა საჭიროებს სამეტყველო ურთიერთობის ნორმათა დაცვას როგორც განთავსებული მასალების ავტორთაგან, ასევე მკითხველთა მხრიდან, რომლებიც გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს წაკითხულთან დაკავშირებით. ელექტრონული “მის” ამ ამოცანას წყვეტენ სამეტყველო ქცევის ნორმების აღწერილობის შემცველი მიმართების გამოქ-

ვეყნებით, რასაც, როგორც წესი, კომენტარების ავტორები არ იცავენ. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება კომენტატორების შემადგენლობის გაფართოებით დაბალი განათლების და მცირეწიგნიერი მოქალაქეების ხარჯზე (75, 87). ანონიმად დარჩენის შესაძლებლობა ავტორს იმის თქმის უფლებას აძლევს, რასაც იგი უშუალო ურთიერთობის შემთხვევაში დაფარავდა.

მაგალითად პორტალ mail.ru ინტერნეტ-კომენტარების მასალის კვლევებით, რაც სამეცნიერო აგრესიის დემონსტრირებას შეიცავს. აგრესიის ადრესატებად გამოდიან შემდეგი სუბიექტები:

- კომენტირებული მასალების ავტორი ჟურნალისტები;
- კომენტირებული მასალების გმირები (პერსონაჟები), პოლიტიკური მოღვაწენი, ჩინოვნიკები (კომენტატორები უშუალოდ მიმართავენ გამოხმაურების გამომწვევი პუბლიკაციების გმირებს;
- ინტერნეტ-კომუნიკანტები - მკითხველები, რომლებმაც დატოვეს (გააკეთეს) თავიანთი კომენტარები;
- სხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები (ტერიტორიული განლაგებით, სოციალური სტატუსით, ეროვნული ნიშნით და სხვა);
- კომენტარების ანალიზმა ცხადყო, რომ სამეცნიერო აგრესია ავლენს ოპოზიციას “თავისიანი - სხვისიანი”: ისინი, ვისი აზრიც ემთხვევა კომენტატორის აზრს, მოიაზრებიან თავისიანებად, ხოლო ისინი, ვისი აზრიც განსხვავებულია კომენტატორის აზრისაგან, ერთმნიშვნელოვნად აღიქმებიან სხვისიანებად და სამეცნიერო აგრესიას იწვევენ. საინტერესოა, რომ ბევრი ინტერნეტკომენტატორი ვერც კი იცნობიერებს თავის აგრესიულობას. მიუხედავად ამისა, არსებობენ ადამიანები, რომელთაც ძალუძთ რეფლექტურად გამოხატონ თავისი განცდები, სხვა სუბიექტებზე აგრესიის გადაუტანად, სამეცნიერო აგრესია ინტერნეტ-კომენტარებში ვერბალურ-

რად, შესაძლოა, სხვადასხვა ხერხით განხორციელდეს, თუმცა ზოგიერთი მაინც გამოირჩევა:

- “შენ” ნომინაციის გამოყენება მიმართვისას (გესმის?!) აღიქმევა როგორც უპატივცემულობა, თავხედური (უტი-ფარი) და არა რჩება შეუმჩნეველი, ამასთან “შენ”-კომენტარი ადრესატს მონიშნავს როგორც “სხვისიანს”.

- ადრესატის ტექსტსტიმულის ავტორის ნეგატიური ნომინაციის პერსონაჟის (чмочник этот Шеплев!!!) შემთხვევაში ყველაზე ხშირად გამოიყენება უხეში ლექსიკა, მდაბიორული სიტყვები ჟარგონები და ნეოლოგიზმები;

- მდაბიორული ნეგატიური შეფერილობის ლექსიკის აქტიურ გამოყენებას თან ახლავს ავტომატური მოდერაციის გვერდის ავლის ხრიკები, როდესაც შეტყობინებათა ავტორები უცენზურო ლექსიკის ჩასანერგად ამოდიფიცირებენ მას, ამა თუ იმ გრაფემების მოცილებით, შეცვლით ან დამატებით, პუნქტუაციის ნიშნების გამოყენებით, ლათინური ასოების გამოყენებით;

- კომუნიკანტები აქტიურად გამოიყენებენ შემფასებლურ გამონათქვამებს, აღსაწერი მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირისგამომავლინებელგანსჯებს.ამასთანკომენტატორების “ყველა რეცეპტი” დესტრუქციული ხასიათისაა. ეს იწვევს ფარული მუქარის/გაფრთხილების იმპერატიული ჟანრების აქტიურ გამოყენებას, აქტიური მოქმედებისაკენ პირდაპირ მოწოდებებს. ყველაზე ხშირია სადამსჯელო ღონისძიებებისაკენ მოწოდება.

- კომენტატორს გენერალიზაციის შეცვლის შემთხვევაში შეუძლია სრულიად გადაუხვიოს ტექსტ-სტიმულის თემას და ისაუბროს თავი პრობლემებზე ან გამოხატოს თავისი მდგომარეობა (როგორ ვიტან ამ სახელმწიფოს და როგორ მეზიზღება ეს ქვეყანა).

კომენტარების მსგავსი აგრესიული სტილი სხვა კომუნიკანტების აგრესიას იწვევს. კომენტარების საერთო ნეგატი-

ური კრიტიკული პათოსი, რაც ერთი მხრივ, რუსეთში სოციალური დაძაბულობის არსებობას, ტოლერანტობის არარსებობას, ეროვნებათშორის მიუღებლობას ცხადყოფს, მეორე მხრივ, განაპირობებს ადრესატის სამყაროს სურათის (ხატის) ცვლილებას, ნეგატიურად ზემოქმედებს კომუნიკაციური საქციელის სტრატეგიებზე, იწვევს საპასუხო სამეტყველო აგრესიას (75. 81).

ამჟამად ინტერნეტ-კომუნიკაციაში ფართოდ არის გავრცელებული ისეთი მოვლენა, როგორიცაა **ტროლინგი** (სიტყვა-სიტყვით თევზის ჭერა ანკესით - ინგლ.) და მისი ნაირსახეობები. ზოგიერთ ინტერნეტ-შეტყობინებებში ასეთი სამეტყველო აგრესიული საქციელი ნორმის ხასიათს ატარებს.

ტროლინგი შეიძლება განვიხილოთ როგორც **კიბერბულინგის** (Gyber bulling) ნაირსახეობა (კიბერბულინგი - ვირტუალური ტერორი – ინგ-დან: ბუსს - “ხარი”. - აგრესიულად თავდასხმა, ბოდვის, პროვოცირების, ტერორიზების, დევნის მნიშვნელობით. ესაა თავდასხმები ფსიქოლოგიური ზიანის მისაყენებლად, რომლებიც ელფოსტის მეშვეობით, მყისიერი შეტყობინებების სერვისებით, ჩატებით, სოციალური კავშირით ხორციელდება. ამგვარი მრავალჯერი აგრესიული ქცევა ემყარება ხელისუფლების დისბალანსს (ფიზიკურ ძალას). თავიდან ტერმინი trolling for newbies აღნიშნავდა “ახალბედების წვრთნას”. სიტყვა ტროლის პოპულარიზაცია ნეგატიური კონოტაციით მოხდა 2011 წელს, პატიმართა ტრაგიკული შემთხვევების შემდეგ, როდესაც მომხმარებელმა, სახელად „Anonymous“ უღირსი შეტყობინებებით შეუტია გარდაცვლილი ადამიანების მემორიალურ ფურცლებს. შემდგომში, მომხმარებელმა თავიანთი აგრესიულობის მიმართულების გადასაცემად ტროლები დაირქვეს (76, 187-188).

ტროლინგის სამეტყველო ჟანრის აქტიურად გამოყენება დაიწყო არა მხოლოდ პიროვნებათშორის კომუნიკაციებში, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებით საზოგად-

დობრივი აზრის ფორმირებისა და საქონლის ან მომსახურების შესახებ გარკვეული წარმოდგენის ლობირებისათვის. ამ მიზნით ვირტუალურ საზოგადოებაში ტარდება კამათები მათთან, ვინც წინააღმდეგია და ახდენს საზოგადოების დამოკიდებულების იმიტაციას იმის შესახებ, რაც ხდება. ტროლინგის ჟანრი კომუნიკაციის დევიანტური ტიპის პოზიციიდან, რომელიც მიმდინარეობს ინტერნეტ-კომუნიკაციის დიალოგურ ფორმატებში: ინტერნეტ-ფორუმებში, ბლოგებში, სოციალურ ქსელებში.

დევიანტურ კომუნიკაციაში იგულისხმება საქციელი, რომელიც გადახრილია (დაცილებულია) კომუნიკაციური ქცევის საყოველთაოდ აღიარებული ნორმისაგან, არღვევს ამ ნორმებს და იწვევს შესაბამისი რეაგირების საჭიროებას კომუნიკაციური აქტის დანარჩენი მონაწილეების მხრიდან (77, 163).

ტროლინგს და მის შესაბამის ტაქტებს (“ფუდი” ინგ. flood- წყალდიდობა, “ფლეიმი” ინგ. flame- ალი, “ოფტოპი” ინგ. off topic – თემის გარეთ) დევიანტურ კომუნიკაციურ ქცევას მიაკუთვნებენ, რომელიც ინტერნეტის მომხმარებელთა მიერ რეალიზდება პროვოკაციური ხასიათის ტექსტების განთავსებით. ამგვარი საქციელის მიზანია კომუნიკაციის პროცესის დარღვევა და კომუნიკაციის სხვა მონაწილეთა მხრიდან რეაქციის გამოწვევა. ამგვარი ფუნქციის რეალიზების შემთხვევები არც თუ იშვიათია.

▪ **ფლუდის** ტაქტიკა ხასიათდება შეტყობინებების ნაკადის გაგზავნით, ეს შეტყობინებები არ შეიცავენ აზრობრივ დატვირთვას იმ კონტექსტებთან მიმართებაში, რომლებშიც ისინი განთავსდებიან. მსგავსი კომუნიკაციური საქციელის მოტივად გამოდის ინიცირებული ტექსტიდან ყურადღების გადატანის მიზანი, ისე გაკეთების, გამიზნულობა, რომ გადასაცემი შეტყობინება განხილვის ყველა მონაწილის ყურადღების არეში მოხვდეს. როგორც კი ინიცირებული ტექსტისადმი ინტერესი დაიკარგება და **ფლუდში** გადაიტანენ, ცარიელი შეტყობინებების ნაკადი შეწყდება.

▪ **ფლეიმის** ტაქტიკა მიმართულია კომუნიკაციის მონაწილეთა შორის კამათის გაჩაღებაზე, დისკუსიის თემის შეცვლაზე, ყურადღების გადატანა თემიდან კომუნიკანტების პიროვნებაზე. ფლეიმი წარმოადგენს კომუნიკაციურ ბრძოლას, რომლის მსვლელობაშიც გამოიკვეთება ორი ძირითადი მონაწილე. ისინი იწყებენ თავისი უპირატესობის მტკიცებას. მოწინააღმდეგენი აქტიურად გამოიყენებენ ინვექტიურ ლექსიკას, არანორმატიულ სიტყვათშემოქმედებას, არავერბალურ საშუალებებს (გამოსახულებებს, ფლემ-ანიმაციებს). ამასთან ინიცირებული შეტყობინებების ტექსტი სწრაფად კარგავს თავის აქტუალობას, კომუნიკანტების ყურადღება გადადის **დიალოგსა და პოლილოგზე**, რომლებიც კომენტარებში გადაიშლებიან.

▪ **ოფფორტის** ტაქტიკა წარმოადგენს ისეთი შეტყობინებების შეგნებულ განთავსებას, რომლებიც არ შეესაბამებიან განსახილველ თემატიკას. ეს ტაქტიკა ყველაზე ხშირად ინტერნეტ-თაღლითების მიერ გამოიყენება და კომუნიკაციის სიტუაციური უადგილობის პრინციპის დარღვევის გარდა წარმოადგენს მუქარას (ხიფათს) კომუნიკანტების ფინანსური უსაფრთხოებისათვის.

ტროლინგის აშკარა კონფრონტაციული ტაქტიკების გარდა, არსებობს ტაქტიკები, რომლებიც ინიღბებიან კოოპერაციულ კომუნიკაციურ საქციელში. მაგალითად, **ელფინგის** ტაქტიკა (ინგლ. elf-ჰლჰ). მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პროვოკაციული შეტყობინება სადღეა განზრახ დადებით გამოხმაურება. **ელფები** ინტერნეტის ქსელში კომუნიკაციასთან დაკავშირებით მოუწოდებენ პურისტული დამოკიდებულებისაკენ, რაც თავისთავად გამოდის კონფლიქტოგენურ ფაქტორად.

ამგვარად, დევიანტური კომუნიკაციის პირობებში სამეტყველო აქტის გაშლის პროცესში კომუნიკაციური ფოკუსი განხილვის საგნიდან გადაიტანება განხილვის ხასიათს ან კომუნიკანტების პიროვნებებზე, რაც ინტერნეტ-კომუნიკა-

ციის დიალოგურ ფორმატებში შეესაბამება დევიანტური კომუნიკაციის ძირითად სტრატეგიას – თანასაუბრის პროვოცირებას კონფლიქტებისათვის და როგორ შედეგზე – კომუნიკაციის საბოლოო შეწყვეტაზე (77, 172).

ნ. მ. სტროიტელევამ და ნ. ა. საბუროვამ (2014) შეისწავლეს ვირტუალური დისკურსი **ფლეიმის** ჟანრში. მათი კვლევის საგანი იყო პროვოკაციული სამეტყველო ქცევა ინგლისურენოვან IRC-ჩატებში (IRC - ინგლ. Internet Relay chat – ტრილინგის – რეტრანსლირებული ინტერნეტ-ჩატი) - გამოყენებითი დონის პროტოკოლი შეტყობინებათა გაცვლისათვის რეალურ დროში. წარმოქმნის (სთავაზობს) როგორც ჯგუფურ, ისე ურთიერთობების შესაძლებლობას. ჯგუფური ურთიერთობებისათვის მომხმარებელს შეუძლია შეტყობინების გაგზავნა მომხმარებელთა ნუსხისათვის, ამასთან სერვერს ეგზავნება ნუსხა (სია), სერვერი მისგან გამოარჩევს ცალკეულ მომხმარებლებს და შეტყობინების ასლს გადაუგზავნის თითოეულს. უფრო ეფექტურად ითვლება არხების გამოყენება. ამ შემთხვევაში შეტყობინება გადაეგზავნება უშუალოდ სერვერს, ხოლო სერვერი არხში ყველა მონაწილე მომხმარებელს უგზავნის. როგორც ჯგუფურ, ისე კერძო ურთიერთობებში შეტყობინებები კლიენტებს ეგზავნებათ უმოკლესი გზით და ხილულია მხოლოდ გამგზავნისათვის, მიმღებისა და უმოკლეს გზაში შემავალი სერვერებისათვის.

გამოკვლევის მიზანი იყო პროვოკაციური სამეტყველო ქცევის დისკურსული მახასიათებლების გამოვლენა. ფლეიმი უფრო ფატიკური სამეტყველო ჟანრებისაკენ იხრება და აქვს მკაფიოდ გამოხატული თვითრეპრეზენტაციის ფუნქცია, რაც უფრო ბევრი მონაწილე ჩაირთვება ინტერნეტ-კომუნიკაციის პროცესში ერთდროულად, მით უფრო იმატებს ფლეიმის აღმოცენების ალბათობა (78, 242).

ასეთ ჩატებში ერთ-ერთ სამეტყველო სტრატეგიას წარმოადგენს პროვოკაციის სტრატეგია. პროვოკაციული დისკურსი

მთლიანობაში ხასიათდება როგორც კონფლიქტური. აგვარი დისკურსის ძირითადი ნიშანია ადრესატში უარყოფითი ემოციური რეაქციის გამოწვევა, თვით აგრესიამდე.

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ტროლის სამეტყველო ქცევა არის ემოციური და შემფასებლური ტიპის ერთ-ერთი ზემოქმედება, რომელიც ეთანადება პიროვნებათშორის სუბიექტურ-ემოციურ ურთიერთობათა სფეროს.

ტროლის ამოცანაა თანამოსაუბრის ანკესზე წამოგება სხვადასხვა სამეტყველო ანკესების მეშვეობით: შეიყვანოს შეცდომაში, დააექვოს არსებული საქმის ვითარებაში, დაარღვიოს პარტნიორის კომუნიკაციური მოლოდინები, გამოთქვას კონფრონტაციული აზრი, თანამოსაუბრის აზრის იგნორირება, კომუნიკაციის პარტნიორისა და მისი გარემოცვის დამცირება და შეურაცხყოფა. ინგლისურენოვანი IRC-ჩატების 1500 ამონარიდის ანალიზის შედეგად გამოვლინდა მათი კლასიფიცირება სამეტყველო ტაქტიკების მიხედვით:

- დაცინვა;
- აბუჩად აგდება;
- ნეგატიური თვისებების მიწერა;
- ფაქტების იგნორირება (ტროლი ამოირჩევს ერთ-ერთ უარყოფით ფაქტს, სხვების იგნორირებას მოახდენს, თანამოსაუბრის ყურადღებას მიაქცევს ამ ფაქტს, აიძულებს მას წონასწორობის დაკარგვას);
- ტოტალური უარყოფა;
- ოპონენტების დადანაშაულება ტროლინგში;
- ხუმრობები;
- ორმაგი თამაში;
- სანდო ფაქტებისადმი აპელაცია (გულისხმობს დამატებითი ცოდნის არსებობას ტროლში განხილვის თემაზე, გამოიყენება სვლა “კონფროტაციული აზრი”);
- ქცევის მკვეთრი შეცვლა;
- მტკიცებულებების მოთხოვნა;

➤ პაუზა დიალოგში.

იმის გაგება, მიაღწია თუ არა მიზანს სამეტყველო სტრატეგიამ, შესაძლებელია პერლოკუტური ეფექტით, რომელიც ვლინდება ადრესატის საპასუხო სამეტყველო რეაქციაში ტროლის პროვოკაციაზე, სახელდობრ, პარტნიორის რეაქცია საპასუხო საყვედურის სახით. პარტნიორის დამამცირებელი მახასიათებლები ტროლინგის პერლოკუტურ წარმატებას მოწმობს.

ამგვარად, ვირტუალურ დისკურსში ტროლინგის, როგორც პროვოკაციული სამეტყველო ქცევის განმასხვავებელ ნიშნებად გამოდის შემდეგი პარამეტრები:

- ტროლინგი ხორციელდება მხოლოდ ვირტუალურ საზოგადოებებში;
- იგი ფლობს სწრაფი მეწყერისმაგვარი აგრესიის აღგზნების მექანიზმს, რომელიც მყისიერად ვრცელდება მოცემული საზოგადოების მონაწილეთა უმეტესობა;
- პოტენციურ მსხვერპლს არა აქვს კონფლიქტის ინიციატორთან ფიზიკური ან ვიზუალური კონტაქტი;
- ტროლინგი ახასიათებს სამეტყველო სტრატეგიებისა და ტაქტიკების სპეციფიკურ ნაკრებს (79, 179).

3.8. ენობრივი ექსტრემიზმის მოვლენა

ამჟამად ენობრივ ექსტრემიზმს ფაშიზმთან, შოვინიზმთან და რადიკალიზმთან აიგივებენ. სინამდვილეში ეს ყველაფერი პოლიტიკური ექსტრემიზმის გამოვლენის ფორმებია, ხოლო პოლიტიკური ექსტრემიზმი გაცილებით რთული, ვრცელი, ღრმა, მომცველობითი მოვლენაა.

ექსტრემიზმის მოვლენამ დიდი ხნის წინ იჩინა თავი. ამის მიუხედავად მკაფიოდ ეს ცნება არ არის განსაზღვრული. ამის გამო ზოგი ექსტრემისტული ტექსტების შეზღუდვა-აკრძალვის მომხრეა, ზოგნი (და არც თუ ცოტანი) ვერ ერკვევიან

ექსტრემიზმის მავნეობაში. ექსტრემიზმის ძირითად ნიშან-თვისებებად აღიარებულია:

- საჯარო მოწოდებები დიქტატურის დამყარებისაკენ, ანუ ისეთი წყობილებისა, რომელიც ხელყოფს პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებს;
- საჯარო კონსტიტუციური წყობის ან ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისაკენ მოწოდებები;
- შეიარაღებული ფორმირებების შექმნა;
- სოციალური, რასობრივი, ნაციონალური, ენობრივი, რელიგიური შუღლის გაღვივება და ამ ნიშნებით მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის განზრახულობის საჯაროდ გაცხადება;
- გერმანული ნაციონალურ-სოციალისტური და იტალიური ფაშიზმის სიმბოლიკის მეშვეობით საკუთარი მიზნების, იდეალების და განმასხვავებელი ნიშნების წარმოდგენა-გამოხატვა;
- ნაციონალურ-სოციალისტური, ფაშისტური თუ სხვა ტოტალიტარული რეჟიმების საჯარო გამართლება-მოწონება, ამგვარი რეჟიმების დანაშაულებების, მათი ლიდერებისა და პოლიტიკის გამართლება;
- საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ტერორისტილი, დივერსიული და სხვაგვარი აქტების გამოყენება, რომლებიც საზიანოა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ინფორმაცია ექსტრემისტულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ იგი აღძრავს ნაციონალურ, რასობრივ, რელიგიურ, სოციალურ შეუთავსებლობასა და მტრობას, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის (მსმენელის) შემეცნებაში ხელს უწყობს ადამიანის უარყოფითი ხატის შექმნას ნაციონალური, რასობრივი, ენობრივი, სოციალური, რელიგიური ნიშნით გამორჩეული ჯგუფისადმი მისი კუთვნილების საფუძველზე. ამასთან ამგვარი ინფორმაცია აუცილებლად მიმართული უნდა იყოს რომელიმე

პირის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ფორმირებაზე. ეს დამოკიდებულება კი უნდა ეფუძნებოდეს სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებას და არა პიროვნულ თვისებებს. ამ მიზნით ჩვეულებრივ გამორჩეულია ისეთი გამონათქვამები, რომლებიც შეიცავს:

- ცალკეულ წარმომადგენელთა ნეგატიური მახასიათებლებისა და მანკიერებების გადატანას მთელ ჯგუფზე;
- ჯგუფის ყველა წარმომადგენლისათვის თანამედროვე კულტურით ნეგატიურად შეფასებული ტრადიციების, რწმენა-წარმოდგენების, წეს-ჩვევების მიმდევრების მიწერა;
- ერთი ჯგუფის ბუნებრივი აღმატებულობის, სხვების არასრულფასოვნებისა და მანკიერებულობის მტკიცება;
- ერთი ჯგუფის მტრულად მოქმედებებისა და სახიფათო განზრახულობათა მიწერა მეორე ჯგუფისადმი;
- გარკვეული წარმომადგენლების დანაშაულისა და პასუხისმგებლობის დაკისრება მთელი ჯგუფისათვის;
- გარკვეული ჯგუფის სხვა ჯგუფისადმი იმთავითური მტრობის მიწერა;
- ერთი ჯგუფის უკიდურესი წინააღმდეგობრიობისა და შეუთავსებლობის მტკიცება სხვების ინტერესებთან;
- ერთი ჯგუფის მეორის საწინააღმდეგო საიდუმლო გეგმებისა და შეთქმულებების არსებობის მტკიცება;
- წარსულის უბედურებებისა და გაჭირვებების ახსნა გარკვეული ჯგუფების მომავალში არსებობათა და მიზანმიმართული საქმიანობით.

იურისტებისა და ლინგვისტ-ექსპერტთა მიერ ლინგვისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის პროცესში ექსტრემიზმთან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს მასობრივი კომუნიკაციის ტექსტების მიმართ წარმოიშვება საკითხების ფორმულირების სიძნელებები. ამ თვალსაზრისით ლინგვოკრიმინალისტიკაში მისაღებად მოაზრებულია შემდეგი განსაზღვრებები:

1. შეიცავს თუ არა საანალიზო ტექსტი ნეგატიური შეფასების გამონათქვამებს რომელიმე ნაციონალური, რელიგიური ან სხვა სოციალური ჯგუფის მისამართით;
2. შეიცავს თუ არა საანალიზოდ წარმოქმნილი ტექსტი რომელიმე ნაციონალური, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები-სადმი მტრულ, აგრესიულ, დამამცირებელ გამონათქვამებს;
3. შეიცავს თუ არა საანალიზო ტექსტი ცალკეული წარმომადგენლის საქმიანობისათვის პასუხისმგებლობის მთელი ეთნიკური ჯგუფისათვის დაკისრების მტკიცების შემცველ გამონათქვამებს;
4. არის თუ არა წარმოდგენილ ტექსტში წამქეზებლური ხასიათის გამონათქვამები, გარკვეული რასის, ეროვნების, რელიგიის ან სხვა სოციალური კუთვნილების პირების წინააღმდეგ (ძალადობრივი ქმედებისაკენ) წაქეზების შემცველი;
5. არსებობს თუ არა წარმოდგენილ ტექსტში რომელიმე ეროვნების, რასის ან სოციალური ჯგუფების სხვისადმი იმთავითური მტრულობის შემცველი გამონათქვამები;
6. წარმოდგენილ ტექსტში არის თუ არა ერთი ეროვნული, რელიგიური, ეთნიკური ან სხვაგვარი სოციალური ჯგუფის ინტერესების პრინციპული შეუთავსებლობა, ანტაგონიზმი სხვათა მიმართ?
7. არის თუ არა წარმოდგენილ ტექსტში გამონათქვამები, სადაც ერთი სოციალური, ეთნიკური, კონფესიალური ან სხვა სახის ჯგუფის უბედურებანი, გაჭირვება წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში აიხსნება სხვა ერის, ტომის, ეთნიკური ან სოციალური ჯგუფის არსებობით ან მიზანმიმართული საქმიანობით;
8. არსებობს თუ არა ტექსტში გენოციდის, დეპორტაციის, რეპრესიების დადებითი შეფასების, ქების შემ-

- ცველი გამონათქვამები რომელიმე ერის, კონფესიის, ეთნიკური ან სხვაგვარი სოციალური ჯგუფის მიმართ;
9. არის თუ არა წარმოდგენილ ტექსტში პირის, როგორც გარკვეული ეროვნების, ეთნოსის, რასის ან სხვაგვარი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლის მიმართ ნეგატიური დამამცირებელი შეფასებების შემცველი გამონათქვამები (80).

ექსტრემიზმის ერთი (მთავარი) კომპონენტია **მოწოდება**.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **მოწოდება** შემდეგ განმარტებას შეიცავს:

ლინგვისტიკის გადასახედიდან აშკარა, პირდაპირი მოწოდება ისეთ სიტყვიერ კონსტრუქციას ემყარება, რომელიც ბრძანებითი კილოს ფორმის ზმნას შეიცავს (ადექი, წადი, გააკეთე და ა. შ.) ან ამ კილოს მაგვარ ფორმებს (გავაკეთოთ, წავიდეთ, ავდექით, ან გავაკეთეთ, წავედით, ავდექით და ა. შ.).

მოწოდების აუცილებელი პროცესუალური ელემენტებია ადრესატი ანუ ის, ვინც უნდა შეასრულოს მოწოდებით გამიზნული მოქმედება. მოწოდების ადრესატი წარმოჩენილია ღიად (ექსპლიციტურად), როგორც მიმართვის ობიექტი (მაგალითად, „მოქალაქენო!“, „ახალგაზრდებო!“, „ქართველებო!“, „მამულიშვილნო!“ და ა. შ.)

ასე რომ, აშკარა პირდაპირი მოწოდების ფორმულაა ბრძანებითი (იმპერატივი) ფორმა ზმნისა შემავალიანებული მნიშვნელობით + ადრესატის სახეხატი.

ქართულში არა ერთი ხერხია ცნობილი რაიმე მოქმედების ჩადენისაკენ შეგულიანებისა თუ მდგომარეობის მიღებისაკენ ანუ მოწოდების გამოხატვისა.

მოწოდების გამოხატვის გრამატიკული კატეგორიაა ბრძანებითი კილო. ამ კილოს უმთავრესი ფორმაა მხოლობითი და მრავლობითი რიცხვების მეორე პირი: **წადი - წადით, აიღე - აიღეთ, დაიცავი - დაიცავით**.

ბრძანებითი კილოს პირველი პირი წარმოდგენილია

ერთობლივი მოქმედებებით, ისინი გადმოსცემენ მოწოდებას ისეთი მოქმედებებისაკენ, რომელშიც მონაწილეობს მოლაპარაკე სუბიექტი (მომწოდებელი): მოდით, ვნახოთ! წავიდეთ, მეგობრებო!, „ჩავუხტეთ“, „დავიცვათ“, „არ შევარჩინოთ“. ხიშრად პირველი პირის ფორმა გამოიყენება ნაწილაკთან („მოდით-მოდით“) ერთად, რაც ბრძანებითი კილოს და თხრობითი კილოს მომავალი დროის ფორმათა ომონიმურობის თავიდანააცილების შესაძლებლობას იძლევა: „მოდით გადავწყვიტოთ!“, „მოდით ვნახოთ!“, „მოდით შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე“.

ერთობლივი მოქმედებისაკენ მოწოდება გამოიხატება აგრეთვე წარსული დროის მრავლობითი რიცხვის ომონიმური ფორმების გამოყენებით: „წავედით ქალაქში!“, „დავყარეთ იარაღი!“, „გადავედით შეტევაზე!“

ბრძანებითი კილოს მესამე პირი გადმოიცემა ასევე ნაწილაკით „მამ“, „დაე“: „მამ გაუმარჯოს!“, „მამ აღსრულდეს!“, „დაე, მოვიდეს!“, „დაე, გააკეთოს!“, „დაე, გასწიოს!“ ამგვარ ფორმებს ჩვეულებრივ შთამბეჭდავი სტილისტიკური შეფერილობა აქვთ.

ბრძანებითი კილოს შინაარსი (მნიშვნელობა) გადმოიცემა ასევე:

- საწყისური ფორმით: „კარგია წასვლა!“, „კარგი იქნებოდა წასვლა!“, „ურიგო არ იქნებოდა გაკეთება!“
- წარსული დროის ფორმებით: „წავედით!“, „გავჩუმდით!“
- კავშირებითი კილოს ფორმებით: „კარგი იქნებოდა ავმდგარიყავით და წავსულიყავით!“; „აჯობებდა, ფანჯარა გამოგვეღო!“, „უმჯობესი იქნებოდა საქმისათვის მოგვეკიდა ხელი!“

ქართულში არსებობს რჩევა-დარიგების გამიზნულობის ბრძანებითი კილოს ფორმები: „კარგი იქნებოდა, წავსულიყავით!“; „ცუდი არ იქნებოდა, გაგვეკეთებინა!“, „აჯობებდა მივსულიყავით და გაგვეკეთებინა!“

ბრძანებითი კილოს ფორმები, პირდაპირი (იმპერატიული) მნიშვნელობის გარდა, შეიძლება გადატანითი მნიშვნელობითაც გამოიყენებოდეს. აზრის კორექტირება და დაზუსტება ასეთ შემთხვევებში ადვილად ხერხდება სინონიმურ შენაცვლებათა მეშვეობით.

ბრძანებითი კილოს (შესაბამისად, შეგულიანება მოქმედებისაკენ) გამოყენება უნდა განისაზღვროს ისეთ დოკუმენტებში, როგორებიცაა **ინსტრუქცია, რეცეპტი, რეკომენდაცია**.

▪ ინსტრუქცია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის სამართლებრივი აქტი, რომელსაც გამოსცემენ გარკვეული წესების დადგენის მიზნით. ინსტრუქციის ტექსტი მითითებითი ხასიათისაა. აქ, როგორც წესი, გამოყენება საგანმკარგულებელი ხასიათის მკაფიო სიტყვათშეთანხმებები: “მოვალე არის” (“მოვალეა”, “ვალდებულია”), “უფლება აქვს”, “უფლებამოსილია”, “არ დაიშვება” (“დაუშვებელია”), “აკრძალულია” და ა. შ.

ტექსტი შესრულებულია უპირო ან მესამე პირის ფორმით.

ინსტრუქციებს ადგენენ აგრეთვე რაიმეს გამოყენების წესის განსაზღვრისა და განმარტებისათვის. ინსტრუქციის სათაურში მკაფიოდ აისახება იმ პირების, ობიექტებისა და საკითხების რაგვარობა, ვისთვისაც და რისთვისაც არის შედგენილი ინსტრუქცია.

ინსტრუქციის ტექსტი მითითებითი ხასიათისაა. ამიტომ მიზანშეწონილია საგანმკარგულებლო სიტყვებიანი მკაფიო შესიტყვებები: “მოვალე”, “საჭიროა”, “აუცილებელია”, “უფლება აქვს/არა აქვს”, “დაუშვებელია”, “რეკომენდებულია”, “მიზანშეწონილია”, “აკრძალულია” და ა. შ.

▪ სიტყვა **რეცეპტი** ჩვეულებრივ აღნიშნავს: რაიმეს მომზადების ხერხე მითითებას - მაგალითად, კაკლის მურაბის დამზადების რეცეპტს, რომელიმე წამლის დამზადების და გამოყენების, მკურნალობის რეცეპტს. ამასთან აღნიშნავს ამა თუ იმ შემთხვევაში მოქმედება/ქცევის რჩევებს, მითითებებს;

რეცეპტი ფართო გაგებით რეკომენდაცია, მითითებაა. მაგალითად გავიხსენოთ ქათმის ხორციტ რომელიმე საჭმლის მომზადების სატელევიზიო რეცეპტების ტრადიციული ფრაზა: “დავაჭრათ დაკლულ, გასუფთავებულ ქათამს ფეხები”.

▪ რეკომენდაცია განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით აღნიშნავს რჩევას, სურვილს, წინადადებას (შეთავაზებას).

პოლიტიკური მოქმედებისაგან განსხვავებით, რეკომენდაცია, რეცეპტი და ინსტრუქცია არ შეიცავს ექსტრემიზმს, იმპერატივს, შეთავაზებას, ბრძანებას ასეთი თუ ისეთი ქცევამოქმედების შესახებ. მოწოდებაში არ არის დაშვებული განსხვავებული ქცევა-მოქმედება, გარდა შეთავაზებულისა.

მოწოდება არის ადამიანის საქციელზე სიტყვიერი ზემოქმედების რადიკალური და ღია (აშკარა) ფორმა. როგორც ითქვა, მოწოდების აუცილებელი კომპონენტია ადრესატი - ის, ვინც უნდა შეასრულოს მოქმედება. თუმცა ექსტრემისტული ლიტერატურის ავტორები უფრო ხშირად პირის ნაცვალსახელებს გამოიყენებენ (შენ ვალდებული ხარ, ჩვენ მოვალენი ვართ,...), ანდა საერთოდ იკავებენ თავს ადრესატზე სიტყვიერი მითითებისაგან. ასეთ შემთხვევაში ადრესატში ნებისმიერი მკითხველი მოიაზრება.

პოლიტიკური მოწოდება უფრო მეტი კატეგორიულობით ხასიათდება, ვიდრე მაგალითად, რეცეპტები ან ინსტრუქციები. კატეგორიულობის გამოხატვას ემსახურება ძახილის ნიშნის ხმარებაც. პოლიტიკური მოწოდება ადამიანის ქცევაზე სიტყვიერი ზემოქმედების რადიკალური და აშკარა ფორმაა.

მოწოდების კატეგორიულობის გამოკვეთა შესაძლებელია ტექსტის საერთო ნეგატიური ფორმითაც და მეორე პირის მხოლოებითი რიცხვის ნაცვალსახელის (შენით, შენ და ა. შ.) და კუთვნილებითი ნაცვალსახელის (შენი) ფორმის გამოყენებითაც. მაგალითად: “თუ შენს მეზობლად კავკასიელები ან შუააზიელები დასახლდნენ, იცოდე, რომ შენი ბინაც აღარ დაგრჩება შენს კუთვლინებაში” მკითხველი ამ ფრაზას აღიქვამს, როგორც საკუთარი თავისადმი მოწოდებას.

მოწოდება შესაძლოა აშკარაც იყოს, ღიაც, მაგრამ ფორმულირებული იყოს არაპირდაპირად. ასეთი მოწოდება მოკლებულია ადრესატზე მითითებას და გამოიხატებოდეს **უპირო ზმნებით** (მაგალითად, საჭიროა ხიდის გადება, ან აუცილებელია ზღვრის გადალახვა).

არაპირდაპირ მოწოდებას მიაკუთვნებენ კითხვითი წინადადებით გამოხატულ შემახებებსაც. მაგალითად, მამულიშვილნო, ნუთუ არ გვეყოფა ძილი? მოწოდების არაპირდაპირი ფორმაა ფარული ბრძანების შემცველი წინადადებებით. მაგალითად, “იმედია, აუცილებლად მობრძანდებით შეხვედრაზე?” გარეგნულად ეს წინადადება კითხვითია, თუმცა ისიც ცხადია, რომ ქვეტექსტურად საქმე გვაქვს მტკიცება-ბრძანებასთან, რომელიც შთაბეჭდილია სიტყვაში “აუცილებლად”.

ზოგჯერ პირდაპირი და არაპირდაპირი მოწოდებები ერთსა და იმავე დროს, ერთ წინადადებაში (ერთ მოწოდებაში) ერთმანეთის შემავსებელ-დამაზუსტებელი ფუნქციით არის წარმოდგენილი: “გაწევრიანდით ჩვენს პარტიაში საძულველი რეჟიმის დასამხოზად!” აქ პარტიაში გაწევრიანება პირდაპირი მოწოდებაა, ხოლო საძულველი რეჟიმის დამხოზა-არაპირდაპირი.

სასამართლო ლინგვისტიკური ექსპერტიზის პრაქტიკაში ხშირია **ფარული მოწოდებები**. ისინი გამოირჩევა მოწოდების აშკარა და მთავარი ნიშნის არქონით ანუ ბრძანებითი კილოს ფორმის ზმნის არსებობით. ფარული მოწოდების დროს ტექსტი შეიცავს წაქეზება-წაბიძგებას რაიმე მოქმედების შესასრულებლად, აპროგრამირებს ადრესატის ქცევას, მანიპულირებს მისი შემეცნებით.

ცნობილია ექსტრემიზმთან დაკავშირებული ლინგვისტიკური ექსპერტიზის ჩატარების რთული შემთხვევებიც. მაგალითად წარმოვადგენთ კარგად ცნობილ ფაქტს: ინტერნეტში გაზიარდა წიგნი, რომელიც შეიცავდა ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობების, ფეთქებადი მასა-

ლისა და ნარკოტიკულ-ფსიქოტრონული ნივთიერებების მომზადების რეცეპტებს, ტექნოლოგიებს, ინსტრუქციებს.

წიგნის ანოტაციაში წარმოდგენილი იყო მოწოდება იმ ცოდნის გამოყენებისაკენ, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდებოდა ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი ნივთიერებების, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და ნარკოტიკულ-ფსიქოტროპული ნივთიერებების დამზადება, შეძენა და გამოყენება, თავის დასახლებულ პუნქტში პატარა რევოლუციის მოსაწყობად.

პატარა რევოლუციაში კონტექსტის მიხედვით წიგნის ავტორი მასობრივ არეულობას გულისხმობდა. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ წიგნი შეიცავს როგორც აშკარა, პირდაპირ მოწოდებებს, რომლებიც მიმართულია პიროვნების ან სამთავრობო დაწესებულებების წინააღმდეგ (პირდაპირ მოწოდებას ტერიტორიული აქტების ჩასატარებლად), ასევე ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი ნივთიერებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი ნივთიერებებისა და საწამლაკების, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების დამზადების, პოვნისა და გამოყენების ინსტრუქციებში, ტექნოლოგიებსა და რეცეპტებში არსებული იმპერატივებს (65).

ჩვენი კანონმდებლობა ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილებისაგან. ამის გამო იურისტები ტექსტებში უგულვებელყოფენ ექსტრემისტულ ინფორმაციას და აქცენტი გადააქვთ მხოლოდ მოწოდებებზე. ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობა მაინცა და მაინც არც სხვა ქვეყნებშია (მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში).

ენობრივი ექსტრემიზმის ლინგვისტიკური კვლევის (ექსპერტიზის) მაგალითს დავესესხებით რუს მკვლევარს მ. ა. გრაჩოვს “სასამართლო-ლინგვისტიკური ექსპერტიზის” რუსულენოვანი სახელმძღვანელოს ავტორს.

ექსპერტ ლინგვისტის წინაშე დასმული იყო შემდეგი საკითხი:

1. წარმოდგენილი საბუთები შეიცავდა თუ არა მოწოდებებს?
2. თუ კი შეიცავდა, იყო თუ არა საჯარო მოწოდებები;
 - 2.1. ექსტრემისტული საქმიანობის განხორციელებისაკენ?
 - 2.2. იყო თუ არა მიმართული სიძულვილის ან მტრობის გაღვივებისაკენ, ასევე ადამიანის ან სოციალური ჯგუფის ღირსების დამცირებისაკენ სქესის, რასის, ეროვნულობის, ენის, წარმომავლობის, რელიგიის, ან რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ნიშნების მიხედვით?

ლინგვისტიკური ექსპერტიზისათვის წარდგენილი იყო შემდეგი მასალა:

- პროკლამაციების (“მიმართვა რუსი ქალებისადმი” და “მიმართვა რუსი როსკიპებისადმი”) ტექსტების ქსერო-ასლები. ტექსტების მოცულობა იყო 9000-მდე ნიშანი;
- ტექსტის შრიფტი: Tims New Roman;
- შრიფტის ზომა - 10;
- სტრიქონებსშორის ინტერვალი - 1 მმ.;
- მინდვრები: მარცხენა 1,5; მარჯვენა 1,0; ზედა - 20; ქვედა - 1,0;
- სათაურები განთავსებულია გვერდის ცენტრში და ხაზგასმულია;
- ტექსტი განთავსებულია A-4 ზომის ფურცლებზე, ორივ მხარეს.

ტექსტები გაჯერებული იყო ექსტრემიზმით. მათში ლაპარაკი იყო ერთი რასის უპირატესობაზე მეორესთან; რომ რუსი ხალხის ყველა უბედურებაში დამნაშავენი არიან კავკასიელები, ამიერკავკასიელები, შუააზიელები და სხვა, მაგრამ მოწოდებებში უშუალოდ ექსტრემიზმი არ ჩანდა (როგორც ჩანს, პროკლამაციების ტექსტები იურიდიულად გამოცდილი ადამიანის მიერ იყო შედგენილი). ამას გარდა, საკუთრივ ექსტრემისტული მასალა სტრუქტურულ-ლოგიკურად არ იყო

დაკავშირებული მოწოდებებთან. ამის გამო ლინგვისტმა ვერ აღმოაჩინა პირდაპირი ექსტრემისტული მოწოდებები.

▪ **დასკვნის კვლევითი ნაწილი**

1. **პირველი საკითხისადმი მიძღვნილი კვლევა**

საანალიზო პროკლამაცია ორ ტექსტს შეიცავს: “მიმართვა რუსი ქალებისადმი” და “მიმართვა რუსეთის მეძავეებისადმი”.

კვლევამ ცხადყო, რომ პროკლამაციის ტექსტები შეიცავს ისეთ ფრაგმენტებს, რომლებშიც ზმნა შემასმენლები დასამუ-ლია ბრძანებითი კილოს ფორმებში, საკუთრივ რაიმე მოქმე-დების ჩადენისაკენ მოწოდების მნიშვნელობით.

პირველი ტექსტი (“მიმართვა რუსი ქალებისადმი”) შე-იცავს შემდეგ მოწოდებებს:

1. რუსო ქალებო!... რაც არ უნდა იყოს, მოერიდეთ არა-რუსებს;
2. ხშირხშირად უგდეთ ყური სისხლის ძახილს!
3. რუსო ქალებო! გმირულად დაიცავით თქვენი თან-დაყოლილი ზნეობრივი სისუფთავე!
4. გაუფრთხილდით საკუთარ ღვთაებრივ მოწოდებას დიდი რუსი ერის ჯიშის გაგრძელებისა!
5. დააფასეთ საკუთარი თავები!
6. გიყვარდეთ თქვენი ჯიში, თქვენი ხალხი, თქვენი რასა!
7. დაე, თქვენი შვილები თქვენ გგავდნენ, თქვენს მამებს და დედებს!
8. დაე, მათ შეინარჩუნონ თქვენი ეროვნული ენა, თქვენი ეროვნული კულტურა და ტრადიციები!
9. დაე, ქართველმა ქართველზე იქორწინოს! თათარმა თათარი შეირთოს! რუსებმა კი ოჯახური წყვილები მხოლოდ რუსებთან უნდა შექმნან.
10. რუსებო! გადაარჩინეთ საკუთარი ერი და სამშობლო!
11. არ ღირს იმედის გადაწურვა!

მეორე ტექსტი („მიმართვა რუსეთის მემკვიდრისადმი“) შემდეგ მოწოდებებს შეიცავს:

1. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთმოყვანილი სიტყვები: უცხოტომელებთან - შავებთან, ყვითლებთან, ფერადებთან სქესობრივი შეერთებით თქვენ, გამყიდველო მემკვიდრეო, დიდი რუსეთი დაღუპვისკენ მიგყავთ.
2. შეადარეთ, რა დაკარგეთ (მათ შორის მთლიანად ცხოვრება) და რა მიიღეთ სანაცვლოდ...
3. გახსოვდეს ეს! (ამას წინ უძღვის შემდეგი ტექსტი: რუსების არარუსებად გადაქცევით, თქვენ ღუპავთ რუსული კულტურის მატარებლებს, სოციალურ დანაშაულს სჩადიხართ შთამომავლობის, ერის, სახელმწიფოს წინაშე);
4. გახსოვდეთ! (ამას წინ უძღვის შემდეგი ტექსტი: მეცნიერულად ასევე დადგენილია, რომ სხვა რასის მამაკაცთან მცხოვრები ქალები, რამდენჯერმე უფრო ხშირად ავადდებიან ონკოლოგიური დაავადებით. ჯერ ვერავის მოუხერხებია ბუნების კანონების დაუსჯელად დარღვევა).

დაკვნა:

წარმოდგენილი დოკუმენტები „მიმართვა რუსი ქალეზისადმი“ და „მიმართვა რუსეთის მემკვიდრისადმი“ მოიცავს საჯარო მოწოდებების შემცველ გამონათქვამებს. რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხშირად გამოიყენებენ ექსტრემისტულ ლექსიკას, რომელიც აშკარად შეურაცხყოფს არარუსი ეროვნებების წარმომადგენლებს და ეროვნებებს. ეს იმდენად საყოველთაო და მასშტაბური მოვლენა გახდა, რომ ენობრივ-სამართლებრივი ექსპერტიზის პრობლემის მიზეზადც კი გამოცხადდა. ასე მაგალითად, ს. ნ. კედიარკინის მტკიცებით, ნეგატიური შეფერილობის ეთნიკური მარკერების გამოყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ კორესპონდენტების დაბალი კულტურის გამოხატულებას

წარმოადგენს ეთნიკურ ურთიერთობათა საკითხების გაშუქებაში და ამიტომაც წარმოიშვა ენობრივ-სამართლებრივი ექსპერტიზის პრობლემა.

ზოგიერთი ექსტრემისტული სტატია არა მარტო აღვივებს მტრობის გრძნობას, არამედ ასტიმულირებს დარბევებსა და არეულობას.

- მოწოდება შეიძლება იყოს პირდაპირი, ირიბი და ფარული

პირდაპირი მოწოდების მოდელი: შემაგულიანებელი, წამქეზებელი მნიშვნელობის ზმნა + ადრესატის დასახელება.

ირიბი (არაპირდაპირი) მოწოდება შემაგულიანებელი მნიშვნელობის ზმნის ფორმის გამოყენების გარეშე გამოიხატება. ირიბი მოწოდება, შესაძლოა, არ შეიცავდეს ადრესატზე პირდაპირ მითითებას. ამ შემთხვევაში გამოიყენება მოდალური ზმნები პირის ნაცვალსახელების გარეშე. ირიბ მოწოდებებს განეკუთვნება შემაგულიანებელი წინადადებები, რომლებსაც შეკითხვის ფორმა ეძლევა.

ფარული მოწოდება გამოირჩევა ზმნის იმპერატიული ფორმის არარსებობით. ფარული მოწოდების დროს ტექსტის ავტორი (მოლაპარაკე სუბიექტი) აგულიანებს ადრესატს გარკვეული მოქმედებებისაკენ, აპროგრამირებს მის ქცევებს და ცნობიერების მანიპულირებას ახდენს.

თავი 4. კრიმინალური სუბკულტურის სოციოლინგვისტური ასპექტები

4.1. კრიმინალური სუბკულტურის ლექსიკა- ფრაზეოლოგიის ლინგვოკრიმინალისტიკური ექსპერტიზა

ლინგვისტმა ექსპერტმა ყველაფერი უნდა იცოდეს კრიმინალური სუბკულტურის, მისი წარმომადგენლების შესახებ.

XX ს. დასასრულიდან მოყოლებული დღემდე დამნაშავე რეციდივისტების სუბკულტურა დიდ გავლენას ახდენს კანონმორჩილ საზოგადოებაზე, განსაკუთრებით მოზარდი და ახალგაზრდა თაობის ცნობიერებასა და მენტალიტეტზე.

ქურდდული მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლამ საქართველოში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შეიძინა XX საუკუნის დასაწყისიდან წლებიდან. საქართველოში მასშტაბური და წარმოუდგენლად არაადამიანური ძალისმიერი ტექნოლოგიების - სასტიკი წამების, ძალადობის, შანტაჟის წყალობით საქართველოში შესაძლებელი გახდა კრიმინალური სამყაროს მენტალური გაკოტრება, საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენის მინიმიზირება, ქურდული სამყაროს ელიტის - კანონიერი ქურდების მორალური და ფიზიკური გაკოტრება, იძულებით-ნებაყოფლობითი მიგრირება მსოფლიო მასშტაბით.

უფრო ინტენსიურად, ცხადია, ყოფილი სსრკ სივრცე, განსაკუთრებით რუსეთი და უკრაინა აივსო საქართველოდან მიგრირებული კანონიერი ქურდებითა და სხვა ჯურის კრიმინალებით. თუმცა კრიმინალური სამყაროს განადგურებაზე ლაპარაკი, ცხადია, უსაფუძვლოა, რადგან დამნაშავეობა და დანაშაული ადამიანური არსებობის შუქჩრდილების ბნელი მხარეა და მის სულში ღრმად (გენეტიკურად) შთაბეჭდილი დაუმორჩილებლობის, სისტემური ანარქიზმის გამოხატუ-

ლება. ამიტომაც არის დამნაშავეობა (კანონსაწინააღმდეგო ქმედება) ნებისმიერი ეპოქის რაგინდ რა სახელმწიფოს საზოგადოებრივი ყოფის თანამდევ მოვლენა, ხოლო კრიმინალური სუბკულტურა ამ საზოგადოების სოციოკულტურის სახეობა. ამიტომ კრიმინალური სუბკულტურის ცოდნა მრავალმხრივ არის საინტერესო, პირველ რიგში კი სამართალდამცავთათვის თუნდაც პროფილაქტიკის მიზნებიდან გამომდინარე.

კრიმინალური სამყაროს სუბკულტურის ელემენტების უმეტესობა (ქურდული ლექსიკა, პირობითი და საიდუმლო ენები, ანდაზები, გამონათქვამები, ჟესტები, მიმიკა, ტატუ-ირებები) გამოიყენება ტექსტში, ზოგჯერ კი თავად ქმნიან ტექსტს. ამ ტექსტების ცოდნა, ცხადია, დიდად დაეხმარება სამართალდამცავებს დანაშაულების გახსნაში, კრიმინალურ მენტალიტეტის შესწავლაში და ა. შ.

4.1.1. არგო

დეკლასირებული საზოგადოების ლექსიკის რამდენიმე ოფიციალური და არაოფიციალური დასახელება აქვს ესენია:

- არგო;
- ჟარგონი;
- შლენგი (პირობითი ენა);
- ქურდული ენა;
- დამნაშავეთა ენა;
- ქურდების არგო;
- დამნაშავეთა არგო;
- ქურდების ჟარგონი;
- დამნაშავეთა ჟარგონი;
- დეკლასირებული ელემენტების არგო;
- ასოციალური ელემენტების ჟარგონი (არგო);
- ციხის არგო;
- ციხის ენა;

- ფენია, სონია (სონკა);
- აქცენტი;
- თევზის ენა და ა. შ.

უფრო ხშირად გამოიყენება ტერმინები **არგო** და **ჟარგონი**.

არგოსა და ჟარგონს ზოგი მკვლევარი სინონიმებად მიიჩნევს. მაგ. А. П. Евгеньева – ს რედაქციით გამოცემული „Словарь русского языка“-ს 1985 წ. შემდგენლები, `Словарь иностранных слов` შემდგენლები (Лёхина, Петрова, 1954)

ზოგი არგოსა და ჟარგონს არასრულ სინონიმებად მიიჩნევს (Ахманова, 1962); Л. И. Скворцов (1995):

Жаргон языковая игра. Носители жаргона не (отличаются) пытаются засекречить свои мысли; **арго употребляется и в тайных целях.**

ამჟამად, მაგალითად, რუსულ სინამდვილეში, საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული, უკვე დაფიქსირებულია მრავალრიცხოვანი **კლასობრივ-ფენობრივი ჟარგონები**:

1. - აზნაურთა, - ვაჭართა, - მეშჩანთა, - გლეხთა, - სამღვდელოთა, - ჩინოვნიკთა;
2. **საწარმოო ჟარგონები**: - ელექტრიკოსა, - კალატოზთა, - ამწყობთა, - მსახიობთა;
3. **ინტერესებითა და გატაცებებით გაერთიანებული ადამიანების ჟარგონები**: მეთევზეების, ბანქოს მოთამაშეების, დომინოს მოთამაშეების, სპორტსმენების, კოლექციონერებისა;
4. **ახალგაზრდული ჟარგონები**: მოსწავლეების, სტუდენტების, სალდათების, მატროსების, არაფორმალური დაჯგუფებებისა;
5. **კრიმინალური ელემენტების არგო**: ქურდების, შუღერების, მათხოვრების, მეძავეების, მაწანწალების, უპატრონოებისა.

სიტყვა **ჟარგონის** წარმომავლობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს:

ერთი თანახმად “ჟარგინი” XIX ს. შუაწლებში ფრანგულიდანაა ნასესხები: ჯარგონ - “წამხდარი”, “გაფუჭებული ენა”; მეორეს მიხედვით (94): „gargon“ - “ყბედობა”, აქედან: **ჟარგონი** “საზოგადოებრივი გასართობი, ენობრივი თამაში, დაქვემდებარებული ემოციური ექსპრესიის პრინციპებისადმი”. ჟარგონში არაა საიდუმლოების ან პირობითობის ელამენტები (94,161).

სიტყვა არგო რუსულ ლიტერატურაში გაჩნდა XIX ს. 60-იან წლებში რომანში “პეტერბურგული ჯურღმულები”.

Вс. Крастовский ამტკიცებდა, რომ **фр. argot** დამახინჯებული **ergot**-ია - “მამლის დეზი”, ქურდული ხელობის სიმბოლო. ფრანგ ქურდებს ამოსაცნობად ქამარზე ჰქონდათ დაკიდებული მამლის ფეხის ეს ნაწილი.

არგო საფრანგეთში XIX ს. შუახანებიდან გამოიყენებოდა დეკლასირებული ელემენტებისა და სხვადასხვაგვარი ჟარგონების აღსანიშნავად, ასევე პარიზელების ფრანგული-სასაუბრო მეტყველების აღსანიშნავად (Портянникова. 1973).

რუსეთში **არგო** ლინგვისტიკის სფეროში XX ს. დასაწყისში გავრცელდა. მანამდე დეკლასირებული ელემენტების ლექსიკას უწოდებდნენ **დამნაშავეთა პირობით ენას, იგავურ ენას, მუსიკას**. ცნობილ რუს ლექსიკოლოგსა და ფოლკლორისტს ვლადიმერ დალს მოეპოვება ხელნაწერი „Условный язык петербургских мошенников“, რომელიც ცნობილია „музыка или байковы язык“ (Даль 1855). ცნება „байковый“ გაჩნდა სიტყვიდან „байка“, რაც მომდინარეობს სიტყვებიდან „побасенка“, „сказочка“, ხოლო ეს სიტყვები კი მომდინარეობენ ზმნიდან „ба'ять“, რაც ნიშნავს „говорить“.

XX საუკუნის დასაწყისში ციხის ლექსიკის აღსანიშნად გაჩნდა ტერმინი блатная музыка. 1908 წელს გამოვიდა ვ. ფ. ტრახტენბერგის ლექსიკონი „Блатная музыка“ (жаргон тюрьмы). რუსულ ლინგვისტიკაში არგოს სინონიმად იქცა, თუმცა ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ფეხი ვერ მოიკიდა. იგი განდევნა სიტყვა “ბლატმა” (блат).

XIX-XX სს. მიჯნაზე არგოტიზმი “нлат”-ი ინტერნაციონალური გახდა, ზოგიერთი ქვეყნის არგოტიზმებში დამკვიდრდა, მათ შორის საქართველოშიც.

4.1.2. რუსული არგოს წარმომავლობა

რუსული არგოს წარმომავლობა მოცემულ შემთხვევაში იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ქართული დამნაშავეობის და ქართული ციხის ენის ისტორია ორსაუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსულ დამნაშავეობრივი სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა და ქართული კრიმინალური სამყაროს საკომუნიკაციო ენაც რუსული არგო იყო.

რუსული არგოს კვლევაში ამჟამად რამდენიმე მიდგომა არის დაფიქსირებული. ერთი ტრადიციული მიმართულების მიხედვით არგო ენის ისტორიკოსებისა და იურისტების მიერ შეისწავლებოდა ცალკე აღებულად, კონტექსტის განმსაზღვრელი ქართული ტრადიციებისა და რეალურობის გარეშე.

მეორე მიმართულების მიმდევრები არგოს დამნაშავეობის ისტორიასთან კავშირში შეისწავლიან, რადგან ციხის ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიის განვითარებას სამართლიანად უკავშირებენ ამ ისტორიას. ამ შემთხვევაში არგუმენტი ის არის, რომ არგო უცებ არ გაჩენილა, არც რომელიმე სოციალური ჯგუფის (მაგალითად, მეწვრილმანე ვაჭრების) პირობითი ენა ყოფილა, როგორც, მაგალითად, XII საუკუნეში საფრანგეთის ჩრდილოეთში ფეოდალური ქალაქებისა და წვრილი ხელოსნობის გაჩენის ვითარებაში (95).

რუსულ სინამდვილეში **არგო** კრიმინალური სამყაროს განუყრელი თანამგზავრია. რუსი იურისტის ვ. ლებედევის აზრით, ქურდების ენა იმ მომენტიდან იღებს სათავეს, როდესაც ქურდი პირველად დაელაპარაკა თავის მაგვარს - ქურდს (40). ანუ გაჩნდა პროფესიონალური დამნაშავეობა. ქურდების ენის გაჩენა, ამდენად, პრაქტიკული საჭიროებით

იყო განპირობებული. დამნაშავეთა სამყაროს საიდუმლო ენა დამნაშავეობრივ სამყაროსთან ერთად ვითარდებოდა.

თავიდან რუსეთში არგო რუსული დამნაშავეობის გარკვეული ცენტრის სივრცეში არსებობდა (მაგალითად, ვოლგისპირეთში, დიდ ნოვგოროდში), ურალში ქურდი კაზაკების თავშეყრის ადგილებში და ა. შ.

ისტორიამ უფრო მკაფიოდ ვოლგისპირეთის ყაჩაღთა არგოს კვალი შემოინახა. XV-XIX საუკუნეების წერილობით ძეგლებში ლინგვისტ M. A. Грaфѣв-ის მიერ გამოვლენილი იქნა მათი ენის ორმოცამდე სიტყვა და ფრაზეოლოგიური გამოთქმა.

საინტერესოა, რომ უკვე იმ დროს ქურდების საიდუმლო ენის ლექსიკა რუსულის გარდა, რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ხალხთა ენების ლექსიკური ერთეულებითაც მდიდრდებოდა. მაგალითად, არგოტიზმი **კაენი (каин)** ბიბლიური პერსონაჟის სახელიდან მომდინარედ კი არ არის მიჩნეული, არამედ ლიტვური სიტყვა „kaina“-დან, რაც ნიშნავს “ფასს” (ღირებულებას) (91, 165).

რუსული არგოს წარმოშობის ისტორიულ ეპოქად IX-X სს. მიჩნეული. არგუმენტს კი ის ფაქტი წარმოადგენს, რომ ისტორიკოს ვ. სოლოვიოვის მტკიცებით, სწორედ ამ დროს გაჩნდა ყაჩაღების ორგანიზებული ბანდები. XVII საუკუნეში ქურდებისა და ყაჩაღების, მძარცველების თავშესაფრები ხდებოდნენ მსხვილი სამრეწველო ცენტრები და ქალაქები. უკვე ამ დროს გაჩნდა დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელთა მიერ კანონიერების დამცველთა პროფესიულ სამოსში - ფორმის ტანსაცმელში გადაცმის და დანაშაულის ამგვარად ჩადენის ტრადიცია. თუმცა დანაშაულს სჩადიოდნენ გაბატონებული კლასების წარმომადგენლები. მაგალითად, თავად-აზნაურები იპარავდნენ სახელმწიფო ქონებას, ფულს, იტაცებდნენ ყმებს გაყიდვის მიზნით, ვაჭრები ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს და ა. შ. დამნაშავეთა სამყაროს ამგვარი სოციალური სიჭრელის გამო, აღნიშნულ პერიოდში ქურდული არგო უფ-

რო ტერიტორიული ხასიათისა იყო, ვიდრე სოციალურისა, ანუ სოციოლექტს კი არ წარმოადგენდა, არამედ დიალექტს და ყველა რეგიონში თავისი არგო იყო დაფიქსირებული (82, 167).

საერთო-სახალხო რუსულ ენაში მიმდინარე ცვლილებები თავისებურად აისახებოდა დამნაშავეთა სამყაროს საიდუმლო ენაზედაც.

რუსეთში დამნაშავეთა სამყაროში არსებითი ცვლილებები მოხდა XVIII საუკუნეში. დამნაშავეთა სამყარო ზრდით გამოირჩა და ამის მიზეზი გახდა გადასახადების გაზრდა, ომები, ეპიდემიები, მოუსავლიანობის წლები. დამნაშავეობის მანამდე არნახული ზრდა პეტრე პირველის მეფობის წლებზე მოვიდა. საპასუხოდ პეტრე I-ის 1703 წლის რეფორმით შეიქმნა რეგულარული პოლიცია. დამნაშავეთა სამყარო იძულებული იყო შეგუებოდა ახალ ვითარებას, გამოეგონა კონსპირაციის ახალი საშუალებები. ამ წლებში გაჩნდა მკაცრი ქურდული “კანონები”, მაგალითად, დამნაშავეთა სამყაროდან გასვლის აკრძალვა სიკვდილის მუქარით, პროფესიონალი დამნაშავის სტატუსის მინიჭება (კურთხევა), განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა ჯიბის ქურდობამ და შულერობამ, რაც ბუნებრივად აისახა ქურდული არგოს განვითარებაზე.

რუსულ სინამდვილეში არგოტიზმების ფიქსირება XVIII საუკუნეში დაიწყო, იმ დროს, როდესაც ჩამოყალიბდა რუსული სალიტერატურო ენა. მაგალითად, 1779 გამოცემული მატვეი კომაროვის წიგნში “რუსი თაღლითის, ქურდის, ყაჩაღისა და ყოფილი მოსკოველი მამებარის ვანკა კაენის კეთილი და ბოროტი საქმეების საფუძვლიანი და სანდო აღწერა” ასორმოდდაათამდე არგოტიკული სიტყვაა დაფიქსირებული.

არგო განვითარდა XIX საუკუნეში. ამავე საუკუნეში. ამავე დროს რუსეთში დამნაშავეობა თვისებრივად შეიცვალა. თუ XVII-XVIII სს. დამნაშავენი ღიად, აშკარად, დარბევებით, დაყაჩაღებით ისაკუთრებდნენ სხვათა ქონებას, XIX საუკუნეში ფარულად (ქურდობით, თაღლითობით) იხვეჭდნენ მატერიალურ ფასეულობებს.

დამნაშავეთა სამყაროს ფორმირებაზე განსაკუთრებით იმოქმედა რუსეთში ბატონყმობის გაუქმებამ (1861 წ.), ადამიანთა მასების თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობის გაჩენამ. გაიზარდა უქონელთა, უპატრონოთა, დამნაშავეთა რაოდენობა. ეს ყველაფერი კაპიტალისტური ურთიერთობების მასშტაბების ზრდამ განაპირობა.

რუსულ ლექსიკოგრაფიაში არგოტიზმებს პირველმა რუსული ლექსიკოგრაფიის დიდმა სახელმა ვლადიმირ დალმა მიაქცია ყურადღება. უკვე 1855 წელს შეადგინა ლექსიკონი, რომელსაც უწოდა “პეტერბურგელი თაღლითების პირობითი ენა”. დამნაშავეთა სამყაროს ლექსიკის სამასამდე ერთეული მან შეიტანა თავის გახმაურებულ ლექსიკონში “ველიკორუსული ცოცხალი ენის განმარტებით ლექსიკონში”. არგოტიკულ ლექსიკას იგი თავიდან პეტერბურგში ჰკრებდა, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.

დამნაშავეთა სამყარო სტრუქტურულად და სისტემურად XIX საუკუნის შუახანებში ჩამოყალიბდა. სასჯელაღსრულებით ადგილებში გაჩნდნენ ორი ძირითადი კატეგორიის სახელიანი (ავტორიტეტული) პატიმრები: კარგად ორგანიზებული მაწანწალები - **ივანები** და მათზე ერთი საფეხურით დაბლა მდგომი **გლოტები**, იგივე **ხრაპები**, ანუ დამნაშავენი, რომლებსაც სახელი დაგდებული ჰქონდათ თავხედობითა და ენამჭევრობით. რიგითი პატიმრები - **კობილკები**, **კოსტოგრიზები**, **შპანკები** მათ უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

ზოგადად ქურდული სამყარო თანდათან ორგანიზებულ, “საკუთარ კონსტიტუციას” დაქვემდებარებულ “სახელმწიფოდ” ჩამოყალიბდა. მათ საკუთარი აღმასრულებელი ხელისუფლებაც კი ჰყავდათ, სასამართლოს სახით.

ქურდების უმაღლესი სასამართლო ორგანოა “სხადნიაკი”, “სხოდკა”-დან (შეკრება, შეხვედრა). გადაწყვეტილების “კანონიერების” სიმყარეს სხოდნიაკზე კანონიერი ქურდების რაოდენობრიობაც განსაზღვრავს.

უმნიშვნელოვანესი საკითხები:

1. ქურდად მონათვლა (კანონიერი ქურდის გვირგვის დადგმა);
2. არაქურდად დატოვება (გვირგვინის აყრა).

ქურდული სამყაროს იერარქია და მისი აღმნიშვნელი არგოტიზმები:

- კანონიერი ქურდები;
- “კაი ბიჭები”;
- “მომავლები”;
- “მუჟიკები” ანუ “ავტორიტეტები”;
- “შნირები”; (კანონიერი ქურდების მსახურები);
- “ბიზები”, “ჩამშვები”, “დამსმენი”;
- “ქათმები”;
- «კაი ბიჭები» ქურდულად მაცხოვრებლები (იპარავენ, შეაქვთ წილები «ოზმჩიაკებში», არ შრომობენ და მთელი ცხოვრება «ბლატნოებს» განეკუთვნებიან;
- “მომავალი” - ქურდობის მსურველი “კაი ბიჭი”;
- “ბოზი”: “ჩამშვები”, “დამსმენი” - პირი, ქურდული მენტალობის დამრღვევი. მათი სასჯელი სიკვდილია.
- “ქათამი” - “ცისფერები”, ქურდული სამყაროს ფსკერზე მოქცეული პატიმრები.

კანონიერი ქურდების პრობლემის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი საქართველოს ხელისუფლებას ეკუთვნის.

ქართველ დამნაშავეთა არგოს რუსულზე დაფუძნება იმანაც განაპირობა, რომ XX ს. 80-იან წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა გორგიძის ინიციატივით ქართველ ქურდებს სასჯელის მოსახდელად რუსეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გადაიყვანეს. პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ ქართველი ქურდები უმთავრესად რუსეთში დარჩნენ, იქ იწყეს “პროფესიული” საქმიანობა (გვ. 97).

XX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთი, მაგალითად, ქურდული კანონებითა და პრინციპებით ცხოვრობდა იმდენად

დიდი იმდენად დიდი იყო გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში რუსული **არგო** ორი სახეობისა იყო. ერთი იყო დამნაშავეთა სამყაროს საერთო (ზოგადი) არგო, რომელშიც შედიოდა სხვადასხვა ჯურის დეკლასირებული ელემენტების ლექსიკის კუთვნილი სიტყვები, მეორე სახეობას - უმთავრესად ჯიბის ქურდების არგოტიზმები. თავ-თავისი არგოტიზმები ჰქონდათ მათხოვრებს, მაწანწალებს, უპატრონოებს, მეძავეებს.

კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე რუსეთმა გააფართოვა თავისი ურთიერთობები გარესამყაროსთან, უმთავრესად ევროპასთან. შესაბამისად გაფართოვდა რუსეთის დამნაშავეთა სამყაროს კავშირ-ურთიერთობები სხვა ქვეყნების დამნაშავეებთან. დამნაშავეობა ამის შედეგად ინტერნაციონალური გახდა.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში გაჩნდა სეიფების, ცეცხლგამძლე კარადების გამტეხების, ბორდელების “ცოცხალი” საქონლით მომარაგებელთა, შულერების საერთაშორისო დიდი გაერთიანებები - ბანდები. უცხოური ბანდიტურ-ყაჩაღურ-ქურდულ გაერთიანებათა ლექსიკა მძლავრად შეიჭრა რუსულ არგოში და თავისი კვალი დააჩნია.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში დამნაშავეთა არგო გამდიდრდა ქალაქების მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, განსაკუთრებით მეზღვაურთა, წვრილმანებით მოვაჭრეთა და ახალგაზრდობის ლექსიკური ერთეულებით. XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა არგოს პირველი ლექსიკონები, უმთავრესად სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა სამსახურებრივი სარგებლობისათვის. მათში გამოირჩეოდა ვ. ტრახტენბერგის („Блатная музыка“) („Жаргон тюрьмы“) (1908), ვ. ლებედევის („Словарь воровского языка“) (1909), ვ. პოპოვის („Словарь воровского и арестантского языка“) (1912) ლექსიკონები.

XX საუკუნის 10-20-იან წლებში დეკლასირებული ფენების ლექსიკა მძლავრად შეიჭრა საერთო-სახალხო მეტყველებაში. ეს განაპირობა სხვადასხვა სოციალურმა, ფსიქოლოგიურმა და ლინგვისტიკურმა ფაქტორებმა. მათგან უმთავრესი იყო პირველი მსოფლიო ომი და შემდეგ სამოქალაქო ომები. რუსულ ისტორიაში ასეთი ფაქტიც არის ცნობილი: იმ პერიოდში მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა ცნობილი კრიმინალის მიშკა იაპონჩიკის ბანდა, რომელიც ოციათასამდე წევრს ითვლიდა. 1920 წელს იგი შეიარაღდა, ცალკე საჯარისო ერთეულის სახით წითელი არმიის შემადგენლობაში შევიდა და პოლონეთში თავადაზნაურთა (თეთრების) საჯარისო შემადგენლობებს ებრძოდა.

მეორე და არანაკლებმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ განხორციელებული მასშტაბური ამინისტიცია, რომლის წყალობითაც პოლიტიკურ პატიმრებთან ერთად უამრავი დამნაშავე პატიმარი გათავისუფლდა.

მესამე ფაქტორი იყო უპატრონო მაწანწალების - “ბესპრიზორნიკების” გაჩენა. ზოგიერთი წყაროებით, 1920 წლისათვის რუსეთში შვიდ მილიონს ითვლიდა ამ კატეგორიის მოსახლეობა. “ბესპრიზორნიკებს” თავიანთი ენა ჰქონდათ და ამ ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგია ბავშვთა თავშესაფრებისა და სკოლებში შეჰქონდათ (83.)

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა დამნაშავეთა სამყაროს არგოს გავრცელებას, იყო მოსახლეობის მდაბიო ფენების დამოკიდებულება არგოსადმი, კერძოდ, არგოს პროლეტარიატის ენად გაცნობიერება და შეგნებული დაპირისპირება რუსულ სალიტერატურო ენას, როგორც “ბურჟუაზიულ” ენას. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი კი თავს იწონებდა არგოს ცოდნით და ცხოვრებაში გამოსულობის ერთ ნიშნად მიიჩნევდა.

ცხადია, არსებობდა არგოს პოპულარობის სხვა მიზეზე-

ბიც, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ არგოტიზმების დიდი ნაწილი დამნაშავეთა სამყაროდან კანონმორჩილი მოსახლეობის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაშიც დამკვიდრდა. ასეთი სიტყვები იყო, მაგალითად, **პიჟონი**, **ფრაერი**, **დეურუშნიკი**, **ზლატი** და მრავალი სხვა.

დამნაშავეთა სამყაროს ენამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ეს ცვლილებები, ბუნებრივია, საზოგადოებაში მომხდარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ გარდაქმნებს უკავშირდებოდა. არგოტიკული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ერთი ნაწილი წარსულს ჩაბარდა, გაჩნდა ახლებიც, რომლებიც ახალ რეალიებს მიესადაგებოდნენ. მაგალითად, სიტყვა „мент“-ი რევოლუციამდელ არგოში აღნიშნავდა “ციხის ზედამხედველს”, XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან - “მილიციონერს”, სიტყვა „фраер“-ი ადრე საზოგადოდ მსხვერპლის აღსანიშნად გამოიყენებოდა, შემდეგ აღნიშნავდა “დამნაშავის მსხვერპლს”, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც პროფესიონალ დამნაშავეებს არ მიეკუთვნებოდა.

დამაფიქრებელი ის იყო, რომ დამნაშავეთა ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგია ინტენსიურად შეიჭრა მოზარდი თაობის მეტყველებაში. რუსი ლინგვისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენა არ გამოჰპარვიათ და იმთავითვე გაშალეს ამ მიმართულებით კვლევები. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს მ. ა. რიბნიკოვის („Об искажении и огрублении речи учащихся“, 1927), ე. დ. პოლივანოვას („О блатном языке учащихся и о славянском языке революционной эпохи“, 1931), ს. ა. კოპორსკის („Воровской жаргон в среде школьников“, 1927) ნაშრომები. რუსი ლინგვისტები კვლევების მიზანს ახალგაზრდობის მეტყველებაში არგოტიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებით შემოსაზღვრავდნენ.

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა რუსი ლინგვისტების შრომები, რომლებიც მიძღვნილი იყო

დეკლასირებული ელემენტების ენაში ნასესხებობის პრობლემების კვლევებისადმი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბ. ა. ლარინის („Западноевропейские элементы русского воровского аргю“, 1931), ნ. კ. დიმიტრიევის („Турецкие элементы воровского аргю“, 1931) და სხვა ნაშრომები.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული 60-იანი წლების ჩათვლით საბჭოთა კავშირში არგო აღარ შეისწავლებოდა. მიზეზად რუსი ლინგვისტი მ. ა. გრაჩოვი (177) ასახელებს ბოლშევიკური ლინგვისტიკური კონცეფციის ზეგავლენას, რომლის მიხედვითაც ჟარგონები და, ცხადია, არგოც თავადაზნაურობის, ჩინოვნიკობისა და სასულიერო წოდების მეტყველების დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნეოდა.

ამას ემატება ის ფაქტიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების განცხადებით XX საუკუნის 30-იანი წლების შუახნებიდან დამნაშავეობა საბჭოთა კავშირში აღმოფხვრილი იყო. ამიტომ არგოს კვლევა უკვე გამოკვეთილ პოლიტიკურ შეფერილობას იმენდა და ამის გამო მკვლევართა რესპრესირების აშკარა რისკებს შეიცავდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სწორედ ზემო აღნიშნულ პერიოდში გაჩნდა დამნაშავეთა სამყაროში **“კანონიერი ქურდების”** დაჯგუფება, ძლიერი, განსაკუთრებული კასტა, რომელმაც თავისი კვალი დააჩნია მთელი რუსეთის დამნაშავეთა (კრიმინალურ) სამყაროს. დამნაშავეები, პატიმრები, კრიმინალური ელემენტები კანონიერი ქურდების მიერ შემოღებულ წესებს დაექვემდებარნენ. დამნაშავეთა სამყაროს ელიტას “კანონიერების” (законники) სახელი დაერქვა.

არგოს სამყარო “კანონიერი ქურდების” არგოტიზმებით გამდიდრდა.

კანონიერ ქურდებს ერთი საშიში და კეთროვანი თვისება დაჰყვათ - ისინი ყველანაირად ცდილობდნენ და ზრუნავდნენ საკუთარი რიგების ზრდაზე და “კანდიდატებს” ახალ-გაზრდობაში ეძებდნენ. კანონიერი ქურდების მორალს, კანო-

ნებს, ცხოვრების ნირს განსაკუთრებით იოლად უპატრონოები („беспризорники“) ითვისებდნენ.

დამნაშავეთა სამყაროს ენა ახალი არგოტიკული ლექსიკით შეივსო, ერთი მხრივ, იმ არგოტიზმებით, რომლებიც ციხეებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში - კოლონიებში შეიქმნა. ისინი “ხალხის მტრების” აღსანიშნავად გამოიყენებოდა. მაგალითად: **литерка, плитерник, политикашка** – პოლიტპატიმარი; **жир** – “სამშობლოს მოღალატის ცოლი”; **повторник** – პოლიტპატიმარი, რეპრესირებული, რომელსაც ვადისმოხდის შემდეგ მეორედ დააპატიმრებდნენ; **зек, зека** – პატიმარი და სხვა.

არგო ციხისა და შრომა-გასწორებითი კოლონიების ჟანგონში გადაიზარდა, რადგან საკმაოდ ჭრელ სოციალურ გარემოში გავრცელდა. ამ ლექსიკით სარგებლობდნენ არა მხოლოდ კანონიერი ქურდები, არამედ დამნაშავეთა სამყაროს სხვა “პროფესიების” წარმომადგენელნი, აგრეთვე პატიმარი ექიმები, ინჟინრები, პოეტები, ჟურნალისტები, სტუდენტები... (45).

მეორე მსოფლიო ომის წლებში (1941-1945) უამრავი უპატრონო გაჩნდა. ღრმა იატაკქვეშეთში გადავიდა პროსტიტუცია. დამნაშავეთა სამყაროს მომაკვდინებელი დარტყმა მიაღება 1940-იან წლებში დამნაშავეთა სამყაროს ცენტრის - ოდესის ქურდული სამყაროს განადგურებით.

ამის გამო აუცილებელი გახდა ქურდული სამყაროს ენის ძირფესვიანი განახლება და დაკარგული არგოტიკული ფუნქციის დაბრუნება.

დამნაშავეთა დიდი ნაწილი ფრონტზე სადამსჯელო ბატალიონების შემადგენლობებში გაიწვიეს. ომიდან დაბრუნებული დამნაშავეები, ბუნებრივია, აგრძელებდნენ “პროფესიულ” საქმიანობას, კვლავ ხვდებოდნენ ციხეებში, მაგრამ მათ “კანონიერი ქურდები” ახლოსაც აღარ იკარებდნენ, ‘**вояки**’-ს (მებძოლებს), ხოლო მათს გაერთიანებებს “**ვოენშჩინა**”-ს უძახოდნენ. ამასთან მოიხსენიებდნენ “პოლონელ ქურდებად”

ან ლიახებად (**ляхи**). პოლონელებს კი იმიტომ უწოდებდნენ, რომ “კანონიერი ქურდების” ნაწილი ეროვნებით პოლონელი მარშლის კ. კ. როკოსოვსკის არმიაში მსახურობდა.

“პოლონელ ქურდებს” უფლება ეძლეოდათ ვაჭრობა დაეწყოთ, დანაშაული არაჯგუფურად, თანაც “ქურდული გაგების” გარეშე ჩაედინათ. პოლონელმა ქურდებმაც იწყეს გაერთიანება, “კანონიერი ქურდების” ქცევის ნორმების გადაღება, სასჯელმისჯილთა დაბეგვრა. “პოლონელი ქურდი” ითვლებოდა პროფესიონალ დამნაშავეთა სამყაროსთან დაახლოებულ პირად, მაგრამ არა მათ წევრად (84).

ომის შემდგომ წლებში კანონიერი ქურდების დაჯგუფებები სხვადასხვა ნიშნებით დაიყვნენ. რაც მთავარია, მათ ჩამოშორდა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც აღარ სურდა კანონიერი ქურდების ნორმებითა და წესებით ცხოვრება. მათ არაერთი დაჯგუფება შექმნეს. „პოლონელი ქურდები“, „ბესპრედელი“, „წითელქუდა“, „ანარქისტები“, „დერი-ბერი“ („дери-бери“), „ოდინ ნა ლდინე“ („один на льдине“). კანონიერ ქურდებსა და დანარჩენებს შორის ატყდა ომი. კანონიერი ქურდების კანონების უარმყოფელ დამნაშავეებს უწოდებდნენ “სუკებს”, “ოტომედშებს”.

1950-იანი წლებისათვის სსრ კავშირში მიღებულ იქნა პროფესიონალ დამნაშავეთა საწინააღმდეგო კანონები. დამნაშავეობის ტალღები ქვეყანაში საგრძნობლად დაცხრა. შემცირდა “ბესპრიზორნიკების” რიცხოვნობა.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩამოყალიბდა ახალი მდგრადი კრიმინალური დაჯგუფებები, უპირველესად ავტომანქანების გამტაცებლები (“погонщики”) ანტიკვარიატის ქურდები (“макли”). მათ ჩამოუყალიბდათ საკუთარი სუბკულტურა და არგო. მაგალითად, მაკლების ენაში გაჩნდა სიტყვები: **ма’мка** (ღვთისმშობლის ხატი), **косой** (ქრისტიანული რელიგიური კულტის მსახური), **ко’ля** (ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ხატი), **ва’рево** (რელიგიური საგნების

ქურდობა), **лесосплав** (ხატების არაკანონიერი შესყიდვის, ტაცება და ვაჭრობა) და სხვა.

XX საუკუნის 70-80-იანი წლების დასაწყისში სწრაფად გაიზარდა ნარკოტიკებით მოვაჭრეთა, ნარკომანებისა და ტოქსიკომანების რიცხოვნობა. 1988 წელს სამართალდამცავ და სამედიცინო ორგანოებში ნარკომანიითა და ტოქსიკომანიით დაავადებული 130 ათასი ადამიანი იმყოფებოდა აღრიცხვაზე. ნარკობიზნესის წარმომადგენლებსა და ნარკომანებს ასევე გაუჩნდათ საკუთარი არგოტიზმები. მამვე პერიოდში გაჩნდა მეძავეებისა და ბომჟების არგოები. რაც მნიშვნელოვანია, დამნაშავეთა სამყაროში რაოდენობრივთან ერთად მნიშვნელოვანი თვისობრივი ცვლილებებიც მოხდა. ამ დროს გაერთიანდნენ კანონიერი ქურდები და სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებთან “ჩრდილოვანი ეკონომიკის” საქმიანობასთან დაკავშირებული პირები. კანონიერი ქურდები ჯერ რეკეტს ახორციელებდნენ, შემდეგ კი მათთან ერთად ეწეოდნენ საქმიანობას - პროდუქციას ასაღებდნენ, არასასურველ ადამიანებს იცილებდნენ თავიდან. ამჟამად XX ს. 20-იანი წლების ვითარება მეორდება. ჩვეულებრივი ამბავია მდიდრების ძარცვა, მკვლელობა, გამომძაღველობა.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში რუსეთში დიდი კრიმინალური რევოლუცია მოხდა. დამნაშავეობა რამდენიმე გზის გაიზარდა. აღორძინდა დავიწყებული ქურდული, დეკლასირებული ელემენტების პროფესიები: მათხოვრობა, მეძავეობა, მაწანწალობა, “ბესპრიზორნიკობა”, დამნაშავეობის ინტერნაციონალურობა. შეიქმნა ნარკოტიკების გამსაღებელთა, იარაღით მოვაჭრეთა, ტრეფიკინგის, რუსეთიდან საზღვარგარეთ სიმდიდრეების არაკანონიერად გატანით დაკავებული დამნაშავეების საერთაშორისო გაერთიანებები.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან განახლდა არგოს კვლევა. რუსეთში ამ მიმართულების ლინგვისტიკური კვლევები დაუკავშირდა **ლ. ი. სკვორცოვის** (Скворцов Л. И. Культура

русской речи: словарь-справочник, М., 19950) და ვ. დ. ბონდალეტოვის (Бондалетов В. Д. Условные языки русских ремесленников и торговцев, Л., 1966) და სხვა სახელებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 80-იანი წლების ბოლომდე არგოს თემატიკა-პრობლემატიკის შემცველი სამცენიერო ნაშრომების და მით უფრო ლექსიკონებისა თუ სიტყვარების პუბლიკაციები მაინც მკაცრ იდეოლოგიურ ფილტრში ტარდებოდა.

რუსი მკვლევრების მონაცემებით თანამედროვეობა დამნაშავეთა სამყაროს ორგანიზებული სტრუქტურითა და იერარქიულობით, ქურდულ პროფესიათა მრავალფეროვნებით გამოირჩა. არსებობენ ჯიბის ქურდები, სახლების, მაღაზიების, ავტომანქანების ქურდები, სხვადასხვა კატეგორიების თაღლითები, რეკეტიორები... ყველას თავ-თავისი არგო აქვთ. ამასთან განასხვავებენ ძველ და თანამედროვე ქურდულ ენებს. ჯერ კიდევ ცოცხლობს XX საუკუნის 20-40-იანი წლების არგოტიკული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის გარკვეული ნაწილი. თუმცა არგო თავისი უმთავრესი დანიშნულებიდან გამომდინარე (გაუგებარი, შეუვალი ვერბალური კომუნიკაციის ფუნქციის შენარჩუნება), პერმანენტულ ცვლილებებს განიცდიდა. ამ თვალსაზრისით XX საუკუნეში სამი მკვეთრი და მასშტაბური ცვლილება დაფიქსირდა: 10-20-იანი წლების ბოლოს, 40-50-იან წლებში და 80-90-იან წლების ბოლოს.

თანამედროვე რუსულ არგოში, ლექსიკა-ფრაზეოლოგიის დონეზე, მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამივე პერიოდის ენობრივი ფენები, თუმცა ამ ფენებში აღრეულია სხვადასხვა პერიოდის ლექსიკა-ფრაზეოლოგია, მათ შორის რევოლუციამდეელიც. მაგალითად, რევოლუციამდეელი არგოტიზმებიდან შემორჩენილია „ГЛОТ“ („კრიკუნი“ - მყვირალა), „дело“ (დანაშაული), „звонок“ (მაღლი), „ГОП-СТОП“ (გაძარცვა), „хова“ (პირი), „бухой“ (მთვრალი) და სხვა.

რუს დამნაშავეთა არგოში გაჩნდა უცხოური ლექსიკური ერთეულები. მაგალითად, მეძავეებისა და მათი მფარველების

არგოში შევიდა **нюшка** (ფრანგული - ნუე - შიშველი) - მეძავი, შიშველი ქალი.

დამნაშავეთა სამყარო მყისიერად რეაგირებს საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე, როგორც იტყვიან, ძველი დავიწყებას ეძლევა და მის ადგილს ახალი იკავებს. დამნაშავეთა ენაში აქტიურად აღარ გამოიყენება ისეთი არგოტიზმები, როგორებიც არის: „**большая зона**“ (სსრ კავშირი), „**пахан большой зоны**“ (სკკპ ცკ გენერალური მდივანი), „**дровасти**“ („წარბა“ - ლ. ი. ბრეჟნევი).

არგოტიზმები პერიოდულად მეტ-ნაკლებად შეიჭრება ხოლმე საერთო სარგებლობის სასაუბრო ენაში. ამის ერთი მიზეზი ერთგვარი სიმპათიების გაჩენაა დამნაშავეთა სამყაროსადმი. არა და, საზოგადოდ, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის არასოდეს არ არის ცნობილი პროფესიონალ დამნაშავეთა სამყაროში მიმდინარე სიღრმისეული პროცესების შინაარსი. არაფერი იყო ცნობილი, მაგალითად, დამნაშავეთა სამყაროს ზედა ემელონების, მმართველი ელიტის, მათთან სამართალდამცავთა მაღალი ჩინოსნების “თანამშრომლობის” შესახებ და ა. შ.

როგორც ლინგვოკრიმინალისტები აღნიშნავენ, დამნაშავეთა სამყაროს შესახებ ინფორმაციებს არც მხატვრული ლიტერატურა იძლეოდა. რუსულ ლიტერატურაში პროფესიონალ დამნაშავეთა შესახებ სერიოზული წიგნი დაწერა მწერალმა ვს. კრესტოვსკიმ („**Петербургские трющеры**“). ქართულ მწერლობაში ამ მხრივ ნ. დუმბაძე გამოირჩა (“თეთრი ბაირაღები”), ალ. იასლაშვილის “მგლის ბილიკი” (1960).

თანამედროვე რუსულ სინამდვილეში უამრავი არგოტიზმი შეინიშნება როგორც საერთო სასაუბრო, ისე საგაზეთო-პუბლიცისტიკისა და მწერლობის ენებში. ამის მიზეზია ეგრეთ წოდებული “ბლატნობის” (“გამოსულების”) ენისა და მეტყველების სტილის პოპულარობა. სწორედ ეს ენა აერთიანებს ახალგაზრდების, ჟურნალისტების, ბიზნესმენების,

დამნაშავეების არგოტიზმებს, ჟარგონებს, სლენგებს. იგივე პროცესები მიმდინარეობს ქართული მეტყველების სივრცეში.

რუსულ სინამდვილეში საერთო არგოტიკული სიტყვები განაპირობებენ საერთო ფენის შევიწროვებას ახალგაზრდულსა და ბიზნესმენების ჟარგონებში. ამასთან არგოს პლასტებმა დიდი გავლენა იქონიეს სხვა სოციალურ დიალექტებზე, პირველ რიგში ესაა დამნაშავეთა ზოგადი არგო, შემდეგ ციხის ენა და ბოლოს პროფესიონალიზმები. როგორც აღნიშნავენ, პროფესიონალი დამნაშავეების მენტალობა და ფილოსოფია დამნაშავეების საერთო არგოსა და ციხის ენის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში აისახება.

თანამედროვე რუსეთში არგოს ლექსიკა და ფრაზეოლოგია აღარ ივსება (აღარ მდიდრდება) ტერიტორიული დიალექტების ლექსიკა-ფრაზეოლოგიით. ყველაზე უხვ წყარობად იქცნენ ეკონომიკური ტერმინები, რაც ბიზნესმენებისა და კრიმინალური სამყაროს დაახლოებით არის განპირობებული.

➤ **თანამედროვე რუსული არგოს (სახეობები) კლასიფიკაცია**

თანამედროვე რუსული არგო რთული სტრუქტურით ხასიათდება. მაგალითად, რუს ლინგვისტს მ. ა. გრაჩოვს (90) გამოვლენილი აქვს სამოცამდე სპეციალიზებული არგო. უფრო დამახასიათებელ სახეობებად ეს მკვლევარი გამოყოფს დამნაშავეთა საერთო არგოს, ციხის არგოს, სპეციალიზებულ არგოს და მის ქვესახეობებს: ანტიკვარიანტის **ქურდების არგოს**, **ჯიბის ქურდების არგოს**, **შულერების არგოს**, **ნარკოსაქმოსნებსა და ნარკომანების არგოს**, **ცხენის ქურდების არგოს** (189-210).

4.2. ვერბალური კომუნიკაციების რეგისტრები კრიმინალურ სამყაროში

კრიმინალური სამყაროს ენა ვერბალური და არავერბალური ტაბუირებით გამოირჩევა. ტაბუს ეთიკურთან ერთად ფიზიკურ-სხეულებრივი სანქციები სძენს გამორჩეულ კატეგორიულობას. ტაბუირების შეუვალობა ევფემიზმების სისტემურობას და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ მრავალფეროვნებასაც განაპირობებს.

ლინგვისტიკური ტაბუ კანონიერი ქურდების წეს-კანონებით არის შეპირობებული. ასე, მაგალითად, შრომა-გამოსასწორებელ დაწესებულებებში ქურდული კანონებით აკრძალულია ურთიერთობები ღირსებააყრილთა კასტების წარმომადგენლებთან: „шнир“ - ებთან, „козлы“ - ებთან, „чушки“ - ებთან. არ შეიძლება მათთვის ხელის ჩამორთმევა, მათი მონაწევი სიგარეტის მოწევა, მათი ნივთებით სარგებლობა და ა. შ. აკრძალვის დარღვევა ღირსებააყრილთა კასტაში ჩაქვეითების რისკებს შეიცავს. ასევე აკრძალულია ცალკეული სიტყვების ხმარება. მიზეზი, ერთი მხრივ, ქურდული წესებია, მეორე მხრივ, ქურდული ცრურწმენები (85, 365), რომელთა დარღვევაც წარუმატებლობას უქადის დამრღვევს:

რუსი ლინგვისტები ლინგვისტიკური ტაბუს ორ სახეობას გამოყოფენ: **რბილსა** და **მაგარს**. ისინი შეიძლება ერთი ორგანიზებული დაჯგუფების ფარგლებში მოქმედებდნენ, სხვაში – არა. ამის აშკარა გამოხატულებას ხედავენ კრიმინალების ზედემტსახელებში - “კლიჩკებში”. მაგალითად, ბანდიტები არასოდეს გამოიყენებენ კანონიერი ქურდებისა და მათი წესების დამცველი კრიმინალების “კლიჩკებს”.

XX საუკუნის დასაწყისში სამართალდამცავებს მდედრობითი სქესის სახელებით მოიხსენიებდნენ.

რუსულ ქურდულ მეტყველებაში ტაბუირებული სიტყვების შემდეგ ძირითად ჯგუფებს გამოყოფენ:

1. დამნაშავეობის მსხვერპლთა აღსანიშნი სიტყვების. მაგ., „лох“, „фуцен“, „фрайер“, ბოლო დროს „фрайер“-ი იხმარება კანონიერ ქურდზე ერთი საფეხურით დაბალი რანგის ქურდის აღსანიშნად. სიტყვა „лох“-ი კი ყველაზე დამამცირე-ბელია ქურდებში, ბიზნესმენებსა და მოსწავლეებში.

2. დამნაშავეთა სამყაროს უმაღლესი კასტების წარმომადგენელთა მოხსენიება უდაბლესი კასტების წარმომადგენლების სახელებით. მაგალითად, კანონიერი ქურდის მოხსენიება სიტყვებით „петух“, „кочет“, „гребен“. დამრღვევი შეიძლება სიკვდილითაც დასაჯონ.

არ შეიძლება თქმა „Я на тебя обиделся“ (შენზე ნაწყენი ვარ), რადგან „обиженный“ დაბალი კასტის წარმომადგენელს აღნიშნავს.

3. არ შეიძლება სიკვდილის, დაავადების დასახელებების ხსენება. ზოგიერთი მკვლევრის დაკვირვებით, თანამედროვე ენებში შეინიშნება სიკვდილის, მძიმე დაავადებების, სასირცხოვო საგნების არაპირდაპირ ხსენების ტენდენცია (86, 501). ასეთ შემთხვევებში ევფემიზმებად გამოიყენება უხეში ფამილარული სახელწოდებები, რომელთაც ტაბუირებული საგნებისადმი დამცინავ-დამამცირებელი ქვეტექსტურობები ახლავს. მაგალითად, სიტყვის „смерть“ ნაცვლად იტყვიან „загин“ такой то (ქართული „გავიდა გაღმა“, „გავიდა მარილზე“). ნაცვლად „убийство“ (მკვლელობა) ამბობენ „мокрое дело“, „мокруха“; ნაცვლად „убить“ (მოკვლა) – „замочить“, „завалить“, „замакрить“.

4. სიტყვები, რომლებიც კანონიერი ქურდების წესებთან არიან დაკავშირებული. მაგალითად, არ შეიძლება სიტყვის „свидетель“ (მოწმე) ხმარება. მინაცვლად ხმარობენ „очевидеть“ (თვითმხილველი).

დამნაშავეთა სამყაროს ელიტას ეკრძალება მუშაობა. ამიტომ პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები შეურაცხყოფელი შეფერილობისაა. მაგალითად, **შახტიორი**. ეს სიტყვა ასოციაციურად სხვა ლექსებსაც უკავშირდება: **шаха** (ექვსიანი ბანქოში).

5. **უცენზურო სიტყვები.** თავისუფლების აღკვეთის ზონებში, სადაც კანონიერი ქურდები ლიდერობენ, აკრძალულია დედის გინება, რადგან დედა წმიდათა წმიდა არსებად მოიაზრება. საერთოდ გინება არასოდეს რჩება უპასუხოდ, რადგან დიდი სოციალური დატვირთვა აქვთ (87).

6. სექსუალურ გადახრათა აღმნიშვნელი სიტყვები. მაგალითად, დამნაშავეები არ ხმარობენ სიტყვას „чувствую“ (ვგრძნობ), ხშირად ანაცვლებენ სიტყვით „чую“, რადგან გრძნობა გაუკუღმართებულ სექსს უკავშირდება ასოციაციურად (88, 171).

თავს არიდებენ სიტყვას „спасибо“ (გმადლობ), რადგან სექსუალურ დარღვევათა სფეროში თანახმიანობით უკავშირდება სიტყვას „соци“ (მოწოვე). ამიტომ „спасибо“-ს ნაცვლად ხმარობენ „благодарю“. „спасибо“ ეხმიანება „спаси Бог“. მაღლიერიც უნდა იყოს ადამიანი (88, 174). ასევე არ იყენებენ სიტყვას „кончать“ (გათავება), მის ნაცვლად ხმარობენ სიტყვას „заканчиваю“ (ვამთავრებ);

7. კრიმინალურ სამყაროში არ არის მიღებული სამართალდამცავებისა და ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაში მყოფი მსჯავრდებულების ხსენება ნორმირებული ლექსიკით. პოლიციელს ჰქვია „мент“, „мусор“ (ნაგავი), легавый (მწევარი);

საშინელ შეურაცხყოფად ითვლება სიტყვა „козёл“ (ვაცი), რითაც აღინიშნება ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაში შესული პატიმარი;

8. ურთიერთობის ეტიკეტთან დაკავშირებული აკრძალვები. მაგალითად, პატიმარს ეკრძალებოდა ოფიციალური მიმართვის სიტყვა „товарищ“ (ამხანაგო) გამოყენება სამართალდამცავებებთან ურთიერთობაში. მის ნაცვლად იხმარებოდა სიტყვა „гражданин“ (მოქალაქე), „начальник“ (უფროსო), „командир“ (მეთაურო.).

9. იკძალება სახელის, მამის სახელის, გვარის, ციხის

სახელწოდების ხსენება. **დამნაშავენი მეტყველებაში** არ ხმარობენ სიტყვას „кличка“ (ზედმეტსახელი) ქურდული სახელის სინონიმად, რადგან მიიჩნევენ, რომ **“კლიჩკა”** ცხოველებს აქვთ. „კლიჩკას“ ნაცვლად გამოიყენება: „поганяло“, „погремуха“, „псевдо“, „пседо“, „рота“, „кликуха“, „клихуча“. ყველაზე ხშირად გამოიყენება არგოტიზმი „погоняло“.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არ არის მიღებული ფრინველებისა და ძაღლების სახელწოდებების გამოყენება. მაგალითად, „журица“ (ქათამი), „наседка“ (კრუხი) აღნიშნავს საკანში შეგზავნილ საიდუმლო თანამშრომელს, „петух“ (მამალი) - პასიურ მამათმავალს ან ძალადობრივად გაუპატიურებულ მამაკაცს. ქალ პოლიციელს უწოდებენ „сука легавая“ (დედალი მწევარი), მოსამართლეს – „свинья“ (ღორი).

ტაბუირება ახალი სიტყვების გაჩენის ხელშემწყობი ფაქტორია.

რუსეთში ამჟამად დამნაშავეთა სუბკულტურის უმძლავრესი შეტევაა დაფიქსირებული. არგოტული ლექსიკის ძალიან დიდი ნაწილი საერთო სახალხო რუსულ ენაში შევიდა. დამნაშავეთა ლექსიკა აქტიურად გამოიყენება რუსულენოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ენაში. არგოტიზმები საერთო სახალხო ენაში გადასვლით უფრო ძლიერ **პეიორატიულ** შეფერილობას იძენენ.

ქურდული მეტყველების ტაბუირებული ლექსიკის ანალიზი, ერთი მხრივ, ეროვნული ენის სოციოლექტების ცოდნას აღრმავებს, მეორე მხრივ, გამოყენებითი ასპექტებიც უჩნდება სასამართლო ლინგვისტიკური ექსპერტიზების ჩატარების თვალსაზრისით.

4.3. ტატუირებები

სიტყვა **ტატუირება** პოლინეზიური წარმომავლობისაა (ტატაუ – ნახატი). ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ტატუირება პოლინეზიური სიტყვიდან “ტიცი” მომდინარეობს, რომელიც იმ ღვთაების საკუთარი სახელია, რომელმაც სამყაროს ტატუირების კულტურა შესძინა (89).

ზოგი მკვლევრის ვარაუდით ტატუირება **იავაური** სიტყვის „tau“-ს შესატყვისია და ითარგმნება როგორც “ჭრილობა”, “დაჭრილი” (90).

ტატუირებები ბოლო დრომდე ლინგვისტების ყურადღების მიღმა რჩება. მათ სწავლობდნენ კრიმინალისტები, ფსიქოლოგები, ლიტერატორები, თუმცა მხოლოდ აღწერის დონეზე. რუსულ სინამდვილეში (აქედან გამომდინარე ქართულშიც) მათი შესწავლის თვალსაზრისით თითქმის არაფერი გაკეთებულა. მიზეზი იყო, ერთი მხრივ, მასალის შეკრების სირთულე, მეორე მხრივ, ტატუირებებისადმი, როგორც “მდაბალი გემოვნების” გამოხატულებისადმი, დამოკიდებულება - აგებული, დამამცირებელი ხედვა.

ლინგვისტიკისათვის ტატუირება ერთგვარი პიქტოგრაფიული დამწერლობაა. ლინგვისტების ფიქრით, ტატუირებები თავისებურ გრაფიკულ სისტემას წარმოადგენენ.

ზოგიერთი ლინგვისტიკის აზრით, ტატუირებები რუსული ენის (ანუ ეროვნული ენის) ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ მათი შესწავლა აუცილებელია, რადგან უმათოდ ეროვნული ენის შესწავლა სრულყოფილი ვერ იქნება (91, 226).

აღნიშნულის გარდა, ტატუირებების შესწავლა წარმოადგენას შეგვიქმნის კრიმინალური სამყაროს მენტალობისა და ყოფის სხვადასხვა მხარეზე. მაგალითად, ამ სამყაროს დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი, რადგან ტატუირებების სისტემაში ერთერთი უმთავრესი თემა რელიგიაა.

ტატუირებები XX საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა, მაშინ,

როდესაც დაიბადა კრიმინალური სამყაროს ელიტა - კანონიერი ქურდები. თავიდან კანონიერი ქურდის ნიშანი იყო ჯვარი და ანგელოზ(ებ)ი, რომელსაც მკერდზე ისვირინგებდნენ.

რუსეთში ტატუირებების შესწავლა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო. რუსულ სინამდვილეში დაფიქსირებულია ტატუირებების უაღრესი მრავალგვარობა - დაწყებული **პიკტოგრაფიულებიდან** და დამთავრებული **იდეოგრაფიული** დამწერლობებით, ანუ თავისებური გამონათქვამებიანებითა და აბრევიატურებიანებით (92).

რუსეთში ტატუირებებით გამოირჩეოდნენ დეკლასირებული ფენები და მეზღვაურები, თუმცა გარკვეულწილად პოლიციელებიც ეტანებოდნენ, ხოლო ამჟამად ქურდული ტატუირებების ტარების ტრადიცია რუსულ არმიაშიც დამკვიდრდა. ყველაზე გავრცელებული ტატუირებაა პარამუტის გამოსახულება, სამხედრო-საჰაერო ძალებისადმი კუთვნილებაზე მინიშნება.

კრიმინალისტები ტატუირებებს თავიდან იყენებდნენ იდენტიფიცირებისა და ამოცნობისათვის. საბჭოთა წყობილების პირველ ხანებში ტატუირებების აუცილებელი რეგისტრაციაც კი იყო შემოღებული (90).

ამჟამად დამკვიდრებულია აზრი, რომ ტატუირებები აღარ ასრულებენ იმ კომუნიკაციურ როლს, რასაც XX საუკუნის 70-იან წლებამდე თამაშობდნენ. ამ პერიოდამდე ტატუირებები თავისი შინაარსით მდგრადობით გამოირჩეოდა, მოგვიანებით კი ეს მდგრადობა დაკარგეს. ეს განსაკუთრებით ნახატ ტატუირებებს შეეხო.

თანამედროვე ტატუირებებში მეტნაკლები მდგრადობით გამოირჩევა სასჯელადსრულებით დაწესებულებებში მყოფ დამნაშავეთა ტატუირებები: კვადრატულად განლაგებული ოთხი წერტილი და შუაში კიდევ ერთი წერტილი; ეკლიანი მავთულხლართი; ასევე ნარკომანების ტატუირებები: ობობა ობობის ქსელში - აღნიშნავს “ნარკომანს”; “ჰაშიშის მწვეველ ჯინს”.

მდგრადობით გამოირჩევა ასევე ძალადობრივი ტატუირებები: ჩალურჯება თვალქვეშ, წერტილები ბაგეების სიახლოვეს, კანონიერი ქურდის გვირგვინი ზურგზე - კრიმინალური სამყაროს მდაბალი კასტის აღმნიშვნელები;

ტატუირება-აბრევიატურები, ტატუირება-გამონათქვამები.

ამჟამად რუსულ სინამდვილეში გავრცელებულია შემდეგი ტატუირებები:

- **თავის ქალა, გვირგვინი** - ხელისუფლებისაკენ ლტოლვის სიმბოლოები;
- **ვეფხვი, ლომი** ან სხვა მტაცებელი - შეურიგებლობის, მრისხანების სიმბოლო;
- **ხანჯალი, დანა, ცული, ფარი** - შურისძიების, მუქარის, სიმტკიცის, სიმკაცრის სიმბოლოები;
- **გასაღები** - საიდუმლოს შენახვის სიმბოლო;
- **ჯალათი** - ქურდების კანონების პატივისცემის სიმბოლო;
- **მადონა** - გაუცხოების სიმბოლო;
- **ჩირაღდანი** - მეგობრობის, ძმობის სიმბოლო;
- **ვარსკვლავები** - დაუმორჩილებლობის სიმბოლო (90).

ადრე საერთოდ არ არსებობდა პოლიტიკური ტატუირებები, XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან უამრავი პოლიტიკური ტატუირება გაჩნდა კ. მარქსის, ვ. ლენინის, ფ. ძერჟინსკის, ი. სტალინის, ლ. ბრეჟნევის ნახატებით; სსრ კავშირის გამომხატველი ტატუირება მავთულხლართიანი საზღვრისა და ზედ თავის ქალას გამოხატულებით.

გაჩნდა პოლიტიკური გამონათქვამების შემცველი ტატუირებები, რომლებსაც უფრო ხშირად ფეხებზე ისვირინგებენ, მაგალითად:

- **„КПСС приведет всех в могилу“** (სკკპ ყველას საფლავში ჩაიყვანს);
- **„ВКП(б) – всероссийское крепостное право большевиков“** (სრულიად რუსეთის ბატონყმობა ბოლშევიკებისა);

- „Они устали от долгого пути в светлое будущее – коммунизм“ (ისინი (ანუ ფეხები - თ. ჯ.) დაიღალნენ ნათელი მომავლისაკენ - კომუნიზმისაკენ - გრძელ გზაზე სვლისაგან).

კრიმინალური ელემენტების ტატუირებები ძირითადად ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

- (ამო) საცნობელს;
- მსოფლმხედველურს;
- კონსპირაციულს;
- ნომინაციურს;
- ყოყოჩობისა და დაშინების.

ტატუირებების ფუნქციები ძალიან ჩამოჰგავს არგოს ფუნქციებს. თუმცა პირველ ადგილზე ტატუირებებში დგანან ამოსაცნობი და ყოყოჩობის ფუნქციები, ხოლო არგოში - ნომინაციური და მსოფლმხედველური ფუნქციები.

კრიმინალები ტატუირებებს დანიშნულების შესაბამისად სხეულის სხვადასხვა ნაწილზე ისვირინგებენ. მაგალითად, ნაძალადევ ტატუირებებს დუნდულებზე, ზურგზე, სახესა და თითებზე უკეთებენ. ამნაირი ტატუირებების მატარებლები პატიმართა მდებარე კასტებს განეკუთვნებიან. გამოსაჩენ ადგილებზე ტატუირებებს იკეთებენ ნარკომანები და კანონიერი ქურდები, რათა თავისი მსგავსნი შეიცნონ.

ბოლო დროს ნასამართლევთა შორის სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს ტატუირება-გამონათქვამები. მათ შორის გამოყენების სიხშირით გამოირჩევიან:

1. ქურდული ტატუირებები, რომლებშიც:

- გამოტოვებულია არგოტიზმები: „закон-тайга“ (კანონი ტაიგა), „медведь-хазяин“ (დათვი - ბატონ-პატრონია); „не верь, не бойся, не проси“ (ნუ დაიჯერებ, ნუ შეგეშინდება, ნუ ითხოვ);
- ტატუირებები, რომლებიც ქურდული ენის სიტყვებს შეიცავენ: „амур-кирюха“ (ძმური-ჩემი მეგობარი), „спа-

си от легавых и суда“ (მიხსენი პოლიციელებისა და სასამართლოსაგან), „дави делашей, стукачей и сук“ (გას-რისე საქმოსნები, ვაჭრუკანები და კაი ბიჭების (კრი-მინალების) ჩამშვებები).

2. კრიმინალური ხასიათის არმქონე ტატუირებები აფო-რიზმები, რომლებიც ლიტერატურული წარმომავლო-ბისაა. მაგალითად:

- „умру бродягою и воров“ (მოკვდები მაწანწალად და ქურდად (ს. ესენინი);
- „как мало пройдено дорог-как много сделано ошибок“ (რა ცოტაა გავლილი გზები - რა ბევრია დაშვებული შეცდომები);
- „работа – ты меня не бойся – я тебя не трону“ (სამუშაო - ნუ შეგეშინდება ჩემი, - მე შენ ხელს არ გახლებ).

3. სხვა ენებიდან ნასესხები ტატუირება-გამონათქვამები:

- **ლათინურად:** „faciam ut mei mimineris“ (ისე გავაკეთებ, რომ თავი დაგამახსოვრო);
- **იტალიურად:** „cercando il vero“ (ვეძებ ჭეშმარიტებას);
- **ინგლისურად:** „battle of life“ (ბრძოლა სიცოცხლისათ-ვის);
- **გერმანულად:** „leben und leben lassen“ (იცხოვრე და სხვა-საც მიეცი ცხოვრების საშუალება);
- **ფრანგულად:** „Dieu et liberte“ (ღმერთი და თავი-სუფლება).

ყველაზე რთული ამოსაცნობი აბრევიატურა-ტატუირებე-ბია. ისინი არგოს წერილობით ნაირგვარობას წარმოადგენენ და ფართოდ გავრცელდნენ XX საუკუნის 60-90-იან წლებში.

ყველა შემოკლება ასოებრივ და ბგერობრივ ჯგუფებად იყოფა.

- ასოებრივი აბრევიატურებია: „ВЛКСМ“ საკავშირო ახალგაზრდული კომუნიკატური კავშირის (კომკავში-რის) აბრევიატურა კრიმინალურ სამყაროში იკითხება:

„возьми лопату и копай себе могилу“ (აიღე ნიჩაბი და გაითხარე სამარე).

აბრევიატურა-ტატუირებები ძირითადად აღნიშნავენ:

- სიყვარულის ფიცს: „КЛЁН“ (ნეკერჩხალი), ქურდულ სამყაროში იკითხება: „клянусь любить её навеки“ (ვფიცავ მიყვარდეს იგი მარად);
- დამნაშავეთა და პატიმართა თანრიგებს: „ЮГ“ (სამხრეთი), დამნაშავეთა და პატიმართა ენაზე: „юный грабитель“ (ნორჩი მძარცველი);
- ქურდულ სიბრძნეს: „Бог“ (ღმერთი), კრიმინალურ სამყაროში: „буть осторожен, грабитель“ (ფრთხილად იყავი, მძარცველია);
